დავით ხიზანაშვილი

ფშავეთი და ფშავლები

წერილები ერთ წიგნად შეკრიბა
ტრისტან მახაურმა

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი

2018

UDC 39(=353.1)+94(479.221.12)ь-531

წიგნში თავმოყრილია დავით ხიზანაშვილის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები ფშავზე, რომლებიც 1889-1891 წლებში გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდებოდა. დავით ხიზანაშვილის წერილებს აქვს უაღრესად მაღალი სამეცნიერო მნიშვნელობა. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგით დაინტერესებულ მკვლევარებს, სტუდენტებსა და მკითხველ საზოგადოებას.

დავით ხიზანაშვილის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილების სერია „ფშავეთი და ფშავლები“ გაზეთ „ივერიიდან“ ამოკრიფა ფოლკლორისტმა ტრისტან მახაურმა, რომელიც, სამწუხაროდ, მის წიგნად გამოცემას ვერ მოესწრო.

რედაქტორი: **ხვთისო მამისიმედიშვილი**

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018
ISBN 978-9941-9606-7-3

რედაქტორისგან

ფშაველთა ყოველდღიურ ყოფაში ბოლო დრომდე ცოცხლად შემონახული ზეპირსიტყვიერება და ტრადიციული ყოფის ელემენტები ერთიორად ზრდიდა ამ კუთხის მიმართ საერთო ინტერესს. ფშავს განსაკუთრებით სახელი გაუთქვა ვაჟა-ფშაველამ, რომლის შემოქმედებაში ფშაველთა ცხოვრების თემას ძირითადი ადგილი უკავია. ფშავზე არაერთი წიგნი დაიწერა. მათი უმეტესობა XX საუკუნის 20-30-იან წლებში იწერებოდა (გ. თევდორაძის „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, ალ. ოჩიაურის ჩანაწერები, ს. მაკალათიას ეთნოგრაფიული ნარკვევები). უფრო ადრე კი ფშავის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები ძირითადად უცხო ენაზე იბეჭდებოდა, რომელთა შორის აღსანიშნავია, რ. ერისთავის, ა. ზისერმანისა და გ. მერცბახერის შრომები. ფშავზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების ავტორთა შორის ერთ-ერთი პირველი მკვლევარ-პუბლიცისტი იყო დავით ხიზანაშვილი, რომელმაც მშობლიური კუთხე და მისი ყოველდღიური ყოფა შიგნიდან დანახული თვალით აღწერა.

დავით ხიზანაშვილის წიგნში „ფშავეთი და ფშავლები“ შესულია ავტორის წერილები ფშავზე, რომლებიც 1889-1891 წლებში გაზეთ „ივერიის“ ცხრამეტ ნომერში გაგრძელებებით ქვეყნდებოდა. საუკუნეზე მეტი ხნის წინ გამოცემული გაზეთის ფურცლებზე გაბნეულ წერილებს ქომაგად ფოლკლორისტი ტრისტან მახაური მოევლინა. მან ბიბლიოთეკიდან კალმით ამოიწერა ეს მასალა და გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მისი კომპიუტერში შეტანაც მოასწრო, თუმცა, რაღაც მიზეზით, მისი კომპიუტერი დაზიანდა და სხვა დოკუმენტებთან ერთად დ. ხიზანაშვილის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილებიც ეკრანიდან წაიშალა. ტრისტანის მეგობრებსა და კოლეგებს კარგად გვახსოვს, როგორ წუხდა იგი, როცა თვით სპეციალისტებმაც კი ვერ შეძლეს კომპიუტერში წაშლილი მასალის აღდგენა. გარდაცვლილი ძმის პირად არქივში ქალბატონმა ლელა მახაურმა სულ მალე მიაკვლია აღნიშნულ

ხელნაწერს და მთხოვა რედაქტორობა გამეწია ერთ წიგნად შეკრებილი წერილებისთვის[1].

სპეციალისტების უმრავლესობა, რასაკვირველია, იცნობდა დავით ხიზანაშვილის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ წერილებს, მაგრამ მისი გამოცემის საჭიროება აუცილებელი გახდა, რათა სტუდენტებსა და საკითხით დაინტერესებულ ფართო მკითხველ საზოგადოებას ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ გამოცემული პერიოდიკის ფურცლებზე არ ეძებნა უაღრესად მნიშვნელოვანი წერილები და მათი ერთ წიგნში წაკითხვის საშუალება მისცემოდა.

დავით ხიზანაშვილი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ფშავლების ზეპირსიტყვიერებას, ფშავის ტრადიციებსა და წეს-ადათებს, რადგან ის წარმოშობით ფშაველი იყო, ივრის ფშავლებში დაბადებული და აღზრდილი. დავით ხიზანაშვილმა ფშაველთა ყოფის ისეთ ელემენტებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც სხვა აღმწერლებს ყურადღების არედან გამორჩათ ან მხოლოდ ზერელე და ზედაპირული ცნობებით დაკმაყოფილდნენ. ავტორი ნიჭიერი მთხრობელია. უცვლელი დავტოვეთ დავით ხიზანაშვილის თხრობის სტილი და სინტაქსი, მხოლოდ განსაკუთრებული მორფოლოგიური და პუნქტუაციური ხარვეზები ჩასწორდა, რათა მკითხველს საშუალება მისცემოდა მთლიანად შეეგრძნო ავტორისეული თხრობა, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ენისათვის დამახასიათებელი სტილი. დავით ხიზანაშვილის წიგნი მკითხველის წინაშე ვაჟას თანამედროვე ფშავის ტრადიციულ ყოფას აცოცხლებს.

ხვთისო მამისიმედიშვილი

---

[1] ვსარგებლობ შემთხვევით და აღვნიშნავ, რომ ლელა მახაურმა, მართლაც, ღირსეულად უპატრონა ძმის დანატოვარ არქივს. თამარ ფიცხელაურთან და ქეთინო არაბულთან ერთად მან მისხალ-მისხალ აღწერა თითოეული წიგნი და ხელნაწერი, რომელთაგან ზოგი გამომცემლობებს გადასცა დასაბეჭდად და ზოგიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აჩუქა.

ფშავეთი და ფშაველები

დავით ხიზანაშვილი

გეოგრაფიული მდებარეობა ფშავეთისა

ფშავლები ცხოვრობენ მდ. არაგვის, ივრის, ილტოსა და ალაზნის სათავეებში. ზოგიერთები რუკაზე ფშავს მარტო ივრის სათავეში შეცდომით უჩვენებენ, ხოლო არაგვის სათავეში კი ხევსურეთსა და ალაზნის სათავეში თუშეთს აჩვენებენ. არაგვის ხეობაზედ ფშავლები ცხოვრობენ სწროფავის საზოგადოებიდგან მოკიდებული არაგვის სათავემდე. სწროფავის საზოგადოება მდებარეობს მთიულეთის არაგვის ფშავის არაგვის შესართავთან, სოფ. ჟინვანს ახლოს. იგი დასახლებულია ფშავლებითა და ქართველებით. მთიულეთის არაგვის შესართავს ზევით ფშავის არაგვი კიდევ ორ ტოტად იყოფება. ერთი ტოტი მომდინარეობს ჩრდილოეთ-დასავლეთითგან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და ერთვის მეორეს, რომელიც ხსენებულ შესართავამდე აღმოსავლეთიდან განმომდინარეობს სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ხოლო ამ ადგილიდგან, სადაც ეს ორი ტოტი იყრება, არაგვი სამხრეთისაკენ ბრუნდება და ერთვის მტკვარს. იმ ალაგს, სადაც ეს ორი მდინარე ერთვის ერთმანეთს, ჰქვიან „ორწყალი“. „ორწყალი“ მიჯნაა ხევსურეთისა და ფშავეთისა. მარჯვენა ტოტს ფშავლები უწოდებენ „ხევსურეთულას“, ხოლო მარცხენას - არაგვს. „ხევსურეთულას“ ხეობაზე დასახლებულნი არიან ხევსურები, ხოლო საკუთრივ არაგვის ხეობაზე, ორწყალს ზევითაც და ქვევი-თაც, როგორც ნათქვამია, სწროფავის საზოგადოებამდე, დასახლებულებია ფშაველები. მხოლოდ ერთი სოფელი, სახელდობრ კაწალხევი, დასახლებულია ფშაველებითა და ხევსურებით, რომლებიც თითქმის სულ გაფშავლებულან.

ივრის ხეობაზე ცხოვრობს თიანეთის საზოგადოებიდგან მოკიდებული ივრის დასაწყისამდე არტნის სამამასახლისო. არაგვის ხეობაზედ მცხოვრები ფშავლები შეადგენენ ორს სამამასახლისოს და ორსაც ივრის ხეობაზედ. მეორე საზოგადოება ივრის ხეობაზედ ფშავლებით დასახლებული ბოჭორმისაა, სოფ. თიანეთსა და ერწოს

ქვევით. ილტოსა და ალაზნის ხეობებზედ ფშავლები დამოუკიდებელ საზოგადოებებს არ შეადგენენ. აქ რამდენიმე სოფელი იმათ გაუშენებიათ ამ საუკუნის პირველი ნახევრის გასულს. ამ საზოგადოებათა გარდა, ფშავლები ცხოვრობენ დუშეთის მაზრაში არანისისა, ნოჯიკეთისა და ცხვარიჭამიის საზოგადოებაში, ზემო თიანეთისა, თიანეთის, საყარაულოსა და ნაქალაქარის საზოგადოებებში, ქართველებთან ერთად ანუ მეზობლებად. ფშავლებით დასახლებულია რამდენიმე სოფელი ქართლშიაც, გორის მაზრაში და ადგილის სივიწროვის გამო გადასახლებულან არაგვის ხეობიდგან. ესენი თუმცა დიდი ხნის გადასახლებულები არიან, მაგრამ თავის წინაპართ სამშობლო ჯერაც არ დავიწყებიათ, არ დავიწყებიათ მეტადრე თავიანთი მამა-პაპის სალოცავები. თიბათვეში, როდესაც ფშავში „ხატობებია“ და ბარშიაც ცოტა მოცლილობაა, ესენი ხშირად დაიარებიან ფშავში სალოცავად და ნათესავების სანახავად. ქართლელ ფშაველს თუმცა ძალიან დასტყობია მშობლიურის ქვეყნისა და ერის მოშორება, გასხვაფერებულა, უფრო ქართლელის შეხედულება აქვს, მაგრამ მაინც ნამდვილ ქართლელად არ ჩაითვლება, არც გარეგნულად, არც ხასიათითა და მიხრა-მოხრით.

როგორც მოხსენებულია ზევით, ფშავლების უმრავლესი ნაწილი მდინარე ივრისა და არაგვის ხეობებში ცხოვრობს. როგორც ეს ორი მდინარე, ისე მდ. ალაზანი, ილტო და პირიქითი თუშეთის ალაზანი გამომდინარეობენ ერთის მთიდგან, რომელსაც სახელად „ბორბალი“ ჰქვიან, რადგანაც ბორბლის მთიდგან ბევრი მდინარე გამოდის, ამის გამო ფშავლებს ეს მთა შუა ხმელეთად მიაჩნიათ. არაგვისა და ივრის ხეობებს შუაზე უძევს და ჰყოფს მთა, რომელსაც ერთი სახელწოდება არა აქვს, იწოდება სხვადასხვა ალაგს სხვადასხვა სახელით, მაგალითად: იკვლივი, იალნო, საბადური, უღლისი, გორმაღალა და სხვ. ეს მთა იწყება ბორბლის მთიდგან, რომელიც მოაბამს კავკასიონის მთის უმთავრესს ქედსა, უვლის თიანეთსა და ერწოს დასავლეთის მხრით, შემდეგ

აღმოსავლეთისაკენ ბრუნდება, უვლის ერწოს მინდორს სამხრეთის მხარეზე, შემდეგ სამხრეთისაკენ და მთავრდება სოფელ მარტყოფთან. ივრისა და ილტოს ხეობებსა ჰყოფს ბორბლის მთიდანვე დაწყებული სხვა მთა, რომელიც ფშავეთის ქვემოთ ცივ-გომბორის მთად იწოდება, ხოლო საკუთრივ ფშავშიაც იმ მთასა არ აქვს არანაირი სახელწოდება; იმასაც უწოდებენ სხვადასხვა ადგილს სხვადასხვა სახელს, მაგალითად: დამასტე, ჭიაურა, საგამი, კორსავი, გარეჯა, დარბაზის თავი და სხვ.

ჩრდილოეთითა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ფშავეთი შემოზღუდულია კავკასიონის მთის უმთავრესი ქედით, დასავლეთით გუდამაყრის მთებით, რომლებიც ებმიან კავკასიონის მთის უმთავრეს ქედსავე.

უმთავრესი გზები ფშავში ბარიდგან მისასვლელი ორია: ერთი - ივრის ხეობიდგან, ს. თიანეთიდგან, და მეორეც - არაგვის ხეობაზეც, ს. ჟინვანიდგან. ივრის ხეობას გზა მდინარე ივრის მარჯვნივ არის. ეს გზა თუმცა ჯეროვანად შეკეთებული არ არის, მაგრამ მაინც ს. ლუჩანურამდე შეიძლება, თუმცა დიდის გაჭირვებით კი, ურმით მოგზაურობა. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაცა, რომ ივრის ჭალა ფართოა და ამის გამო, ადიდებული იორი გზამდე ადვილად ვერ უწევს და ვერ აზიანებს ისე ხშირად, როგორც ესა ხდება არაგვის ხეობაზედ. არაგვის ჭალა ფშავში ვიწროა, გზაც ვიწრო და საცალფეხო არის; ურმითა და მარხილით მოგზაურობა შეუძლებელია. ეს „გზა“, თუ შეიძლება ასეთი სახელი ვუწოდოთ იმ ბილიკს, არაგვის ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მხარეზე მიდის, ასე რომ მოგზაურს ხშირად სჭირდება ხოლმე არაგვში გასვლა-გამოსვლა, ან შიგ წყალში, ან ხიდზედ. ხიდებს შეადგენს მდინარის ორსავე მხარზედ მორანგლულ წიფლის მორებზედ გადებული რამდენიმე წიფლისავე ხე, რომლებზედაც ფიცრებია, ან ლასტები გაწყობილი და ზედ ქვიშაა წაყრილი. ამნაირ ხიდებზედ გასვლა საშიშია და ძნელი, მეტადრე შეუჩვეველი მოგზაურისათვის. შედგება თუ არა მგზავრი ხიდზედ, მეტადრე ცხენოსანი, ხიდი

ზანზარს დაიწყებს და არყევს ზედ მიმავალს. ხიდის ზანზარისაგან შეშინებული მგზავრი ძალაუნებურად ჰფიქრობს: აი, ან ახლა ჩავარდება ხიდი, ან ახლა ჩამაგდებს და მიმცემს გაფოთებულის არაგვის ტალღებსაო.

არაგვის ჭალა ფშავში ორსავე მხრიდგან დახშულია მაღალის მთებით, რომლებიც ძირს მშვენიერის ხშირისა და დაბურულის ტყით შემოსილებია, ხოლო მაღლა წვერებზედ შიშვლები. მთების კალთები ზოგან ძლიერ გვერდა-ფერდობებად, ხოლო ზოგან მოფენილ ვაკეებად, პატარ-პატარა ხევებით დაყოფილები, ჩამომწკრივებულები არიან არაგვის ჭალის აქეთ-იქით და იმათ თვისის დაუდგრომელის ტალღებით მუდამ ებრძვის და ძირს უთხრის არაგვი. თვით ჭალაც შემოსილია ხშირის ტყით; თუმცა იგი შემოზღუდულია მაღალის მთებითა და დახშულია, მაგრამ მაინც სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს, მეტადრე ზაფხულობითა და გაზაფხულობით. ივრის ჭალა არაგვისასთან შედარებით უფრო ფართოა, მაგრამ ხრიოკია, მცენარით ღარიბი. მთები ორსავე მხრით უფრო დაბლებია და ვაკეები აქვს, შემოსილებია აგრეთვე ტყით; არაგვისა და ივრის ხეობები ერთმანეთისაგან, სხვათა შორის იმითაც განირჩევიან, რომ არაგვის ხეობა ბარია, ხოლო ივრისა - მთა ალაგი. არაგვის ხეობა მცენარეულობით მდიდარია ივრისასთან შედარებით. დღეს თუმცა ფშავში ვენახი არსად არ მოიპოვება, მაგრამ იქ ნავენახარები და ნასაწნახლარები არაგვის ხეობაზედ სოფ. გუდარეხამდე ცხადად მოჩანს. ხალხური გადმოცემა ამბობს, რომ ვაზი ძველ დროში არამც თუ ფშავში, არაგვის ხეობაზედ მოდიოდა, ხევსურეთში, სუბარის ახოშიც კი იყო ვენახი. ბარისახოელი ხევსურები დღესაც უჩვენებენ ხოლმე მოგზაურებს სოფ. ბარისახოს ახლოს სისოურების ნავენახარს. მთების კალთები არაგვის ხეობაზედ სოფ. შუაფხომდე შემოსილებია ზოგან ხშირისა და მსხვილის ტყით და ზოგან წვრილი შიმელათი. ტყეს შეადგენს წიფელი, თხილი, პანტა, მაჟალო, რცხილა, მუხა, კაკალი და სხვ. შუაფხოს ზევით მთები და ჭალა არაგვისა ღარიბია მცენარეთი, აქ

ტყე იშვიათია და რაც არის, ისიც წვრილი. ივრის ხეობაზედ კი მთების კალთები შემოსილია ტყით. თითქმის ივრის სათავემდე. აქაც როგორც არაგვის ხეობაზედ, ზოგან წვრილია ტყე, ზოგან - მსხვილი, მომეტებულ ნაწილად ტყე წიფლისაა. კაკლის ხე ივრის ხეობაზედ იშვიათად მოდის. მოდის მხოლოდ მოფარებულ მყუდრო კუნჭულებში, სადაც დასავლეთის სასტიკი ქარი ვერა ხვდება, მაგალითად, თიანეთს ზევით. თვით თიანეთსა და ერწოს კაკლის ხე არ მოდის, რადგან ამ ადგილებს დასავლეთის მხრით დაბალი მთები აქვს. დასავლეთის ქარს ვერ იჭერს და ამის გამო ქარი და სიცივე აქ სასტიკია, ვიდრე თიანეთს ზევით ივრის ხეობაზედ და უშლის კაკლის ხის მოყვანას. მთების უტყეო წვერებს ფშავლები საძოვრად და სათიბად ხმარობენ.

ფშავეთი შესდგება ოთხის სამამასახლისოსაგან. ორი სამამასახლისო ივრის ხეობაზეა, სახელდობრ არტნისა და ბოჭორმისა და ორი არაგვის ხეობაზედ: შუაფხოსი და მაღაროსკარის. ბოჭორმის საზოგადოება ფშავეთში არ მდებარეობს, იგი მოშორებულია ფშავეთს, მდებარეობს ერწოს ქვევით; აქაც ფშავლები გადასახლებულან ადგილის სივიწროვის გამო სხვადასხვა თემებიდან ამ 40-50 წლის წინათ. არაგვის სათავეშია შუაფხოს სამამასახლისო. ივრის სათავეშია არტნის სამამასახლისო. შუაფხოს საზოგადოება შედგება 21 სოფლისაგან, მაღაროსკარისა 14 სოფლისაგან, არტნისა 15 სოფლისაგან და ბოჭორმისა 3 სოფლისაგან. სრულად თიანეთის მაზრაში სცხოვრობს 7612 ფშაველი, ორივე სქესისა[2]. სხვა მაზრებში მცხოვრები ფშავლების რაოდენობაზედ კი არავითარი ცნობა არა გვაქვს[3]. მოზრდილი, ხშირად დასახლებული სოფლები, ფშავეთში იშვიათი არ არის, თუმცა აქა-იქ გაფანტულ თითო ოროლა სახლსაც მოგზაური ხშირად შეხვდება. უფრო მოზრდილი სოფლები ივრის ხეობაზედ

[2] მამაკაცების რიცხვი მეტია დედაკაცებისაზედ 376-ით (ავტორი).

[3] თიანეთის საზოგადოებაში, სოფ. ხაიშოში, ჩაბანოსა და ჩაფართაში მცხოვრებლები ჩათვლილები არ არიან ზემოდ მოყვანილს რიცხვში (ავტორი).

არიან: არტანი, ლიშო, ყვარა, ბოდახევა, ლიჩანური, მგელათციხე; არაგვის ხეობზედ - ხოშარა, შუაფხო, ახადი, მათურა და სხვ.

ძველს დროში ფშავლებს უცხოვრიათ, როგორც მათი ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, მარტო არაგვის ხეობაზედ, იმ სოფლებში, რომლებიც ეკუთვნიან შუაფხოს სამამასახლისოსა და მდებარეობენ არაგვის სათავეში. საკუთრივ ამ კუნჭულს ფშავლები უწოდებენ „ფშავისხევს“. ფშავისხევი ფშავლისთვის წმინდათა წმინდაა და მას იგი არ გასცვლის არც უკვდავების ხეზედ და არც სხვის ქვეყნის სამოთხეზედ. ის „არ გამოვა ფშავისხევის წილიდგან“. თითოეული თემი ძველს დროში შეადგენდა თითო სოფელს ფშავისხევს მცხოვრებს და შემდეგ გამრავლებისა თვით ფშვისხევში და იმის აქეთ-იქით სხვადასხვა სოფლები გაუშენებიათ.

„ივერია“, 1889. №138

თემობა და თემების ერთმანეთთან დამოკიდებულება

ფშავები განიყოფებიან 12 თემად, სახელდობრ: უკანა ფშავლები, გაბიდაურები, გოგოლაურები, ჭიჩოელები, ჩარგლელები, ახადელები, ქისტაურები, მათურელები, წოწკურაულები, უძილაურები, ტურანი და მისრიანი. როგორც არის ნათქვამი, ძველ დროში თითოეული თემი შეადგენდა თითო სოფელს. შემდეგ გამრავლდენ და ყველა თემმა რამდენ-რამდენიმე სოფელი გააშენა. შემდეგ საერთო სოფლიდგან გადასახლებისა თემს იმავე სოფლის სახელი დაერქვა და შერჩა დღეს აქამომდე. მაგალითად: გოგოლაურების თემი სოფელ გოგოლაურთიდგან გამრავლებულა, ახადელებისა სოფელ ახადიდან, ჭიჩოელებისა სოფელ ჭიჩოდან და სხვ. სულ ორი თუ სამი თემია, რომელთაც ძველი სათემო სოფლის სახელი არ შერჩენია დღემდე. ყველა თემი ფშავის ხევის მკვიდრად და მფლობელად ითვლება, იქა აქვს ყველას თავისი თემის

სალოცავი. ყველა თემის სალოცავის მლოცველს - „ყმას“ ფშავის ხევის მიწა-წყალში წილი აქვს და ამას ვერ გამოსწირავს ვერც თვით ფშავის ხევის დღევანდელი მკვიდრი-მცხოვრები და ვერც ვინ სხვა. ფშავის ხევიდგან გადასახლებულ ფშაველს თან მარტო სოფლის მფარველი ანგელოზი - „ადგილის დედა“ წაჰყოლია, ფშავლების საერთო და სათემო სალოცავები კი ფშავის ხევში ადგილუცვლელად დარჩენილან, რის გამოც ფშავლის ყველა თემის წევრი მოვალეა ფშავის ხევში სალოცავად იაროს და იმასთან კავშირი და მისვლა-მოსვლა არ შესწყვიტოს.

ფშაველი დარწმუნებულია, რომ, ფშავის ხევის გარდა, ვერც ერთი კუთხე ქვეყნისა დედამიწის ზურგზედ ვერ შეედრება სიწმინდითა და მადლიანობით იერუსალიმს. ამისთვის იგი ხშირად ამბობს ხოლმე: ფშავის ხევივით წმინდა და მადლიანი დედამიწის ზურგის არცერთი კუნჭული არ არისო.

ფშავლის ყველა თემს საკუთრად სიკარგის ან სიცუდის სახელი აქვს სხვა თემებში გავარდნილი, რომელიც ხუმრობის ან კამათობის დროს საყვედურის ანუ დასაკვეხებელ მასალას შეადგენს თავმოყვარე ფშავლისთვის. ყველას ჰყავს თავისი თემის ავი და კარგი გმირი, ომში ან ვაჟკაცობით ან ლაჩრობით სახელგანთქმული, რომელსაც უსახელებია ან შეურცხვენია თავისი თემი. ყველა ესენი ზღაპრულად თქმით ანუ ლექსით მოიხსენიებიან ფშავლების საზოგადოებაში, მაგალითად, ქორწილში ან ხატობაში, სადაც რამდენიმე თემის ხალხი ერთად თავმოყრილია.

თვით თემს ერთმანეთში განწყობილება ნათესაური აქვს. ზევითაც არის ნათქვამი, ყველა თემს თავ-თავისი სათემო სალოცავი აქვს და თემი ამ სალოცავის „ყმად“ ითვლება. სათემო ხატი თემის წევრებს ნათესაობით საწინააღმდეგო კავშირის ნებას არ აძლევს, „ხატს ეს არ მაუდისო“ (ჩვეულებად არ აქვს). არამც თუ ქალებს არ ათხოვებენ ფშავლები თავ-თავიანთ თემში, თავისის თემის წევრების ქვრივებთან და დისწულებთან ქორწინებაც კი ზოგიერთ თემში სასტიკად აკრძალულია, თუნდა ქორწინებას არც სულიერი

და არც ხორციელი ნათესაობა არ უშლიდეს. მაგალითად, ახადელების თემის კაცს ნება არა აქვს ახადელივე კაცის ქვრივთან და ახადელ ქალის ქალთან ქორწინებისა. მიზეზი ამისიც ისევ ის არის, რომ „ხატი“ (თემის სალოცავი) ნებას არ აძლევს. უკანა ფშაველს კი ნება აქვს თავის თემის წევრის ქვრივთან ქორწინებისა, თუ მიცვალებული მეუღლე ქვრივისა ან თვით „საცოლ-საქმრონი“ ერთმანეთის ნათესავები არ არიან. როგორც უკანა ფშავლები ამბობენ, იმათი ხატი, პირიქით, იმასა სცდილობს, თავის „ყმის“ ქვრივი არ გამოსწიროს თავის ყმათა და მათ შორისვე დააბინავოს ხელახლად. ჭიჩოელ თემის წევრს ნება აქვს ჭიჩოელ ქალის შვილებთან ქორწინებისა და თუ ნათესაობამ არ დააბრკოლა, თემობით სიახლოვე კი არ დააბრკოლებს.

ქალის გათხოვება თავისსავე თემში თავის ხატის ყმაზედ ყოვლად შეუძლებელია. ამის მაგალითი ფშავში ჯერ არ მომხდარა, ეს ხალხში მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება, იმნაირი დანაშაულობისათვის, როგორც უმაგალითობისათვის, ფშავლის სამართალს ცალკე სასჯელი არ დაუწესებია. ფშავლის აზრით, იგი ეკუთვნის უმძიმეს დანაშაულობათა ჯგუფს, ხატისა და თემის ღალატს, რჯულის შებღალვას.

ერთი თემიდან მეორეში გადასვლა ფშავლებში შეუძლებელია, ესეც თემისა და თემის სალოცავის ღალატად ჩაითვლება, გარეშე კაცს კი (არა ფშაველს) შეუძლიან რომელიმე თემში ჩაირიცხოს. ახალმა თემის წევრმა მსხვერპლი უნდა შესწიროს იმ თემის სალოცავს, რომელშიაც ჩარიცხვას აპირებს და საჯაროდ უნდა დაიფიცოს თემისა და მისის სალოცავის ერთგულება. ამის შემდეგ თემის ახალმა წევრმა უნდა იკისროს ყველა სამსახური თემის ხატისა და ყველა ფშავლის საერთო სალოცავებისა. თემთან „გაფიცვის“ შემდეგ ნება აღარა აქვს რომ ფიცზე უარი სთქვას, თემის წევრობასა და ხატის ყმობაზე ხელი აიღოს, რადგანაც უარყოფა თემის სალოცავისა თვით თემის ღალატად ითვლება და ყველა სალოცავი, ფშავლის აზრით, ასეთს მოღალატეს სასტიკად დასჯის.

თემებში ძველთაგანვე განთქმულია ჩარგალელების თემი მონადირეობით, გოგოლაურებისა - შაირობითა და მოსწრებულის სიტყვა-პასუხით, ჭიჩოელებისა - ხვნა-თესვით, წოწკურაულებისა - სიბოროტით (მუცელგველიანებს უძახიან იმათ სხვა თემის ფშვლები), უკანა ფშაველი-სიცეტით, გაბიდაურისა - გულგრილობით, მათურლებისა - სიმამაცით, ქისტაური - სილამაზით, უძილაური-სისასტიკით, მეჩხუბარობით და სხვ.

ფშავლები თავს ფშავლებსავე უწოდებენ და აღიარებენ თავიანთ თავს ქართველთა ტომის ხალხად, ქართველების მონათესავედ. თავის თავისა და თავის სამშობლოს ბედ-იღბალს ფშაველი უკავშირებს მთლად საქართველოსას. თუმცა ზოგიერთ ქართველ ფეოდალთან თავისუფლებისათვის ბრძოლაში ფშავლებს ბევრი სისხლი დაუღვრიათ და ბევრი შავი დღე გამოუვლიათ, მაგრამ ბარის ქართველთან ამათი ძმური კავშირი ამ სამწუხარო მოვლენას ვერ შეურყევია. როგორც ფშავლის ყველა თემებს შორის, ისე სხვა მოსაზღვრეებთან დანათესავება, ფშავლის ჩვეულებით, აკრძალული არ არის.

კაცის მკვლელობის საქმე, როგორც ყველა მთის ხალხებში, ისე ფშავლებში თავდებოდა „სისხლის ძიებით“, ან „კაცისთავის ზღვით“; კაცის კვლის საქმე მტრობას გამოიწვევდა მხოლოდ მოკლულისა და მომკვლელის საგვარეულოს შორის; თემი საზოგადოდ ამ შემთხვევაში არ ერეოდა; თემებს შორის განხეთქილებას მხოლოდ საადგილმამულო დავა იწვევდა.

სახლი და იმისი მოწყობილობა

ფშაველი სახლს აშენებს ქვისას, მომეტებულ ნაწილად უკიროდ. მაღაროსკარის საზოგადოებაში ქვითკირის სახლი იშვიათია, შუაფხოს საზოგადოებაში თითქმის არ აშენებენ ქვითკირის სახლებს; არტნის საზოგადოებაში კი მომეტებული ნაწილი სახლებისა და სხვა შენობებისა ქვითკირით ნაშენებია. შუაფხოს საზოგადოებაში სახლების კედლებს ცარიელ ქვისას (ყორე) აშენებენ უკიროდ. იმ საზოგადოებაში უკიროდ ქვის კედლის აშენება ადვილად მოსახერხებელია, რადგან იქაური ქვა ბუნებითვე ასეთი სწორგვერდებიანი და კუთხეებიანია, რომ შეუჩვეველ კაცის თვალს განგებ კაცის ხელით გათლილი ეგონება; ქვის ამნაირი ღირსება მცხოვრებლებს შეღავათს აძლევს; უამისოდ სახლისთვის ქვის კედლების აშენება ძნელი მოსახერხებელი იქნებოდა ფშავისხეველ კაცისათვის, რადგანაც იქ საკირედ გამოსადეგი ქვა სრულიად არ მოიპოვება.

საზოგადოდ ფშავური სახლი მოგძელოა, ოთხკუთხიანი. სახლის კედლები სიმაღლით ორ ადლ-ნახევარი, ან ცოტა მეტ-ნაკლებია. სახლის სიგანეზედ (გარდიგარდმო) ორი დიდი კოჭი უდევს და ამ კოჭებს „თავხეს“ უწოდებენ. თავხეები ჯალაბობის სამყოფს, კერა-საცეცხლურს ერთი ზევით უდევს და მეორე ქვევით. თავხეებზედ წაწყობილებია წვრილი კოჭები, რომელსაც ფშავლები „შოლტებს“ უწოდებენ. შოლტებზე წაწყობილია ფიცრები, ფიცრებზედ ნაფოტი და ნაფოტზედ მიწა წაყრილი. ნაფოტს აყრიან ფიცარს იმისთვის, რომ მიწა ფიცარს ადვილად და მალე ალპობს, ნაფოტი კი აშორებს მიწას და ამნაირად მალე დაფუცუნებისაგან იცავს. შუაფხოს საზოგადოებაში ფიცრის მაგიერ ლასტებსაც ჰხმარობენ სახლის გასასხვნელად. ამისი მიზეზი ის არის, რომ ამ საზოგადოებაში საფიცრედ გამოსადეგი სხვილი ხე ან სულ არ მოიპოვება, ან ძალიან ცოტა: და ისიც შორს. შუაფხოს საზოგადოებაში მიწა ისეთის თვისებისაა, რომ ის, ბანზედ დაყრილი და დაძეკილი, წყალს არ

უშვებს სახლში, ამის გამო იქაური სახლების საფარი მარტო ვაკე ბანია. სხვა საზოგადოებებში კი მიწა წყლს ვერ იჭერს და მის გამო სახლების ბანებზედ საბძლებია მოშენებული, ყარტით ან კრამიტით დახურული. სახლის ბანის შუა ადგილას და თავ-ბოლოს ბოძებია ჩადგმული, რომლებზედაც ხეა გადებული. ამ ხესა ჰქვიან კესი (ქართულად, საყვავე). კესზედ კავების თავებია დამაგრებული და ბოლოები დაყრდნობილია ბანის „სანაპიროზედ“. სიგრძის კუთხეებად კავებზედ თხლად მიქსოვილ წნელს ლასტებით წნელითვე დაკრული (ფხანთი) და ფხანთზედ ყარტია დაწყობილი, რომელსაც იმაგრებს შიგ დატანებული და წნელით ჩაკრული ჯოხები - „ლატანი“. „ყარტი“ ჰქვიან გაბერტყილს და მარცვალგამოცლილ გაულეწელ სვილის ძნას. ყარტს ხმარობენ ფშავლები საბძლის დასახურავად ნამჯის მაგიერ. ყარტი საბძელზედ რიგზეა აღმა-დაღმა დაწყობილი, ამის გამო წყალს ადვილად აცურებს, ძირს არ უშვებს, შენობის მასალას არ აზიანებინებს და არც ისე მალ-მალე გაახლებასა თხოულობს, როგორც, მაგალითად, ბარულ საბძლის სახურავი ნამჯა.

სახლის თავხეების ბოლოები დამაგრებულია სახლის სიგრძის კედლებზედ. უკანა თავხეს სახლის შუა ადგილზე მიდგმული აქვს ერთი დიდი ბოძი, რომელსაც დედაბოძი ეწოდება. დედაბოძის წინ კერაა გამართული.

სახლი ირგვლივ შემოღობილია წნელის ღობით, ანუ ჯინჯიბახ ხარიხით; ეზოშივეა აშენებული გომური, ზედ მიშენებული საბძლითურთ. გომური პირუტყვისა და მებოსლე დედაკაცის საზამთრო თავშესაფარია. გომურთან და საბძელთან ახლოა კალო და პურიან გოდრების დასადგმელი ქოხი - „საგოდრე“.

მე ავწერე ფშაველის ძველებური, მამაპაპური სახლი, რომლის მაგიერად ჩვენს დროში ზოგიერთ ადგილას ბუხრიანსა და ფანჯრიანს სახლს აშენებენ. ფშაველის ძველებური სახლი სრულიად არ შეეფერება კაცის ჰიგიენურს მოთხოვნილებას და ამისთვის იმის ხმარებიდგან გამოსვლა და მის მაგირ უკეთესის

სახლის შემოღება ფრიად საჭიროა ხალხისათვის, რომელიც, თუ დღეს ვერა, შემდეგში მაინც რიგიანს სახლსა და იმის რიგიანად მოწყობა-მოხმარებასაც შეეჩვევა. საზოგადოდ, ფშაველი სუფთა ცხოვრებით ვერ შეედრება ვერც ბარის ქართველსა და ვერც წოვა-თუშსა, თუმცა კი, ღვთის წინაშე, ხევსურს ამ მხრივ გაცილებითა სჯობია.

ანთროპოლოგიური ცნობები

აგებულებით მომეტებული ნაწილი ფშავლებისა, როგორც მამაკაცებისა, ისე დედაკაცებისა, არის ჯმუხი, ჩასხმული, შუათანა ტანისა, მსხვილ მხარბეჭიანი, თუმცა არც მაღალი. „სხარტი“, წერწეტის ტანის კაცი და დედაკაცი იშვიათად საპოვლენია მათში. ფშავლის ორივე სქესი მთის სუფთა ჰავის და სადა ცხოვრების მიჩვევის წყალობით ჯანმრთელია და ღონიერი, მარჯვედ ამტანი მძიმე შრომისა და ბუნების მრისხანებისა. როგორც მეტად ახმახი „ხრახი“ (დიდის ტანის) კაცი, ისე დაბალის, „ბაჩა“ ტანის კაცი, მოიპოვება ფშავლებში, მაგრამ ეს უკიდურესობა ხშირი არ არის.

მამაკაცები უფრო შავგვრემანები და სვილისფერები არიან, ვიდრე ქერები. დედაკაცების მომეტებულს ნაწილს თმა წაბლისფერი აქვს და თვალ-წარბი შავი. ქერა და შავთმიანი დედაკაცები უფრო ნაკლებნი არიან. საზოგადოდ, არაგვის ხეობაზედ, ორ წყალს ქვევით მცხოვრებლები უფრო შავგვრემანები არიან. ფშავისხეველების (შუაფხოს საზოგადოების მცხოვრებთ) მომეტებულ ნაწილს ისევ შერჩენია ფშავლების ძველებური „სილეგლუგავე“.

ივრის ხეობის მცხოვრებლებში უფრო მომეტებული რიცხვი მოიპოვება ქერადა „თვალჭრელ“ ხალხისა, ვიდრე სხვაგან. ბრმობისა და კოჭლობის სიხშირე ფშავლებში არ არის. კოჭლები არიან უკანაფშავში არჩემაანთ გვარისები, ნაკვალესავში - ბაიდოურები და

იმათი ქალ-დისწულები. მათი ჩამომავლობა გაბნეულია ფშავის სხვადასხვა თემებში.

მარღი იშვიათია ფშავლებში, მარღები მხოლოდ მინდოდაურების გვარში არიან. არტანში ჭრელთვალა და შავთმა წვერიანი და აგრეთვე შავთვალა და ქერა თმაწვერიანი კაცი ფშავლებში იშვიათი არ არის. თვალ-შუბლისა, ცხვირისა და საზოგადოდ პირისახის მოყვანილობა ფშაველს ზომიერი აქვს. გარეგანის შეხედულობით იგი წააგავს უფრო ბარის ქართველს, ვიდრე სხვას რომელსამე თავის მეზობელ მთის ხალხს. გავლა-გამოვლით, მიხრა-მოხრით ფშაველი დინჯია, აუჩქარებელი და დარბაისელი. „ცუნცრუკა“ სიარული და „ბანჭიაობა“ (აქეთ-იქით რწევით სიარული) უმართებულობად ითვლება. დედაკაცი დადის მსწრაფლისა და მოკლე ნაბიჯით; მამაკაცისგან დედაკაცის მსგავსი ბიჯით სიარული სირცხვილია; სირცხვილია დედაკაცისთვის მამაკაცის მსგავსი ბიჯით სიარული. დედაკაცი უნდა დადიოდეს ფეხაკრეფით და არა „თათხვა-ბოტებით“. პურის ჭამის დროს ფეხგაშლით დაჯდომა სირცხვილია ორივე სქესისთვის. თუ მამაკაცი ჩიკანზედ არა ზის, დედაკაცისგან ჩიკანზედ დაჯდომა და იქიდგან ფეხების გადაშვებაც სირცხვილია; დედაკაცს ნება არა აქვს, რომ მამაკაცების საზოგადოებაში ფეხგაშლით დაჯდეს. წესიერად ჯდომას, გავლა-გამოვლას და მიხრა-მოხრას ფშაველი ბავშვობიდანვე სწავლობს უფროსებისგან. 9-12-13 წლის ფშაველს ეს თვისება კარგად უნდა ჰქონდეს შეთვისებული, წინააღმდეგ შემთხვევაში დასძრახავენ უფროსებსა და ბავშვები გაუწვრთნელად ჩაითვლებიან. დედაკაცები და მამაკაცები როგორც შინაურობაში, აგრეთვე უცხოსთანაც, თამამად უნდა იყვნენ. მეტი მორცხვობა და კრძალვა, პირის რიდება სიდამბლის ნიშანია, ფშავლის აზრით.

ფშავლის ტკბილი და მოსწრებული სიტყვა-პასუხი კაცის გულს უნებლიეთ მიიზიდავს. საზოგადოდ, ფშაველი მჭევრმეტყველებას ძვირად აფასებს და კაცის უსაჭიროეს იარაღად მიაჩნია ცხოვრებისათვის. კარგი სიტყვა-პასუხის მქონე, „ენიანი“,

„თავგზიანი“ კაცი და დედაკაცი ყველას მოსწონს. უენაპირო, უსიტყვო კაცი კი ითვლება „უთაურად“, აბუეტად. მჭევრმეტყველობას ფშავლებში თუმცა ბაზარი[4] აქვს, მაგრამ საზღვარსა და განსხვავებას იგი მასშიაც ჰპოულობს, ბევრის მოლაპარაკე „ლაქლაქა“ კაციც არ მოსწონთ. კაცი ტყუილ-უბრალოზედ სიტყვას არ უნდა ჰხარჯავდესო, - ამბობს ფშაველი. ყბედს ხშირად ასე უსაყვედურებენ: „ყბედი ხარ... ენას ტარად აბიხარ, ყბედიც რომ არ იყო, თაგვები სოროში შეგათრევდნენო და სხვ...“

„ივერია“, 1889. №139

ტანთსაცმელი

ფშაველი მამაკაცის ტანისამოსი ბარის ქართველთ ტანთსაცმელისაგან ბევრით არაფრით გაირჩევა; მოხუცებულები, ორივე სქესის, იცვამენ ფერით „ჯიგრიანს“ (თალხს) ტანისამოსსა, ახალგაზრდები კი უფრო „ლაღ ფერსა“ (მხიარულ ფერისას). ქვრივს ხელახლად გათხოვებამდე სულ თალხები აცვია; გათხოვებამდე თალხების მოშორება სირცხვილია.

მამაკაცი იცვამს ხამის შალის (წითლად შეღებილი ხამივეა), ყუმაჩის ან ჩითის პერანგს. პერანგის საყელო საკინძით ან ღილებითა აქვს შეკრული. საყელოს შემოკერებული აქვს ბუზმენტი, ჩაფარიში ანუ ზონარი. გულის პირზედ გადაკერებული აქვს ყუმაჩის ან მოვის „სამხრე“ წითელის ფერისა. ახალოხს იცვამენ ნაოჭიანს, ყოშებიანს, ყოშებსა და საყელოზედ შემოკერებული აქვს ზონარი, გრეხილი ან ბუზმენტი. ახალოხი ნაკერია ჭრელად, გამოყვანილია „კავა-ჯიჯიტა“ და სხვადასხვა სახეა. საახალოხე მასალაა ლასტიკი, ყანაოზი უბრალო ჩიტ-ფართალი, რომელსაც

[4] ბაზარი: ფასი

ფშავლები ჩარჩებისაგან ძლიერ ძვირადა ყიდულობენ. ჩოხა აცვიათ შალის, შინ მოქსოვილი და შეკერილი, ან ბაზარში ნასყიდი, ფერად შავი, ან ლეგა. ჩოხას სხვადასხვანაირსა ხმარობენ; შეხვდება კაცი ჩერქეზული ჩოხის მსგავს ჩოხასაც და წელნაოჭიანსაცა: ვისაც როგორი მოსწონს, ისეთს ჩოხასა ხმარობს. ფეხზე აცვია ძროხის ტყავის ქალამნები, ან ჩუსტები, თავზე ჰხურავ ნაბდის დიდი ქუდი (მეტადრე მწყემსებს). დიდი ქუდი ცხვარში ქუდობასა და ბალიშობას უწევს.

ფშავური შინ მოქსოვილი შალი მაგარია, ისე მალე არ იგლიჯება როგორც ნუხური შალი და სახითა ნუხურს შალს ჰგავს. ფშავური საჩოხე შალი მაგრად ნაქსოვობისაგან ხმელია და ამის გამო ფშავის გარდა მას ბაზარი არსადა აქვს, რომლის გამო დაწუნებულია. შალებს ჰქსოვენ ფშავლის დედაკაცები სამნაირ სახისას და სამივეს თავთავისი დანიშნულება აქვს. საჩოხე შალს ქსოვენ წაღმა-უკუღმა დაძახილ ბაწრისას და ეძახიან „წაღმ-უკუღმართას“. მარტო „წაღმართა“ ბაწრის შალს საშარვლედ და საჯუბედ ჰხმარობენ, ორშიანს - საფაფანაგედ.

ფშავლის დედაკაცური ტანსაცმელიც უფრო ქართულს წააგავს, ვიდრე სხვა რომელიმე მათი მეზობელი მთის ხალხების სადედაკაცო ტანისამოსს. კაბა და თავშალი, დასახური ჩიქილა ძლიერ მიემსგავსება ქართულ კაბასა და თავხურვას. მხოლოდ ქართველებისა გაუკეთესებული და შემუშავებულია, ვიდრე ფშაური კაბა და თავხურვა, რომელიც უეჭველად ქართულისაგან წარმომდგარი უნდა იყოს.

საკაბე მასალას შეადგენს ჩითი, წითელი ან სხვა ფერის ყანაოზი და ლასტიკი. კაბა ემსგავსება ქართულ კაბას, იმის მსგავსად გულამოჭრილია და ნაოჭიანად შეკერილი წელი აქვს. კაბა უფრო სადღესასწაულო და საგარეო სახმარებელია, ხოლო შინ საქმის დღეში პერანგ-ახალოხი, ანუ ჯუბა აცვიათ. ფშაური სადედაკაცო პერანგი გრძელია და წააგავს ძველ ეკლესიებზედ დახატულ წმინდა დედათ ტანთსაცმელს; სადღესასწაულო პერანგებს ჰკერავენ

მერდინისას (თავთა), მოვისას და ყანაოზისას, ხოლო სამუშაო და შინ სახმარებლად - შალისას, ან ხამისას, რომელიც წითელის ან მოშავო ფერისა უნდა იყოს. ზაფხულში კაბის გარეთ აცვიათ შინ მოქსოვილი ორშიანი შალის მოკლე „ფაფანაგი“, რომელიც უფრო მიემსგავსება ჩოხას, ხოლო ზამთარში - ცხვრის ტყავი.

თავზედ ფშავლის დედაკაცებსა ჰხურავთ უბრალო „თავი ჩითეების“ ანუ ჩითმერდინის „ჩიქილა“. „ჩიქილა“ შეკერილია ოთხის თავი ჩითისა და აქვს სამკუთხედი ფორმა. ერთს კუთხეს, რომელიც დახურვის დროს უკან დასაშვებია, ჰქვიან ჩიქილის ბოლო, ხოლო დანარჩენები ორივე მხრებისკენ გადაიშვება და ჰქვიან ჩიქილის ტოტები. ჩიქილის ბოლოს მოკერებული აქვს სხვადასხვა ფერის ფარჩის ნაკუწები და შემდეგ მოკერებული აქვს შინ მოქსოვილი ან ბაზარში ნასყიდი აბრეშუმის ძაფის ფესვი. ჩიქილის ერთი ტოტი თავზედ დახურვის დროს ერთის მხრიდგან მეორისკენ გადაიკეცება და წვერი მარჯვნით გულზედ ჩაიშვება, რომელიც ან თავისუფლად დაფრიალებს, ან, თუ დედაკაცი გაჯავრებულია და ან სიცივეა, პირის ასახვევადა ხმარობენ. თავზედ დახურული ჩიქილის დასამაგრებლად შემოკრული აქვთ სქლად დაკეცილი შავად შეღებილი სხვილი ჩითი, ან ხამი „ხელსახოცი“. თუ დედაკაცი შეძლებულის ოჯახისაა, მეტადრე თუ კოხტაც არის, დღესასწაულებში ან სტუმრად ყოფნის დროს ჩიქილას ზევით ქიშმირის შალს იხურავს.

ჯუბა, როგორც ზევითაც ნათქვამია, საშინაო, სამუშაო ტანსაცმელია. თუ მეტად ღარიბის ოჯახისა არ არის, ფშავლის დედაკაცი ჯუბით საზოგადოებაში არ გამოვა. ჯუბა შინ მოქსოვილი „წაღმართა“ ბაწრის შალისაა, შავად შეღებილი. შეკერილია კაბის მსგავსად, მხოლოდ ნაოჭიანი წელი არა აქვს ბოლოზედ მიკერებული აქვს წითლად შეღებილი შალი, სიგანით ორი გოჯი, „ქუქუმო“ და შინ მოქსოვილი ბაწრის ზონარი.

საზოგადოდ ფშავლის დედაკაცის ტანისამოსი სადაა, არაფრით არ უმახინჯებს ტანს, როგორც, მაგალითად, ხევსურის დედაკაცის

ჯუბა, რომელიც ისე ახუნძლულ-დახუნძლულია, რომ ტურნუროსანთ კაბებს ძლიერ წააგავს და თუშური ჯუბაკი, რაც უნდა წერწეტის ტანის ქალი იყოს, ღიპიანად აჩენს.

მამაკაცისა და დედაკაცის ფეხთსაცმელი ერთმანეთისაგან არაფრით გაირჩევა, ორივე სქესი ჰხმარობს ძროხის ტყავის ქალამნებს, ჩუსტებსა და ძველებურს წუღებს.

საშინაო ტანთსაცმელი სადღესასწაულოსგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ დღესასწაულში უფრო ახალი და სუფთა ტანისამოსი აცვიათ, ვიდრე - სხვა დროს.

სამკაული

სამკაული მთის ხალხს საზოგადოდ ძალიან უყვარს, მათ შორის ფშაველი კი ყველაზე ნაკლებს სამკაულს ჰხმარობს. ფშავლებში, მაგალითად, დიდი სირცხვილია ხევსურულის ტანსაცმლის მსგავსად ღილ-მძივით, შილა-ლურჯით და „სკლატ-აბრეშუმით“ ტალავრის „მოჭრელება“; ხევსურისა, თუშისა და ქისტის დედაკაცებს სამკაულები ტანთსაცმლის სხვადასხვა ნაწილებზედ აკერიათ. ფშავლის დედაკაცის ტანთსაცმელი კი მათისა და მთის სხვა ხალხების დედაკაცურ ტანთსაცმელისაგან განირჩევა სისადავით. ფშავლების დედაკაცის ყელ-გულის სამკაულია ყელზედ ჩამოკიდებული ვერცხლის, ან თითბრის შიბი, რომელზედაც შებმულია ჯვრები, ვერცხლის ფული ანუ მისივე მსგავსი თითბრისავე ფარაები, ფერადის მძივის „გრეხილი“, ასხმული აბრეშუმის ძაფზედ. გრეხილი ერთის გოჯის სიგანეა და შიგ ფერადის მძივით არის გამოყვანილი სხვადასხვა სახეები. თუ გრეხილი სიგანით გოჯზედ მეტია, მაშინ მას უწოდებენ „ყელის ჯაჭვს“. გრეხილი, ანუ ყელის ჯაჭვი, მოკერებულია სადედაკაცო პერანგის საყელოზედ. დედაკაცებს ყელზედვე აქვთ ჩამოკიდებული ცალად ბაწარზედ ასხმული ფერადი მძივები და

სხვადასხვანაირი ჯვრები და ფარაები, შიგ ასხმული, მძივშივე დატანებული; ყელზედვე გაკეთებული აქვს ჩითის „საგულე“, რომელსაც ბოლო ნაოჭიანი აქვს, ხოლო ზევით შემკულია ფერადის მძივებით და მოხვეული აქვთ ყელზედ საყელოს მსგავსად; საგულეს მაგიერ ხმარობენ იმისსავე მსგავსად ასხმულს მძივს „ფარცხას“, რომელსაც ნაოჭიან ბოლოს მაგიერ ფერადის მძივის ფესვები აქვს. ყელის ჯაჭვსა, ფარცხას და შიბს მოხუცებული და ხანში შესული დედაკაცები აღარა ხმარობენ. ხელის სამკაულადა ხმარობენ ვერცხლისა და თითბრის სათითეებსა და ბედებს. ძველ დროში ხელის სამკაულად, ბეჭდებსა და სათითეებს გარდა, როგორც მოხუცებულები ამბობენ, ხმარობდნენ თითბრის, რკინის და ვერხლის ზალტეებს (სამაჯურებს), რომლებიც მაჯებზედ ჰქონდათ გაკეთებულები. ეს სამკაული თუმცა ხმარეებიდგან გამოსულია, მაგრამ ზოგიერთ ბებრებს კიდევა აქვთ შენახული, როგორც სახსოვარი თავისი ახალგაზრდობისა, ეხლანდელის ზალტეების მსგავს სამაჯურებს ძველს საფლავებში და აკლდამებში ჰპოულობენ და ამის გამო შესაძლოა, რომ ეს სამკაული, ძლიერ ძველის დროისა იყოს.

სადედაკაცო ტანისამოსის, ესე იგი კაბისა და ახალოხის საყელოებზედ და ფაფანაგის სახლებზედ ახალგაზრდები ხშირად იკერებენ შავს ან მწვანე ზონარს, ჩაფარიშს ან ბუზმენტს; პატარებისთვის საყელოზედვე და მაჯებზედ შესაკრავად ხრიკების მაგიერ თეთრ ღილებს აკერებენ. ყველა ეს შეიძლება სამკაულად ჩაითვალოს, მაგრამ ამნაირი სამკაულის პატრონი, „ყელ-ღილიანი“ ქალი, ხშირად ფშაველის საოხუნჯო ლექსების საგნად გახდება ხოლმე. ხშირად ამავე მიზეზის გამო, არამც თუ რძლები, ჭკვიან-ნამუსიანობაზედ თავდადებული ქალებიც კი ერიდებიან სამკაულს, ან სულ მცირესა სჯერდებიან, რომ სოფელმა „თავის ძალად მობებრებაზე“ არ დასძრახოს სამკაულის უხმარებლობის გამო.

სამკაული მამაკაცებს შორის უფრო არ არის პატივცემული. იმათს სამკაულს შეადგენს ვერცხლის „მხრის შიბი“, რომელიც

ჩოხის უბის მასრაზედ აქვს დაკერებული; აშურმა, რომელსაც ძველ დროში ხმარობდნენ ქართველები და ფშაველებიც და დღეს ხმარებიდან გამოდის. აშურმა, მხრის შიბი და ახალოხის ყოშა, საყელოზედ მოკერებული ბუზმენტი, არის უფრო „ჭკვა-მსუბუქის“, „ცრუვ-მატაროცის“ სამკაული, ვიდრე დარბაისელი კაცისა, თუნდაც ახალგაზრდასი. სხვა სამკაული ფშაველს მამაკაცს არ მოეპოვება, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ იარაღს, რომელიც დამამშვენებელ სამკაულად ითვლება მამაკაცისათვის ჰასაკის განურჩევლად. იარაღი, როგორც განუყრელი ძმა, ფშაველს ყოველთვის ახარებს და იმას იგი ასე დაჰმღერის:

წინანდალს ვაშლი ამშვენებს,
ახმეტას - ვაშლი წითელი,
ვაჟკაცსა - ფარი და ხმალი,
მოიმწითუროს კისერი!

საჭმელი და სასმელი

ფშავლები მომეტებულ ნაწილად ქერის პურით იკვებებიან. ამის მიზეზი ის არის, რომ ფშავეთი მთა ალაგია და ამის გამო სხვა პურის მცენარე ან სულ არ მოდის, ან ზოგიერთი თუ მოდის, ისიც ნაკლებად. ყველაზე მომეტებულად ქერი მოდის და ფშაველიც ქერის თესვას მისდევს. მოდის, აგრეთვე დიკა. ანეული კი, გარდა რამდენისამე სოფლისა, თითქმის სულ არ მოდის, სახელდობრ, არტნის, შუაფხოს და მაღაროსკარის საზოგადოებებში. დიკა კი ამ საზოგადოებებში ცოტ-ცოტა ყველგან მოდის. მხოლოდ დაბლობ ადგილებზედ მეტად, სადაც სიცივე ვერ ამზნევს და პირველ გაზაფხულზედ მოხვნა შეიძლება. ამნაირი დაბლობი ადგილები ფშავში ერთობ ცოტაა და საკმარის დიკას ვერც ამოუცენებენ მცხოვრებლებს. ამის გამო, ფშავლის შემლებული ოჯახიც კი იშვიათად იკვებება ცარიელ, წმინდა პურით. პურს აცხობენ ან

ცარიელ ქერისას, ან დიკა-გარეულისას, „ქერ-დიკისას“. ცარიელი დიკის პურის ცხობა აუცილებლად სავალდებულოა მიცვალებულების მოსახსენებლად, „სარიგოდ“, „საჯვარობოდ“ და საქორწილოდ. ჩვეულებრივს, არადღესასწაულის დროს საჭმელ პურს ფშავლები აცხობენ კეცებში რგვალ-რგვალს ანუ სხვილ გრძელ-გრძელ შოთებსა, „სარიგოსა“ და საქორწილოს კი თონეში ან ღუმელში თხელ-თხელ ლავაშებად. საშინაო, საჯალაბო პურს ფშაველი არ ამარილებს და არც მიაჩნია ეს საჭიროდ, რადგანაც ფშაველი, ძალიან ღარიბიც რომ იყოს, ცარიელა, „უსატნო“ პურს არ სჭამს: „სატანი“ არის ყველი ცხვრისა, თხისა, ფურისა და ხაჭო, რომლებიც ისე დამარილებულები არიან, რომ პურის უმარილობას შეუვსებენ კაცის გემოვნებას.

მიცვალებულის მოსახსენიებლად და საქორწილოდ გამომცხვარ პურს ამარილებენ. „სარიგო“ პურს ამარილებენ მიცვალებულის სახელზე მღვდილსაგან ნაკურთხ მარილით.

ყველა საჭმელებზედ მეტად საყვარელი და საპატიო საჭმელი ფშავლისა არის ხორცის ხინკალი. ფშაველი უხინკლოდ არც ერთს დღესასწაულს არ გაატარებს, თუ მეტის-მეტად ფიტგამოცლილი არ არის სიღარიბისგან. სტუმრისთვის ხინკლით გამასპინძლებაც სასახელოა ფშაველისათვის. იგი თავის თავს მოვალედა სთვლის „გულის“ სტუმარს მაინც ამ საჭმელით გაუმასპინძლდეს. ხინკალს აკეთებენ ხორცისას, ყველისას და ხაჭოსას, საუკეთესო მათ შორის ხორცის ხინკალია. ხინკლისათვის რგვალად ათხელებენ წმინდა პურის ფქვილის ცომის ქერქს; ქერქს უდებენ გულსა და ისე მოახვევენ და ჰხარშავენ. ხინკლის გულად ხორცსა ჰკეფავენ წმინდად, გაზელავენ წყლით და ხახვ-პილპილით შეანელებენ.

ფშავურ მზარეულობას მაგდენად წინ არ წაუწევია. მარტივმა ცხოვრებამ მარტივი სამზარეულოც შეუმუშავა ფშაველს და ამას დააჯერა. შემწვარ-მოხრაკულ საჭმელებს ფშავამდე ჯერ არ მიუხწევია, თუ სახეში არ ვიქონიებთ ჩვეულებრივს მწვადს, ყაურმასა და ერბო-კვერცხს, რომლებსაც ფშაველი თითქმის

ხინკალზედ ნაკლებ არ ეწყობა. ხსენებული საჭმელების გარდა, ფშავლები აცხობენ, მეტადრე დღესასწაულებში, ქადას, ხმიადს და კეცეულს (ხაჭაპური). ქადასა და ხმიადს უფრო ხმარობენ მიცვალებულის მოსახსენებლად და ხატის სადიდებლადაც.

ჩვეულებრივს დროს (არა დღესასწაულში) ფშაველი, თუ სტუმრები არა ჰყავს, სჯერდება ხმელი პურ-ყველის და პურ-ხაჭოს ჭამას. ზაფხულობით სველ ლუკმას („ასახვრეტს“) შეადგენს რძე, ჩუმა, გაუწურავი ხაჭოიანი შრატი და მოხარშული ხორცი წვნით, რომელსაც მხოლოდ მარილით ანელებენ. სამარხვო საჭმელია ლობიოს, ცერცვის და ოსპის „დოხანი“, ნიორწყალი და ხმელი პურ-მარილი. კარტოფილისა და კომბოსტოს მოყვანა და ხმარება ფშავში ნაკლებად გავრცელებულია. კარტოფილსა სჭამენ მოხარშულს, ხახვით, პილპილით, მარილით და ერბოთი შენელებულს, ხოლო კომბოსტოს წნილად ჩადებულს.

საჭმლის მომზადება ოჯახისთვის და „პურ-საჭამადის“ საზამთროდ შენახვა-დაზოგვა დიასახლისის მოვალეობაა. დიასახლისი აცხობს პურს, ამზადებს საჭმელებსა და აჭმევს ოჯახის ყველა წევრთ. პურის საჭმელად დაწესებული დრო ფშაველს დღეში სამი აქვს: სადილობა, სამხრობა და ვახშმობა. ყოველ დროს იმასა სჭამს ფშაველი, რაც მოეპოვება. ასე რომ, სასადილო, სავახშმო და სასამხარო საჭმელებში არავითარი განსხვავება არ არის. სამხრობა უფრო სახელდახელოდ ჭამის დროა და ამისთვის ფშაველი საგანგებოდ არ ამზადებს საჭმელს, სჭამს სადილიდგან დანარჩენ საჭმელს და ან ხმელა პურს. საჭმელი ყოველ ჯერზედ ერთი აქვს ფშაველს. ერთჯერზედ საჭმელად რამდენსამე საჭმელს არ აკეთებს; ოჯახის ყველა წევრთათვისაც ერთნაირი საჭმელი იხარშება, საჭმლის სხვადასხვაობა და კაცდახედულ მიკერძება სირცხვილია. დიდი, პატარა, ქალი, კაცი და დედაკაცი - ყველა ერთს საჭმელსა სჭამს ყოველ ჯერზედ. შესაძლოა მხოლოდ ავადმყოფს ცალკე რაიმე კერძი შეურჩიონ.

პურის ჭამის დროს ოჯახის ყველა წევრნი თავ-თავიანთს ადგილებზედ დასხდებიან: კაცები საკაცო მხარეზედ და დედაკაცები სადედაკაცო მხარეზედ. პურის ჭამის დროს პური და ყველი უწყვიათ ხის ხონჩებზედ, რომლებიც კერის გარშემო მწკრივად დამსხდარ ოჯახის წევრთ წინ უდგათ. პურიან ხონჩას დიასახლისი მიაწვდის მამაკაცებს სადიასახლისო ალაგიდგან, დიასახლისს ერთ-ერთი მამაკაცთაგანი სუფრას ჩამოართმევს, დაილოცება და დაუდგამს კაცებს წინ, შემდეგ ყველანი ღმერთს შეეხვეწებიან, პირჯვარსაც დაიწერენ და სხვა წევრნიც ოჯახისა და შეუდგებიან ჭამას, რომელსაც მალე ათავებენ. პურიანი ხონჩა დიასახლისმა საკიდელის ზევით მხარედგან უნდა მიაწოდოს, ქვევიდგან მიწვდა ცუდია, სახლის ანგელოზს გაარისხებს, ნიშანია დიასახლისის უზრდელობისა და „უმწურთნელობისა“. ფშაველი ყველა ცხოველის ხორცსა სჭამს, გარდა „უსურმაგისა“, მხოლოდ ზოგიერთები ქათმისა და ღორის ხორცს არ სჭამენ, რადგანაც ესენი ორივენი უწმინდურებად ითვლებიან და ამის გამო ხატი იმათ ხორცის ჭამის ნებას არ აძლევს. ჯამი და კოვზი ყველა ოჯახის წევრს თავისთვის დაჩემებული აქვს, მაგრამ ეს ჩვეულება ისე სავალდებულო არავისთვის არ არის, რომ სხვის ჯამიდამ სხვის კოვზით ჭამა არ შეიძლებოდეს.

ბალახეულობიდგან ფშავლები უმსა სჭამენ „კირძას“ (იგივე კენკეშა), შუბყასა, დუცსა, დიყსა, ძირხვნის ღეროს, მაყალურჯას (ჭყიმა), თუთის ღეროს და მარიამულას, ხოლო „მხლად“ მოხარშულს არჯეკელს, ჭინჭარს, ჩადუნას, ალოშას, ნაჩიკისტარას და თითმავალას (ამ უკანასკნელს ქართველები „თათრულს მხალს“ უწოდებენ). მხალს მოხარშვის შემდეგ სწურავენ, ჭეფავენ, წვრილად ამარილებენ და ერბოთი ანელებენ.

საჭმელად ფშაველი შემდეგ სოკოებსა ჰხმარობს: მიწისას გულწითელას, წერასწუას (ქამა-სოკო); ხისას: კალმახა-სოკოს და ქორა-სოკოს. გამოხარშულსა და ერბოთი შენელებულს მარტო

კალმახა-სოკოსა სჭამენ, დანარჩენს კი ნაკვერჩხალზედ შემწვარსა სჭამენ.

ფშავლებში საკმაოდ გავრცელებულია შემდეგი მათრობელი სასმელების ხმარება: ღვინისა, არაყისა, ლუდისა. არაყსა და ლუდს შინ აკეთებენ „სულადისას“. ლუდსა ჰხმარობენ უფრო „ჯვარობაში“ (ხატის დღეობაში); მიცვალებულის მოსახსენიებლად და ქორწილშიაც ჰხმარობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში კი, თუ „მერიგეს“ ან „მექორწილეს“ სიღარიბის გამო არ შეუძლიან ქორწილში ანუ რიგში დასალევად საკმარისის ღვინის ყიდვა. რიგში სუფრაზედ, რომელსაც მიცვალებულისთვის აკურთხებინებენ მღვდელს, რამდენიმე ხელადა ღვინო მაინც უნდა იშოვოს ღარიბ მასპინძელმაც ზედაშედ; სრულიად უღვინოდ არც ქორწილი შეიძლება. ქორწილის პირველ ღამესა და მეორე დღეს ხევისბერმა უეჭველად ღვინიანის თასით უნდა დაადიდოს მეფის სალოცავი და დედოფლის მამის სალოცავი, შეავედროს მეფე-პატარძალი ღმერთსა და „გამოავლიოს“ ყველა ჩვეულებრივი „სადიდებულოები“ ღვინიანის თასით ქორწილში მოწვეულ სტუმრებთან ერთად, დანარჩენს დროს კი მასპინძელს შეუძლიან ღვინის მაგიერ ლუდით გაუმასპინძლდეს სტუმრებსაცა და ხევისბერსაც.

არაყი უფრო სახელდახელო საშოვნელი და სახმარებელია. ყველა დღესასწაულისა და ხატობისთვის ფშაველი თითო-ოროლა ქვაბს სულადის არაყსა ჰხდის. ფშაველი ღვინოს სარიგოდ და საქორწილოდ კახეთში ყიდულობს, წვრილმან შემთხვევისთვის კი - თიანეთის დუქნებში. ღვინო ზოგიერთებს შინაურიც მოეპოვებათ, რადგანაც საკუთარი ვენახები აქვთ კახეთში.

ფშაველი ვერც ერთს ღვთისგან მოვლინებულს ბედნიერებასა და უბედურებას უღვინო-უარაყოდ ვერ დაუხვდება. ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველი „რიგ-წესის დასაყენებელი“ და ოჯახისთვის სირცხვილის მომხდელი პური და ღვინო-არაყია ფშავლისთვის. ღვინო-არყის აკვეთამდე ფშაველმა უარი უნდა სთქვას და გულიდგან სრულიად ამოიფხვრას ყველა რწმენანი და

ჩვეულებანი, რაც იმის წინაპართ უხსოვარ დროიდანვე შეუსისხლხორცებიათ და ძვალ-რბილში გასჯდომიათ. ამის გამო ფშაველს ერთობ სამძიმოდ და შემავიწროებლად მიაჩნია სააქციზო წესი, რომელმაც იმას ხელ-ფეხი შეუკრა და საშინელი სასჯელი დაუწესა თავისუფლად არყის ხდისთვის.

სასმელსა სვამენ უფრო მამაკაცები, დედაკაცები ან სულ არ დალევენ, ან ძალიან ცოტას. ბევრის დალევა, დათრობა დედაკაცისთვის სირცხვილია. დედაკაცმა „მეღვინეს“ (სასმლის დამსხმელს) თასი უნდა ჩამოართოს, შესაფერად დაილოცოს, ცოტა მოსვას და დაუბრუნოს მეღვინეს. მეღვინე, ანუ სხვა ვინმე, ზრდილობიანად სთხოვს დედაკაცს, რომ თასი დასცალოს, მაგრამ რაკი ერთხელ უარს იტყვის, დაძალება აღარ შეიძლება. ფშავლის დედაკაცებში იშვიათად მოიპოვება ისეთი, რომ ცოტაც არის სიმთვრალე შეეტყოს და თუ შეეტყო, მეტი აღარც უნდა, შერცხვება, მოიხრება, კარს გამოსავალი დაელევა.

ღვინო-არყისა და ლუდის დასალევ ჭურჭლად ხმარობენ ყანწებს, ჭიქებს, ჯამებსა და თასებს. თუმცა ყველა ამას თავ-თავისი სახელწოდება აქვს, მაგრამ საერთო სასმელს ფშაველი ყველას თასს უწოდებს, როცა რომელიმე ჭურჭელი ღვინის სმის დროს ხმარებაშია, მეტადრე თუ ხევისბერს დასამწყალობებლად ან ხატის დასადიდებლად ხელში უჭერია თასი. ხევისბერი სამღვთო სასმლით ავსებულ თასით ადიდებს და „ამწყალობინებს“ ხალხს, როგორც „ხატის სალოცავად“ მისულს, ისე შინ სამღვთოში და ქორწილში. ყოველ შემთხვევაში სასმლის დალევას წინ უძღვის შესაფერისი ლოცვა ანუ სადღეგრძელო დამლევისაგან.

სასმელის დამლევი ჰლოცავს მასპინძელს თავის სახლობითურთ და სტუმრებს შემთხვევის შესაფერად. თუ მასპინძელს ქორწილისა და ან სხვა რაიმე სამხიარულო შემთხვევის გამო სტუმრიანობა და ნადიმი აქვს, მაშინ ღვინის დამლევი ავედრებს ღმერთსა, რომ მას (მასპინძელს) სულ მუდამ ლხინი და მხიარულობა არ მოაკლოს, ბარაქა მისცეს იმისს ოჯახს. „ღმერთმა დაგლოცოს (სახელი

მასპინძლისა), დაგილოცოს და კარგა გიმყოფოს ცოლ-შვილი, ძმა-ძმისწულები, კიდევ ყველა აქა ბრძანებულნი, ღმერთმა შენ სახლში მუდამ სალხინო სუფრა ნუ მოშალოს“ და სხვ. თუ მიცვალებულის მოსახსენებლადა აქვს სტუმრიანობა, მაშინ ასე ილოცება სასმლის დამლევი: „ღმერთმა ეს ჭირი გაკმაროს, ავი და ურიგო ნუღარა მოგარგინოს, ღმერთმა დღევანდელი სამგლოვიარო სუფრა ხვალ სალხინო-სამშვიდობოდ შეგიცვალოს, კეთილად დაგილოცოს ყველა მოსადევარი მოკეთე, კვლავ სალხინო სუფრაზედ შაგიყაროს სტუმრები, შეიწყალოს (სახელი მიცვალებულისა)“.

„ივერია“ 1889, №140

რელიგიური რწმენანი ფშავლებისა და იმათი ხატები

I

ფშავლის თავდაპირველი სალოცავი და თაყვანსაცემი ღმერთია, რომელიც არის შემოქმედი ცისა და ქვეყნისა და ყველასი, რასაც კი ფშაველი თვალსა და გონებას აწვდენს. ის მორიგეა ცისა და ქვეყნისა, უპყრია ხელთ ყოველი სულდგმული და არასულდგმული საგნები ქვეყნისა, ანგელოზები ცისა, „საიქიოს“ ყოველი გარემოება და მიცვალებულთა სული.

ღმერთი, ფშაველის აზრით, ქვეყანას მარტოკა არ უვლის და არ განაგებს. ამ საქმეში იმას სხვა თანაშემწეებიცა ჰყანან. ესენი არიან „ანგელოზები“ და „წმინდათა სულები“, მათ შორის, ფშავლის სალოცავი „ხატებიც“. ყველა ანგელოზები და ხატებად გადაქცეული წმინდათა სულები ღმერთის ხელქვეითები არიან და თითოეულ მათგანს, ფშავლის აზრით, ერთი რომელიმე მხარე აქვს კაცთა ცხოვრებისა ღვთისაგან მოსავლელად მიჩემებული.

„გულთამხილავი“ და „თვალით ფართო“ ღმერთი ყველასა ჰხედავს, არცერთი ცოდვა და მადლი იმას არ გამოეპარება; ყველგან და ყოველთვის მშველელია კაცისა, მაგრამ უფრო ბეჯითად და გულმოდგინედ მაშინა შველის, როდესაც მასთან რომელიმე „სულიწმინდა“ ანუ ანგელოზი შუამდგომლობს კაცისთვის. ანგელოზს და წმინდა სულს ძალა აქვს მინიჭებული ღვთისაგან; შველისთვის ვედრება და მსხვერპლია საჭირო. უამისოდ, ფშავლის აზრით, ან სულ არ უშველიან და თუ უშველიან, ისე გულმოდგინედ არა, როგორც მსხვერპლის შეწირვისა ანუ აღთქმის შემდეგ; ამის გამო ფშავლები ლოცულობენ და მსხვერპლს სწირავენ მარტო ერთს ღმერთს კი არა, არამედ ყველას, რაც კი „ღვთის მონაწილედ“ რჩეულად მიაჩნიათ, მაგალითად, „სული წმინდათა“ და ანგელოზებს. ღმერთს შეუძლიან ყველა ღირსეულს მიანიჭოს თავისი ღვთაებრივი ძალა და ყველა ამნაირად ფშავლისაგან ღვთის

რჩეულად მიჩნეული არსებაც იმისი სალოცავია. ღვთისაგან დაჯილდოვებულად, ღვთაებრივი ძალის მიმღებად და მექონედ ითვლება ფშავლის ყველა სალოცავი „ხატები“, რომლებიც, ფშავლის აზრით, ოდესღაც „ხორციელები“ ყოფილან და უცხოვრიათ ფშავეთში. ამათ „ხორციელობის“ დროს უბრძოლიათ ღვთისა და ადამიანის მტერი დევების წინააღმდეგ, მაგალითად: კოპალას, იახსარს, პირქუშსა და სხვათა. ისინი, როგორც ხორციელობის დროს ღვთისმოსავნი და სამღვთო საქმის სასარგებლოდ მოამაგენი, ღვთისაგან დაჯილდოვებულები იქმნენ. ღმერთმა იმათაც, სხვა წმინდანებთან ერთად, მისცა ადგილი. ისინი სიკვდილის შემდეგ გადააქცია „სულწმინდაებად“ და უბოძა „ყმად“ იმ ქვეყნის (ესე იგი ფშავეთის) მკვიდრნი, სადაც ისინი სიცოცხლის დროს იღვწოდნენ. ფშაველი დღესაც თავის თავს იმათ „ყმად“ აღიარებს და ყმურს სამსახურსაც უწევს. ქრისტიანობის დროს ეკუთვნიან ფშავლისგან წმინდანებად მიჩნეული სალოცავი გმირები, თუ უფრო ძველ დროს, ამაზედ გარკვევით რისამე თქმა ძნელია, რადგან დღემდე დაცულს იმათ თაყვანისცემის წესებში ქრისტიანული რიგ-წესებიც ბევრია და არაქრისტიანულიც, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ყველა ესენი ერთმანეთში არეულნი არიან.

ზოგიერთები კი ჰფიქრობენ, რომ ფშავლის სალოცავები, მაგალითად კოპალა, იახსარი და სხვ. ფშავში ქრისტიანობის მქადაგებელი ბერები ყოფილანო. შესაძლოა, ეს ასეც იყო, ხოლო ის კი ცხადია, რომ ხსენებული გმირები, ფშავლის აზრით, ხორციელობის დროსვე არაჩვეულებრივის ძალ-ღონითა და ზნე-ხასიათის სიმტკიცით ყოფილან აღჭურვილები, მათ თავისი სიცოცხლე და ძალ-ღონე ხალხის მჩაგვრელ „დევ-კაცების“ წინააღმდეგ მოუხმარიათ სულ მთლად და იმათს ამნაირ მოღვაწეობას ფშავლების სულიერ მდგომარეობაში კვალი ღრმად აღუბეჭდია.

ფშავლის აზრით, ხატისა და ღმერთისაგან შველა და არაშველა წარმოდგება თვით ფშავლისავე „ხატ-ღმერთთ“ სამსახურისაგან; თუ

ადამიანი „ცარიელ ჯამში ხელს არ ჩაჰყოფს“, უჯილდოოდ არას გააკეთებს. ხატსა და ღმერთს, როგორც ადამიანებზედ ყოველი მხრით მაღლა მდგომთ, უფრო უფლება აქვთ ჯილდო, ესე იგი მსხვერპლის, ან ნივთის შეწირვა მოსთხოვონ ფშაველს, როგორც თავის ყურმოჭრილ ყმას. ხატები და ღმერთი ფშავლისაგან მსხვერპლსა თხოულობენ შველისთვის და მორწმუნე ფშაველიც თავის სალოცავისთვის ყოველგვარ შესაწირავსა და მსხვერპლს უხვად იმეტებს. შესაწირავი ოთხნაირია: 1) „საკლავი“: ძროხა, ცხვარი და თხა; 2) პურეული: ხმიადი და ქადა; 3) სანთელი და 4) ნივთი: ოქრო-ვერცხლისა, სპილენძისა ან რკინისა. ნივთის შეწირვა უმსხვერპლოდ, ესე იგი საკლავის დაუკვლელად არ შეიძლება. შემწირველმა ნივთს სალოცავში საკლავიც უნდა მოაყოლოს. საკლავს ხევისბერი ჩვეულებრივის დამწყალობების შემდეგ დაჰკლავს და იმისი სისხლით შეწირულ ნივთს „გაჰნათლავს“. განათვლა არის საკლავის სისხლის წასმა ნივთზედ, სისხლწასმული, განათლული ნივთი გაწმენდილია ყოველგვარი უწმინდურებებისგან და მხოლოდ ასე განათვლის შემდეგ ხდება იგი ღირსი ხატის სალაროში დადებისა და იმის საკუთრებად ჩათვლისა.

ნივთიერ შესაწირავს შეადგენს ვერცხლის ან სპილენძის თასები, სურები, სპილენძის თულუხები, სადედაკაცო ტანისამოსი გვირგვინისა, „კაბა-ქათიბი“, ბაღდადები, ხელსახოცები, „საკადირისი“. თასებსა და სხვა ჭურჭელს სალოცავის დღეობაში სასმელის დასალევად ჰხმარობენ, ხოლო ტანისამოსი და „საკადრისები“ ცალკე კიდობანში აწყვია ხელშეუხებლად. ტანისამოსსა და საკადრისებს მარტო თამარ მეფის სალოცავში სწირავენ, უფრო გაბიდაურის თემის გათხოვილი ქალები. ფშავლის აზრით, ყველა იმათს სალოცავებსა და ანგელოზებს ზეცას ღვთის კარზედა აქვთ ბინა და ქვეყანას იქიდგან უვლიან, ხოლო ის ადგილები, სადაც ფშავლები მათ ლოცულობენ, იმათ, ესე იგი სალოცავების, „საბრძანისად“ ითვლება; იქ ხატი ზეციდგან მოფრინდება ხოლმე ღამ-ღამობით, როცა კაცის ფეხი მისწყდება.

ყველა ხატები, ღვთის გარდა, ემორჩილებიან და ლოცულობენ კვირაცხოველს.

ფშავლების თორმეტსავე თემს თავ-თავიანთი სალოცავები აქვს სათემოდ და, როგორც ნათქვამია, თითოეული თემი თავის სათემო სალოცავის ყმად ითვლება. სათემო სალოცავის გარდა, ყველა სოფელს თავისი საკუთარი სალოცავი აქვს, რომელიც იწოდება ადგილის დედად. ზოგიერთ სოფელს სხვა წვრილმანი სალოცავებიცა აქვსთ, ანუ, როგორც თვითონ უწოდებენ, ნიშები, მაგრამ ადგილის დედას ფშავლისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ადგილის დედა, ფშავლის აზრით, სოფლის მახლობელი მფარველი და მშველელი ანგელოზი უფროა, ვიდრე სხვა სალოცავები. იგი იფარავს სოფლის მცხოვრებთ ყოველგვარის უბედურებისა და სენისგან, საქონელს ჭირისა და თურქულისაგან, ბუნების მავნე მოვლენათაგან, მაგალითად, სეტყვის, მეხისა და ქარიშხლისაგან, პირუტყვს კლდეზე გადავარდნისაგან და სხვ.

ადგილის დედად მიაჩნიათ და ამ სახელით ლოცულობენ ღვთისმშობელს. ადგილის დედის „დღეობას“ ანუ ჯვაროობას დღესასწაულობენ მომეტებულად ამაღლების, მარიამობის და აღდგომის შემდეგ უქმე დღეებში. ეს „დღეობები“ წლისაა და, იმათ გარდა, სოფელი ადგილის დედის სალოცავთანვე გადაიხდის სამღვთოს ხვნისა, მკისა და ლეწვის გათავების შემდეგ. როგორც ყველა სალოცავების „დღეობაში“, ისე ადგილის დედის წლიურს დღეობაშიაც მლოცველთ თავ-თავისი შესაწირავი და მსხვერპლი მიაქვსთ და დღეობაში ესწრებიან, ლოცულობენ ყველა ასაკის მამაკაცები, დედაკაცები და ბავშვები. სამღვთო კი უფრო მარტივი დღესასწაულია, აქ ესწრებიან მომეტებულად მუშები და მხვნელ-მთესველები; ბავშვები, დედაკაცები და მწყემსები სამღვთოში იშვიათად დაიარებიან. ამნაირ სამღვთოსთვის ადგილის დედის დასტურები ამზადებენ ადგილის დედის მიწაში მოყვანილ პურის ლუდსა და არაყს, მლოცველებიც ამასა სჯერდებიან და თავ-თავიანთ „ზედაშე“, რომელიც სხვა დღეობისთვის აუცილებლად

საჭიროა, ამ შემთხვევისთვის იშვიათად მიაქვთ სამღვთოში. სამღვთოობის დროს მარტო ერთ საკლავსა ჰკლავენ. საკლავს „სასოფლო“ ეწოდება და იმისი დაკვლა მოყვება სოფლის ყველა წევრთა შორის რიგ-რიგით: იმის შეწირვას არ გამოიწვევს არც მკითხავის რჩევა და არც სხვა მიზეზი.

შესაძლოა, რომ ერთს სალოცავს ადგილის დედისას რამდენიმე სოფელი ლოცულობდეს და თვით ადგილის დედაც მფარველობდეს ყველა იმათგანს საერთოდ, თუ სოფლები ეკუთვნიან ერთს თემსა და არა სხვადასხვას.

ადგილის დედასა აქვს სოფლისაგან მიცემული, ანუ შეწირული რამდენიმე დღიური სახნავი მიწა, რომელსაც ადგილის დედის მლოცველები ყოველ გაზაფხულობით ხნავენ ამისათვის განგებ შედგენილი „ნადით“. ნადისთვის სოფლისგან დანიშნულს დღეს კომლის კაცი მიდის ადგილის დედის მამულის მოსახნავად, თან მიაქვს გუთანი, ზოგიერთს ფარცხიც და, თუ ხატს წინა წელს ცუდი მოსავალი მოუვიდა და თესლი აღარ გადაურჩა სასამღვთოე ლუდ-არყებს, რამდენიმე ლიტრა თესლიცა. ნადში ყველას ყევარი ანუ უღელი ხარი უბია, ასე რომ ერთსა და იმავე სახნავს მამულში ხშირად ოცი გუთანი და მეტიც მუშაობს. მხვნელნი ხატის მიწას თარგ-თარგად დაინაწილებენ და ყველანი თავ-თავის ნაწილს მოხნავენ, დასთესავენ და დაჰფაცხავენ. „ნადის“ დროსაც მარტო ერთს სასოფლო საკლავსა ჰკლავენ. ადგილის დედის ყანასაც ნადითა მკიან; ძნის მიტანა „ხატის კალოზედ“, გალეწვა და პურის შენახვაც ადგილის დედის დასტურების მოვალეობაა. ადგილის დედის პურსა ჰხმარობენ სასამღვთოდ საჭირო ლუდისა და არაყისთვის, რომლებსაც ადგილის დედის დასტურები ადრევე ამზადებენ სამღვთოსთვის. ფშავლებმა ზაფხულობით იციან ერთის დღის უქმედ დადება ადგილის დედის ან სათემო ხატის პატივსაცემლად. ზოგიერთს სოფლებში ხსენებული უქმე დაიწყება. ამნაირს უქმეს ფშაველი უწოდებს „ნაკვეთს“. ნაკვეთის უქმობა

სხვადასხვა გვარად აქვთ წოდებული და ყველა იმათზედ დაწვრილებით ლაპარაკი გვექნება შემდეგში.

ადგილის დედის სამღვთოთი, რომელსაც ხვნის გათავებისას გადაიხდიან ხოლმე ფშავლები, უწოდებენ „გუთნის სამღვთოს“ და თავდება, ანუ როგორც ფშაველი ამბობს, „აიხსნება“ ადგილის დედის ყანის მომკის სამღვთოს შემდეგ.

ფშავლების სალოცავები გაიყოფებიან ორ დასად: პირველი მათგანია საერთო სალოცავები, „ფშაველთ სალოცავები“, ხოლო მეორე თითოეული თემის კერძო სალოცავები. „ფშაველთ სალოცავებს“ ყველა თემები ლოცულობენ და სწირავენ მსხვერპლს, ხოლო სათემოს მარტო თითოეული თემი. სხვა თემის კერძო სალოცავს ფშაველი ლოცულობს და მსხვერპლს სწირავს იმ შემთხვევაში, თუ სალოცავის „მოყმეს“ თემთან რაიმე ნათესაობა აქვს, მაგალითად: რომელი თემის ქალის შვილი ანუ სიძეც არის, მოვალეა ის ხატი ილოცოს და მსხვერპლი შესწიროს. „დედის ძმათ“ ხატი მფარველია თავის ყმათა, იმის დისწულებისა, მაგრამ თუ იმან შველისათვის თავი გამოიდო, მაშინ შესაძლოა სათემო ხატმა იმას საყვედურით მიჰმართოს: შენ რაღას გაეჩხირე, ვითომ მე რა ისეთი სუსტი და ძალმოკლებული მნახე, რომ ჩემ „ყმას“, ანუ როგორც ამ შემთხვევისთვის ამბობენ - „ოქროს ღილს“, ვერ ვუშველოვო. თუ, მაგალითად, ფშავლის დედაკაცი რძალი ავადმყოფია და მარტო ქმრეულ ხატს ევედრება და სთხოვს განკურნებას, მაშინ მამის სალოცავი საყვედურებს ეუბნება იმ დამცირებაზედ, რომელიც ყმის ქალმა იმას მიაყენა იმით, რომ არ მიჰმართა, არ მოუწოდა საშველად და დაივიწყა. რაღა თქმა უნდა, რომ ხატების ცილობისა და თავმოყვარეობის გამომქვეყნებელი ფშავლების მატყუარა მკითხავები არიან, იმათი ტყუილი ხალხსაც სჯერა და ყოველ ღონესა ჰხმარობს, რომ ხატებს შორის უსიამოვნებაც მოსპოს და თავმოყვარეობაც დაუკმაყოფილოს ყველა იმათგანს გულ-მხურვალე ლოცვით, მსხვერპლის აღთქმით და შეწირვით.

საერთო სალოცავები ფშავლებსა აქვთ ოთხი: 1) ლაშარის ჯვარი, 2) თამარ მეფე, 3) ხახმატის ჯვარი და 4) კოპალა. ლაშარის ჯვარი, ლაშქართ მფარველი, წინამძღვარი ხატია. ფშავლები, როდესაც „ურჯულოთ“ წინააღმდეგ ომს დააპირებდნენ, წინდაწინ ლაშარის ჯვარს დაეკითხებოდნენ. თუ ლაშარის ჯვრის სახელზედ დასმული „ქადაგი“ (იგივე მკითხავი) ფშავლებს მტერზე გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, მაშინ ყველა თემები ერთხმად გადასწყვეტდნენ გალაშქრებას, ხოლო თუ გამარჯვებას არ უწინასწარმეტყველებდნენ, მაშინ ლაშქარი დაიშლებოდა. ლაშქართ უფროსი და წინამძღვარი იყო ლაშქრის მფარველი სალოცავისავე (ლაშარის ჯვრის) პირველი ხევისბერი („თავხევისბერი“). „თავხევისბერს“ ეჭირა ხელში ლაშარის ჯვრის დროშა და წინ უძღვოდა და ამხნევებდა ჯარს. ლაშარის ჯვარი, როგორც ომის ღმერთი, ფშაველს მეომარ-მხედრის ხასიათითაცა ჰყავს წარმოდგენილი. იგი შეიარაღებული ზის ლურჯის ფერის და შავძუაფაფრიან ცხენზედ, თან დაჰყვება უხილავად თავის ყმათა ლაშქარს და სცდილობს ყველა განსაცდელისაგან დაიფაროს იგინი.

ლაშარელაის ლურჯასა
ფაფარი ჰსახავის გიშრისა,
შაჯდება, გაემართება,
კოტორ გაჰყვება ნისლისა,
თავის ყმათ მიეშველება,
ხან რო არ იყოს მისვლისა.

ლაშქრობა და „ურჯულოთ“ რბევა, მეტადრე ძველ დროში, ფშავლისთვის თავდაპირველი სამღვთო და სასიქადულო საქმე იყო. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ხატი და იმისი ხევისბერი სხვა ხატზე და იმის ხევისბერებზედ უფრო მეტად პატივცემული და გავლენიანია და იყო მეტადრე ძველ დროში. ლაშარის ჯვარსა და იმის ხევისბერს, როგორც მტრიანობის დროს, ისე ფშავლის შინაურს ცხოვრებაში, დიდი მნიშვნელობა ჰქონია და ეს მნიშვნელობა დღესაც

შესამჩნევად შემცირებული არ არის. ფშავლების ერთობა და შინაური წეს-წყობილება იმათის სალოცავების, მეტადრე ლაშარის ჯვრისა, სამსახურზედ იყო და არის დღესაც დამყარებული.

თემისგან გადგომილი და მოღალატე მოღალატეა ხატისაცა და ხატის მოღალატე თემისაც მოღალატეა. ლაშარის ჯვარის თავხევისბერი მარტო ომში არ იყო ხალხის მეთაური. ის იყო ხალხის მსაჯულიც. ხევისბერები, ლაშარის ჯვარის ხევისბერის მეთაურობით, ასამართლებდნენ და სწყვეტავდნენ ლაშარის ჯვარის ყმებს შორის ატეხილს დავებს თვით ლაშარის გორზედვე, სადაც ლოცულობდნენ ლაშარის ჯვარს. ლაშარის ჯვარს მარტო ფშაველები არა ლოცულობდნენ. იმას ლოცულობდნენ ხევსურები, თუშები, ჭართალელი მთიულები და ქართველები სოფელ ყვარელიდგან. როგორც ფშაველები ამბობენ, ლაშარის ჯვარს თუშები ლოცულობენ იმის შემდეგ, როცა ფშავლებსა და თუშებს ხოშარაში ომი ჰქონდათ და თუშები დამარცხდნენ. მაშინ ერთადერთმა „მოამბედ“ წასულმა თუშმა, გვარად თილისძემ, ლაშარობას თეთრი ქორა ხარი მოუყვანა ლაშარს თუშებისაგან გამოგზავნილი და შერიგება სთხოვა ფშაველებს. ფშავლები დაყაბულებულან და ორივე მხარეს ფიცით აღუთქვამს ერთმანეთისთვის მშვიდობიანობა და ყოველ გაჭირვებაში შველა. ამის შემდეგ თუშებს დასდებიათ ლაშარის ჯვარის ლოცვა და თუშ-ფშავლებს შორისაც შუღლი მოსპობილა. რა მიზეზით დაუწყიათ ლაშარის ჯვარის ლოცვა ხევსურებსა და მთიულებს, ამაზედ ხალხში ვერაფერი გადმოცემა ვერ ვიპოვე. მხოლოდ ზოგიერთები ამბობენ, რომ ხევსურები და მთიულები ძველთაგანვე ფშაველებთან ძმად გაფიცულები არიან და იმის გამო ლოცულობენ იმათს სალოცავსაცაო.

ფშავი და ლაშარის გორა საშუალო ალაგია თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და სალაშქრო ბჭობა ამ სამ ძმა-მეზობელთა შორის ლაშარის გორზედ მოხდებოდა თურმე ძველ დროში. შესაძლოა ამ თათბირისა და ლაშქრობაში მთიულებსაც მონაწილეობა მიეღოთ

და იმათაც, როგორც თუშებსა და ფშავლებს, ერთმანეთის ერთგულობაზედ და სალოცავის სამსახურზედ ფიცი მიეცეთ ლაშარის ჯვარში. ქრისტიან მთიულთ შორის ერთსულობასა და ერთგულობას საჭიროება თხოულობდა, ხოლო ყველა ამის დამტკიცება და დამკვიდრება მათ შორის სალოცავებით შეიძლებოდა. ესევე უნდა იყოს მიზეზი, ჩემის ფიქრით, იმასაც, რომ ფშაველებიცა ლოცულობენ მთიულების ლომისას და გუდამაყრელების ფუძის ანგელოზს. ყვარლელი ქართველები, როგორც ფშავლები ამბობენ, ლაშარის ჯვარს ლოცულობენ იმ მიზეზით, რომ ისინი ფშავის სოფელ ყვარადგან გადასახლებული ფშავლები არიან და, მაშასადამე, ლაშარის ჯვარის ისეთივე ყმები, როგორიც თვით ფშავლები.

ფშავლის აზრით, თამარ მეფეს, ყველა მათის სალოცავის საზოგადო თვისების გარდა, ის განსაკუთრებული თვისებაცა აქვს, რომ იგი უფრო დასნეულებულების მფრაველი და მკურნალია. ფშაველი დარწმუნებულია, რომ წმინდა თამარ მეფე ღამ-ღამობით როცა ყველასა სძინავს, სნეულთან უხილავად მიდის ზეციდგან და სწამლობსო; ამის გამო ავადმყოფი ფშაველი ყველა სალოცავებზედ ხშირად თამარ მეფეს მიჰმართავს ხოლმე ვედრებითა და სთხოვს განკურნებას. იგი თავის „აქიმ-დედოფალს“ აღუთქვამს მორჩენისათვის მსხვერპლს ან ნივთიერ შესაწირავსა და, ამას გარდა, კიდევ ერთ ცხვარსაც „წამლის სახსრად“. „წამლის სახსრად“ წოდებულს მსხვერპლს ფშავლები სხვა სალოცავებს არა სწირავენ, იმ მიზეზით, რომ ისინი ფშავლის საშველად მარტო ღმერთთანა შუამდგომლობენ, ხოლო თამარ მეფე კი, ღმერთთან შუამდგომლობის გარდა, თავის მხრითაც სწამლობს სნეულსა და ამის გამო მას ერგება, მსხვერპლის გარდა, წამლის „სახსარიც“.

„ივერია“, 1889. №177

II

როგორც ზემოთ არის ნათქვამი, კოპალა სიცოცხლის დროს გმირი ყოფილა, „დევ-კერპთ მეომარი“, ამის გამო ფშაველი იმას დღესაც გმირობით იხსენიებს ლოცვისა, წყევლისა ან დიდების დროს: „მიშველე, გმირო კოპალავო“. „დაგწყევლოს გმირმა კოპალამ“, „დაგლახტოს გმირმა კოპალამ“ და სხვ. კოპალა „ხორციელობის“ დროს, ფშავლების თქმულებით, შეიარაღებული ყოფილა ლახტით, ხმლითა და მშვილდ-ისრით. იმისი წმინდა სული დღესაც იმავე იარაღით „დაუქროლებს“ მისგან დახოცილს დევ-კერპთ სულებს, რომლებიც ეშმაკებად გადაქცეულან დახოცვის შემდეგ და ფშავეთის კლდე-ღრეებში მიმალულან. თუ იმათ ფშავლის წინააღმდეგ რაიმე ზიანი მოინდომეს, კოპალა მაშინვე მიესევა და შემუსრავს. ამის გამო ავსულებს კოპალასი უფრო ეშინიათ, ვიდრე ფშავლების სხვა სალოცავებისა. რაკი ფშავეთის ადგილები ძველ დროში დევ-კერპთა სჭერიათ, იქ მცხოვრები კაცები მათ დამონავებულნი ჰყოლიათ და შემდეგში კოპალას მეთაურობით ისინი ფშავლის სალოცავებს ამოუწყვეტიათ და ხალხი იმათს შიშისა და მონებისაგან გაუთავისუფლებიათ. მას შემდეგ დახოცილი დევ-კერპთ სულები ფშავლის სალოცავებს შორის უფრო კოპალას შიშის ქვეშ არიან. თუ სადმე შეეშინდება ფშაველს და ან უბედურება რამ დაემართება, ან ღამე „უდროო დროს“ ცუდს, უდაბურს ადგილს, კლდე-ღრეში, „უალაგო ალაგას“ მოემწყვდევა, ის მაშინვე „გმირ კოპალას“ მოუწოდებს თავის მფარველად, რომ ავ სულისაგან არ „დაინავსოს“. რაკი კოპალა ეყოლება „ხსენებული“ და მფარველად მოწოდებული, ფშაველი მაშინ დარწმუნებულია, რომ ავსულთა მთელი ლეგიონიც რომ მიესიოს, ვეღარას დააკლებენ. ამ შემთხვევაში იგი თავის თავს სრულიად უშიშრად ჰგრძნობს.

ფშავლის აზრით, კოპალა ძალიან წმინდა ხატია. სხვათა შორის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ კაცსა და დედაკაცს, მეტადრე მებოსლეს,

არცერთი სალოცავი ფშავლისა ისე შორს არ ირიდებს და სასტიკად არ სჯის თავისის „საბრძანისის“ კარ-მიდამოს შელახვისთვის, როგორც კოპალა. ფშავლის დედაკაცს, ბოსლობის დროს, რაც უნდა გაუჭირდეს, კოპალას ვერ შეევედრება, რადგან თავის თავს ამ დროს უწმინდურადა სთვლის. თუ როგორმე გაბრიყვდა და კოპალას სახელი ბოსლობის დროს წარმოსთქვა, მაშინ იმას კოპალა დაჰმიზეზავს, ავად გაჰხდის და მკითხავის პირით უბრძანებს სანათლავ მსხვერპლისშეწირვას. სანათლავ მსხვერპლის სისხლი ფშაველს აიაზმის მაგიერობას უწევს, სალოცავის საბრძანისისა, იმის მსახურთ ხევისბერისა და დასტურების გასაწმინდებად (როგორც ზევითაც ნათქვამია, შეწირულ ნივთის განათვლის შესახებ) ყველა იმ უწმინდურებისგან, რასაც ფშავლის სალოცავები ერთობ და განსაკუთრებით კოპალა ერიდება და არიდებს თავის მსახურთ. კოპალას, თუმცა ფშავლის ყველა თემები ლოცულობენ, მაგრამ ის ითვლება საკუთრივ უძილაურების თემის სალოცავად. ფშაველი იფიცავს ლაშარის ჯვარს, თამარ მეფეს, კოპალას და ან თავისის თემის სალოცავს. ლაშარის ჯვრის გარდა, ყველა ზევით ხსენებულ სალოცავებს, „სათავდღეობო“ საბრძანისის გარეშეც, ფშაველი კიდევ რამდენსამე ალაგსა ლოცულობს და თითოეულს მათგანს ცალკე და ამ განყოფილებას სალოცავისას „ნიშს“ უწოდებს. ნიშის ალაგიც ისევე წმინდად შენახული უნდა იყოს, როგორც პირველი საბრძანისი სალოცავისა. არ უნდა მიუახლოვდეს ადამიანი, მეტადრე დედაკაცი და არ შელახოს ნიში. ფშაველი დარწმუნებულია, რომ იმისი სალოცავები ღამ-ღამე ჩამოდიან ზეციდგან თავის საბრძანისებში. სათავდღეობო საბრძანისიდგან ნიშამდე ან ერთი ნიშიდგან მეორემდე, ფშავლის აზრით, ხატი თოკს აბამს და ზედ გადის და გამოდის. თოკი ნათლისაა და თვითონ თოკიც ნათლის ბურთის სახისად გადაიქცევა და ისე გასრიალდება გაბმულ თოკზედ. ეს ხდება ღამე, როდესაც „კაცის ფეხი მოსწყდება“. თუ ნიშების შუაზედ, სადაც ხატი თავის სანავარდოდ თოკს აბამს, გორაა, რომელსაც გაბმულმა თოკმა ზედ უნდა გადაუაროს და ახლო

მოვიდეს, ფშაველი ამ ადგილსაც წმინდად ინახავს, იქ ღამეს არ გაათევს, რომ ხატს არ დაუშალოს სიარული, გზა არ შეულახოს. ამნაირ კადნიერებას, ფშაველის აზრით, იმისი სალოცავი არ მოითმენს, გაუწყრება და დასჯის კიდეც.

თამარ მეფის საბრძანისი არაგვის ხეობაზეა, მდინარე არაგვის მარცხენა მხარზედ. იგი წარმოადგენს მშვენიერ ბუჩქნარით შემოსილ გორას, რომელიც არაგვის ჭალიდგან პირველად ძალიან გვერდად არის ამართული და მერე შევაკებულია. თვით ამ ვაკეზეა სალოცავი ალაგი. ალაგი შემოზღუდულია ქვის გალავნით; გალავანში და იმის მახლობლად აშენებულია რამდენიმე ყორის სახლი, სიპის ქვით დახურულები: „საბერო“, სადაც სალოცავს დღეობის დროს იმყოფებიან ხევისბერები და დასტურები; სალუდე, სადაც ადუღებენ „სადღესასწაულო“ ლუდსა, ინახავენ სალუდე ქვაბსა და სხვადასხვა ჭურჭელს საჭიროს ლუდის დუღების დროს; სადასტურო და სხვ. სადასტუროში ცხოვრობენ ხატის დასტურები. ყველა ეს შენობები ფშავლის სახლის მსგავსებია. შენობაზედ აწყვია და ან ხეზედ მიკრულია ირმის რქები, მონადირე ფშაველისგან შეწირული. მონადირე ნადირობის დროს სალოცავს გამოსთხოვს ნადირს (ირემსა) და აღუთქვამს რქების შეწირვას. თუ რქიანი ირემი მოჰკლა, ფშაველი თავის აღთქმას ასრულებს და სწირავს სალოცავს მოკლულის ირმის რქებსა. ამისთვის იშვიათია ფშავში ისეთი სალოცავი ალაგი, სადაც რამდენიმე ირმის რქა არ მოიპოვებოდეს. გალავანში აშენებულია ხატის საზარე და სასანთლე, სადაც ხევისბერი სანთელს ანთებს და ამწყალობნებს მლოცველთ. სანთელი თვითონ მლოცველებს მოაქვთ პატრუქიანად, აძლევენ ხევისბერს, დასტურები გაალხობენ სანთელსა, გააერთებენ, მერე „ამოჰქნიან“ და მოუმზადებენ ხევისბერს ასანთებად. „სასანთლე“ სიპის ქვებისაა და მიემსგავსება თახჩას. გალავანშივეა საზარე (იგივე სამრეკლო) ქვითკირისა, ან სპილენძისა და სრულადა ჰგავს ეკლესიის სამრეკლოს. წვერზედ გაკეთებული აქვს გუმბათი და ჯვარი. საზარეში ჰკიდია ზარი, რომელსაც დღესასწაულში

ხევისბერი ჰრეკავს. ზარისრეკვის დროს მლოცველები ფეხზედ ადგებიან, პირჯვარს იწერენ და ევედრებიან ხატს. გალავანს გარეთ ყველა თემს თავისი „საჯარე“ (დასასხდომი ალაგი) აქვს. თემი, დღესასწაულში სალოცავად მისული, ბინავდება თავის საჯარეში. გალავანში შესვლა აკრძალულია ყველასთვის, გარდა ხევისბერებისა და დასტურებისა. ყველა თემს თუმცა თავ-თავისი საჯარე აქვს, მაგრამ შეუძლიან ერთმანეთის საჯარეში მისვლა-მოსვლაც. დედაკაცების „საჯარე“ ერთია, ის თემობით დაყოფილი არ არის. დედაკაცები სხედან ცალკე თავის საკუთარ საჯარეში და იმათ ნება არა აქვთ მამაკაცების საჯარეში მისვლისა. ამისი მიზეზი ის არის, რომ დედაკაცი უფრო ნაკლებად ღირსია, ფშავლის აზრით, იმისის სალოცავისა, უფრო უწმინდური არსებაა, ვიდრე მამაკაცი. ამისათვის მას ნება არა აქვს სალოცავთან ისე ახლო მივიდეს, როგორც მამაკაცს. მამაკაცების საჯარეში მისვლა ხატის გმობა და შეურაცხება იქნება დედაკაცის მხრით. გალავანს შიგნით და გარეთ საჯარეებში დიდრონი ხეებია. თვით ეს ხეები ხატის საკუთრებას შეადგენენ და იმათის მოჭრის ნება არავისა აქვს. ხატის ხის მომჭრელსა და საზოგადოდ იმის ქონების წარმტაცებელს, ფშავლის აზრით, ხატი სასტიკადა სჯის. ფშაველი თავის სალოცავის საბრძანისისა და იმის კარ-მიდამოს დამშვენებასა სცდილობს. ეს აშკარად ეტყობა, სხვათა შორის, თამარ მეფის სალოცავ ალაგსაც. საჯარე, სადაც გვერდა და მოუხერხებელი სადგომი ყოფილა, გაუთხრიათ და გაუვაკებიათ. გავაკებულსა ზევით ბექი მშვენიერის ქვის კედლით გაუმაგრებიათ, რომ მიწა არ ჩამოიშალოს საჯარეში. კედელში დატანებულია სიგრძეზედ სიპი ქვები, რომლებიც ფშაველს დღეობის დროს დასაჯდომ ტახტის მაგიერობას უწევს. ვაკეს ზევითა და ქვევით ამოსულა მშვენიერი ხეები, რომლის ტოტები ერთმანეთზედ გადახვეულები არიან და უჩრდილებენ საჯარეს.

რამდენადაც თამარ მეფის სალოცავი ალაგი, წოდებული „ღელედ“ და მთლად ის გორა, სადაც სალოცავია, წარმოადგენს

თავის მდებარეობით, წყაროებითა და მცენარით მშვენიერს სურათს, იმდენად ლაშარის ჯვრის სალოცავი და მთლად ლაშარის გორი წარმოადგენს მწირს, უწყლო, უმცენარო ხმელს ალაგს. ლაშარის გორი ძალიან გვერდა და კლდიანია. სადაც სალოცავი ალაგია, იქ ცოტა შევაკებულია. სალოცავი ალაგი გალავნით შემოზღუდულია, ხეები მხოლოდ გალავანში მოიპოვება და იქ, სადაც საკლავებსა ჰხოცავენ („სასაკლავე“). საჯარეები შიშველ ალაგზეა. გალავანში მოჩანს ერთი ეკლესიის ნანგრევი, რამდენიმე შენობა (საბეროები) და საზარე (სამრეკლო). საზარეში ჰკიდია რამდენიმე ზარი, მათ შორის ერთი შეწირულია არაგვის ერისთავის ზურაბისაგან, რომელიც ფშავლებისა და იმათის სალოცავების „მუხანათი“ ყოფილა. იმას „ულაშქრავ“ ფშავის ხევი, მაგრამ როცა ვერ დაუმორჩილებია, შერიგებია და ნიშნად „ზავისა“ ლაშარის ჯვრისთვის შეუწირავს ხსენებული ზარი. გალავანისა და სასაფლაოს ზევით რამდენიმე პატარ-პატარა ვაკეა, რომლებიც საჯარედ დაჩემებული აქვს ყველა თემს ცალ-ცალკე დასასხდომად. ლაშარის ჯვრის დღეობაში ამ ვაკეებზედ იყრის თავს მლოცველი ხალხი და იმართება ბაზარი, სადაც იყიდება ღვინო, არაყი, ფარჩა, ქისტური ნაბდები, ქუდები, ერბო და სხვ. გორს აქეთ-იქით აქვს ფხაწალი, კლდიანი ფერდობები, სადაც შეუძლიან გავლა მხოლოდ გვერდაში და კლდეებში სიარულს შეჩვეულ ფეხმარდს მთიელს. ლაშარის ჯვარს თავისი გორის ხრიოკობა თითქოს საყვედურადაც მიაჩნია. იგი ხშირად უბრძანებს თავის „ყმას“, რომ იმან თავის სალოცავი ლაშარის ჯვარი არ დაივიწყოს და ერთს ან ორ წელში მაინც „შეხვდეს იმას ხმელს გორზედ“.

მლოცველების დასაბინავებელი ადგილი აქაც ყველა თემს დაჩემებული აქვს და თემისავე საჯარედ იწოდება. მაგ., „გოგოლაურთ საჯარე, მათურელთ საჯარე“ და სხვ. საჯარეში მამაკაცები და დედაკაცები ერთად სხედან. მლოცველები ლაშაროობა დღეს (მკათათვის ხუთს ან ათს) იკრიბებიან სალოცავად დილით. შუადღის შემდეგ, როდესაც ხევისბერი საკლავების დახოცვას

გაათავებს და სანთელს „გაანთებს“ ლაშარის ჯვრის სასანთლეში, ხალხი დაბრუნდება სალოცავიდგან, რადგანაც ადგილის სივიწროვისა და ცხენების საჭმლის უქონლობის გამო ღამე იქ ყოფნა არ შეიძლება. ლაშარობის მეორე დღეს თამარ მეფის დღეობაა და ამისა გამო უმეტესი ნაწილი ლაშარს მისულ მლოცველებისა მიდის იმავე საღამოზედ თამარ მეფის სალოცავთან ღამის სათევად. ლაშარის ჯვარის ხევისბერების სამყოფი სახლი - „საბერო“ და ცხვრების დასაკლავი ალაგი - „სასაკლავე“, გალავანს ახლოა. იქ მისვლა ფშავლის მამაკაცებს შეუძლიათ მხოლოდ სალოცავის დღეობაში. სხვა დროს, „უდღეობო დღეს“ იქ მისვლის ნება, ხევისბერისა და დასტურების გარდა, არავისა აქვს. დედაკაცები იმ ალაგს ვერც ლაშარობა დღეს მიეკარებიან. ლაშარის ჯვრის სალოცავად მისული მამაკაცი პირველად სალოცავ ალაგს მიდის, პირჯვარს იწერს, მუხლს მოიყრის და ემთხვევა იქვე ყორეზედ დასვენებულს წმინდა გიორგის ხატსა და მერე გასწევს საჯარისაკენ. დედაკაცები ლაშარის ჯვარს შორიდგან ევედრებიან, იმათ საჯარეში მისასვლელი გზაც საკუთარი აქვთ, მოშორებით, რადგან ახლო გზაზედ, რომელზედაც მამაკაცები დაიარებიან, დედაკაცებს „არ გაევლებათ“. ყველა სალოცავებში ფშაველებს ალაგი შემოფარგლული და დამიჯნული აქვთ იქამდე, სადამდეც შეუძლიან ხატის საბძანისს მიუახლოვდეს დღეობაში, ან „უდღეობო დღე“. რა თქმა უნდა, რომ დედაკაცების მისასვლელი მიჯნა უფრო მოშორებით არის, ვიდრე მამაკაცებისა, როგორც სალოცავ დღეობაში მისასვლელი, ისე უდღეობო დროსთვის დადებული. ვინც მიჯნას გადასცილდება, იმან ხატისა კარ-მიდამოს შელახვისა და გაუწმინდურებისათვის სასჯელი უნდა გადაიხადოს: ხატს ცხვარი უნდა დაუკლას და იმისი სისხლით კარ-მიდამო გაუნათლოს ხევისბერის ხელით. თუ სალოცავის მახლობლად გზაა, გზის ახლოს ქვის ყორეა გაკეთებული ხატისთვის, „მისალოცი, მადლის მოსათხოვი“. მადლის მოსათხოვი ყორე იმით იცნობა, რომ ზევიდგან ერთი ან რამდენიმე ბროლის ქვა ალაგია. ყველა

გამვლელ-გამომვლელი, მორწმუნე ფშაველი ორივე სქესისა, იქ ცხენიდგან ჩამოხტება, ხატს „მადლს მოსთხოვს“, პირჯვარს დაიწერს და მუხლს მოიყრის. თუ რამდენიმე მგზავრია ერთად და სასმელი აქვთ თანა, იმავე ალაგას დადგებიან, დალევენ სასმელსა, ადიდებენ ხატსა და მერე განაგრძობენ მგზავრობას. მსხვერპლის შეწირვა, სალოცავ ალაგის წმინდად შენახვა და იქ ტყის დაცვა ყველგან და ყველა სალოცავის ყმათათვის სავალდებულოა ფშავში.

ფშაველის აზრით, იმის ხატებში სიდიდ-სიპატარავე არის, მაგრამ ამით ისინი ერთმანეთს არაფერს არ უშლიან. თუ ფშაველმა ერთს რომელსამე სალოცავს მსხვერპლი შესწირა, ილოცა და მეორეს არა, მაშინ დავიწყებული ხატი მორწმუნე ფშაველს მოაგონებს მკითხავის პირითა, რომ იმას სალოცავის დავიწყება არ ჰმართებს, რადგანაც იგი მეშველია და მფარველი არანაკლებ იმ სალოცავისა, რომელსაც იმან მსხვერპლი შესწირა და შეევედრა. სალოცავის ამ აღძრულ შურს ფშაველი ბოლოს უღებს იმითი, რომ იმასაც შველას ევედრება და მსხვერპლს სწირავს. სათემო ხატი დიდია ადგილის დედაზედ, ხოლო სათემო ხატზედ დიდები და უძლიერესები არიან საერთო ხატები. საერთო ხატები მთელის ფშავლების სალოცავები არიან, ყველას მათგანს მფარველობენ: სათემო ხატის „სამწყალობნო“ და სამრისხველო ასპარეზი თემსა და თემის ქალ-ქალიშვილს არ გასცდება. ადგილის დედას უფრო მცირე ასპარეზი აქვს. იგი უფრო ხშირად ერთს სოფელსა მფარველობს, ამასაც ერთი სოფელი ლოცულობს. ფშაველი თავის თავს ამ ხატების „ყმად“ უწოდებს, ხოლო ხატი იმათ რაცხს თავის „ოქროს ღილებად“. ფშაველი ერთსა და იმავე დროს ყმაა ადგილის დედისა, თემის სალოცავისა და საერთო საყოველთაო სალოცავისა, რომელნიც ფშაველს თავის ოქროს ღილადა ჰრაცხავენ. ყველა სალოცავი ფშავლისა კეთილია და არაფერს დაუშავებს, თუ იგი ფშაველმა თავისის უგუნურობითა და სამსახურის (ლოცვისა და მსხვერპლის) დაკლებით არ განარისხა. ახლად დაბადებული ბავშვი მონათვლის

შემდეგ მშობლებმა თავიანთ თემის ხატში უნდა მიიყვანონ, „ხატში გაიყვანონ“, დაამწყალობებინონ ხევისბერს.

ხატში გაყვანის დროს საჭიროა მის „სამწყალობნოდ“ მსხვერპლის შეწირვა. თუ ყრმა მამრობითი სქესისაა, მშობლები ორს საკლავს დაჰკლავენ ხატში, ერთს ბატკანს და ერთს ჭედილას, თუ მდედრობითის სქესისაა - მარტო ბატკანს. ხევისბერი ყრმას ჩვეულებრივად „დაამწყალობნებს“ და დაკლულის მსხვერპლის სისხლს შუბლზედ წაუსვამს ჯვარის სახედ. ხევისბერს დამწყალობნებისთვის, ცხვრის „მხარ-ტყავის გარდა“, ერთი წყვილი ჭრელი წინდაც მიერთმევა ხოლმე. ყრმის ხატში გაყვანა და სისხლით განათვლა, ფშავლის აზრით, ისეთივე აუცილებელი საჭიროებაა, როგორც ყველა ქრისტიანისთვის მონათვლა. ხატში გაყვანილი ყრმა შეიქმნება თემის საკუთარი წევრი და თემის სალოცავის „ყმა“, „ოქროს ღილი“.

ფშავლის აზრით, ღმერთი ადამიანს აღარ გამოეცხადება, რადგანაც ხალხი უწმინდური და უღირსი შეიქმნა. წინათ კი, როდესაც ხალხი წმინდა და უცოდველი იყო, ღმერთიცა და ხატიც იმათთან უფრო მახლობლები იყვნენ და გამოეცხადებოდნენ ხოლმე, მაგრამ ხალხმა ღმერთი განარისხა და ამის გამო იგი იმათ ისე ახლოს აღარ ეკარება, როგორც წინათ. ფშავლის აზრით, იესო ქრისტეს უმოგზაურნია ქვეყანაზედ, „ხალხის გამოსაცდელად“, რათა ადგილობრივ დარწმუნებულიყო ხალხის ავ-კარგიანობის შესახებ. ზოგს გამოეცხადებოდა გლახის სახით, ზოგს მოგზაურად მოეჩვენებოდა, სტუმრად ეწვეოდა და შვილებსაც მოუნათლავდა ხოლმეო. ეხლა, რაკი ხალხი ღვთის უღირსი შეიქმნა, იმანაც პირი მოარიდა, ხალხის შველა და მფარველობა მიანდო თავის წმინდანებს და თვითონ კი აღარ გამოეცხადება ხოლმე არავისაო.

„ივერია“, 1889, №178

III

ხატები ანუ „ღვთისშვილნი“, ფშავლის აზრით, გამოეცხადებიან ხოლმე ადამიანს როგორც ცხადლივ, ისე სიზმარში. იმათა აქვსთ ისეთი ძალა, რომ სრულიად უხილავად მოევლინებიან ადამიანს, მაგალითად, მკითხავს, ხევისბერსა და სხვა რომელსამე „მოწმინდარსა“ და მოამოქმედებინებენ ისეთს საქმეს, რომელსაც „მოწმინდარი“, თუ თავის ნებაზე იქნებოდა, არა შემთხვევაში არ მოიმოქმედებდა. მაგალითად, გულს შეუღონებს, ქადაგად დაცემის დროს თავში და გულში ქვას ახლევინებს, ნაკვერჩხალს ააღებინებს, ათქმევინებს ისეთს რასმე წინასწარმეტყველებად, ზეგარდმო შთაგონებით, რისი თქმაც არ შეეძლოთ. ხატის ზეგარდმო შთაგონებით ნაწინასწარმეტყველები, ფშავლის აზრით, იშვიათად გამტყუნდება. ყოველგვარს უბედურებას და არასასიამოვნო და საზიანო მოვლენას ხატი ხალხს ატყობინებს მკითხავის ან „უბრალო, არამკითხავის, მოწმინდარის“ კაცის ზეგარდმო შთაგონებით.

ხატი კაცს პირად დაენახვება, გამოეცხადება ანთებული სანთლის ან ნათლის სახით, ხოლო სიზმარში მოხუცებული, თეთრწვერიანი კაცის სახით. ხატი კაცს ხშირად სიზმარში გამოცხადების დროსაც ატყობინებს თავის სურვილსა. ამ შემთხვევაში სიზმრის მნახველი სჯერდება თავის სიზმარს, მოიქცევა ხატის გამხილების თანახმად და მკითხავს აღარ მიჰმართავს. მკითხავიც ხშირად თავის მუშტარს სამკითხავო „რიგ-წესის აუსრულებლად“ ისტუმრებს, რადგანაც მკითხვინებლის თხოვნას უმისოდაც ასრულებს. იგი ეუბნება ფშაველს, რომ მე დიდი ხანია შენი სალოცავი გამომეცხადა და შემატყობინა, რასაც ვალადა გდებს და რაც მწუხარება მოგევლინა შენაო. მკითხავი თუმცა სტყუის, მაგრამ ხალხის უმრავლესობას ტყუილი არა ჰგონია ესა და თვით ხალხის ფანტაზია სიზმარს და ხატის სიზმარში გამოცხადებას იქამდე აზვიადებს, რომ თვითონ უმკითხაოდაც კი ჰხედავს ხატს სიზმარში…

მკითხავს შეუძლიან, როცა მოისურვებს, თვითონაც გამოიწვიოს ხატი, რათა იმან იმისის (მკითხავის) პირით აცნობოს მკითხავის მუშტარს, რის გაგებასაც ისა სთხოვს ხატს. ხატის გამოსაწვევად საჭიროა წყლიან ჯამზედ მკითხავმა რამდენიმე სანთელი მოანთოს, შაევედროს ხატსა, რათა იგი მოევლინოს იმას და გამოაცხადებინოს თავისი სურვილი და მიზეზი, რის გამოც იგი გარისხებულა მაკითხვინებლებზედ, ანუ იმის ოჯახის წევრზედ. ხატის მოწოდებამდე მკითხავი სახლს დააგვევინებს, რადგანაც ხატი უსუფთავო და დაუგველ სახლში მიბრძანებას არ იკადრებს. შემდეგ მკითხავი მიკეტილი დაჯდება, წინ წყლიანს ჯამს დაიდგამს. მას ხელში უჭერია ამ შემთხვევისთვის წინათ მომზადებული სანთლები. შემდეგ ის სანთლების ანთებას დაიწყებს და თან ევედრება ხატს, რომ ხორციელთ ვედრება არ გაუკმაროს, მოევლინოს და ათქმევინოს ყველა ნამდვილი, რაც იმას აწყენინეს და სხვ. გაათავებს თუ არა სანთლების ანთებას, ხატის მომწოდებელი მკითხავი დაჯდება ჩუმად, შემდეგ რამდენჯერმე დაამთქნარებს და გაიზმორება. ეს, ფშავლის აზრით, პირველი ნიშანია ხატის მობრძანებისა. თუ ამ დრომდე მკითხავის მუშტარი და სხვა მახლობლად მყოფნი ისხდნენ, ზეზედ ადგებიან, რაკი ხატის მობრძანების უეჭველს ნიშნებს დაინახავენ, უყურებენ მკითხავს მოწიწებით და თან პირჯვრის წერას მოაყოლებენ. მკითხავი თვალებსა ჰხუჭავს, გაბუტულივით ზის და სცდილობს აჩვენოს, რომ ის არაფრით ქვეყნიურით შეპყრობილი და გართობილი არ არის. რამდენჯერმე შეაკანკალებს, დროგამოშვებით და მერე მოაყოლებს ჯერ დაბალის და მერე მაღალის ხმით გმინვას, ტირილ-ყვირილს, კანკალს და თან წამოიძახებს ხოლმე რაღაც გაურჩეველს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს. ფშავლის აზრით, მკითხავს ამ დროს ხატი აკანკალებს, ალაპარაკებს და აყვირებს. ყვირილი გრძელდება 15-20 წამამდე. შემდეგ დამშვიდდება, თავს ძალიან დაღლილ-დაქანცულად აჩვენებს სხვებს, სანთლებს გააქრობს, წყალს სუფთა, უხვედრ ადგილში დააღვრევინებს, დაჯდება სხვა

ადგილში და გამოუცხადებს მკითხვინებელს, რომელი ხატი „მობრძანდა“, რა დანაშაულზე გარისხებულა იგი თავის ყმაზედ და რით შეუძლიან გამოისყიდოს დამნაშავემ თავისი დანაშაული და ან რა მსხვერპლს თხოულობს ხატი.

როდესაც ფშაველს რაიმე უბედურება მოელის, „ეხედვება“ და თვით იმან კი იმის შესახებ არა იცის რა, მაშინ, ფშავლის აზრით, საჭირო არც კია ხატის განგებ გამოწვევა, იგი თვითონ მოევლინება „მოწმინდარ“ ფშაველს და იმისი პირით აცნობებს მომავალს უბედურებას წინათვე.

ძველ დროში ფშავლის ლაშქარი ლაშარის ჯვარის დაუკითხავად ქისტეთში საომრად არ წავიდოდა, მაგრამ მანამდე ფშავლები ლაშქრობის წინათ ხატს (ლაშარის ჯვარს) საერთოდ „გაიკითხავდნენ“ ლაშარის გორზე, ხატი ხშირად სხვა რომელისამე სალოცავ ქადაგის (იგივე მკითხავის) პირით უწინასწარმეტყველებდა ხოლმე გამარჯვებას, ან დამარცხებას, მაგრამ ხალხს უფრო საერთოდ გაკითხულის ხატის „ნაბრძანები“ სჯეროდა და იმის მიხედვით მოიქცეოდა ხოლმე. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ფშავლის ლაშქრის მფარველად და წინამძღვრად ითვლებოდა ლაშარის ჯვარი, ხალხიც იმის ნაბრძანებს უფრო ყურადღებით ეპყრობოდა და იჯერებდა. ფშავლები ლაშარის ჯვარის სახელზედა ომობდნენ, იმათი გამარჯვება ლაშარის ჯვრის გამარჯვება იყო და დამარცხება - ლაშარის ჯვრის დამარცხება.

ფშავლების ზეპირთქმულება რამდენსამე შემთხვევას მოგვითხრობს ხატის გამოცხადების შესახებ. როგორც ზევით არის ნათქვამი, ფშავლებს ჩვეულებადა ჰქონდათ (დაღესტნის დაპყრობამდე) ქისტებზეც გალაშქრება ლაშარის ჯვრის ბრძანებით. ერთხელ, როდესაც ლაშქარი მიდიოდა ქისტეთს (მითხოში) ბაზდეთის ასაკლებად, გზაში დაუღამდათ, მაგრამ ჯარმა მაინც გზის უვარგისობას არ მიჰხედა და გადასწყვიტა, ღამე ევლო, არ გაჩერებულიყო, რომ გათენებისთვის ბაზდეთამდე მიეღწია. გზა

ცუდი უნდა გაევლოთ და გადასულიყვნენ მდ. არღუნის ხიდზედ, რადგანაც თვით მდინარეში, სიღრმისა და სიჩქარის გამო, გასვლა შეუძლებელი იყო. გზაში ლაშარის ჯვრის დროშა, ფშავლების თქმით, ცეცხლის ნაპერწკალსა შლიდა და ზედ რამდენჯერმე ცეცხლის ალის მსგავსად შეკუმშული ნათელი გამოჩნდა. ხევისბერს ეს არაჩვეულებრივი სანახავი გამარჯვების ნიშნად მიუღია და ხალხი გაუმხნევებია: ხატი გვეცხადება, გამარჯვების ნიშანიაო. ზოგიერთებს, მეტადრე ვინც ქისტებთან ომში წინათაც ნამყოფი ყოფილა, ხევისბერის სიტყვა არ ურწმენიათ და უთქვამთ, წინათაც გაგვიმარჯვნია ქისტებზედ, მაგრამ ამნაირი სანახავი არ გვინახავს, იგი უფრო „მარცხის“ მომასწავებელია, ვიდრე „გამარჯვებისაო“. მათ ურჩევიათ, ღამე ბაზდეთის ხიდს ნუ მივუახლოვდებით, თორემ ვაითუ ქისტებს ჩვენი მისვლა შეტყობილი ჰქონდეთ, ხიდი დაენგრიოთ და იმის ახლო-მახლო „მალული“ ჩაგვისვესო. თუ ხატი გვეცხადება, უეჭველად იმ მიზეზით, რომ ეს ასეაო. უმრავლესობა მაინც ხევისბერს მიმხრობია და გადაუწყვეტიათ ხიდზე პირდაპირ მისვლა, მაგრამ ეს ურჩობა და ხევისბერის „წინასწარმეტყველება“ ფშაველებს ძალიან ძვირად დასჯდომიათ. საბაზდეთო გზის ხიდი, მართლაც, დაენგრიათ ქისტებს და ნახიდართან ჩამჯდარ „მალულს“ ფშაველები მოუმწყვდევიათ და ძალიან უზარალებიათ. ამ შემთხვევამ ფშაველები დაარწმუნა, რომ გზაში იმათ ხატი მართლა ეცხადებოდათ და წინათვე ატყობინებდა თავის ყმათა, რა უბედურებაც მოელოდა მათ ბაზდეთის ხიდთან ღამე მისვლისგან.

კოპალას ხევისბერს, გვარად ჩორხაულს, რომელიც სცხოვრობდა სოფელ უძილაურთაში, შუაფხოს საზოგადოებაში, კოპალა გამოეცხადა იმ დროს, როდესაც კოპალას კურატს, არაგვის ჭალაზედ გაშვებულს („დიდ ჭალაში“), ქარიშხლიან და ბნელ ღამეში მგლების ჯოგი მიესია და შეჭმა დაუპირა. კოპალამ ხევისბერი შეიპყრო, „გააქადაგა“ და გაექცა დიდჭალისაკენ, სადაც კოპალას კურატი იყო. გზაზედ ბნელა ღამეში მიმავალს ხევისბერს კოპალა ანთებული სანთლის სახით გამოეცხადა, წინ მიუძღოდა და

მიუნათებდა გზას იქამდის, მანამდის ხევისბერი დიდჭალას კურატთან მივიდოდა და მგლებს მოაშორებდა. გაქადაგების დროს კოპალამ ხევისბერს მხოლოდ შემდეგი სიტყვები ათქმვინა: „ადე წავიდეთ, ჩორხაულო, დიდ-ჭალას ჩემსა ვეჟვანასა (სახელია კურატისა) ველისა მხეცნი მიშინებენ“...

ხატი მოევლინება და გააქადაგებს მამაკაცსაცა და დედაკაცსაცა. ქადაგი ხალხის მოამბე და შუამავალია ხატთან. იგი უცხადებს ხალხს ხატის სურვილსა და მოთხოვნილებას. რაღა თქმა უნდა, რომ ისეთი კაცი, რომელიც ფშაველის სალოცავს თავის რჩეულადა ჰყავს და იმისის პირით უცხადებს ხალხს თავის სურვილს, ფშაველის თვალში უბრალო არ არის. ის ხალხის თვალში სხვა ფშავლებზე მაღლა სდგას, ხატის მახლობელი კაცია, იმას უფრო ყველაფერს უგონებს ხატი. ისე რომ, ფშავლის აზრით, ქადაგ-ხევისბერთ წყევლა და ლოცვა მოუცადია, რადგანაც ხატი იმის სიტყვას, წყევლა იქნება თუ ლოცვა, ასრულებს. ამისთვის ყველა ფშაველი იმასა სცდილობს, რომ „ქადაგ-მკითხავნი და ხევისბერები“ მომადლიერებული ჰყვანდეს, არ გაარისხოს და იმათ „საწყევკრულოდ“ არ გახდეს. თუმცა, ფშავლის აზრით, ხატისთვის ყმათ სიმრავლე და კეთილდღეობა ძვირფასია, მაგრამ თუ რომელიმე წევრი იმის ყმათა ხევისბერისა და ქადაგისგან დარისხებული ქმნა, მაშინ ხატი (თვისის სურვილის წინააღმდეგ) იძულებულია გამოიმეტოს თავისი „ოქროს ღილი“ და წყევლა აღუსრულოს... ასე ჰგონიათ ფშაველებს, რომ ხატი იმათ ხევისბერის წყევლისგან ვეღარ იხსნის, თუნდაც თვითონ ძალიანა სურდეს, რადგან იმის თავის ხევისბერისა და ქადაგის დამცირებაც იქმნება და თავის თავისაც.

ხატს რამდენიმე კაცი და დედაკაცი ჰყავს „დაჭერილი“, „დამონავებული“, მათ შორის ერთი ყველაზე უფროსია, „თავხევისბერი“, რომელიც აგრეთვე ქადაგიც არის, დანარჩენები კი დაბალის ხარისხის ხევისბერები, ქადაგები და „მოწმინდრები“ არიან. დედაკაცი მხოლოდ მოწმინდარი და ქადაგია. იმას ხევისბერად ხატი არ ირჩევს. ყველა მოწმინდარსა და „ქადაგ-

მკითხავ“ ფშაველს თავისი საკუთარი ხატი ჰყავს, რომლისგანაც, როგორც ხალხი ამბობს, იგი „დაჭერილია“ და „დამონავებული“. ქადაგს შეუძლია გამოიწვიოს და ჰკითხოს ყველა სალოცავს და არა მარტო იმას, რომლისგანაც ის თავის თავს დამონავებულად თვლის.

ხევისბერი, სხვა ქადაგ-მკითხავები და მოწმინდარები უნდა წმინდობდნენ, „ხელმხარნანათლები“ უნდა იყვნენ და ამნაირად თავშენახულობით ხატის სამსახურისა და მახლობლობის ღირსნი გახდნენ. მოწმინდარი, მკითხავი და ხევისბერი არ უნდა მიეკაროს ღორისა და ქათმის ხორცს, კვერცხს, არ უნდა შევიდეს „ბოსელში“, სადაც „მებოსლე“ დედაკაცები არიან. თუ ყველა ამას წმინდად ასრულებს ხევისბერი და საზოგადოდ მოწმინდარი ფშავლის სალოცავისა, მაშინ ის ღირსია ხატის მსახურებისა და ხევისბერობისა. დედაკაცს თუმცა ხატი დაიჭერს, დაამონავებს, აწმინდებს და აქადაგ-მკითხავებს, მაგრამ იმისი სიწმინდე მამაკაცის სიწმინდემდე მაინც ვერ მიაღწევს. იგი ფშავლის თვალში მაინც დედაკაცია, მამაკაცზედ დაბალი და ამასთან არათანასწორი უფლების მქონებელი ხატთანაც კი. თუმცა იგი ხატისგან მოთხოვნილს სიწმინდეს მამაკაცზედ ნაკლებ მტკიცედ არ იცავს, მაგრამ ხატის კარ-მიდამოსთანა და საბძანებელთან მაინც იმდენად დაახლოვებული ვერ არის, როგორც არამოწმინდარი და არაქადაგ-მკითხავი მამაკაცი. მთელი უპირატესობა მოწმინდარი დედაკაცისა არამოწმინდარ დედაკაცთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ სხვა არამოწმინდარი დედაკაცები დღეობაში უფრო მოშორებით იმყოფებიან, ვიდრე მოწმინდარი დედაკაცები, მაგრამ იმ სიახლოვეზედკი, სადაც ყველა მამაკაცები არიან, მოწმინდარს დედაკაცს ვერაგვარი სიწმინდე ვერ მიაღწევინებს; მოწმინდარსა და მეტადრე ქადაგ-მკითხავ დედაკაცს მეორე უპირატესობა ისა აქვს, რომ მას შეუძლიან სახლში დაილოცოს ხევისბერის კილოთი, ხატის სახელი ახსენოს ლოცვის დროსა და იმის თასს ხელი შეახოს და იმით სასმელიც დალიოს. სხვა დედაკაცები ამ ღირსებას მოკლებულნი არიან და ლოცვის დროს სალოცავის სახელს

იშვიათად წარმოსთქვამენ. ფშავლების საერთო სალოცავები „ფშაველთ-სალოცავად“ უნდა მოიხსენიოს, სამშობლო თემის სალოცავი - მამის „სალოცავად“ და „ქმრეულთ“ თემის სალოცავი - იმ ადგილის „ბატონად“ ან ანგელოზად, რა ადგილშიაც ხატის საბრძანისია. ხატის სახელს არამოწმინდარი დედაკაცი უფრო მოწიწებით ახსენებს და არა ისე თამამად, როგორც მოწმინდარი დედაკაცი, მაგრამ ვერც ეს უკანასკნელი შეჰკადრებს ხატს, რომ თავისი პირდაპირი სალოცავი უწოდოს, „ჩემ სალოცავობით“ მოიხსენიოს, როგორც იხსენიებს მამაკაცი. მოწმინდარი დედაკაცი თავადაც ხომ „ბოსლობს“, მაგრამ სხვის ბოსელს ძალიან ერიდება. იმას თავისი საკუთარი ბოსელი აქვს, სადაც შესვლის ნება სხვა მებოსლე დედაკაცს არა აქვს. მოწმინდარებსა და ხევისბერებს ხშირად ცალკე აქვთ ქოხი გაკეთებული და იქ განმარტოებით სცხოვრებენ. ამ სახლებში შესვლა შეუძლიან მხოლოდ მამაკაცს, მოხუცებულს დედაკაცებს და პატარა ქალებს. ბოსლობის ასაკში მყოფს დედაკაცს მოწმინდარის სახლში არ შეესვლება და არც მიეკარება სახლის ბანს. ბანს, მეტადრე ფშავისხევში, ყველა წმინდად ინახავს და იქ არამც თუ მებოსლეს, ბოსლობის ასაკში მყოფს დედაკაცსაც არ გააჭაჭანებენ. ეს გარემოება ყველა ხევისბერმა იცის და ამის გამო ის უცხო სახლში არ შევა, ბანზედ ავა და იქ მიიხმობს ოჯახის წევრს. თუ ოჯახის წევრი იკისრებს ხევისბერის სახლში შეყვანასა და უთავდებებს თავისის სახლის სიწმინდეს, მაშინ ხევისბერი უარს არ ეტყვის სახლში შესვლაზედ. თუ უწმინდურს სახლში შეიყვანა ფშაველმა ხევისბერი, მაშინ იმას ხატი მოამიზეზებს და ვალდებულს გაჰხდის, რომ არაწმინდა სახლში შესვლისაგან გაუწმინდურებულს ხევისბერს ხელ-მხარი უნათლოს, საკლავი დაუკლას. ხელ-მხარის სანათლავის რიცხვი სახლის სიწმინდის ზომებზეა დამოკიდებული. თუ მელოგინეს ახლოს როგორმე გაიარა ხევისბერმა, მაშინ მელოგინის ქმარმა ცხრა ცხვარი უნდა დაუკლას; მებოსლის ახლო გავლაზედ - ერთიდგან სამი. თუ ღმერთი გაუწყრა და თვით ბოსელში შესვლა შეემთხვა, მაშინ შვიდი

ცხვარია ხელ-მხრის სანათლავად საჭირო. ამნაირი შემთხვევა ძალიან იშვიათია ფშავში. ყველა ხევისბერმა კარგად იცის ფშავლის სახლის მოწყობილობა, ბოსელი და მელოგინეს ალაგი. ის თვითონვე ერიდება და პირდაპირ ბან-ჭერხოს მიატანს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ბან-ჭერხო წმინდად აქვს შენახული ღვთისგან ოჯახის საშველად მოვლინებული ანგელოზის სავალად და სახლში სტუმრად მოსული ხევისბერისა და მოწმინდარის სადგურად. მას არამც თუ მებოსლე, თვით ბოსლობის ასაკში მყოფი დედაკაციც არ მიეკარება. მებოსლე და მელოგინე დედაკაცი ხომ თვით სახლსაც არ ეკარება.

„ივერია“, 1889. №179

IV

ყველაზედ უწმინდურად ფშაველს მიაჩნია მელოგინე დედაკაცი, მას შემდეგ „მებოსლე“ და სულ ბოლოს ბოსლობის ასაკში მყოფი დედაკაციც. მელოგინე დედაკაცი ვერ მიეკარება ვერც სახლსა და ვერც ბოსელს. მოსალოგინებლად იმას ფშაველი სახლზედ და ბოსელზედ მოშორებით ცალკე ქოხს უკეთებს და მელოგინე ორის კვირის განმავლობაში თავისის ახლად დაბადებულით ამ ქოხში ცხოვრობს. ორი კვირის შემდეგ გადასახლდება ბოსელში. თუ მელოგინის ოჯახში ხევისბერია, მაშინ მელოგინე ბოსელში რჩება ორის თვის, ან უფრო მეტ ხანის განმავლობაში. თუ ხევისბერი არა ჰყავს, მაშინ რჩება ბოსელში ერთის თვიდგან შვიდ კვირამდე. თუ მელოგინეს ხევისბერად ან მოწმინდარად ოჯახის წევრი ან ნათესავი ჰყავს, მაშინ იმასაც ხელ-მხარი უნდა უნათლოს ხატში და ამით აღუდგინოს მშობიარობისაგან შებღალული სიწმინდე. ფშავლის აზრით, მშობიარეს უწმინდურება უწევს მის მოწმინდარ ნათესავებამდე და ამის გამო ხატი მშობიარეს ვალადა სდებს ხელ-

მხარი გაუნათლოს არა თუ ხატის მუდმივ ხევისბერსა და მკითხავ-მოწმინდარებს, არამედ ისეთს დროებით მოწმინდარსა და მსახურსაცკი, როგორიც დასტურია. ხელ-მხარს ინათლავს ხევისბერი ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივის წესით: ხატში დაკლული საკლავის სისხლს წაისვამს შუბლზედ და ხელებზედ თვითონ, ხოლო დასტურებსა და სხვა დაბალხარისხოვან მოწმინდარებს ხატის თავხევისბერი წაუსვამს სისხლს შუბლზედ და მაჯებზედ. ხელ-მხარის სანათლავის დაკვლის დროსაც ხევისბერი ჩვეულებრივად ადიდებს და ამწყალობებს ხელ-მხარის გასანათლავად მსხვერპლის შემწირველს. რადგანაც „თავხევისბერი“ უფრო მახლობელია ხატისა, ამისთვის იმას ყველაზედ მეტი სიწმინდე მართებს. ხევისბრის გარდა, სხვა „მოწმინდარებს“ შორისაც განსხვავებაა სიწმინდის მხრივ, ზოგს მათგანს შეუძლიან „ხატის დარბაზს შესვლა“, ზოგს კი არა. ხევისბერსა და ხატის დარბაზში მოარულს მოწმინდარს შორეული ნათესავებიც უნათლავენ ხელ-მხარსა, ხოლო დაბალხარისხოვან მოწმინდარებსა და დასტურებს კი მარტო ახლო ნათესავები. ფშავლის ჩვეულებას და იმათს მკითხავებს ხელ-მხარის განათლვისთვის მუხლობრივ განსაზღვრული არა აქვს და არც არსებობს ისეთი მუხლი, რომელიც ნათესაობის დაშორების გამო ხელ-მხარის განათლვის მოვალეობასა სპობდეს. ფშაველმა თავისი მოვალეობა ხელ-მხარის განათლვის შესახებ კარგად იცის და რაკი იმას ეს, ბავშვის დაბადების შემდეგ აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, ამისთვის იგი მკითხავს და იმის პირით ხატის ბრძანებას არ მოულოდინებს და ხშირად თვითონვე მიჰყავს ხატთან დასაკლავად ხელ-მხარის სანათლავი მსხვერპლი. თუ ხევისბერმა და მოწმინდარმა თავი მართლა წმინდად არ შეინახა, მათ ხატი გაუწყრება, ავად გაჰხდის. ხოლო თუ ხელ-მხარი არ უნათლეს ნათესავებმა, ამ შემთხვევაში ხატი ხევისბერს არ ახდევინებს სასჯელსა. ვინც მოვალე იყო, ხელ-მხარი გაენათლა ხევისბერისთვის, იმას მოამიზეზებს და დასჯის. მოწმინდარს

დედაკაცებშიაც არის განსხვავება. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც „ხატს სიყრმიდგანვე დაუჭერია“, „დაუმონავებია“, იმათ ხალხი უწოდებს „ხატის ქალებს“. ხატის ქალს ნება არა აქვს გათხოვებისა, უქმარშვილო ბერდება, მას აკრძალული აქვს მამაკაცთან დაახლოვება და „ქმარშვილობა“, იმათ ხშირად საკუთარი სახლიცა აქვთ „განმარტოებით“, სოფელს მოშორებული. მათ სახლში დედაკაცს არა აქვს ნება იაროს. „ხატის ქალები“ ჰყავს, სხვათა შორის, თამარ მეფეს. ფშავლებს აქვთ იმათ საცხოვრებლად აშენებული სახლი ხადხევში, არტნის საზოგადოებაში და სოფელ ხუშხევას ახლოს, ტყეში. ამ სახლების გარდა, ხატის ქალებს თავიანთი მშობლების სახლის ახლოს ცალკე სახლებიცა აქვთ აშენებული. ხატის ქალი თავის ნებაზე დადის და სადაც მოისურვებს, იქ იცხოვრებს ამ სამ სადგურთაგანში. ხატის ქალები სხვა მოწმინდარ დედაკაცებზედ მაღლა სდგანან და ხატის მახლობელად ითვლებიან. მეორე რიგის მოწმინდარი ხატის დაჭერილი დედაკაცები არიან ქმარშვილიანები. მათ ქმარშვილიანობა ხატისგან აკრძალული არა აქვთ. მხოლოდ მოვალენი არიან თავიანთი სახლ-კარი და ქმარ-შვილი წმინდად შეინახონ. ხატის გამოწვევა და მკითხაობა ორივე ხარისხის მოწმინდარ დედაკაცებს შეუძლიათ. მოწმინდარი დედაკაცები და მამაკაცები, გარდა ხევისბერებისა და დარბაზს მოარული მოწმინდრებისა, არავითარ წესს არ ასრულებენ ხატის მსახურებისას, არც ხატის დღეობაში საჯაროდ და არც კერძოდ. ხატის მსახური, ლოცვისა და თაყვანისცემის ამსრულებელი, მლოცველების დამამწყალობებელი „ხატის თავხევისბერია“, ხოლო თუ იგი რაიმე მიზეზით დღეობაში ვერ დაესწრობა და მლოცველებს წესს ვერ შეუსრულებს, მაშინ ამ მოვალეობას კისრულობს ერთი დარბაზს მოარული მოწმინდართაგანი, წლოვანობით უფროსი და ხატის სამსახურში გამოცდილი და დიდხანს ნამყოფი. ხევისბერს არჩევს თვითონ ხატი. ხატი ერთ-ერთ მოწმინდართაგანს ამოარჩევს ხევისბერად, როდესაც ხევისბერი გარდაიცვლება, მკითხავი ახალ

ხევისბერს ატყობინებს ხატის სურვილს ხევისბერად ამორჩევის შესახებ. ახალი ხევისბერი ხელ-მხარს გაინათლავს და ჩაიბარებს ხევისბერის თანამდებობას. ხევისბერად არჩევს ხატი ერთ-ერთს იმ მოწმინდართაგანს, რომელიც დღეობაში ხატის დარბაზში შედიოდა. „მოწმინდარობის“ თავდაპირველი მიზეზი არის ავადმყოფობა. ავადმყოფ ფშაველს მკითხავი უცხადებს ხატის სურვილს, რომ მან ის აირჩია, „დაეპატრონა“ და უბრძანებს „იწმინდოს“. წინააღმდეგ შემთხვევაში ავადმყოფს მკითხავი ცუდს შედეგს უწინასწარმეტყველებს, მაგალითად, დასნეულებასა და სიკვდილსაც ხატის რისხვით. ფშაველი ხატის რისხვას კი ვერ იკისრებს და ისევ მოწმინდარობას ამჯობინებს. როცა მორჩება ავადმყოფობისაგან, ხელ-მხარს ინათლავს და მოწმინდარის ყველა ვალდებულების მტკიცედ შესრულებას შეუდგება. ბოლოს ზოგიერთი ამ გვარად „გაწმინდებულთაგანი“ ეღირსება ხატის მკითხაობასა და ხევისბერობას. თუმცა ხევისბერს ხატი ხშირად ირჩევს ერთი საგვარეულოდან, მაგრამ მემკვიდრეობით კი არა. ხატს რამდენიმე საგვარეულო ჰყავს ამორჩეული, რომლის ზოგიერთ წევრებსაც აწმინდებს და ბოლოს ერთ-ერთს მათგანს ხევისბერადაც ირჩევს. ხევისბერობის ჯერი და ვადა არც საგვარეულოებსა და არც მოწმინდარებს შორის დაწესებული არ არის. ხატი ერთხელ ამორჩეულ ხევისბერს აღარაფერი მიზეზით არ გადააყენებს ხევისბერობისაგან, თუ იგი ხატის მორწმუნეა, ერთგულია და მოღალატე არ არის.

ფშავლის აზრით, კაცს თავისი იღბალი, ბედის ვარსკვლავი დაბადებიდანვე თან დაჰყვება. მისი მომავალი დაბადებისდროსვე ზეცას „დამბადებელის“ წიგნში იწერება და მას ვეღარ შეცვლის, არამც თუ ფშავლის სალოცავი, არამედ თვით ყოვლის შემძლებელი ღმერთიც კი.

მას თავისი „იღბალი“, ანუ მფარველი ანგელოზი, ყველგან თან დაჰყვება. როგორც კაცნი არ არიან თანასწორნი სიცოცხლის დროს, ისე, ფშავლის აზრით, მათი იღბალიც ერთნაირი არ არის. ზოგს

მათგანს ძლიერი იღბალი აქვს და ბედნიერია, ხოლო ზოგის იღბალი სუსტია და ამგვარის იღბლის მქონე თუ სულ უბედური არა, კარგს იღბლიან კაცზედ ნაკლებად ბედნიერი მაინც არის. ხევისბერი თუმცა ხატის მახლობელი პირია და ხალხისგანაც პატივცემული, მაგრამ კარგის იღბლის მქონედ, „დავლათიან“, ბედნიერ კაცად ის მაინც არ ითვლება. ხევისბერი და მოწმინდრები ხატის „ტუსაღები“ და „მონები“ არიან. იღბალი კი კაცს ვერ ამოირჩევს თავისთვის ხევისბერად და მოწმინდრად ვერ დაამონავებს, რადგანაც მისი წინააღმდეგი და კაცის მოსარჩლე ამ შემთხვევაში ისევ კაცის იღბალია. ფშავლის აზრით, ყველა ხევისბერი, ქადაგ-მკითხავი და ყველა საზოგადოდ ხატისგან დამონავებული კაცი უიღბლოა და თავისუფალ ხალხზედ ნაკლებ ბედნიერი.

ხევისბერს გარდა, „დასტურიც“ ხატის „მსახურია“. დასტური ხატს ორი ჰყავს. დასტურობა საყოველთაო სავალდებულო სამსახურია და მოჰყვება ჯერით კომლის ანგარიშზედ. თითო კომლის ოჯახის ერთი რომელიმე წევრი მოვალეა, როცა ჯერით „მიერგება“ დასტურობა, წავიდეს ხატის საბრძანებელში და იდასტუროს. დასტური ხევისბრის ხელქვეითია და მას ემორჩილება. დასტურის მოვალეობაა უყარაულოს ხატის საბრძანისაა, მის „თას-განძსა“ და ყველა შენობებს; მას ევალება მომზადება ლუდისა ხატის დღეობისთვის, გალეწვა ხატის ძნისა, მოვლა ხატისა და სხვ. დასტურობის ვადა ერთი წელიწადია: იმათს ამორჩევაში ხატი და მკითხავი არ ერევიან და არც კაცის იღბლიანობას და უიღბლობას აქვს რაიმე მნიშნელობა ამ შემთხვევაში. როდესაც დასტურობის ჯერი მიერგება რომელსამე გვარს, ყველა წევრნი გვარისა „ხატს საერთოდ გაიკითხავენ“. უმცროსიდგან უნდა დაიწყოს საგვარეულომ დასტურობა, თუ უფროსიდგან - ამას ხატი უბრძანებს მკითხავის პირით. ფშაველიც ამ ბრძანებას ემორჩილება. ხევისბერსა და დასტურს არავითარი ჯამაგირი და ჯილდო არ ეძლევა ხალხისაგან. მათი შესავალია

მხოლოდ დღეობაში დაკლულის ცხვრის „მხარ-ტყავი“ და ქადის ნაჭრები.

ძველს დროში უფრო გავლენიანი და ძლიერი ყოფილა ხევისბერი, ვიდრე ახლა. ამის მიზეზს ცხადად დავინახავთ, თუ სახეში ვიქონიებთ, რომ ძველ დროში ხევისბერის სამოქმედო ასპარეზი უფრო ფართო და მტკიცე იყო, ვიდრე ახლა. ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ ფშავლის უძლიერესის სალოცავის მედროშე „თავხევისბერი“, „მკადრე“, იყო წინამძღვარი ლაშქრისა, რომელსაც სამღვთო სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ფშავლისთვის და დიდად პატივსაცემ და გავლენის მქონებლად ჰხდიდა ფშავლის თვალში.

დროშა ყველა სალოცავისა და მათ შორის ლაშარის ჯვარისა უწმინდესი საგანია, ფშავლის აზრით, და იმის ხელში დაჭერა და ხელის მიკარება არავის შეეძლო, ხევისბერის გარდა.

როდესაც საქართველოს საზოგადოდ და მის განაპირა ადგილებს, მათ შორის ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთსაც, მაჰმადიან მეზობლისაგან ათასი უბედურება დაატყდათ თავზედ და, სხვათა შორის, შეამცირა სასულიერო წოდების ხალხზედ გავლენა, მაშინ ხალხმა ხევისბერის მეთაურობით გასაოცარის სიმტკიცით გაუწია წინააღმდეგობა ლეკებსა და დაღესტნელ[5] ქისტებს, რომლებიც ყველგან და ყოველთვის ქრისტეს სარწმუნოების აღმოფხვრასა და მაჰმადიანობის გავრცელებასა სცდილობდნენ. ხევისბერების ხატის მსახურებაში ქრისტიანული კვალი თუმცა ცოტაა და შეიძლება ძველს დროში უფრო ცოტაც ყოფილიყოს, მაგრამ ხევისბერი ფშავლებთან ერთად ალღოთი მაინც ქრისტიანი იყო და ყველა „ურჯულო“ მაჰმადიანი თავის სამშობლოს და სარწმუნოების დაუძინებელ მტრად მიაჩნდა და მიაჩნია დღესაც. ფშავლის ხევისბერი არც ერთს სამღვდელმოქმედო წესს არ ასრულებს. იმისი სარწმუნოებრივი წესების ასრულება სრულად არ ეხება ეკლესიას.

[5] დედანში ეს სიტყვა („დაღესტნელ“) ზედმეტია, რადგან დაღესტანში ქისტები არ ცხოვრობენ (ხ. მ.).

ხევისბერი და საზოგადოდ ფშავლები საეკლესიო წესებსა და მღვდელს პატივისცემით ეპყრობიან და არც ისე იშვიათად დაიარებიან ეკლესიაში ღვთის მსახურების მოსასმენად, როგორც ეს ზოგიერთებსა ჰგონიათ. მაგრამ ეკლესიაში ლოცვა, ფშავლის აზრით, საკმარისი არ არის მისთვის. თავისი საერთო სალოცავი ამას არ გაუთვლის“. იმას შეუძლიან ეკლესიაში ლოცვა, მაგრამ ეს ვერ განათავისუფლებს იმ მოვალეობისგან, რაც იმას თავისმა საერთო სალოცავებმა წესად დაუდეს. ზევით მოხსენებული იყო, რომ ფშავლებს თავისი ხატის შესახებ აქვთ ზეპირი თქმულება, რომელიც შეეხება იმათ ხატების „ხორციელად ყოფნის“ დროსაო და თვით ზოგიერთი თქმულებაც სანიმუშოდ მოვიყვანეთ. ახლა მოვიხსენიებ კიდევ რამდენიმე თქმულებას, რომელიც შეეხება ხატის ხორციელობიდგან გადასვლასა და სულ წმინდანად გადაქცევას, როდესაც ხატმა თავდაპირველად „თავი იჩინა“ და სასწაულთმოქმედება ჰქმნა. რადგანაც ლაშარის ჯვრისა, კოპალასი და თამარ მეფის ამქვეყნიური მოღვაწეობის შესახებ თქმულობა, იმათის სალოცავების მოწყობილობა უკვე ავწერე, ამისთვის გარდმოცემასაც ისევ ამ სალოცავების შესახებ გაგონილს მოვიყვან. წინათვე უნდა აღვიარო, რომ ეს გადმოცემები სრული არ იქნება, რადგანაც ღონისძიება არა მქონდა ყველგან გამომეკითხა დაწვრილებით და შემეკრიბა ვრცელი ცნობები, მაგრამ რაც ვიპოვე, ისიც საკმარისია ფშავლის სალოცავების წარსულისა და თვითშეფასების იმ დროინდელ სარწმუნოებრივი მდგომარეობის დასასურათებლად.

ღელის გორზედ, სადაც ფშავლებს თამარ-მეფის სალოცავი აქვთ, ძველ დროში, მანამდის სალოცავი „თავს იჩენდა“, გაბიდაურების თემის ფშავლებს უცხოვრიათ და ეს გორი თავის მთა-ბარიანად ამ თემის საკუთრება ყოფილა. როდესაც ამ გორაზედ თამარ-მეფეს „თავი უჩენია“, ეს ხალხი გაბიდაურების სხვა სოფელში, სახელდობრ ხოშარაში, გადაუსახლებიათ. აი, ეს როგორ მომხდარა:

სალოცავის გამოჩენა გაბიდაურების დედაკაცის, სახელად სანათას, „უნარი“ ყოფილა. თავდაპირველად იმას დაუწყია იმ ადგილში, სადაც ეხლა სალოცავია, სანთლის დანთება და თამარ მეფის ხევისბერულად დიდება, ურჩევია იქ მაცხოვრებელ ფშავლებისათვის სხვაგან გადასახლება და იმ ადგილის დათმობა თამარ მეფისთვის. ფშავლებს სანათას რჩევა არ დაუჯერებიათ და არც გადასახლებულან. თამარ მეფე ამის გამო განრისხებულა იმათზედ, ერთმანეთი ირმებად მოუჩვენებია და მშვილდ-ისრით ამოუჟლეტნია. მაინც რამდენიმე კომლი ამ სასწაულის შემდეგაც გამაგრებულა, არ გადასახლებულა. იმათ უთქვამთ, რომ სანამდის გასალეწად გაშლილს კალოს თავის თავად ცეცხლი არა აჩნდება, ფიწლის ტოტებზედა და ხარის რქებზედ კელაპტრის ალივით ცეცხლი არ გამოჩნდება, არ გადავსახლდებით აქედანო. ამ ურწმუნოთათვის თამარ მეფეს, ფშავლების სიტყვით, ეს სასწაულიც მოუვლენია და შემდეგ იძულებული გამხდარან გადასახლებულიყვნენ. ახლა ღელის გორზედ, სალოცავის მოშორებით, მარტო მისრიაანთ გვარი ცხოვრობს. მისრიანნი ჩამომავლობით ხევსურები არიან, გვარად ჯალაბაურნი. იმათგანი წინაპარნი თავის სამშობლოდამ გადმოსახლებულან, თამარ მეფეს შეჰბარებიან და დღესაც თამარ მეფის ნება დართვითა და იმისის მფარველობით სცხოვრობენ ღელის გორზედ. მისრიაანთ გვარიდგან თითო კაცი თამარ მეფის ცხვარსა ჰყავს მწყემსად მიჩემებული. ჯალაბაურებს უცხოვრიათ პირიქით ხევსურეთში, არღუნის ხეობაზედ. იმათი სახლის ნანგრევი დღესაც კარგად მოჩანს სოფელ შატილის ახლოს. ის სახლი ფშავლებს დაუნგრევიათ და ჯალაბაურის გვარი ამოუწყვეტიათ, მხოლოდ ერთი გადარჩენილა, გაჰქცევია ფშავლებს, შემდეგში შერიგებია და, ზოგის თქმით, თვითონაც ფშავლის ხატებს შეჰბარებია. ფშავლებსა და ჯალაბაურთ შორის მტრობა ყოფილა. ისინი ფშავლების მტრების ქისტების მომხრეები ყოფილან და იმათს მეკობრობაში ფშავლების წინააღმდეგ იმათაც მონაწილეობა მიუღიათ. ესა ყოფილა მიზეზი

ჯალაბაურთ ამოწყვეტისა. ჯალაბაურთ ალაგი, სადაც მათი ციხეები და სახლები არის, ისეთი მიუდგომელი ალაგია, რომ თუ ხერხით არა, იქ პირდაპირ საომრად მისვლა შეუძლებელი ყოფილა. ამის გამო ფშავლებსაც ხერხი უხმარიათ და ჯალაბაურების გვარი ღალატით ამოუწყვეტიათ. ჯალაბაურთან მტრობა ფშავლებს დიდი ხანი ჰქონიათ. იმისი დამორჩილება ადვილი არ იყო, რაგდან ჯალაბაურების გვარი რიცხვით ფშავლებზედ ნაკლებნი არ იყვნენ და სცხოვრობდნენ მდინარე არღუნისა და სიმურის ხეობაზედ,[6] მიუდგომელს კლდეებში. ფშავლებს იმათზედ გალაშქრება არაერთხელ დასჭირვებიათ.

> თათარას ჯალაბაურის შვილს ყამარისძე ჰქვიანო,
> ქავს გარეთ ციხე ააგო, კუთხს ირმის რქანი ჰკვრიანო.
> გადაემტერა ფშავლებსა, ჭკვა მაგას არა ჰქვიანო,
> მისცვივდეს ფშავლის შვილები, ცხოვრებას აუშლიანო;
> იმის ქავსა და ციხესა სიმურში გადაჰყრიანო.

ჯალაბაურების მტრობა და კადნიერება იქამდე მივიდა, რომ ფშავლების გასაჯავრებლად და დასამცირებლად იმათ ერთი დიდი რკინის ბორკილი გააკეთებინეს, ვითომდა ლაშარის ჯვარის დასაბმელადა. ამნაირის კადნიერებით განრისხებულმა ლაშარის ჯვარმაც მოამიზეზა, დასაჯა ჯალაბაურები და ხსენებული ბორკილი თავისის ხელით მოატანინა ლაშარს, სადაც ინახება იგი დღეს აქამომდე.

„ივერია“, 1889, №183

[6] სიმურის ხეობა: ამ სახელწოდების ხეობა ხევსურეთში არ გვხვდება (ხ. მ).

V

ლაშარის ჯვარისა და მის ყმათ მტრების - ჯალაბაურების - ამოსაწყვეტად, როგორც ზეპირგადმოცემა და ლექსები მოგვითხრობენ, ფშავლებს შემდეგი ხერხი უხმარიათ. პირიქით ხევსურეთში უცხოვრია ხევსურს, რომელსაც სახელად რქმევია საგინა. ეს საგინა ჯალაბაურების სიძე ყოფილა, მაგრამ ჯალაბაურებს, ამის მიუხედავად, საგინა დაბრიყვებული და დაჩობოტებული ჰყოლიათ, როგორც ძლიერ გამრავლებულსა და თავაგდებულს საგვარეულოს. თვითონ საგინა დედისერთა და ხელმარტო კაცი ყოფილა და ამის გამო თავის მჩაგვრელ ჯალაბაურებისთვის ვერაფერი წინააღმდეგობა ვერ უწევია, მხოლოდ ჯავრი ჰქონია გულში ჩანერგილი და შემთხვევასა ჰლოდნია სამაგიეროს გადასახდელად. ფშავლებს, თუ დავერწმუნებით იმათ ზეპირთქმულებას, ამით უსარგებლიათ; იმათ საგინასთან მოულაპარაკნიათ და გადაუწყვეტიათ, რომ ჯალაბაურებისთვის საგინას წვეულება გაემართა და ვითომდა იმისთვის, რომ ჯალაბაურებმა საგინას კეთილის თვალით შეხედონ და აღარ დაჩაგრონ. ნამდვილი მიზეზი კი წვეულების გამართვისა ისა ყოფილა, რომ საგინას ნაწვევ ჯალაბაურებს მათსავე ციხე-დარბაზში თავი მოეყარა წვეულებაზედ. ამ დროს ფშავლები დასცემიყვნენ და ამოეწყვიტათ სრულიად. ჯალაბაურების ამოწყვეტის შემდეგ საგინაც უნდა გიორგწმინდიდან ფშავში გადმოსახლებულიყო, რადგანაც ჯალაბაურების მომხრე მითხოელი და სხვა ქისტები და აგრეთვე თვით ჯალაბაური ნათესავები, ხევსურეთში გაბნეულები, საგინას იქ ცოცხალს აღარ გაუშვებდნენ. დამდგარა გაზაფხული და მანამდისინ მთაზედ გზა გაშრებოდა და ფშავლებს იმ მხარეზედ მისვლა-მოსვლა ექნებოდათ, საგინა შესდგომია წვეულებისათვის საჭირო ლუდის მზადებას და თანაც გუთანი შეუბამს და ხვნა დაუწყია, რომ გადასახლებისათვის მზადება ჯალაბაურებს არ შეეტყოთ და ან ეჭვი არ აეღოთ. მხოლოდ

ნახნავზედ თესლის მაგიერ ქვიშა უთესნია, რომ თესლი ტყუილად არ დაებნია, რადგანაც თვითონ ფშავში გადასახლება ჰქონია განზრახული.

საგინას გიორწმინდელსა
კაცი ვერა სჯობ ჭკვითაო,
ყანა ხნა გიორწმინდასა,
თესლად დათესა ქვიშაო.

საგინას მოუმზადებია წვეულებისთვის ყველა საჭირო ხორაგი და სასმელი და შემდეგ წვეულებაც გაუმართავს ჯალაბაურების ციხე-სიმაგრეშივე არღუნის ხეობაზედ. თვით ამ წვეულებასა და ფშავლების გალაშქრებას ხალხური ლექსი ასე მოგვითხრობს:

საგინამ გიორწმინდელმა
ლუდი ადუღა სვიანი;
იწივნა ჯალაბაურნი,
მამით შვილამდე მტრიანნი;
ორშაბათ დილით მოუვლენ
სამოცდასამნი ხმლიანნი;
მოჰყვება დედაკაცები,
ქალი და რძალი თმიანი.
რამ დააფერა ერთურთსა?
სუყველა ნამუსიანი!
თასთმრიგე წამააყენეს
სამოცში დავლათიანი,
ორნ დაუყენნეს გვერდითა
იმ მხარზე ზინზილიანნი;
მხარზედა დროშებ ასხავის,
ციდან ჩამოდის ქრიალი.
ხალხ დასვეს, წამაურიგეს
ჯერ ლუდი შარბათიანი;
მემრ ღვინო ჩამააყოლეს,
ღვინოა დედის რძიანი.
იმ დროს მისცვივდა ფშავლები,
ფშავლები ღალატიანი.

მიუძღვა ნაკვეთაური,
ხმლიანი, ვადა ცვრიანი.
წინ-წინ საგინა იკითხა:
„დღე გაგვითენდა მზიანი!“
წინ-წინ თასთმრიგეს დაუკრა
ისარ არწივის ფთიანი.
მემრე დაჰრიგეს ისრები,
დადგა მშვილდების ძგრიალი;
გაქანდა წყალი სისხლისი,
დარჩა ქავ-ციხე ტიალი!
ერთი ძმა დარჩა დასთანა,
ეგეც ხომ ბეჩავი არი:
მოდი ე მაგას ნუ მოვკლავთ,
ბეგარ დავადვათ ცხვრიანი.
ჩვენთან წამოდი, საგინავ,
ადგილ ჩვენცა გვაქ მთიანი;
ჩვენშიაც ხნავის[7] გუთანი,
ხარი გვიბია რქიანი!
გამყოფებთ ჯიგრაულთასა,
ქერ მოდის ჩარათიანი.
საგინავ, შენამც გექნება
შვილები დავლათიანი,
შამოხდეს ლაშარის გორსა,
მიწა დაკმიჭოს მტვრიანი.
საგინავ, შენავ მოგწონდეს
ხალხშია დავლათიანი,
ლაშარს რომ ჯალანდარია,
იმისად ნადებიარი.

როგორც ამ ლექსიდგანა სჩანს, ჯალაბაურები ფშავლებს სულ ამოუწყვეტიათ, ერთს გარდა, რომელიც საგინა გიორწმინდელის წვეულებაზედ არ დასწრებია, იმ დროს გათხოვილს დასთან ყოფილა სტუმრად წასული და გადარჩენილა.

[7] დედანში არის: „ჩვენშიაც ხნავის“. ტ. მახაურის აზრით, უნდა იყოს „ჩვენთანაც ხნავის“

საგინა ცოლ-შვილითურთ გადმოსახლებულა ფშავში და დასახლებულა სოფელს ჯიგრაულთას. გაჰფიცებია ფშავლებს ლაშარს[8], ჩარიცხულა გოგოლაურების თემში და აგრეთვე ამ თემსაც „გაჰფიცებია“. საგინას ჩამომავლობანი დღესაც ზოგიერთები ჯიგრაულთაშივე ცხოვრობენ, შუაფხოს სამამასახლისოში, ხოლო სხვები სოფელს ალაჭანში და წიკვლიაანთკარში, ზემო თიანეთის სამამასახლისოში, ეკუთვნიან ისევ გოგოლაურების თემსა და იწოდებიან გორგიაშვილებად. გორგიაშვილები გიორგწმინდას, ხევსურეთში, მხოლოდ ხანდახან დაიარებიან საგინას ხატის სალოცავად და მსხვერპლის შესაწირავად. „ასისა ერთი ბეჩავისგან“, რომელიც საგინასა და ფშავლების ღალატს გადარჩა, ჯალაბაურები კვლავ გამრავლდნენ, ცხოვრობდნენ სოფელ შატილში, ხევსურეთს, და მთიულეთში, მაგრამ ლაშარისა და იმის მტრებს მას შემდეგ მტრობას ვეღარ უბედავდნენ. ჯალაბაურების „ქავ-ციხეების“ ნანგრევები, სადაც ფშავლებს ისინი ამოუწყვეტიათ, დღესაც მოჩანს მდინარე არღუნის მარჯვენა მხარეზედ, მაღლა კლდის წვერზედ, სოფელ შატილს აქეთ. ხალხური გადმოცემა მხოლოდ იმას მოგვითხრობს, რომ მისრიაანი და ჯალაბაურები ერთის მამის ჩამომავლობანი არიანო. მისრიანი, როგორც უმმო-უმამისმმო კაცნი, ფშავში თამარ მეფეს შეხიზვნიან, იმის მფარველობის ქვეშ იმყოფებიანო, მაგრამ საიდგან და როდის გადმოსახლებულან ფშავში, ამაზედ ხალხური თქმულება არაფერს ამბობს.

საყურადღებოა ხალხური თქმულება მისრიანთ მამათმთავარის მისრიას საქართველოში მოსვლის შესახებ. მისრია მისრეთელი ყოფილა და იქიდგან საქართველოში გადმოსახლებულა თამარ მეფის დროს. აი, ეს როგორ მომხდარა: თამარ მეფეს მტერზედ გაულაშქრნია, როდესაც ქართველი ჯარი და იმათი მოპირდაპირე ჯარი ერთმანეთს ახლო ყოფილან დაბანაკებულები. მტრის ბანაკიდგან ქართველებისაში გადმოსულა ერთი მისრელი კაცი, დაუწყია ჯარ-ჯარ სიარული და ძახილი: ხმალი მაქვს გასასყიდი,

[8] ლაშარს: ლაშარის ჯვარში (ტ. მ.).

ვის გინდათ იყიდოთო. რადგანაც მისრელ კაცს ხმალი არც ხელში სჭერია და არც წელზედა ჰქონია შებმული, ჯარისკაცებს სასაცილოდ აუგდიათ, რა ხმალი, სადა გაქვს ხმალი, ხომ არ გაგიჟებულხარო. მაშინ მისრელს ჯიბიდან ამოუღია დარგოლებული და თასმით შეკრული ხმალი, გადაუხსნია თასმა და ხმალი თავისთავად გაშლილა, გასწორებულა, როგორც ლარი. იმ საკვირველის ხმლის ამბავსა და ქებას თამარ მეფემდე მიუღწევია. მეფეს დაუბარებია ხმალი და ხმლის პატრონი. უკითხნია, ვისი ნაოსტატარიაო და როცა შეუტყვია, რომ ხმალი იმ მისრელის კაცის ნაოსტატარი ყოფილა, რომელსაც ის გასაყიდად ქართველთა ჯარში მიუტანია, მისრელი კაცი თავისთან დაუბარებია მჭედლად და სახელად იმისთვის „მისრია“ დაურქმევია, რადგანაც მისრეთელი ყოფილა. მისრიას ჩამომავლობის ფშავლები დღესაც მისრიაშვილებად იწოდებიან და იმათს გვარში თითო კაცი უეჭველად მჭედელი უნდა იყოს. მჭედლობის ხელობის შესწავლას მისრიაანთ გვარის წევრს ჩვენს დროში თამარ მეფე უბრძანებს მკითხავის პირით. მჭედლობასაც თავის გვარის მჭედლისგანვე სწავლობენ და სხვაგან, სხვის გვარის ოსტატისგან მჭედლობის სწავლა ხატისგან აკრძალული აქვს. მისრიაშვილების მამათმთავარი გამოჩენილი მჭედელი ყოფილა, მაგრამ იმისი ჩამომავლობის მჭედელი კი ფშავლების სხვა მჭედლებისგან არაფრით გაირჩვა. მისრიაანთ სამსახური თამარ მეფისა დღეს იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მათგანი, დარჩია მისრიაშვილი, ხატის (თამარ მეფის) მეცხვარეა, ხოლო მეორე, სახელდობრ, გადიდა მისრიაშვილი მჭედელია და ორივენი მოწმინდარები და ხატის მახლობლები არიან.

ლაშარის ჯვარს, როგორც ფშაველი ამბობს, „სხვის ყმობა“, მონობა არ მოუდის და არავის არ აყმობდა თავის „ყმათა“, გარდა ხელმწიფისა, თვითონაც ხომ „ხელმწიფე ლაშარის ჯვარად“ იხსენიება ხევისბერებისაგანა და იმისი ლაშქართ მფარველობა-მორიგეობა თითქმის ხელმწიფის იდეალიც არის. თუ რომ ბარის

კაცი ბარიდგან ბატონის უღელს გაექცეოდა, ფშავში მიდიოდა და ლაშარის ჯვარს ეყმობოდა და შეეხიზნებოდა, მაშინ ფშავლები ბატონს იმ ყმას არა შემთხვევაში არ დაუბრუნებდნენ. გაფიცვის შემდეგ ბატონის ნაყმევიც ფშავლის ხატის ყმად ითვლებოდა, ერთ-ერთის თემის წევრად, იმას ხატი ბატონთან დაბრუნების ნებას აღარ აძლევდა და ხალხიც, თუ ბატონიც ყმის დასაბრუნებლად ძალას მოიხმარებდა, იარაღით წინააღმდეგობას უწევდა. საზოგადოდ, ვინც ფშავლებს გადამტერებია, ანუ იმათ თავისუფლებას შეჰხებია, იმათი მტერი ლაშარის ჯვრის მტრად უღიარებიათ და ყველა მტერთან გაწეული წინააღმდეგობა და ომი ლაშარის ჯვრის სახელით მომხდარა და საღმთო ხასიათი ჰქონია. ამას აშკარად ამტკიცებენ როგორც დღევანდელი ფშავლები, ისე იმათში დარჩენილი ზეპირთქმულებანი ჯალაბაურებთან, არხოტელ ხევსურებთან, წოვა თუშებთან და ბოლოს ზურაბ ერისთავთან მტრობისა და ბრძოლისა. ბოლოს ფშავლებსა და ლაშარის ჯვარს ყველა ესენი შერიგებიან, ნიშნად შერიგებისა და ლაშარის ჯვარის წამებისა[9] ყველა მათგანს რაიმე ნიშანი დაუტოვებია ლაშარის ჯვრის სალოცავში, რომლებიც დაცულია დღეს აქამომდე და რომლებითაც ფშაველი ახლაც თავს იწონებს. ეს ნიშნები არის ჯალაბაურთ ჯალანდარი ანუ ბორკილი, ზურაბ არაგვის ერისთავისგან შეწირული ზარი, ხევსურებისა და თუშებისგან ჩადგმული ქვის სამანი, რომელიც საღვთო ნიშანია ერთმანეთის ერთგულებაზედ და ძმობა-სიყვარულზედ დადებული ფიცისა და აღთქმისა. თვით ეს ფიცი და სამანის ჩადგმა აი, როგორ მომხდარა. სოფელ ხოშარაში, ლაშარის ჯვრის ნიშანი „დღეობა“ ანუ ჯვარობა ყოფილა; იქა ყოფილან შეკრებილი სალოცავად მისული ფშავლები. ეს მომხდარა იმ დროს, როდესაც ფშავლები და არხოტელები ერთმანეთის მტრები ყოფილან. არხოტელები მლოცავ ხალხს მიჰპარვიან იმ განზრახვით, რომ ამოეხოცათ, მაგრამ ლაშარის ჯვრის თავხევისბერს - ფოცხვერა მახინცაურს - მალე შეუტყვია

[9] წამებისა: იგულისხმება „რწმენისა“ (ტ. მ.).

არხოტელების მიპარვა და „შიგ დარჩეული“ ბიჭები გაუგზავნია მათ შესაპყრობად. არხოტელები ცოტანი ყოფილან, სულ თოთხმეტი კაცი. ამის გამო ფოცხვერას გაგზავნილ ფშავლებს ყველა ისინი ადვილად შეუპყრიათ და მიულალიათ ფოცხვერასათვის, იარაღ ჩამორთმეულები. ტყვეებს ფოცხვერა გაჰმასპინძლებია, ამ ნადიმში აუღია ფანდური და შემდეგი ლექსი დაუმღერია ფანდურზედ არხოტელებისთვის:

ფოცხვერას მახინცაურსა
ჩავლა სწადიან გზისაო;
ახიელს ჩასვლა სწადიან,
ჟღერება დროშაისაო;
გატეხა გაუტეხლისა
ჯაბახად ქავ-ციხისაო;
ცოლად წაყვანა სწადიან
ქალისა განძაისაო;
წელზედ შემორტყმა სწადიან
ჯიგრაულაის ხმლისაო.

არხოტელთ წინამძღვარს თოთაიშვილს გამოურთმევია ფანდური და ფოცხვერას საპასუხოდ შემდეგი ლექსი უმღერია:

აქით ნუ მექად, ფოცხვერავ,
ჩამოუძღოდი მზირსაო.
ცხვარ-ძროხან არსად წამისხნე
ცირცლოვან კილდის ძირსაო;
არსად ჩამისვა მალული
დეკიანს წვერის პირასო!
ვაჟები არხოტელები
არ იძინებენ ძილსაო;
მოგდევდეს თოთაიშვილი
ქარსლაი პერანგითაო,
გესრიდეს თათრისეულსა,
ჭეხა გეგონოს ცისაო;

წელთ გერტყას ჯიგრაულაი,
ფიქრ არა ჰქონდეს მტრისაო.

ფშავლებს თოთაიშვილის ლექსი ფოცხვერას პასუხად ნათქვამი შეურაცხებად მიუღიათ, უთქვამთ: ამათ ცოცხლებს ნუღარ გაუშვებთო, მიუწევნიათ იმათკენ იარაღით, მაგრამ ამ დროს ფოცხვერა ჩასდგომია შუაში, თოთაიშვილისათვის ქუდი მოუხდია, თავისი ქუდი დაუხურნია მისთვის და ამნაირად გაჯავრებული ფშავლები შეუყენებია. ფოცხვერას ქუდდახურულ ხევსურებისთვის ხელის შეხება აღარ შეეძლოთ ფშავლებს, რადგანაც ამ შემთხვევაში მტრობა ისპობა ხალხის ჩვეულებისამებრ და ამის გამო კიდევ რაიმემტრობის და ღალატის გაწევა ხომ ჩვეულების წინააღმდეგი იქნებოდა. დამშვიდებულს ფშავლებსა და ხევსურებს ერთმანეთისათვის ერთგულებაზედ შეუფიცნიათ. ამას გარდა, ხევსურებს აღთქმა მიუციათ ლაშარის ჯვარისთვის დროგამოშვებით ლოცვისა და მსხვერპლის შეწირვისა. ამ შემთხვევის გამო თორმეტი ხარი და თორმეტი ცხვარი არხოტელებს მაშინვე დაუკლავთ ლაშარს. ყველა ამის სახსოვრად და ნიშნად მაშინვე ჩაუდგამთ სამანი ლაშარის გორზედ. თავის წინაპართ აღთქმას არხოტელები დღესაც მტკიცედ ასრულებენ.

„ივერია“, 1989. №211

VI

წოვა თუშებიც ძველ დროში ფშავლების მტრები ყოფილან. ამათ მეკობარსა და ჯარს ულაშქრავ-ურბევია ფშავის ხევის მცხოვრები და უძარცვავს იმათი სალოცავები:

თუშთა ქნეს საღვთო წოვათა,
საღმერთოდ დაკლეს ხარიო;

ღმერთო, შენ ჩაგვასწავლნოდი
სახოშარონი გზანიო! და სხვ...

თუშების „ჯარმა“, სხვათა შორის, ხოშარაც აიკლო, მაგრამ ეს აკლება თვითონ თუშებსაც ძვირად დასჯდომიათ. ხოშარელებს დროზე მიშველებიან სხვა ფშავლებიც და თუშები სრულიად ამოუწყვეტიათ, მხოლოდ ერთიღა გადარჩენილა ფშავლების ისრებსა და ხმალს, სახელდობრ, წინამძღვარი მათი დავით თილისძე[10], თილისძე მისულა თუშეთში მარტოკა და თავისებს ასე უამბობს ამ სამწუხარო ამბავს:

მე კი მოგივედ, დედაო,
სხვა ბევრი ვერ მოდიოდა;
დაგვლია ხოშარის გორმა,
იქ წყლის არ გამოდენამა,
იწრო იწრომა ხევებმა,
ფშავლების მოკლედ დენამა
და სხვ...

ხოშარის გორის უწყლობასა, ვიწრო ხევებსა და ფშავლების მოკლედ დენას სამართლიანად სთვლის თილისძე თუშების ამოწყვეტის მიზეზად; ხოშარის გორი მართლა უწყლოა და როგორც ამბობენ ფშავლები, ეს გარემოება კარგა გამოუყენებიათ იმათ მამა-პაპებს. ხოშარელების საშველად მისულს ფშავლებს თუშები ხოშარის გორზედ მოუმწყვდევიათ და იქ უხოციათ;

ამ ომში სახელი გაუთქვამს სუმელჯი წოწკურაულსა, რომელსაც არწივის ფრთიანის ისრებით უომნია.

მოაწყვნა ისრის ქოჯონი
ლაღის არწივის ფრთიანნი.

[10] ამ ლექსის სხვა ვარიანტებში თუშების წინამძღოლად გიორგი თილისძე ხსენდება (ხ. მ.).

ამ ომს ჭიჩოელს ორს, ობოლსა და დათვიას, სანათაურს ასე დაჰმუქრებიან თუშები:

-დათვიავ, სანათაურო,
ჩიქილამც გხურავ ქალისა,
თუშთ სამუქაროდ ნაგები
ციხე სადა გაქვ თავისა?!
-არ მინდა ციხე მაგარი,
იმედი მაქვის მკლავისა.

შეუთვლია პასუხად დათვიას. შინ დაბრუნებული წინამძღვარი თუშების ჯარისა თილისძე ასე შესჩივის თუშებს დაგვლივნაო:

წოწკურაულის ისარმა,
სანათაურის ენამა!
ჭიჩოთ მოსულთა ობოლთა
იმათ სახელისდებამა!

„ჭიჩოთ მოსულთ ობოლთ სახელისდება“ თურმე იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი რამდენს ისარსაც მიარტყამდნენ მტერს, თან მიაძახებდნენ: „ჭიჩოთ მოსულის ობლისა იყო ეგაო“.

თუშების ფშავში ჯარად და მეკობრად სიარულის შესახებ ბევრი სხვაც არის მოთხრობილი ლექსად თუ პროზად, მაგრამ ყველა იმათ ჩამოთვლას მე აქ არ გამოვუდგები. ვიკმარებ მხოლოდ ხოშარის აოხრებისა და იქ თუშების დამარცხების ამბავს, რადგანაც ესა ყოფილა, ხალხის თქმით, მიზეზი ფშავლებისა და თუშების ერთმანეთში მორიგებისა, გაფიცებისა და შემდეგიდგან დაწყებულა მხოლოდ მლოცავის თუშთ მოდენა ლაშარსა და მისცემია იმათაც საჯარე. თუშები ხოშარაში დამარცხების გამო სასოწარკვეთილებაში ჩაცვივნულან და ფშავლებიც ამაზე ასე დასციანიან:

ატირდნენ თუშის ქალები,
აღარ მოგვივა ქმარები;

რა ვუყოთ იმათ ცხენებსა,
რით დავუჭიროთ თავები.
ზოგთა თქვეს: გომში შევრეკოთ,
წელთით დავკეტოთ კარები!
ზოგთა თქვეს: ტყეში გავუშვათ
 დაგალონ ნალ-ლურსმანები;
ზოგთა თქვეს: უკუღმ დავკაზმოთ,
ზედაც ჩვენ შევსხდეთ ქალები;
ზოგთა თქვეს: კახეთს ჩავიდეთ
და იქ შავირთოთ ქმარები!

შემდეგ თუშებს გადაუწყვეტიათ ფშავლებთან შერიგება და მოციქულად ფშავში გაუგზავნიათ თუშების ჯარის წინამძღვრად ნამყოფი თილისძე და სამხვეწროდ გაუტანებიათ „ხარ-ცხვარი“. თილისძე პირდაპირ ლაშარს მისულა დღეობაში, როდესაც ფშავლები იქ სალოცავადა ყოფილან თავმოყრილები; თუ არ ხატობაში, სხვა დროს ფშავში მისვლას თილისძე ძნელად გაჰბედავდა; ფშავლები ცოცხალს არ გაუშვებდნენ, რადგანაც იმათმა ჯარმა არც ფშავლის წმინდა ხატის სალუდე ქვაბები დაინდო და არც შეიბრალა ხოშარელი უსუსური „დიაც-ყმაწვილი“, რომლებიც შერეკეს შემოღობილში და ცხენებით ისე გალეწეს, როგორც კალო. აღელვებული ფშავლები თილისძეს გარს შემოჰხვევიან და ასე უთქვამთ:

ძაღლო, აქ არ მოგევალის,
დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალიო;
დასწვი, დასდაგე ხოშარა,
ცამდი აუშვი ალიო;
შეჰყარე დიაც-ყმაწვილი,
კალოდ გალეწე მკვდარიო.
ნაკვეთაურის ჭერხოსა
შენ შაჰხსენ რკინის კარიო;
სალუდე დამჭერ ქობები,
ღმერთს მისდიოდა ჩქამიო.

აღელვებულს ფშავლებს თილისძე ამშვიდებს, ჰპირდება შერიგებასა და მტრის წინააღმდეგ შემწეობას. ხოლო პირველი სათხოვარი იმის ის არის, რომ დააცალონ და ალოცონ ჯვარი, რადგან მარტო ფშავლებისგან კი არა თხოულობს შენდობას, იმათს ხატსაც შენდობასა სთხოვს იმის სალოცავადა და მსხვერპლის შესაწირავადაც არის მოსული და მოუყვანია სამხვეწროდ თეთრი ქორაი ხარი:

დაიცათ, ლაღნო ფშაველნო,
მალოცეთ თქვენი ჯვარიო.
სამხვეწროდ მამიყვანია
თეთრი ქორაი ხარიო.
ზოგ გავარიგოთ მაშინა,
როცა გამოვლენ მთანიო;
ვინ ედგეს მტერსა ახლოსა,
ვის უფრო სჭრიდეს ხმალიო.

თუშები და ფშავლები თილისძემ შეარიგა. იმის შემდეგ თუშებმაც ლაშარის ჯვარის სალოცავად სიარული დაიწყეს და გაიკეთეს ლაშარის გორაზედ თავისი საკუთარი „საჯარე“, სადაც სალოცავად მისული თუშები სხდებიან. მას შემდეგ დამყარებულია თუშებსა და ფშავლებს შორის მეგობრობა. შემდეგში თურმე ერთმანეთს ყოველთვისა შველოდნენ და მეგობრულადა სცხოვრობდნენ.

თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო,
ლაშარი გავაზიაროთ;
ჩვენ ერთურთს მხარი უჭიროთ,
მტერი კი დავაზიანოთ!

ფშავლებსა და იმათ ლაშარის ჯვარს ბოლოს უფრო სასტიკი და ღონიერი მტერი გამოსჩენია. ეს მტერი ზურაბ არაგვის ერისთავი ყოფილა, რომელსაც ფშავ-ხევსურეთის მომიჯნავე მთელი

ქართველები დაპყრობილი ჰყოლია. ზურაბს ყოველი ღონისძიება უხმარია, რომ თავისი სამფლობელო ფშავ-ხევსურეთის შეერთებითა და დაპყრობით გაეფართოებინა, მაგრამ ყოველ ამ ღონისძიებას ამაოდ ჩაუვლია.

ზურაბს ჯავრი ჰკლავს ორისა
ზენ მთისა, ქვემოთ ბარისა;
ხევსურეთს ჭორმეშავისა,
ფშავში ლაშარის ჯვარისა.

ზურაბმა ალბად იცოდა, რომ ფშავლების დაპყრობაში თავდაპირველი ხელის შემშლელები იყვნენ ლაშარის ჯვარის ხევისბერი და ფშავლების სარწმუნოება, რომ ლაშარის ჯვარსა და იმის ყმათ „სხვის ყმობა არ მაუდისო“ და ამისთვის თვისი საქმე ლაშარის ჯვარის დანგრევითა და შეურაცხყოფით დაიწყო, იმან მოსჭრა ლაშარის ჯვარის „ხმელ გორზედ“ ფშაველების სამღვთო მუხა, რომლის სიმაღლეც, ფშავლის აზრით, დედამიწის ზურგზედ არსად არა ყოფილა. მუხას, ფშაველების თქმით, წვერზედ ოქროს შიბი ჰქონდა მობმული ერთის წვერით, ხოლო მეორე წვერით ზეცას იყო ამართული და მიბმული. ლაშარის ჯვრის შიბი ცა-ქვეყანას შუაგზადა ჰქონდა, ზედ ადიოდა და ჩამოდიოდაო:

ბებერსა ლაშარის ჯვარსა
ხმელ გორზედ ედგა ბერმუხა,
წვერს ება შიბი ოქროსი,
ზეცას ავიდის კიბითა;
სულკრულმა ერისთვიშვილმა
ამაუბრუნა ძირითა;
მინამდე იმის ძე არი,
ის ამააგებს ჭირითა[11].

ლაშარის ჯვარის მუხის მოჭრის ამბავს ფშავლები არ მოგვითხრობენ: როდესაც ერისთავმა ლაშარის ჯვარის მუხის ჭრა დაიწყო, რამდენჯერაც ცულს დაჰკრავდა და ნაფოტს აგდებინებდა,

[11] გაგონილია ს. ჩარგალში რ-სგან (ავტორი).

იმდენი ნაფოტი, აფრენილი ცულის ძალისგან, უკან ბრუნდებოდა და ისევ მუხას ეკვროდა. ამ მიზეზის გამო მუხის მოჭრა სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ ცბიერმა ზურაბმა სხვა ხერხი იხმარა. ზურაბმა კატა დააკვლევინა და იმისი სისხლი მუხაზედ წაასმევინა. რაკი მუხა კატის სისხლით შეიბღალა, მოშორდა ის წმინდა ციური ძალაც, რომელიც ერთხელ ათლილს ნაფოტს ხელმეორედ ზედ აკრავდა. შიბიც მოშორდა და ძგრიალით ზეცას წავიდა. მუხაც მას შემდეგ ადვილად მოიჭრა.

კატის დაკვალა და მუხაზედ იმისის სისხლის წასმა ერისთავისთვის თავის მსახურს მთიულს, გვარად აფციაურს, ურჩევია. ამ მთიულსაც ფშავლებიც დღეს ერისთავზედ არანაკლების სიძულვილით იხსენიებენ. აფციაურები ახლა ერწოში ცხოვრობენ, ფშავლები იმათ ჭირივით ერიდებიან, არ მიათხოვებენ ქალსა და არც შეირთავენ იმათ „ქალ-დისწულების“ ქალებს.

ზურაბ ერისთავს რამდენჯერმე გაულაშქრებია ფშავლებზე, მაგრამ ფშავლები არ დამორჩილებიან. ზურაბი ბევრჯელ სასტიკად დამარცხებული და სირცხვილეულიც დაბრუნებულა ფშავიდან.

ორწყალში ჩავა ზურაბი,
ქალია ჩიქილიანი;
ჩაეუბნება მსახურთა:
სანა[12] რა მექნა ტიალი?

მსახურნიც უპასუხებენ:

აკუშელთ გაგვაწირვინეს,
მამუკა შასვეს მხრიანი!

დამარცხებულს ზურაბ ერისთავს ფშავლები ასე დასცინიან:

არკი გითხარა, ზურაბო,

[12] სანა: ზურაბის ცხენსა სანა ჰრქმევია (ავტორი).

ფშავლების ხელი სენია;
შენ ეგ არ დაგიჯერებავ,
არც არა მოგისმენია.
ორწყალში შამოგივლია,
ხალიჩა მოგიფენია;
მანდ მოგივიდენ ფშავლები,
დღე დაგაყენეს ცხელია.
სირბილით ჩამოგავლიეს
არაგვის ჭალა გრძელია.
კართანას გადასეესა[13]
მსახურთ გიკიდეს ხელია,
თვალივის ყელში რო მოხველ,
იქ მოგაგონდა ცხენია.
წყალს იქით მეცხვარეებმა
ციხე ააგეს გიშლისა,[14]
შიგ ჩადგეს მეცხვარეები,
ფიქრი არა აქვს შიშისა;
პირდაპირ ზურაბ ჩამოვა,
სრიალ ჩამააქვ ქვიშისა.
გაწურთნა ჩვენაც ვიცოდით
გაორყებულის კვიცისა[15].

ზურაბს რაკი ფშავლებთან ძალით ვერაფერი გაუწყვია და ვერ დაუმორჩილებია, მერე შერიგებია. ნიშნად შერიგებისა ზურაბს ლაშარის ჯვარისათვის შეუწირავს ზარი, რომელსაც დღემდე „ერისთვისეულს“ უძახიან ხევისბერები. ფშავლების სიტყვით, ზურაბ ერისთავი ძლიერი ვაჟკაცი ყოფილა, სახელგანთქმული მეომარი და ამასთან გარყვნილი, უზნეო.

ზურაბმ აიფრო ქვეყანა,
ბევრს ვაჟს უტირა დედაო,
ბევრს ქალს გაუხსნა საკინძი,
უჭკიმა ძუძუზედაო.

---

[13] გადასეესა: გადავლაში
[14] გიშლისა: იგივე, გიშრისა.
[15] გაგონილია ს. ჩარგალში თ. რ-სგან (ავტორი).

თვით მეფე თეიმურაზსაც ზურაბ ერისთავისა ძალიანა ჰშინებია. სხვაფრივ რომ ბოლო ვერ მოუღია, თავისი ქალი მიუთხოვებია, სიძედ გაუხდია, ამ გზით დაუთათბირებია, დაუახლოვებია და მერე ღალატით მოუკლავს. ფშავლები ზურაბის ვინაობასა და მოკვლას არ მოგვითხრობენ. ზურაბს სიმამრმა, მეფე თეიმურაზმა, საფურცლეს წვეულება გაუმართა იმ განზრახვით, რომ დაეთრო და მოეკლა დაღალატებით. მეფეს თანა ჰყოლია კახელი თავადები და ფშაველ-ხევსურნი. წვეულების წინათვე მეფეს თავისი მსახურები დაურიგებია, რომ დაკვრის დრო როცა მოვა, მე გიბრძანებთ, „დაუმატეთო“, მაშინ დაჰკარით და მოკალით ზურაბ ერისთავიო. დამსხდარან სუფრაზედ და გაუმართნიათ ნადიმი.

საფურცლეს ზურაბ მოვიდა,
ლერწამი ზღვის პირისაო,
გაუშალეს ხალიჩები,
ზურაბ ზედ დაბრძანდისაო;
აუყოვებენ სუფრასა,
ზურაბ, შაექე ხილსაო.
გიღალატებენ, ზურაბო,
ელიან შენსა ძილსაო.
- ზურაბ, თან გახლდეს მსახურნი,
რაც ერთხელ დაიბადეო;
ისპაჰანამდე გაითქვი,
ყეენთან გაიზარდეო,
სიძეს გიბარებს სიმამრი,
მოდი საფურცლეს, მნახეო.
თემურაზ არ გიღალატებს,
არ დააქვრივებს შვილსაო;
წინ-წინ მიართმევს ყურძენსა,
ზურაბ, შაექე ხილსაო.

მეფეს დაუძახნია, „დაუმატეთო“, მაგრამ ერისთავისთვის „დამატება“ რომ ადვილი საქმე არა ყოფილა, დამატება ვერავის გაუბედნია პირველ ბრძანებაზედ. მეფეს კიდევ უბრძანებია,

„დაუმატეთო“, მაგრამ მაინც ხელი ვერავის გაუნძრევია. მეფე გამწყრალა და მესამედ უბრძანებია, „დაუმატეთ“, თქვე მ-ლებო, რაღას ელითო. მაშინ მისცვივნიან და აუკუწნიათ ერისთავი. ზურაბი სუფრაზედ ხმლიანი მჯდარა, მაგრამ ხმლის ტარზედ ჩუმად დაუხვევიათ აბრეშუმის ძაფი და მიწაზე დაცემულ პალოზედ ხმალი მაგრა მიუკრავთ, რომ საჭიროების დროს ზურაბს ხმალი ქარქაშიდგან ვეღარ ამოეძრო და ვერ ეხმარა. როცა დაუკრავთ ზურაბისთვის, იმასაც ხმლისთვის ამოუწევია, მაგრამ ძაფდახვეული ხმალი ვერ ამოუძვრია ქარქაშიდგან და ვადაში გადაუტეხია.

ზურაბმ, ჭირთ გაცოფებულმა,
ხმალსა დაჰგლიჯა ვადანი;
ვაი, თქვენს ზურაბს, ფშავლებო,
ძაფ დაგიხვევავთ მაგარი!

მოუკლავთ ზურაბი, „ლერწამი ზღვის პირისა“, და იმის სიკვდილის შემდეგ მოუსვენია ფშავის ხევსაც და იმის სალოცავ ლაშარის ჯვარსაც. ლაშარის ჯვარის ყმები ზურაბის სიკვდილს ერთმანეთს ახარებენ და დასვენებას ულოცავენ:

გაგზავნეთ მახარობელი,
ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი,
ფშავ-ხევსურეთის ქალ-რძალმა
ძილ დაიძინოს მაგარი.
მოუკლავ ერისთვის შვილი,
აღარ მოვალის ლაშქარი.

ხოლო ზურაბის უდროოდ დაქვრივებული ცოლი დედასა სწყევლის:

ზურაბის ცოლი დედას სწყევს:
ჩემიმც დღე დაგადგებაო,

ამ ჩემის ღალატისადა
თემურაზ მოგიკვდებაო.

ხოლო ზურაბის სიკვდილის გამო იმის ნათესავების გლოვა-ტირილით ხალხი სტკბება:

მუხრანით მოდის ტირილი
ს-ის ერისთვისაო!
ვინ მოგკლა, შვილო, ზურაბო,
ვინ შაგხსნა ხელნი გმირსაო,
ვინ ჩამოგყარა თაობა
ქართლისა, არაგვისაო?!
არავინ მეგულებოდა
მომრევი ზურაბისაო.

ფშაველი დარწმუნებულია, ზურაბ ერისთავი რომ ფშავლებისა და ლაშარის ჯვარის მტერი არ ყოფილიყო, იმის სიცოცხლეს ასეთი უბედური და სამწუხარო ბოლო არ ექნებოდა. ზურაბს რაც დამართებია, ლაშარის ჯვარის რისხვის გამო დამართებიაო. იმისი შერიგება ფშავლებთან და იმათის სალოცავისთვის ზარის შეწირვით „პატივის დადება“ გულწრფელი არა ყოფილაო. ზურაბს ამითი ხალხი უბრიყვებია, უთათბირებია, თორემ გულში სულ სხვა ფიქრი ჰქონია, ისა ჰლოდნია უფრო მარჯვე დროს, რომ ფშავლებისათვის კლანჭები მაგრა ჩაეყარაო, თორემ იმისთანა „ავი კაცი“, როგორც ზურაბი ყოფილა, წყალს არ დასწმენდდა და არც დაინდობდა ვისმეო. მაშინდელს ფშაველებსაც ეს კარგადა სცოდნიათ და ამის გამო მეფესთან ერთად სულითა და გულით მონდომებულები ყოფილან ზურაბ ერისთვისშვილის მოკვლას.

ფშაველს ღრმადა სწამს თამარ მეფე და ლაშარის ჯვარი. თავის სარწმუნოებას ის ასე აღიარებს:

ბრძანებდა დამბადებელი,
რო დავდგი მიწა-მყარიო,

სუ თავის მორთულობითა
შამხდარი მთა და ბარიო.
მურგვალთ მოვავლე სამი ზღვა,
თეთრი, წითელი, შავიო;
ზედ გადავხურე ზეცადა
სინა, ჭიქა და რვალიო;
შიგ გავაჩინე მზე-მთვარე,
მავალი დღე და ღამეო;
დუნია გამიჩენავის,
რჯულად ათასი გვარიო!
სამოც-დ სამ წმინდა გიორგი
ოთხსავ კუთხეზე ჰბრძანია!
ქრისტიანთ სალოცავადა
გამოსახული ჯვარია,
ღვთისშვილთა, ღვთისნაბადებთა
ქრისტიანთ სალოცავია.
ღვთისშვილთა ჰყავის წმინდაი
თამარი დედოფალია,
უფლისგან ჰქონდა ბრძანება,
შაერტყა მამის ხმალია!
მამის სანეფო აიღო,
თვითონ ბრძანდება ქალია;
ხმელეთ თავისად მაიგდო,
იმდენიცა აქვ ძალია,
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
სამანი რკინის სარია!
სატახტოდ, საბრძანებლადა
თვითონ ხმელს გორზე ჰბრძანია.
პირდაპირ უდგა გორზედა
ლაღი ლაშარის ჯვარია!
შაძლებულ მიდგებ-მოდგება,
წელზედ არტყავის ხმალია;
გვერდს უდგა ნისლისფერაი[16],
ტრედივითა ჰქონ მხარნია;

[16] ნისლისფერაი: ცხენის ეპითეტია

ოქროს უნაგირ ზედ ადგა,
ოქრო-წყლის ლაგმის ტარია;
დალოცვილ-შამზადებულა,
დაფანტულნი მყვან ყმანია,
მიეშველება ერთგულთა,
არ იყოს მისვლის ხანია![17]

„ივერია“, 1889, №215

[17] ეს ლექსი გაგონილია ს. ხოშარაში გ. აფშინაშვილისაგან (ავტორი).

საერო და საეკლესიო დღესასწაულები

I

ფშავლებს, როგორც თავიანთ საერო ხატებში, ისე ეკლესიაში, ღვთის ვედრება აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ. სალოცავი ალაგი და თვით ლოცვა-ვედრებაც ორგვარია და ამის გამო ორგვარია დღესასწაულებიც: საეკლესიო და საერო, ანუ, ფშავურად რომ ვთქვათ, „ხატობა“, „დღეობა“, „ჯვარობა“ ფშავლის სალოცავისა.

ფშავლისათვის ისეთი თემობრივი მნიშვნელობა არა აქვს ეკლესიას, როგორც მათს ხატებს. ხატი და მისი დროშა თემს აკავშირებს,ხოლო ეკლესია, ფშავლის აზრით, კერძო სოფლის საკუთრებაა. ის ყველა ქრისტიანი კაცისათვის კარღია უნდა იყოს და იმისთვის განსაკუთრებული მოვალეობით დატვირთული არავინ უნდა იყვეს. ფშავლის აზრით, ოღონდ ეზიაროს კი ფშაველი დიდმარხვაში, ფშავლის ეკლესიაში ეზიარება ფშავში, თუ ინგილოების ეკლესიაში შირაქიდგან – სულ ერთია მისთვის, ღმერთი „არას ჩაუხედავს“ ამ შემთხვევაში და განსხვავებას არაფერს უპოვის, რადგან ეკლესია ყველგან ერთი და იგივე ეკლესიაა. სულ სხვაა მათი ხატებთან დამოკიდებულება. სხვისი ხატი ძალიან გულმხურვალედაც რომ ილოცოს ფშაველმა, თავისი ხატი ამას არ „გაუთვლის“ და მისი ლოცვა-ვედრება ფშაველს ისევ მოუშორებელ ვალად დარჩება, თუნდაც რომ მისი სალოცავი და სხვაგან ნალოცი სხვის ხატი ერთი და იგივე წმინდანი იყოს. მაგალითად, გოგოლაურთის თემის კაცმა, რომელიც სათემო ხატად წმინდა გიორგის ლოცულობს, რომ ილოცოს კახეთში თეთრი გიორგი, ის მაინც მოვალე რჩება, თავისი სათემო წმინდა გიორგიც ილოცოს, მას მსხვერპლის შეწირვა, ლოცვა-ვედრება და სანთლის ანთებაც არ დაუგვიანოს იმ ანგარიშით, რომ სამაგიეროდ თეთრი გიორგი ან სხვაგან სადმე წმინდა გიორგი ვილოცეო, ასეა სხვა თემებშიაც. თავის მიწა-წყალში ღვთისაგან ერთხელ მინიჭებულის სალოცავის

მაგიერობას, ფშაველის აზრით, მას სხვა ვერ გაუწევს. საეკლესიო დღესასწაულის გადახდა კი სულ ერთია, სადაც უნდა მოხდეს და იმასაც არავინ მიჰხედავს, თუ ვის ეკუთვნის ეკლესია. თუმცა ფშავლის ეკლესიებში „საუფლო“ დღეს მარტო ადგილობრივ ეკკლესიის მრევლი იყრის თავსა განგებ, მაგრამ დღესასწაულზედ დასწრებისა და მონაწილეობის მიღების ნება გარეშე კაცსაცა აქვს. ამ შემთხვევაში მას თავისი სოფლის ეკლესია „არაფერს მიზეზს“არ აძლევს.

მიზეზის მიცემა, სავედრებლად და მსხვერპლის შესაწირავად ხატისგან ფშავლის მიწოდება უფრო მკითხავის საშუალებითა ხდება. ეკლესიას კი მკითხავი თავისის მკითხაობით ან სულ არ ეხება, და თუ შეეხება, იმოდენად კი ვერა, რომ საეკლესიო დღესასწაულებს მრევლის ეკლესიაში საზოგადოდ განსაკუთრებული ფერი დასდოს შესამჩნევად ან განგებ რაიმე დღესასწაული გამოიწვიოს, როგორც ამას მოახდენს ხოლმე ფშავლის სალოცავებში. მკითხავს შეუძლიან ფშავლის სალოცავში განგებ მოახდინოს დღესასწაული საზოგადო ან კერძო ოჯახისთვის, თუ ხალხის ცხოვრებაში ან კერძო ოჯახში რაიმე ხელზედ დასახვევ ნიშანსა ჰხედავს ღვთის წყრომისას, რომლის გამო ხალხს ის უფრო ადვილად დააჯერებს და დაიყოლიებს. საამისო მიზეზებია ხალხისათვის: გადამდები ავადმყოფობა, მოუსავლობა, გოლვა, ხანგრძლივი წვიმა და საქონლის ჭირი; კერძო ოჯახისათვის: ოჯახის წევრთა ხშირი და ხანგრძლივი ავადმყოფობა და საქონლის გახშირებული, წვრილ-წვრილი „ზარალი“. ამნაირ შემთხვევაში მთელი სოფელი, ანუ კერძო ოჯახი, მკითხავის ჩაგონებით და ხშირად თავის მოსაზრებითაც, „უდღეობო დღეს“ (ისეთს დღეში, როცა სალოცავის დღეობა, „ჯვაროობა“ არაა) მიდის სალოცავად, მიიწვევს ორიოდე კაცსა და ხევისბერს ადგილის დედის ხატში, ან სხვა სალოცავში და „სამღვთოს“ გადაიხდის, დაუკლავს ერთს საკლავს ცხვარს, ან ხბოსა, მოანთებინებს სანთელს, შეევედრება ხატ-ღმერთსა და დაემწყალობებინება ხევისბერს, გამოსთხოვს მისი

პირით ხატს შველასა, რომ მოაშოროს ქრისტიანთ მათ დასასჯელად მოვლენილი უბედურება, რის მიზეზითაც მლოცველები სალოცავის კარს პიროფლიანები შეყრილან სავედრებლად და სხვ.

საეკლესიო დღესასწაულებში ფშაველს უფრო მეტად სწამს, ღვთის სავედრებელ დღესასწაულებად მიაჩნია და ეკლესიაში ლოცულობს შემდეგ „საუფლო დღეებში“: შობას, ნათლიღებას („განცხადება“), აღდგომას, ამაღლებას, მარიამობას, ხარების დღეს და ვნების კვირას. დიდ მარხვაში ეზიარებიან უფრო მოხუცებულები. სხვა დროს ფშაველი ეკლესიაში იშვიათად დაიარება, თუმცა კი უქმობით თითქმის ყველა ქრისტიანულ უქმესა „უქმობს“. შობა-აღდგომას და ბზობას ყველა ახალი მიცვალებულის „პატრონი“ მოვალეა, ეკლესიაში ილოცოს და მიცვალებულის სულის საცხონებლად მსხვერპლი შესწიროს. შობასა და აღდგომას ისინი დაჰკლავენ მიცვალებულის სულის მოსახსენებლად ცხვარსა, ხოლო ბზობას „გააჭრევინებენ“ თევზს. ამ მსხვერპლის შეწირვას ფშავურად მიცვალებულის „სულის სახსარი“ ჰქვიან. ფშაველის აზრით, „სულის ახსნის“ წესაუსრულებელი მიცვალებულის სული საიქიოს დატუსაღებულია თავის სააქაოს ცოდვებისაგან და მას ამ მდგომარეობიდან მხოლოდ სულის სახსარი მსხვერპლი გამოიყვანს. რადგანაც მარხვაში ცხვრის დაკვლა არ შეიძლება, ყველა ნათესავი მიცვალებლისა, რომელიც მარხვაში გარდაიცვალა, მოვალეა, მარხვის გახსნისთანავე მიცვალებულს ეს წესი აუსრულოს და ამ მსხვერპლის ღვიძლით მიცვალებულის ყველა ნათესავმა პირი გაიხსნილოს.

თევზი თუმცა მარხვაში მსხვერპლის მაგიერ იხმარება ახლად მიცვალებულის ნათესავებისაგან, მაგრამ, ფშავლის აზრით, თევზი „ცხვრის ოდენობას“ ვერ გაუწევს მიცვალებულის სულს, მხოლოდ საიქიოში გაუადვილებს ხვედრსა და ესეც კარგია, ვიდრე ნამდვილი „სულის სახსარი“ ცხვარი მოესწრება აღდგომას, შობასა და მარიამობას. დღესასწაულ დღეს ფშაველი „უქმობს“ და არაფერს არ აკეთებს.

დღესასწაულ დღეს მუშაობა და ამით „უქმის გატეხა“ ფშაველს ღვთის რისხვის მომავლინებელ ცოდვად მიაჩნია. უქმის გამტეხს, ფშავლის აზრით, სჯის ის წმინდა, რომლისაც უქმე იმან გასტეხა. ფშაველი გამოსთხოვს ზეცაში ღმერთს უქმის გამტეხისთვის სასჯელს. უქმის გატეხაც ადამიანის სხვა ცოდვა-მადლთან ერთად, ფშავლის აზრით, იწერება ზეცაში, ცოდვა-მადლის წიგნში. ღმერთი უქმის გამტეხს ან სააქაოს და ან საიქიოს გადაახდევინებს.

ახალწელიწადს ფშაველი ეკლესიაში არ მიდის, თავის სახლში დღესასწაულობს და ამ დღესასწაულს უფრო საერო ხასიათი აქვს, ვიდრე საეკლესიო. ეს დღე ყველა ოჯახისთვის სამღვთო დღეა და ყველა სიხარულითა და სასოებით ეგებება.

საახალწლო სამზადისს ფშაველი წინადღითვე შეუდგება. ამ დღეს უწოდებს „ლიტანია“ დღესა და საახალწლო სამზადისის დღეა. ლიტანია დღეს დიასახლისმა უნდა დაასუფთაოს სახლი, ჩამოწმინდოს ჭერი, დარეცხოს კარგა ჯამ-ჭურჭელი და, საზოგადოდ, ახალ წელიწადს ყველა ავეჯეულობა სახლისა სუფთად დაახვედროს, რომ ახალწლის უსუფთაოდ დახვედრისაგან ჯალაბობას უსუფთაობა არ „დაეკვებოს“. ნიშნად ოჯახის წარმატებისა და აღორძინების თხოვნისა, კარის ბჭეზედ ნედლი ხის ნეკრიანი ტოტები უნდა შეაწყონ ლიტანია საღამოსვე ახალ-წლის მისაგებებლად. ოჯახს ამ დღისთვის უეჭველად ნაშოვნი უნდა ჰქონდეს ხორცი, რომ დიასახლისმა ვახშმად მოუხარშოს; ლიტანია დღეს ოჯახს ქვაბშემოუკიდებელი საკიდელი არ დარჩეს და ამის გამო ოჯახს ბარაქა არგამოელიოს. შემლებული ფშაველი მოვალეა, ამ დღესვე მიაწოდოს ღარიბ მეზობელს სალიტანიო და საახალწლო ხორაგი. ღარიბ მეზობლად, ამ შემთხვევაში, იგულისხმება უფრო ობოლ-ქვრივი „დიაც-ყმაწვილი“. რადგან ისეთი ღარიბი ოჯახი, რომელსაც სახლში მოზრდილი მუშა ჰყავს და, მაშასადამე, შოვნის სახსარი თვითონვე აქვს, სხვისგან არაფერს მიიღებს იმ მიზეზის გამო, რომ ამ დროს თავის მარჯვენით ნაშოვნს ოჯახისა და იმათის სახლის მიცვალებულებისთვის სამღვთო მნიშვნელობა აქვს, მაშინ,

როდესაც სამადლოდ მიწოდებულით იოლად წასვლა, გარდა იმისა, რომ შემდეგისათვის დაეკვეზება, სათაკილოა ყველასათვის. ლიტანია ღამეს, ფშავლის აზრით, ღმერთი ციოგან ანგელოზებსა ჰგზავნის და ყველას, ვინც ახლად დამდგარ წლის განმავლობაში უნდა მოკვდეს, ააწერინებს და ვინც როგორ ტანისამოსში დაიწერება, საიქიოსაც ისეთის ტანისამოსით იქნება მუდამ. ამისთვის ყველა სცდილობს, რაც შეიძლება, სუფთა და ახალის ტანისამოსით დახვდეს ახალ-წელიწადსა, რომ, ვინცობაა თუ მოკვდა დამდეგი წლის განმავლობაში, საიქიოს ძველი ტანისამოსით ყოფნა არ მოუხდეს სამუდამოდ.

ვახშმის შემდეგ დიასახლისი ყველა ოჯახის წევრთ, გარდა მოხუცებულებისა, უცხობს ბედისკვერს. ბედისკვერი თანასწორეა ოჯახის ყველა წევრთათვის, ხოლო გუთნის დედის ანუ საოჯახო ბედისკვერი სხვებისაზედ ერთი ხუთად დიდია. ბედისკვერში წერტილებით ჩანიშნულია თვით კვერის პატრონი და ის საქმე, რაც იმას აბარია, მაგალითად, ხარ-გუთანი, ძროხის ნახირი, ცხვრის ფარა და სხვ.

თუ ბედისკვერმა ცხობის დროს იმატა და მთლიანად გამოცხვა, ეს იმის ნიშანია, რომ კვერის პატრონი დამდეგ წელიწადს მშვიდობიანად და ჯანმრთელად გაატარებს, თუ არა და, ცუდი ნიშანია. თუ კვერის პატრონის საქმემ, კვერში ჩანიშნულმა, ცხობის დროს არ იმატა, ჩაჩუთქული წერტილები არ გასწორდა და კარგად მოჩანს, საქმის კეთილად წარმართვას მოასწავებს.

ლიტანია საღამოს დიდები, მეტადრე მუშა-კაცები, ადრე იძინებენ. ბავშვები და დიასახლისი ბედისკვერების გამოცხობას ელიან. მოუთმენლად ელიან ბავშვები თავ-თავიანთ ბედისკვერის წინასწარმეტყველების შეტყობასა. ბედისკვერების გამოცხობამდე კი დიასახლისი, ან რომელიმე უფროსი წევრი ოჯახისა უამბობს ბავშვებს საახალწლო ზღაპარს. აი, თვით ეს ზღაპარი, რომელიც მნიშვნელობას მოკლებული არ არის:

იყო დრო, როდესაც ქვეყანას ღვთის თვალი ისე არ დაშორებიყო, როგორც ახლაა. იმ დროს იესო ქრისტე ჩამოდიოდა ხანდახან ციდგან, უფრო „მთხოვარას“ (გლახას) სახითა და სოფელ-სოფელ დაიარებოდა, ხალხის ავ-კარგს ახლოდგანა ტყობულობდა. იყო ერთს ქვეყანაში ერთი მდიდარი სოფელი, რომელშიაც მხოლოდ ერთი ღარიბი „ობოლი ქვრივი“ მეკომური სცხოვრობდა, დანარჩენები სულ მდიდრები იყვნენ. მოახლოვდა ახალი წელიწადი, რომლისთვისაც სამზადისს ყველა იმ სოფლელები სიხარულით შეუდგნენ, ქვრივს კი არა ჰქონდა-რა, რომ ახალი წლისა და ლიტანია საღამოს რიგ-წესი შეესრულებინა და თავისი პატარა შვილები გაეხარებინა. დადგა ლიტანია საღამო, ქვრივის მეზობლებმა დაიწყეს ბედის-კვერის ცხობა და ვახშმის მზადება. იმათი ბავშვები სიხარულით მოელოდნენ კარგს ვახშამსა და ბედისკვერებსა. ქვრივს კი ფქვილიც არა ჰქონდა, რომ შვილებისთვის ბედისკვერები გამოეცხო და გაეხარებინა, ხორცსა და ვახშმის ხორაგს საიმათოდ ვინ გახდიდა. ქვრივის შვილებმა, რაკი შეიტყეს, რომ მეზობლები იმათ ტოლ ბავშვებს ბედისკვერებს უცხობენ და ვახშამსაც უმზადებენო, შემოეხვივნენ დედასა და ეხვეწებოდნენ: დედი, ჩვენაც გამოგვიცხვე ბედისკვერები და ხორცი მოგვიხარშე. აგერ ჩვენი მეზობლები ვახშამსაც ამზადებენ და თავიანთ ბალღებს ბედისკვერებსაც უცხობენო. საბრალო დედას გული ეწვოდა, რომ საახალწლოდ არაფერი ჰქონდა და ვერაფრით გაახარებდა თავის საყვარელ შვილებს, რომლებიც ყველაფრისმქონე მეზობლის ბავშვებსა ჰბაძავდნენ, თავიანთ ობლობისა და სიღარიბისა კი არაფერი გაეგებოდათ. დედას უნდოდა, ატეხილი ბალღები რითიმე „დაეთირებინა“ და დაეძინებინა. ამისთვის შვილების მოსაჩვენებლად კეცში თიხის კვერები ჩასხა და ხორცის მაგიერად ქვაბში ჯღანები ჩაჰყარა, ცეცხლი შეუკეთა და ხარშვა დაუწყო. ბალღები დიდხანს ელოდნენ ხორცის მოხარშვასა და ბედისკვერების გამოცხობას. რამდენჯერაც ეტყოდნენ დედას, ხორცი მოიხარშებოდა, ვივახშმოთ და კვერები კეციდან ამოაყენე,

გამოცხვებოდაო, იმდენს დედა არწმუნებდა, რომ ჯერ ვერც ხორცი მოიხარშებოდა და ვერც კვერები გამოცხვებოდაო. ბავშვებს კვერებისა და ვახშმის ლოდინში ცოტ-ცოტა ძილი ეპარებოდათ და დაძინებას აპირებდნენ. საბრალო ქვრივსაც ეს უნდოდა.

ლიტანია საღამოს მაშინ ციოდა ძალიან, „გარეკილი არ გავარდებოდა“, ყველა ოჯახს თავის ჭერქვეშ მოეყარა თავი და სტკბებოდა ბედნიერი დღის მოლოდინით. ქუჩა-ქუჩა მხოლოდ ერთი მთხოვარა დაბაჯბაჯებდა, მწარედ ტიტველ-შიშველი და სიცივისაგან გალურჯებული. ურიგდებოდა ყველასა და დაუძახებდა: „ოჯახის პატრონო!“ ოჯახის პატრონი, რაკი ძახილს გაიგონებდა, გამოიხედავდა და, რა დაინახავდა მთხოვარას, მაშინვე შინ შებრუნდებოდა და არცკი მოისმენდა მთხოვარას სიტყვებს. მთხოვარამ მთელი სოფელი დაიარა და ყველას სათითაოდ სთხოვა, ამაღამ ბინა მომეცით, სახლში დამაყენეთ, ლამის არის სიცივემ გამფიჩხოსო, მაგრამ ვერც იმისმა ხვეწნა-მუდარამა და ვერც იმის დახავსულ-დაძონძილმა ტანისამოსმა მთხოვარა სოფლელებს ვერ შეაბრალა. ქვრივი დედაკაცი სოფლის ბოლოში იდგა და მთხოვარას მისვლა იმას სულ ბოლო დროს მიერგო. ის-ის იყო ბალღებს დაწვენას უპირებდა ქვრივი, როდესაც მთხოვარა იმის კარზე მივიდა და დაიძახა: „ოჯახის პატრონოვო“. ქვრივმა მაშინვე პასუხად დაუძახა: შინ შემოდი, ამისთანა სიცივეში რა დროს კარზედ დგომა და ძახილიაო. მთხოვარა შევიდა და სთხოვა ქვრივს ბინა და თან შესჩივლა, ამოდენა სოფელი სულ კომლდაკომლ მოვიარე, მაგრამ ცეცხლთანაც არავინ გამათბო, არამც თუ ბინა მომცაო. ქვრივმა უპასუხა, რომ „კაცი ღვთისაა და იმას ბინა არ დაეჭირებაო“, მაგრამ ვწუხვარ, რომ ბინის მეტით ვერაფრით გაგიმასპინძლდები, რადგანაც ღარიბი ქვრივ-ობოლი ვარ, არაფერი მაქვს არც ვახშმადა და არც ხვალ ახალწლისთვისაო. მშიერი ბალღები შემომტირიან და ვერათი დამიჩუმებიაო. თანაც აუხსნა ქვაბის დუღილისა და კეცის დადგმის მიზეზი. მთხოვარამ ქვრივს მადლობა გადაუხადა: რაკი ამისთანა სიცივეში თავშესაფარი ბინა

ვიშოვე, მეტი არა მინდა-რა, მშიერი თქვენთან მეც გავძლებო. ქვრივის ბალღებმა იმათ ლაპარაკზე ისევ გაიფხიზლეს ლოგინში, წამოსხდნენ და გაუმეორეს თავიანთი თხოვნა. დედამ მთხოვარას გულმტკივნეულად შესჩივლა, არ იქნა, მე ისინი ვერ დავაძინეო.

მთხოვარამ ქვრივის სახლს ჯვარი გადასწერა და უთხრა ქვრივს, ამოაყენე კეციდგან კვერები, ქვაბიდგან ხორციც ამოიღე, შვილებს ნუ ატირებ და ჩვენც ვივახშმოთო. ღარიბის თიხის კვერი და ჯღანის ხორცი მდიდარის ნამდვილ პურის კვერზედ და ხორცზედ გემრიელიაო, ეგ ვახშმად იყოს და საახალწლოდ სხვა მოამზადეო. ქვრივი არ უჯერებდა, ბალღები ტყუილად აბირდებიან, უიმისოდაც აბირებულებიაო, მაგრამ მთხოვარამ თავისი არ დაიშალა და ქვრივმა როცა ბედისკვერები კეციდგან ამოიღო, ნახა, რომ თიხის კვერები წმინდა პურის კვერებად გადაქცეულიყო; ქვაბი გადმოიღო და შიგ ჯღანების მაგიერ მშვენიერი ხორცი აღმოჩნდა. მთხოვარამ ქვრივს ღვინო მოსთხოვა ვახშმად და ურჩია, ღვთისთვის პური გამოაცხეო. ქვრივს თავის სახლში არც ფქვილი ეგულებოდა, რომ პური გამოეცხო და არც ღვინო, რომ მთხოვარასთვის მიერთმია და ამის გამო უპასუხა: „რაის პურს გამოვაცხობ, შე ჩემ თავ მამკვდარო, ფქვილი არ მაბადია და ამ სოფელში ჩემისთანა საწყალი სესხადაც ვერას იშოვნის. კიდეც რომ მასესხონ, რაღას მივცემ სესხში, საღვინე ქვევრებიც ცარიელი მიყრია, ვინ იცის, რამდენი ხანია, რაც სისველე არ მიჰკარებიათ“. მაგრამ მთხოვარამ კიდევ თავისი არ დაიშალა და არწმუნებდა ქვრივს, ყველაფერი მრავალი გაქვსო. ბოლოს ქვრივმა გასინჯა საფქვილე და ქვევრები და ნახა, რომ საფქვილე სავსეა ფქვილითა და ქვევრები – ღვინით. ქვრივი ძალიან გაჰკვირდა და ჰფიქრობდა, აქ რაღაც ღვთის წყალობა უნდა იყოს, თორემ მე ან ფქვილი ვინ მომცა, ან ღვინო სხვამ საჩემოდ ვინ გახადაო. და ეს ღვთის წყალობა თავის სტუმარს მიაწერა. „შენ მთხოვარა კი არა ხარ, ღვთისგან ჩემ საშველად გამოგზავნილი ხარ“, – უთხრა ქვრივმა მთხოვარას, რომელმაც უპასუხა, რომ მე ღვთისაგან გამოგზავნილი კაცი კი არა ვარ, თვითონ ღმერთი ვარ, სოფლად დავიარები

მთხოვარას სახით, ამ სოფლის მცხოვრებთ ყველას კარდაკარ დავუარე, ყველას ბინა და პური ვთხოვე, მაგრამ შენ მეტმა არავინ გამიკითხა და არც ბინა ვინმემ მომცაო. აკურთხა ქვრივი, იმისი ობლები და მიეფარა.

მას აქეთ ღარიბის კაცის ლუკმა ნაკურთხია, მადლიანია და საწყლის მშველელიც ღვთისაგან ნაშველი და დალოცვილია. ქვრივის ობლები მოიზარდნენ, ყველა თავის მეზობელს გადააჭარბეს ქონებით, მაგრამ იმათ საწყალი უნუგეშოდ არ გაუშვიათ და კარზე მისული მთხოვარა ხელცარიელი არ გაუბრუნებიათ.

„ივერია“, 1890, №79

II

ზღაპრის გათავებისას ბედისკვერებიც ცხვება და რაკი თავ-თავიანთ ბედისკვერების ნიშნებს გასინჯავენ და იმათ ნაწინასწარმეტყველებს შეიტყობენ, ბავშვებიც მალე იძინებენ. ახალწელიწად დილით დიასახლისი პირველი მამლის ყივილის ხანს იღვიძებს და ჯალაბობას უცხობს ნაყრად ხმიადს; ყველა ოჯახის წევრნიც, დილით ადრე, გათენებამდე, იღვიძებენ და ერთმანეთს ახალწელს ულოცავენ ამ სიტყვებით:

- „დიდი გიმატოს ღმერთმა, ახალმა წელმა, ახალის წლის გამოცვლამა“.

- „აგრეევე შენ შენიანადაო“, – უპასუხებს მეორე.

მიმლოცველი მილოცვის სიტყვებს სამჯერ იმეორებს. თბილ ხმიადს დიასახლისი ხონჩაზედ დასდებს, კერის პირას დასდგამს ხონჩასა და გარშემო შემოუმწკრივებს ჯამებს, რომელშიაც თაფლს ჩაასხამს და ჩაჭყრის ცოტ-ცოტა დაქუცმაცებულს გაყინულ ერბოს. ყველა ამას სახლის უფროსი მიცვალებულებისათვის სახელს

შესდებს და შემდეგ დიასახლისი თაფლ-ერბოიან ჯამებსა და ხმიადს ოჯახის წევრთ მიართმევს.

ფშაველს ახალწელიწადს დილას ტკბილის ჭამა აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია; სწამს, რომ ახალწელიწადს ვინც ტკბილს საჭმელს იგემებს, მეტადრე პირველად, ის ტკბილად დაბერდება, თუ არა და, ახლად დამდგარს წელიწადს მაინც ტკბილად და მშვიდობით გაატარებს. მიცვალებულებს ფშაველი არც ერთს „ბედნიერ დღეში“ არ ივიწყებს, არ ივიწყებს ახალწელიწად დღესაც, ნაყრსა და სადილსაც, მანამდის თვითონ საჭმელს ხელს ახლებს, იმათთვის შასდებს სახელს შემდეგის სიტყვებით:

„ღმერთო, შენის დიდებითა, ღმერთო, შენის მოცემითა, ღვთისმშობელ-მთავარანგელოზთა წინამძღვრობითა, ღვთის წესითა, მღვდლის წესითა, იერუსალიმის მადლითა, ალალის მუშის მადლითა, თქვენამც მოგივათ და თქვენსამც ნებას იქნება, ჩვენნო მკვდარნო, ძველნო და ახალნო, დიდნო და ცოტანო, ეს სუფრა, როგორც ღვთისგან გაჩენილ-გარიგებულნი, გქონდესთ; თქვენამც მოგეჩვენებათ რიოშ წმინდადა, ცოტა ბევრადა. თუ ვინ სუფრაზედ გეწვევოდესთ, სუფრაზედამც დაიწვევთ თქვენის ნებითა, თქვენის წადინითა, ოხრისა და უპატრონოს სულს გაიკითხავდეთ, თქვენის ნებითა, ნუმცა რა დაგაღონებსთ“...

ფშაველი დარწმუნებულია, რომ თუ სააქაოსვე „სახელის შამდებმა“ არ უთხრა „სახელის შადების“ დროს, „ხელი არ აუხსნა“ თავის „დიდთაც, ცოტათაც, ძველთაც და ახალთაც“, თუ სახელშადებულ სასმელ-საჭმელზედ უცხოს მიწვევა და უპატრონო სულის გაკითხვა დაიზარა, მაშინ მიცვალებულთა სულები საიქიოს ვერც სხვას მიიწვევენ სახელშადებულ სასმელ-საჭმელზედ და ვერც უქონელზედ გასცემენ. ამის გამო იმათ საიქიოს დღესასწაული უმწარდებათ, გულხელდაკრეფილები სხედან და ემდურებიან სახელის შამდებ ნათესავებს, რომ იმათის უყურადღებობის გამო ვერავის იწვევენ და ვერც საწყალი გაუკითხიათ. მკვდრებისთვის სახელშესადებ სუფრასთან ერთად წყლით სავსე ჭურჭელსა და, თუ

აქვს, ხილსა და ღვინო-არაყსაც ფშაველი სახელს შასდებს, რადგანაც, მისის აზრით, ყველა ამას მიცვალებულებიც ისე საჭიროებენ სადღესასწაულოდ, როგორც ცოცხლები.

საახალწლო ნაყრის ჭამის შემდეგ, გათენებისთანავე, ოჯახი სადილის მზადებას შეუდგება. სადილს შეადგენს საჭმელებისაგან ფშავლის საყვარელი ხინკალი, სასმელად არაყი, ღვინო და აგრეთვე ტკბილეული და ხილი, ვაშლი და ჩურჩხელა. საათის თერთმეტზედ გაიმართება სადილის ჭამა და მეკვლეობა. მომზადებულს სადილს, ხილსა და სასმელს ფშაველი სამ ნაწილადა ჰყოფს, ცალ-ცალკე ადგილსა სდგამს ხონჩით და სამივეს ცალ-ცალკე სახელს შასდებს ოჯახის უფროსი. ერთი ხონჩა დანიშნულია ოჯახის მიცვალებულებისათვის, მეორე – ოჯახის მეგობარ მიცვალებულებისათვის, „რომელიც მოგონებას მოგველოდეს და ჩვენ კი ვერ მოვიგონებდეთო“, ასე მოიხსენიებს სახელის შემდები ამ სულსა, და მესამე – „ოხრის“ სულისათვის, რომელსაც სააქაოს ნათესავები აღარ გააჩნია და დღესასწაულში ვეღარავინ მოიგონებს. შემდეგ სამსავე სუფრას დიასახლისი ოჯახის წევრთ მიართმევს. „სახელის შამდები“, როგორც ნათქვამია, ოჯახის უფროსი წევრი უნდა იყოს წლოვანებით, მაგრამ ეს აუცილებელი ვალდებულება კი არ არის მისთვის, მეკვლის ხნიერობას მეკვლეობაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ორივე შემთხვევაში ფშაველს არავითარი სქესობრივი განსხვავება და უპირატესობა არა აქვს. შეუძლიან მიცვალებულების მოხსენიებაცა და მეკვლეობაც ორივე სქესს.

მეკვლედ ფშაველი მეზობელს მიიწვევს. შინაურის მეკვლეობა არ შეიძლება. ფშავლის აზრით, კაცი არის სხვადასხვა დავლათისა, იღბლისა, თვალისა და კვალისა. ზოგი ცუდის კვალისა და თვალის კაცია და ვინც ისეთად ცნობილია, იმას არც მიიწვევს მეკვლედ. თუ ასეთი მეკვლე მიიწვია, ფშაველს ასე ჰგონია, რომ წლის განმავლობაში უეჭველად რაიმე ცუდი საქმე შეემთხვევა იმის ოჯახს.

მეკვლის მისაწვევად, მეზობლისას წასულმა, კარები უნდა დაუკაკუნოს მას და ისე აცნობოს თავისი მისვლა, ჩვეულებრივის „ოჯახის პატრონის“ დაძახება არ შეიძლება ამ შემთხვევაში, რადგანაც, ფშავლის აზრით, ყოველგვარი ხმაურობა არღვევს მყუდროებას, რომელიც დღესასწაულისათვის საჭიროა ძალიან. საჭირო იმისთვისა, რომ მაღალ ხმით მოძახური, რომელსაც ახალწელიწადს მყუდროება დაურღვევია, მთელის წლის განმავლობაში მოკლებული იქნება მყუდრო და მშვიდობიანს ცხოვრებას. მეკვლეს დიასახლისი კარის ზღურბლთან მიაგებებს ხონჩას, რომელზედაც დალაგებულია ხილი, საოჯახო დიდი გოგა (ბედისკვერი), თაფლიანი ჯამი, პურ-ყველი, ხინკალი და თეთრი ცხვრის მატყლი. მეკვლე ბედისკვერს გამოართმევს დიასახლისს და კარის ზღურბლიდგან სამჯერ შეაგორებს სახლში. ბედისკვერი თუ წაღმა დადგა და ის პირი, რომელზედაც ხარ-გუთანი და საოჯახო საქმეებია გამოსახული, ზევით მოექცა, როდესაც გაგორებული დადგება, ეს კარგის ნიშანია, მოასწავებს კარგს მოსავალსა და ოჯახის მთლიანობას, თუ არა და, ცუდი ნიშანია. შემდეგ თვითონ მეკვლეც სახლში შედის და ოჯახს მიულოცავს:

„ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, კარგადამც მოგიხდებათ ჩემი მეკვლეობა, ღმერთმა მრავალს წელს დაგასწვრასთ მშვიდობით, სიხარულით, დიდი გიმატოსთ ღმერთმა, ახალმა წელმა, ახლის წლის გამოცვლამ“.

შემდეგ ყველანი უპასუხებენ მეკვლესა:

„ეგრე შენ შენიანად. ღმერთმა შენი თავი გვიცოცხლოს, დიდხანს აუბნოს შენი ენა-პირი“...

როდესაც მეკვლის პასუხს გაათავებენ, დიასახლისი თაფლიანს ჯამში პურის ნატეხს ამოაწებს, შეაჭმევს მეკვლეს და თან ეუბნება: „ესრე ტკბილად დამიბერდი!“ თეთრ მატყლს თავისი ხელით უბეში უდებს და ეუბნება: „ესრე თეთრად დამიბერდი!“ შემდეგ ოჯახი მეკვლეს გაუმასპინძლდება შეძლებისდაგვარად. დააბერებენ ერთმანეთს კიდევ ტკბილეულითა და როცა გაისტუმრებენ, უბეში

ჩადებული მატყლი და პურეული რამ თან უნდა გაატანონ მეკვლეს. ახალწელიწად დღეს გაცემა ფშაველს საჭიროდ მიაჩნია, რათა ოჯახი პურადი იყოს და სიხარბე არ დაეკვებოს. ნათლისღებამდე ფშაველი საქმეს იშვიათად აკეთებს. ამ დროს უფრო ხშირად ერთმანეთთან წვეულებითა და ლხინ-სიმღერით გართულები არიან.

ნათლისღებას, ანუ, როგორც ფშაველი უწოდებს, „წყალკურთხევას“, „განცხადებას“, ისევე „ნაყრითა“ და სატკბილობელით დახვდებიან. დიასახლისი გათენებისას წყალს მოიტანს და კოკის ავსების დროს პურისა და ყველის ნატეხებსა ჰყრის წყალში. ამას წყლისთვის ნაყრის მიტანა ჰქვიან და ყველა ფშაველი ამ ჩვეულებას მტკიცედ ასრულებს. წყლის ჭურჭელს დიასახლისი მდინარეზედ რამდენჯერმე ავსებს და დააქცევს. დაქცეული წყალი, ფშავლის აზრით, ოჯახის მიცვალებულებს მიუვა საიქიოს. ნათლისღება დღემდე ბედისკვერები ოჯახს შენახული აქვს, ხოლო ამ დღეს ყველანი შესჭამენ თავ-თავიანთ კვერსა. საოჯახო ბედისკვერს გუთნისდედა, ანუ მეხრე, ერთ-ერთ გუთანში ნაბამ ხარის კისერზე გადაატეხავს, ნაოთხალს ხარს შეაჭმევს და დანარჩენს ოჯახის წევრნი სჭამენ. ფშაველი თავის თავს მოვალედა სთვლის, რომ ახალწელიწადი დღე თავის სახლში გაატაროს. ამ დროს სხვის სახლში და უფრო სოფელ-ქვეყანაში არ დარჩეს და არც მიდის სალოცავად თავის ეკლესიაში. შობასა და ნათლისღებას კი ხალხი ეკლესიაში სალოცავად მრავლად იკრიბება. თუმცა ეს ასეა, მაგრამ თავის ხატს არც ახალწელიწადს ივიწყებს. თემი მოვალეა, საახალწლოდ ორი კაცი გაჰგზავნოს თემის სალოცავში მეკვლედ. მეკვლეობასაც ხალხი რიგით მოაყოლებს, როგორც დასტურობას. ახალწელიწადს თემის ხატშიაც საჭიროა დღეობა და მცირე მსხვერპლის შეწირვა. ამ დროს მეკვლეებიც იქ უნდა დაესწრნენ, სალოცავს ღამე უთიონ და ახალწელიწად დილით ხატს დარბაზში შეუკვლიონ. შეკვლევის დროს მეკვლე ამბობს შესაფერის ლოცვას: „ღმერთმა გაგაძლიეროს, ჩემო სალოცავო, ყმები

გაგიმრავლოს, ზიანი ნურა მოგცეს, კეთილად მოგიხდინოს ჩემი მეკვლეობა შენა და შენს ყმათა“.

ნათლისღების შემდეგ ყველიერამდე არავითარი ყურადღების ღირსი დღესასწაული არა აქვთ ფშავლებს. ყველიერში ახალგაზდა ვაჟები ბერიკაზედ დადიან ამ შემთხვევისთვის განგებ მომზადებული ხის ხმლებით შეიარაღებულნი, თან დაჰყავთ „ბერაკ“, რომელსაც თავზედ და სახეზედ რქიანი მშველის ტყავი აქვს ჩამოფხატული. ბერიკები, როგორც ბარში, ყველა კომლს სათითაოდ დაუვლიან და ასცილდებიან მხოლოდ ახალი მიცვალებულის პატრონს, რომელიც მგლოვიარეა და თამაშ-სიმღერით ისეთ ოჯახში მისვლა შეურაცხყოფაა ოჯახისა. თუ სოფელში რჩეული ახალგაზრდა ვინმე გარდაცვლილა ყველიერის ახლო ხანებში, მაშინ იმის პატივსაცემლად ბერიკაობას სოფლის ბიჭები აღარ გამართავენ.

ყველასთვის, რაც კი კაცის მაზარალებელია, ბუნების მოვლენაა, ნადირი თუ მწერი, ფშაველს ყველა მათთვის თითო დღე უქმად დაუწესებია. ამგვარი უქმეები არიან: „თაგვ-ჩიტთ უქმე“ - დიდმარხვის პირველ ორშაბათს, „მექარობა“ - ოქტომბერში, „მეღვარობა“ - აღდგომის კვირას, გარეგნობა[18], ანუ სეტყვის უქმე, „ბუჭყაის უქმე“ - ყველიერში და „მგელთუქმე“ - დიდმარხვის მეორე კვირას. ფშავლის აზრით, ყველა „მავნე“ არსებასა და ბუნების მოვლენას ამოქმედებს ისეთი უზენაესი ღვთისაგან გამოჩენილი ძალა, რომელსაც დაყვავება და მოფერება უნდა, რადგანაც იმას შეუძლიან, დაიფაროს ადამიანი და მისი ქონება ყველა ხსენებულ მავნეთა ვნებისაგან. ერთ ამნაირ საშუალებათაგანია დასახელებული უქმეები ფშავლისა.

ყველა ამ უქმეებში, გარდა თაგვ-ჩიტთ და მგელთ უქმისა, არავითარი საგანგებო წესი არა სრულდება და უქმობა გამოიხატება მხოლოდ იმითი, რომ ხალხმა მთელი დღე უქმად გაატაროს და არა გააკეთოს რა. სულ სხვანაირია უქმობა თაგვ-ჩიტთ უქმესი და მგელთ უქმესი. ყველა ისინი ფშავლის სარჩო-საბადებელს: ყანა-

[18] გარეგნობა: ტ. მახაურის აზრით, უნდა იყოს „გარეგვნობა“.

ძნასა და ცხვარ-ძროხას ხშირადა ხვდებიან, საგრძნობლად აზარალებენ, მაშინ, როდესაც სეტყვა, ღვარი, ქარ-ბუჭყა და სხვ. მხოლოდ შემთხვევაა, რომელიც უფრო იშვიათად ხდება და, მაშასადამე, ნაკლებად მაზარალებელიც არის. თაგვ-ჩიტთ უქმე წინათ უფრო საჩხირკედელაო ყოფილა, ვიდრე ახლა. ჩვენს დროში მხოლოდ „ფაფას უდუღებენ“ თაგვ-ჩიტთა, ჯამის ნატეხარათი ღობეზედ დაუდგამენ, რომ ჩიტებმა სჭამონ და დანარჩენს კი შინაურები, უფრო ბალღები შეექცევიან. უწინდელს დროში ბავშვი, როდესაც ჩიტებს ღობეზედ ფაფას შეუდგამდა, იქიდგან პირდაპირ სახლის ერდოსკენ გასწევდა, თან ამ შემთხვევისთვის განგებ კალთაში დაგროვილ ნაფოტებს დაჰყრიდა გზა-გზა. ერდოსთან მივიდოდა და დაუძახებდა ფაფის გამკეთებელს დიასახლისს: „დედავ, რასა იქ?!“ – „ჩიტთა ფაფასა,“ – უპასუხებდა დიასახლისი. „ჩიტი რასა იქს?!“ – ჰკითხავდა ბავშვი. „სხვისა ყანასა,“ – ხელახლად უპასუხებდა დიასახლისი. შემდეგ ბავშვი ისევ გზა-გზა ნაფოტების მორიგებით შევიდოდა შინ და ფაფას ჭამდა სხვებთან ერთად. მერე მოზრდილი ბიჭები შეაბამდნენ გრძელ სახრის წვერზედ ნალის ნატეხებსა, ჯღანებსა, ძნის ნიმუშსა, სახლში მიახლ-მოახლიდნენ და თან ამ სიტყვებს ამბობდნენ: „ანგელოზო, შინ შემოდი, თაგვო-ჩიტო, გამოდი!“ ამ სიტყვას სამჯერ გაიმეორებდნენ, შემდეგ სოფლის გარეთ გაიტანდნენ სახრეებსა, იქ სოფლის მეთაგვ-ჩიტები ერთად შეიყრებოდნენ და შორს, სოფელს ან სხვა ალაგებს გააცილებდნენ მაინც, თუ სხვა სოფლის ადგილში მიტანას რაიმე მიზეზით ვერ მოახერხებდნენ. ამას ერქვა „თაგვ-ჩიტთ გალალვა და გაშვება“. სხვა სოფლის საზღვარზედ გადასული მეთაგვჩიტები, იმ სოფლის მეთაგვჩიტებს რომ შეხვედროდნენ, ხშირად თურმე ჩხუბი და თავპირისმტვრევა მოუხდებოდათ ერთმანეთში, რადგანაც არცერთი მხარე მეორეს ნებას არ აძლევდა იმის სოფლის ადგილებში თაგვ-ჩიტის გაშვებისას. ეს ჩვეულება ხალხს ამოუკვეთნია, რადგანაც ბევრი უსიამოვნება მოსდევდა ხოლმე. ასე რომ, ჩვენს დროში თაგვ-ჩიტთ ფაფასაც კი იშვიათად ვინმე გააკეთებს.

მგელთ უქმესა დღესასწაულობენ კვირა დღესა და ეს უქმე, ფშავლის აზრით, ძლიერი უქმეც არის, მეტადრე მწყემსებისათვის, რომლებსაც უფრო ხშირად „ეხედვება“ და აზარალებს მგელი, რადგანაც იმათი ხელობა ასეთია. ფშავლის აზრით, ღმერთს მგლისათვის ერთი დღე ურგუნებია. ეს დღე კაცთ უნდა „უქმედ შეინახონ“ და ვინც გასტეხავს ამ უქმეს, გააკეთებს რასმე, იმისი ცხვარ-ძროხაც ღვთისაგან მგლისათვის დალოცვილია, იმას ვერ გადაარჩენს ვერც მწყემსის სიფრთხილე და ვერც რკინისღობეშემოვლებული ბაკი. თვით სადღესასწაულო წესს მცირეწლოვანი მწყემსები და პატარა ბალღები ასრულებენ. მთელი უქმე დილით დიასახლისი ცხელს კეცში დაახალებს „მგლის პირის დასაწვავს“ ცერცვსა, დააცხობს მგელთ-კვერებსა და დააბამს ბოძზედ თოკით მგელს. დაბმული მგლის როლს ამ შემთხვევაში ასრულებინებენ ფილთაქვას, რომელსაც ბოძზედ მიაკრავენ სახლში და მეორე დღემდის აღარ აუშვებენ.

მგელთკვერა ცხოველის სახისაა, გამოსახული აქვს ყურები, ცხვირი, ფეხები და კუდი. თვალები ჩასმული აქვს შავის ცერცვისა. ბალღებმა მგელთ-კვერა ისრით რამდენჯერმე უნდა დაკოდონ და მერე შეუძლიათ შეჭმა. დაუკოდავი მგელთ-კვერას შეჭმა არ ვარგა, ეს ნიშნავს მგლის გამარჯვებას. „მგელთკვერას“ დასაკოდად ბავშვები მშვილდ-ისარს წინადვე იმზადებენ და, საზოგადოდ, ამ დღისთვის სიხარულით ემზადებიან.

„ივერია“, 1890, № 80.

III

ვნების კვირის ოთხშაბათ დღესა და ღამეს, როგორც ყველგან ქართველები, ისე ფშავლებიც „კუდიანების დღე-ღამეს“ უწოდებენ. ფშავლის აზრით, კუდიანი კაცი და დედაკაციც (კუდიანები უფრო მრავლად დედაკაცები არიან, ფშავლის აზრით, ვიდრე მამაკაცები) ეშმაკთან გაზიარებულია, გადასდგომია ღმერთსა და თავისი სული ეშმაკისთვის შეუწირავს. ის ყოველ წელიწადს, ვნების კვირის

ოთხშაბათ ღამეს, დაიარება ეშმაკებთან, რომლებსაც კუდიანობა ღამეს დიდი ნადიმი და სიმღერა-თამაშობა აქვთ. ყველა ამაში კუდიანებიც მონაწილეობას იღებენ. ფშაველი დარწმუნებულია, რომ კუდიანმა ადამიანმა ადრევე იცის, რაც სოფელში მთელის წლის განმავლობაში ან კარგი და ან ავი უნდა მოხდეს; ყოველს ამას ის კუდიანობა ღამეს ეშმაკებისგან შეიტყობს ხოლმე და ამითი გაირჩევაის სხვა არაკუდიანებისაგან. საკმარისია, რომლისამე ადამიანისგან წინათ ნათქვამი ასრულდეს, და ამასთან იგი საექიმო ჩხირკედელაობასა და შელოცვასაც მისდევდეს, რომ ხალხმა მას კუდიანობა დაუძრახოს. კუდიანის სული ეშმაკის კუთვნილებაა და ისიც თავის „კუდიანს“ სიცოცხლეში ბევრს შემწეობას აძლევს. მაგალითად: საკმარისია, კუდიანმა სამუშაო იარაღი მუშაობის შემდეგ ღამე უკუღმა დასდოს და ღმერთი არ ახსენოს, რომ მაშინვე უხილავად მივა ეშმაკი და საქმეს კეთებას დაუწყებს და ამნაირად კუდიანი ადამიანის საქმეც ბარაქიანადა კეთდება.

კუდიანები თავის ღამეში ეშმაკებთან წასასვლელად შემდეგ საშუალებასა ხმარობენ: იმათ საცეცხლურქვეშ, სახლში, რაღაცა მოჯადოებული წამალი აქვთ მიწაში ჩაფლული; ეს წამალი ეშმაკებისგანა აქვთ მიცემული. დაღამდება თუ არა ოთხშაბათი დღე, რაკი ხალხის ფეხი მისწყდება და ყველანი დაიძინებენ, კუდიანები ჩუმ-ჩუმად წამოდგებიან ლოგინიდგან, ამოიღებენ თავის მოჯადოებულს წამალს, წაისვამენ, გადასხდებიან ცოცხზედ, აფრინდებიან სახლის ერდოდგან, თითქოს მხრები შესხმიათო და გასწევენ ეშმაკებისკენ; წესი ისეთი აქვთ ეშმაკებსა და კუდიანებს, რომ მთელი წლის განმავლობაში ყველა კუდიანებისაგან ერთს უნდა რაიმე უბედურება შეხვდეს, მოუკვდეს ახლო ნათესავი. ამ უბედურებაზედ ეშმაკები კუდიანებს სიმღერისა და თამაშობის გათავების შემდეგ „წილს უყრიან“ (კენჭს უყრიან) და ვისაც იქ ერგება კენჭით ეს უბედურება, იმას აღარც ლოცვა იხსნის მისგან და აღარც გაფრთხილება.

ფშაველი დარწმუნებულია, რომ კუდიანობა ღამეს ეშმაკების და კუდიანების ლაპარაკი და სიმღერა შეიძლება გაიგონოს არაკუდიანმაც, მხოლოდ შემდეგი წესი უნდა აღასრულოს: ოთხშაბათ ღამეს უნდა რამდენიმე კაცი წავიდეს და სადაც ორი გზა ერთად იყრება, იქ უნდა „მისნად“ დასხდეს და ეშმაკების სიმღერას და ლაპარაკს ყური დაუგდოს. ეშმაკები იმ ღამეს „გზის შესაყარში“ მოიყრიან თავსა და მხოლოდ იქ შეუძლიან მისნებს იმათი ნახვა და გაგონება იმათის სიტყვა-პასუხისა. მხოლოდ მისნებს თან არაფერი იარაღი და რკინეული არ უნდა ჰქონდეთ, რადგანაც ეშმაკებს ძალიან ეშინიათ იარაღისა, მეტადრე – ხმლისა, რადგანაც იგი, ფშავლის აზრით, ღვთისაგან ნაკურთხია. თუ იარაღიანი ფშაველი მივიდა ეშმაკების საიდუმლოს შესატყობად, ისინი მაშინვე მიეფარებიან, თუ არა და ყურსაც არ მიუგდებენ იმათ. მისანებში ერთი მაინც „სიყმის“ (პირმშო) შვილი უნდა იყოს, თორემ უამისოდაც ეშმაკებისას მისანები ვერაფერს გაიგონებენ. მისანები ჩუმად უნდა ისხდნენ. თუ წამოსცდათ რამ და დაილაპარაკეს, ეშმაკებიც და კუდიანებიც მიეფარებიან და ყველა იმათი ნათქვამიც მისანებს სრულიად დაავიწყდებათ.

ფშაველი დარწმუნებულია, რომ კუდიანებში მიპარვით იმათის ლაპარაკის გაგონება და იმათ ჯამაათში გარევა გარეშე კაცსაც შეუძლიან. ამისთვის საკმარისია, რომ კუდიანის მოჯადოებული წამალი წაისვას და ცოცხზედ გადაჯდეს. მაშინვე ეშმაკებთანა და კუდიანებთან დაიბადება უცებ და ვერც ისინი შეამჩნევენო. აი, ერთი მაგალითი ფშავლის ვითომდა კუდიანებში მისვლისა:

„დედაჩემს სოფელი კუდიანობას უძრახავდა. ეს მე ძალიანა მწყინდა, მაგრამ რა გაეწყობოდა?! ხალხს პირს ვინ აუკრავდა და გააჩუმებდა?! დედის კუდიანობა თუმცა არა მჯერიდა, მაგრამ მაინც ეჭვში ვიყავ. მართალია, სოფელში ბევრი ჭორი ითქმება, მაგრამ ისეთი კი არა, რომ ცოტა მართალიც არ ერიოს. ამის გამო ძალიან მინდოდა, შემეტყო, დედაჩემი მართლა კუდიანია თუ არა. რაკი მოახლოვდა კუდიანების ოთხშაბათი, განვიზრახე, მთელი ღამე

მეფხიზლა და დედაჩემისთვის მეყარაულნა, მართლა რასმე ამოიღებდა საცეცხურს ქვეშიდგან, წაისვამდა, გადაჯდებოდა ცოცხზედა, აფრინდებოდა სახლიდან საკომლში (ერდოში) და გასწევდა ეშმაკებთან და კუდიანებთან თუ არა. როცა კარგად დაღამდა, კაცის ფეხი სრულიად მიწყდა ჩვენს სოფელში, ჩვენც დავწექით. მე დედიჩემის ახლო დავწექი და არ დამიძინია, თვალი დედიჩემისაკენა მქონდა, ვამბობდი, ან ახლა წამოხტება, გადაჯდება ცოცხზედა და მოსთხმუზავს საკუდიანეთოდა ან ახლა-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, დედაჩემმა ისეთი ხვრინი ამოუშვა, გეგონებოდათ, ორი კვირის უძილოს ახლა კიდევ ძლივ მოუცლია დასაძინებლადაო. ველოდე, ველოდე, ვუდარაჯე. შუაღამე კარგა გადასული იქნებოდა, მოთმინება გადამიწყდა ლოდინითა, მაგრამ დედაჩემს კი ერთხელაც არ გაუჩუჩუნია. საშინელი სიჩუმე იყო ჩვენს სახლში, მხოლოდ ხანდახან ი წყეული თაგვი გააფხაკუნებდა სადმე ხოკრებში და მე კი მაშინვე თვალი კერისკენ დამრჩებოდა, იქნება დედაჩემი მიიპარა იქ და იმ თავის მოჯადოებულ საკუდიანე წამლის ამოსაღებად მიწასა სჩიჩქნის-მეთქი, მაგრამ ტყუილად. მე ასე ადვილად ვერ გამეპარებოდა დედა, რადგანაც სახლში არც ძალიანა ბნელოდა. საღამოზედ ვეებერთელა სათარიდავურთე ცეცხლზედ და მთელი ღამე სულ ღუდღუდი გაჰქონდა, ასე, რომ სახლში თუ რამ მოხდებოდა, თვალიდგან ვერ გამომეპარებოდა. ბოლოს, როცა სიფხიზლითა და ლოდინით საშინლად დავიღალ-დავიქანცე, დედაჩემი ჩუმ-ჩუმად ადგა, მიიპარა საცეცხლურთან, გადაქექ-გადმოქექა ნაცარი, ამოთხარა მიწა, ამოიღო პაწია პირმოკრული ქოთანი, მოხსნა პირი, შიგ ჩაყო ხელი, რაღაცა ამოიღო, წაისო და მერე ქოთანი საჩქაროზედ იქვე ჩადგა, მიწა და ნაცარი მიაყარა. კარებს უკან რამდენიმე ცოცხი იყო მიყუდებული, დედამ მიირბინა იქ, აიღო ერთი ცოცხი, ზედ გადაჯდა, აფრინდა სახლის საკომლში და შემდეგ საით წავიდა, ვეღარა გავიგე-რა.

მაშინ კი დავიჯერე, რომ სოფელს არ უმტყუვნია, როცა დედაჩემს კუდიანობას უძრახავდა. მაშინ კი ვთქვი გამწარებულმა: დამაცალე,

დედავ, თუ შენ და შენს ეშმაკებს ერთი კარგი ოინი არ დაგმართოთ, მაშ მე ქრისტიანი კაცი აღარა ვყოფილვარ და ქუდი არა მხურებია-მეთქი. ამოვთხარე დედაჩემის წამლიანი ქილა საცეცხლურიდან, მოვისვი წამალი მეცა და გადავჯექი ცოცხზედ. ცოცხმა ცივ-ცივ ამიტაცა და ჩვენის სოფლის გზა-გასაყარში მიმაფრინა. იქ დიდ ჯარს მოეყარა თავი ეშმაკებისას და კუდიანებისას. კუდიანები რამდენიმე სხვაც აღმოჩნდა ჩემი მეზობლები და ახლო სოფლელები. ყველა ისინი ცოცხებზედ ისხდნენ; თვითონ ეშმაკები კი უცოცხებოები იყვნენ. ეშმაკები და კუდიანები ძალიან მხიარულად იყვნენ, იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ ერთმანეთში, რომ მისანად მოსული ადამიანები, თუ სადმე არიან ჩვენს ახლო-მახლო, გავაცინოთ, რათა ჩვენი ნათქვამი ვეღარ დაიხსომონო. მე ვერც დედაჩემმა და ვერც სხვა კუდიანებმა ვერ მიცნეს, ალბათ ეშმეკებსაც კუდიანი ვეგონე. ბოლოს ყველამ ფერხისა (ფერხული) დააბეს. ფერხულში ჩავდექი მეცა. ლექსის თქმა რიგ-რიგით მააყოლეს, ყველამ შესაფერისი ლექსი იმღერა ფერხულში და ბოლოს ჯერი ჩემზედ მოდგა. მეც ფერხულში შემდეგი ლექსი ვიმღერე:

წინდა მეცვა ეშისა,
ქალამანი ხეშისა;
წმინდამ გიორგიმ დასწყევლოს
ეშმაკების ფერხისა.

ვახსენე თუ არა წმინდა გიორგი, მთელი ეშმაკებისა და კუდიანების გროვა მთლად გაჰქრა, მეც უეცრად, რა გზით და როგორ, აღარ მახსოვს, ჩემს ლოგინში ამოვყავ თავი. საშინლად დაღალული და ოფლში გაწურული ვიყავი. დავუგდე ყური დედაჩემს, მოსულა თუ არაო. ისევ ისე ხვრინავდა დედაჩემი ლოგინში. კაცს ეგონებოდა, მაგას არც კი გაღვიძებია, არამც თუ სახლიდგან ფეხი მოუცვლია და ან კუდიანებში ყოფილაო. შემდეგ კი დავრწმუნდი, რომ დედაჩემი კუდიანი ყოფილა და სოფლელებს მართალი უთქვამთ. დედას რომ ეს ამბავი უთხარ, ჯერ სიცილად არ

იკმარა, სიზმარში გინახავ, შვილოვო, მაგრამ როცა მე არ დავუჯერე და ჩემს ნათქვამზედ მაგრად დავდეგ, საშინელი ფიცი მააყოლა, მაგრამ აბა კუდიანს ან ფიცს ვინ დაუჯერებს და ან სხვა რასმე?! იმათი ფარ-ხმალი ტყუილი ფიცი და მაცდურობა არის!“

რადგანაც ფშაველი დარწმუნებულია, კუდიანობა ღამეს ეშმაკები იმასა სცდილობენ, რომ ადამიანი რითიმე დანავსონ, ამისთვის ის კუდიანობა საღამოზედ დაბინდებამდისვე შეუდგება ეშმაკების მოსაშორებლად თავდარიგს. ნედლი თხილის ხის, ასკილისა და მუხის ტოტებს მოიტანენ და სამივე ხის თითო ტოტს სახლისა და გომურის კარების თავზედ დააკრავენ, დააწყობენ საპურე ბეღელში, ან პურიან გოდრებზედ და აგრეთვე სახლის საკომლზედ ხის ტოტებს. ყველგან თან დაატანენ თითო ნახშირსაც. ფშავლის აზრით, ამ საგნებს ეშმაკი ძალიან უფრთხის. კუდიანობა ღამეს მხოლოდ იმათ შეუძლიანთ გადაარჩინონ ოჯახი და იმისი ქონება ეშმაკებისაგან დანავსვას. კუდიანობა ღამეს გათენებამდე ერთ-ერთი დედაკაცი, უფრო-კი დიასახლისი, ადგება „უმძრახად“, ხმას არავის არ გასცემს. უმძრახი დედაკაცი ბამბის რამდენსამე ფთილას ჩამოართავს, ყველას სათითაოდ დაუვლის ლოგინშივე და მარჯვენა ხელის მაჯაზედ ბამბის ახლად დართულ ძაფს შეაბამს. მაჯაზედ შებმულს ძაფს ის ძალა აქვს, რომ ეშმაკი დაებმება და ადამიანს ვეღარ შეეხება, ვეღარ დანავსავს. შემდეგ უმძრახი დედაკაცი ჯამში წყალს ჩაასხამს, შიგ ნაკვერჩხლებს ჩაჰყრის და ამნაირად შეზავებულ „ნახშირ-წყალს“ ჯერ ჯალაბობას ასხურებს, მერე საცერ-ვარცლსა და საქონელს. ნახშირ-წყალიც ეშმაკის ასაშორებელი საშუალებაა.

დიდხუთშაბათ დღეს ფშავლები უქმობენ, მაგრამ უმძრახად დამდგარ დედაკაცს კი ნება აქვს მუშაობისა, თუ ის მთელის დღის განმავლობაში უმძრახად შეინახავს და არავის დაელაპარაკება. საქმის გაკეთებისათვის სახლში რამდენიმე დედაკაციც დადგება უმძრახად. ამ შემთხვევაში ეშმაკის მოსაშორებელ წესებს ერთ-ერთი მათგანი აასრულებს, უფრო დიასახლისი, კაცები კი უმძრახობას

იშვიათად მისდევენ, ეს უფრო დედაკაცების საჩხირკედელაო წესია. უმძრახობა დიდხუთშაბათს დილას და მუშაობა მხოლოდ მჭედლებისათვის არის სავალდებულო და მთელის დღის განმავლობაში თუ არა, ცოტა ხანს მაინც იმუშავებენ ისინი. დიდხუთშაბათს მჭედლებისთვის იმ მიზეზით არის მუშაობა სავალდებულო, რომ ღვთისაგან რკინით დაბმულს ამირანს გოშია ულოკავს ჯაჭვს, რომლითაც ის დაბმული არის. მთელის წლის განმავლობაში ის ლოკითა სცვეთავს ჯაჭვსა და დიდ ხუთშაბათისთვის იქამდე მიასუსტებს, ცოტა ხანიც რომ დასცალდეს, ამირანი ჯაჭვს მოჰგლეჯს, აეშვება და ამითი, ჯერ ერთი, რომ ღვთის ბრძანება დაირღვევა და, მერე, ამირანი მთელს ქვეყანაზედ მჭედლებს სულ ამოჟლეტს, რადგანაც ამდენი ხანი ის მჭედლების მიზეზით რჩება დაბმული. ისინი რომ დიდ-ხუთშაბათს არა მუშაობდნენ, ამირანიც აქამდე აეშვებოდაო, ასე ჰფიქრობენ ფშაველი მჭედლები. კუდიანობა საღამოზედვე ფშავლები სამს მუგუზალს გაისვრიან ცეცხლმოკიდებულსა და თან ამ სიტყვებს იტყვიან: „თქვენ მოგხვდეთ, ეშმაკებო!“

ფშავლის დღესასწაული აღდგომა დღეს ბარის ქართველის დღესასწაულისაგან თითქმის არაფრით განირჩევა. დილითვე ყველანი ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავენ. ეკლესიაში მრავალი ხალხი ლოცულობს ამ დღეს, მხოლოდ წირვის გათავების შემდეგ ზოგიერთს სალოცავის დღეობაში მიდის ხალხი.

ერთადერთი დროების გასატარებელი და დასასვენებელი დრო ფშავლისა ხატის დღეობაა, „ჯვარობა“. ხატის დღეობები უფრო ზაფხულშია, როცა ხალხი მოცლილია და ფშავში თავმოყრილი. წვრილ-წვრილი დღეობები და კერძო ოჯახების მიერ მსხვერპლის შეწირვა მთელის წლის განმავლობაში ხდება ხოლმე, მაგალითად: ახალწელიწადს, შობას, აღდგომას, გიორგობას და სხვ., ხოლო „თავ-დღეობები“, საყოველთაო დღესასწაულები ყველა სალოცავებში იწყება ამაღლების დღიდგან. ამაღლება დღეს ჯვარობასაც უფრო კერძო ხასიათი აქვს. ამ ღამეს უფრო თემის ხატებსა და სოფლის

ადგილის დედასა ლოცულობენ. მკათათვის პირველ კვირაში იწყება საერთო სალოცავების: „ლაშარის ჯვრის“, თამარ მეფისა, ხახმატისა და კოპალას დღეობები, რომლებსაც ფშავლები „სერობას“, „საღმთობას“ და „ათენგენას“ უწოდებენ. დღეობა პირველად ლაშარის ჯვარშია, შემდეგ – თამარ მეფის სალოცავში და მერე სხვა სალოცავებში.

ხატობაში მრავალი ხალხი იყრება ყველა ხელობისა და ჰასაკისა. ყველა სცდილობს, იმ დროს დაივიწყოს ცხოვრების წვრილმანები და მძიმე უღელი, დაისვენოს დიდის ხნის შრომისაგან, სულითა და გულით შეუდგეს და გადაიხადოს ხატის სამსახური; კარგად ჩაიცვას, დაიხუროს, მოკეთეს მოკეთეობა გაუწიოს და მტერს – მტრობა. ჯვარობა მეტადრე მეცხვარეებისთვის ერთადერთი ალაგია, სადაც იმათ შეუძლიანთ, დაივიწყონ თავიანთი ყოველდღიური გაჭირვება და შიშის ქვეშ ყოფნა. სადმე თრიალეთის მთაზედ ანუ შირაქის მინდორზედ, სადაც ისინი, თუ სულ არა, მთელის წლის მომეტებულს დროს მაინც, მამაპაპურად, დღედაღამ შეიარაღებულები სდარაჯობენ თავიანთ ცხვრების ფარებსა და ყოველ წამს იგერიებენ ათას დამშეულსა და მაწანწალა, თავზეხელაღებულ ავაზაკ თათრებსა, არიან მოშორებულები თავიანთ ჯალაბობას, სამშობლო მიწა-წყალსა და თემ-სოფელს. ის მხოლოდ ამ დროს არის მოცლილი, გაერიოს თავის მშობლიურ ხალხში, დაიკმაყოფილოს იმათთან ყოფნის წყურვილიც და სარწმუნოების მოთხოვნილებაც, აუსრულოს თავის სალოცავს სადმე შორს, გაჭირების დროს დადებული აღთქმა მსხვერპლის ან ვერცხლეულის შეწირვით და სხვ. თუ ყველა ამას სახეში ვიქონიებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ფშავლის „ჯვარობაში“ ლოცვა-ვედრებასა და მსხვერპლის შეწირვას პირველი და უკანასკნელი ადგილი არ უჭერია, თუმცა კი თავი და პირველი მიზეზი ხალხის რომელსამე სალოცავში შეკრებისა ეს არის.

„ივერია“, 1890, №81.

IV

ჯვარობის მეთაური და რიგ-წესის დამყენებელი ფშავლის ხევისბერია. ის „ამწყალობებს“ ხალხს, ანთებს ხატის სასანთლეში მლოცველებისგან მიტანილს სანთელსა და კვლავ ამწყალობებს იმათ:

„ღმერთო, წინა ძალი და ბრძანება შენია, შენ გააჩინე და აკურთხე ცანი და ქვეყანანი, შემოსე მოსილებითა შენითა, აკურთხე ხმელზედ ხორციელი, ჩაუდგი თავის უკვდავი სული, თორო ხმელზედ ხორციელთაგან ერთიც არა მოიგონებოდა და ვერცვინ რას შემოგკადრებდით. დიდება შენდა, ძალო ღვთისაო; დიდება შენდა, კვირაო კარავიანო, ღვთისა და მეუფის კარზედ მდგომელო, სიმართლის პასუხის გამცემელო ღმერთთანა და წყალობის გამამტანელო ხმელზე ხორციელთათვის; დიდება შენდა, დიდო ხელმწიფეო, წმინდა გიორგი ლაშარის ჯვარო; დიდება შენდა, დიდო თამარ მეფეო, ზე მდგომო ანგელოზო; დიდება შენდა, კოპალავ შვენიერო; დიდება შენდა, მთაწმინდის მთავარანგელოზო, დამასტეს წმინდავ გიორგიო, ხოშარის სახუთმეტო მთავარანგელოზო; დიდება შენდა, დედაო ღვთისმშობელო, ჭიჩოს ბატონ-პატრონო; სვეტიცხოველო, კიდევ ღვთისმშობელო, ყოველთა წმინდათა შუამდგომელო; ლაღო იახსარო, წმინდა გიორგი, მგზავრო ანგელოზო, ხახმატის ჯვარო, ლომისის მთავარმოწამეო; დიდება კიდევ შენა, დიდო ღვთისმშობელო და ძეო იმისავ და იმათთანა ყველა თანამართალნო, ყოველნო მოდე-მოძმენო, მოთანახმენო წმინდანო ანგელოზნო. დიდო ღვთისმშობელო, შენ გევედრებიან ყველანი ამ სამსახურის მომყვანნი (აქ იგულისხმება „საკლავები“, მწყალობელებელ ხევისბერთან მლოცველებისაგან დაყენებულები). შენ შაიხვეწიენ შენნი მართალნი და წმინდის გულით მავედრებელნი. ყოველნივე შაინახენით წყალობითა თქვენითა, ღმერთსაც თქვენ შაავედრეთ და გამაუთხოვეთ წყალობა თქვენი თქვენის ტკბილის ანგელოზებით,

თქვენ ნუ მააკლებთ თქვენს ტკბილს მოწყალე წყალობას, ამყოფენით თქვენნი ყოველნი მლოცველნი უჭირველად, ტანისა და გულის დაუჯიგრავად, მიანიჭე იმათ შენი უხვი წყალობა, როგორც თქვენ იცით, თორო ჩვენ ხმელზეით ხორციელთაგან ვერა გესწავლებათ რა, თქვენა ბძანდებით ყურითა ჩქრონი, თვალითა ფართონი, საცა რა გაჭირვება ეხედვებოდეს ლაღის მტრისაგანა, მწარე სიკვდილისაგანა, ეშმაკისაგანა, მაცდურისაგანა, თქვენ დაიფარეთ თქვენის საფარველითა, თქვენ გადააფარეთ თქვენი კაბის კალთაი, თაობას ღონე მოუმატე, კაცსა კაცრიელობა, თქვენ დაიფარეთ ლაღის მტრისაგანა, მწარე სიკვდილისაგანა, მაცილისა და ყველა ბოროტისაგანა, ყველა სევდა, საზიანო საქმე მააშორე; თქვენ გევედრებიანთ, ყოველნო წმინდანო და ანგელოზნო უფლისანო; თქვენ მიანიჭეთ შამოდგომა ღალიან-ბარაქიანი, პურიან-წყლიანი, ზამთარი ნებისა, რგებისა, ზაფხული მშვიდობისა; რამდენიც ჩვენ ვერ დავლოცოთ ჩვენითა პირითა მთელი ამ ჩვენის სალოცავის მლოცველნი, თქვენ დალოცეთ თქვენისავე ტკბილის პირითა; თქვენ მოუმართეთ ხელი. მოლაშქრე-მონადირე იყოს შენი მხვეწნელი, ლაშქრობა-ნადირობაში გაუმარჯვე და ყველა მაანადირებინე; მწყემსი იყოს, თქვენივე წყალობა წინ წაუმძღვერეთ. მეგუთნე იყოს, ხარ-გუთანი გაუმართე, ნახნავ-ნათესს ბარაქა დაუდევნე; ობოლ-ქვრივი იყოს, საწყალ-საბრალო, მიე ნუგეში, ძალი ჭირთ დათმენისა და ყველაზედ წინ წააყენე; ტყვენი და ტუსაღნი იყვნენ თქვენი მოხვეწურნი, მიეცით ძალი ხსნისა; სნეული და ავადმყოფი იყოს თქვენი მოხვეწური, დაიხსენი ყოველ სისნეულისაგან. წულს გთხოვდეთ, წული მიეცით გასაზრდო-გასახაროდა, რომ გული იმათი სჯერდეს და თქვენ გადიდებდეთ. თქვენამც დიდებულნი იქნებით თქვენის გამჩენის ღვთისაგან, რომელმაც ცა-ქვეყანა გააჩინა და მოჰფინა მზექლის შუქითა, ჩვენ ხმელზედ ცოდვილ ხორციელთ ჩაგვიდგა თავისი უკვდავების სული“.

პირ-აღმოსავლეთისაკენ მდგომარე ხევისბერი მობრუნდება ხალხისაკენ და ეტყვის:

„მოგიხსენიოსთ ემ ჩვენ სალოცავმა, მოგანიჭოსთ ყველას კეთილი და მოგცეთ წყალობა თავისი დასტურთა, მსახურთა და ყველა აქ მდგომარე მოხვეწართა. წადით, დასტურებო, ქადა-პურები დასჭერით, ყველას თავისი რიგი მიეცით და სტუმრებს გაუმასპინძლდით“.

თუ თემის ხატის ჯვარობაა, სტუმრებად მაშინ სხვა თემის ხალხი, ჯვარობაში სალოცავად მოსული, იგულისხმება; თუ საერთო ხატის ჯვარობაა, მაგალითად, ლაშარის ჯვარისა, მაშინ სტუმრად იგულისხმება „უცხო“ ხალხი: ქართველი, თუში, ხევსური და მთიული. ყველა ისინი ამ შემთხვევაში მთელის ხალხის სტუმრები არიან და იმათაც დასტურები ხალხში (მლოცველებში) მოკრებილი სანოვაგით უნდა გაუმასპინძლდნენ. ხოლო თუ თემის ხატის ჯვარობაა, მაშინ იმ ხატის ყმა თემის სტუმრები არიან ყველა უცხონი, რომლისაც ჯვარობაა და ყველა დღეობაში მათთვის ცალკე სუფრაა დასტურებისაგან დამზადებული. ხატის ყმა, თემი მოვალეა, გაუმასპინძლდეს, „ცალკე პური აჭამოს“ თავის თემის ხატის უცხო მლოცავებს, რომლებიც ამ შემთხვევაში თემის სტუმრებად ითვლებიან, და მასპინძელი თემიც მათ სტუმრულად პატივისცემით უხვდება ჯვარობაშია და უმასპინძლდება. ხალხი ხევისბერს ჯვარობაში მოტანილი ნამცხვარიდგან აძლევს ქადისა და ხმიადის ნაოთხალს „კოტორსა“ და აგრეთვე მსხვერპლად შეწირულის საკლავის მხარსა და ტყავსა. ნამცხვარსაც ხევისბერი საკლავების დაკვლისა და ხალხის დამწყალობების შემდეგ სჭრის. ქადები და ხმიადები კეცში გამომცხვარია და რგვალის კეცის პურის მსგავსები არიან. იმათ ხევისბერი გაჰსერავს ცოტათი დანით, შემდეგ თავის ხელქვევით დასტურებს გადასცემს, ისინი შუაზედ გასჭრიან და ერთს ნახევარს კიდე შუაზე სჭრიან. ამ ერთს ნაოთხალს თავათ იღებენ და სამს ნაოთხალს პატრონს უბრუნებენ. ყველა ამას

ჯვარობის გათავების შემდეგ ხევისბერი და სტუმრები ერთმანეთში გაინაწილებენ.

ხევისბერის უფლება დამწყალობებაზედ და შესავალზედ წინათ ხელშეუხებელი და უდავო იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს კი სადავოდ გადაიქცა. ახლანდელ ფშაველების კანონიერი სულიერი მამები ამ არაკანონიერს წყაროს შემოსავლისას მადიანად და პირსწყალმოსულები შეჰყურებენ და ზოგან ბრჭყალიც ჩაუკიდნიათ. ვითომ და იმ მიზეზით, რომ ხალხის ცრუმორწმუნეობა მოისპოს, შემოსავალს ხევისბერსა და დასტურებს ხელიდგან აცლიან. სამწუხარო აქ მხოლოდ ის არის, რომ სამღვდელოებისაგანაც და ხალხის ყველა შეგნებულ კეთილის მორწმუნეთაგანაც ხევისბერი და მისგან რაიმე სარწმუნოებურ წესის ასრულება სამართლიანად უარყოფილი და ძალად მაცხონეობად მიჩნეულია. მათგან უარყოფილია თვით ხალხის სალოცავიცა, სადაც ხევისბერი ხევისბერობს, მაგრამ როცა ჯვარობაში საქმე შემოსავალზე მიდგების, თუ ხევისბერი ჩამოეცალა და შემოსავალი მღვდელს დაანება, მაშინ ეს უკანასკნელი არც ხევისბერობაში და არც საერო ჯვარობაში აღარავითარს უკანონოს აღარ ჰხედავს და მზადაა, პირიქით, ხელიც შეუწყოს ამ ჩვეულებრივს ჯვარობებს შემოსავალის გასამრავლებლად. შემოსავლის თაობაზედ ხშირად დიდი უსიამოვნება ებადებათ მღვდელსა და მრევლს ერთმანეთში და ამითი მღვდელი უფრო ბევრსა ჰკარგავს ხალხის თვალში, ვიდრე ხევისბერი ხევისბერობითა და უფრო ამცირებს თავის მნიშვნელობას ხალხის თვალში. მღვდელი „მხარ-ტყავის“ თაობაზედ ატეხილ დავას, რომელიც ხშირად სასამართლომდეც უწევს ხოლმე, იმით ასაბუთებს, რომ „მე ხალხის ცრუმორწმუნოება უნდა მოვსპო, ხალხი კეთილ გზაზედ დავაყენოვო“. ძალიან კარგი, მაგრამ შემოსავალი ჯვარობისა, ვის ჯიბეშიაც უნდა ჩავიდეს, ცრუმორწმუნეობა ცრუმორწმუნეობადვე რჩება, მას არც ღერო ეჭრება და არც ფესვები ეკვეცება, მაშინ, როდესაც მღვდლებისგან

მის მოსასპობად მიღებულს ზომას კი სხვა უფრო მავნე შედეგი აქვს, ისა ჰბადებს სიძულვილს მღვდელსა და მრევლს შორის.

როდესაც „საკლავებს“ დაჰკლავენ, „ქადა-პურებს“ დასჭრიან, ხევისბერი, მღვდელი და მათთან ერთად ხალხის მომეტებული ნაწილი აყალმაყალს მორჩებიან, მაშინ ხალხი შეუდგება პურის ჭამას, რომელსაც თან მოსდევს ცეკვა-თამაში, სიმღერა და სხვა ტოლ-ამხანაგური გართობა. ამას გარდა სალოცავებში ყველგან რაიმე გასართობი ჩვეულებაა დადებული: „თოფოსნობა“ და ცხენის ჭენება. თოფოსნობა ჩვეულებადა აქვთ ჭიჩოში; ყვარაში და ჩარგალში (აფხუშოში) - ცხენების ჭენება; დოღის გამართვა იციან მათურის ხატის ჯვარობაში.

ჯვარობაში თოფოსნობა იმართება სავარჯიშოდ და გარდაცვალებულ ახალგაზრდა ვაჟების მოსაგონებლად - „შასანდობარი“. ახალგაზრდა მიცვალებულის „პატრონს“ მიაქვს ხატში შესანდობრად დასადგმელად ერთი ხმიადი, ერთი ხელადა ღვინო ან არაყი, ერთი წყვილი ფეხსაცმელი, რამდენიმე მანეთი ფული. ზოგიერთები, ამათ გარდა, კიდევ ერთს ხელის ტანისამოსსაც დასდგამენ მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. ხმიადს დასდგამენ „სათოფე მანძილზედ“, „ლიშნად“, ზედ მიაკრავენ შუა ადგილას თეთრ ქაღალდს, რომ მიზანში უფრო ადვილად ამოიღებოდეს ხმიადი; შემდეგ თოფის მსროლელები რიგ-რიგით ესვრიან თოფსა და რომლის ტყვიაც მოხვდება ხმიადს, გამარჯვებულიც ის არის, შესანდობრად დადგმული ნივთები და ფულიც იმასა რჩება. მიცვალებულის „პატრონი“ სასმელს თოფის მსროლელებს დაალევინებს და მიცვალებულს მოახსენებინებს. ფშაველს ისა ჰგონია, რომ ვისთვისაც მიცვალებულის სული გაიმეტებს „შესანდობარსა“, თოფის სროლაშიაც ის გაიმარჯვებს და დაინარჩუნებს შესანდობარს მიცვალებულის სულის დახმარებითო.

თოფოსნობის საგნად ჯვარობებში მარტო მიცვალებულების მოხსენება და იმათი შესანდობარი არაა. თოფის სროლაში ვარჯიში ფშაველს ძველადგანვე აქვს დარჩენილი და ჩვეულებად ჰქონია.

თოფოსნობით იწვრთნება ახალგაზრდობა და ამისათვის ჯვარობაზედ უკეთესს ადგილსა და შემთხვევას ვერც იპოვიდა თავის შინაურს ცხოვრებაში. თოფის მსროლელები, შესანდობარის გათავების შემდეგ, დასდგამენ უბრალო ნიშანს, „ღაბაღს“, ესვრიან თოფსა და მორტყმაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ამნაირად თოფოსნობა ერთ დღესა და ზოგჯერ მეტხანსაც გასტანს. შემდეგ ჯვარობა გათავდება, ხალხი ერთბაშად „გამოილოცავს“ თავის სალოცავს, მუხლს მოიყრის, შესთხოვს „წყალობის გაყოლებას“ და გაემგზავრება შინისკენ.

„ივერია“, 1890, №82

ცოლქმრობა და კაც-დედაკაცის ურთიერთობა ოჯახში

I

წინათ შემთხვევა მქონდა ჩემს წერილში შეძლებისადაგვარად მეჩვენებინა მკითხველისათვის, რაში მდგომარეობს ფშავლის დედაკაცის დამცირება სარწმუნოების მხრით, რითი დგას ის მამაკაცზე დაბლა თემისა და თემის სალოცავის წინაშე, ხოლო იმ საგანს – კი არ შევხებივარ, რა მდგომარეობაშია ფშავლის მანდილოსანი კერძოდ ოჯახში და ან რა თვალით უყურებს მას მამაკაცი და ამის გამო ვეცდები შეძლებისდაგვარად გავაცნო მკითხველს;

ფშავლის ოჯახისა და საოჯახო ჩვეულებათა ამწერისათვის თავდაპირველი გამოსარკვევი საგანი კაც-დედაკაცის ურთიერთობაა, რადგანაც ფშავლის შინაური ცხოვრება და მისი ოჯახი ამ ურთიერთობაზეა დამყარებული. მანდილოსნის მორჩილება მამაკაცის წინაშე და დამცირება ფშავლის ოჯახს აშკარად ატყვია. რა თქმა უნდა, რომ ეს ასეა, არამც თუ ისეთს ნაკლებად განვითარებულს ხალხში, როგორნიც ფშავლები არიან, თვით დაწინაურებულ ქვეყნებშიაც კი მანდილოსანი ხშირად დამცირებულია და მრავალს ადამიანურს უფლებას არის მოკლებული საზოგადოებაშიაც და კერძო ოჯახშიაც. თუმცა ამ საზოგადო ხვედრს მანდილოსნისას ვერც ფშავლის მანდილოსანი ასცდენია, მაგრამ ფშავლის ოჯახში და წეს-წყობილებაში დედაკაცს კვალი მაინც ღრმად აღუბეჭდია და საკმარისი მნიშვნელობა მოუპოვებია, შექმნილა ოჯახის ბურჯად და „ამხანაგად“[19] შინაურს ცხოვრებაში. მართალია, როგორც „უჭირს“ მანდილოსანი ფშავლის მამაკაცსა და მის ოჯახს, ისე არ „უღირს“, ანუ უკეთ ვთქვათ, არ აფასებს, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ ფშავლის აწინდელსა და

[19] ფშაველი ცოლს სახელს არ დაუძახებს. ცოლის „სახელის თქმა“ სირცხვილია და ამისთვის ხშირად სახელის მაგიერ ცოლს უძახის „ამხანიგს“ (ავტორი).

წარსულს ყოფა–ცხოვრებას და შევადარებთ ერთმანეთს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ფშავლის მანდილოსნის მჩაგვრელი ჩვეულებანი, რაც დრო გადის, იმდენად მეტად იცვლება მანდილოსნის სასარგებლოდ და ამ მხრივ ნაბიჯი თუ წინ არ არის გადადგმული, გადასადგმელად არის გადაღირებული.

ვინც ფშაური ოჯახისა და საოჯახო ჩვეულებათა აწერას მოისურვებს, იმან „ოჯახის პატრონი“ და თემის წევრი „ქუდოსანი“ უკან უნდა ჩამოაყენოს ოჯახის მომართულობასა და შინაურს ცხოვრებაში პირველი ადგილი დამცირებულს მანდილოსანს უნდა დაუთმოს, იმიტომ, რომ მამაკაცის მიერ ოჯახის პატრონობა უფრო გარეგნულია, იმას აბარია უფრო მძიმე საგარეო საქმე და ამის გამო მომეტებულად არც კი „მიუწვდება ხელი“ „შინაობამდე“. თვით ოჯახის „შინა“ ხშირად მთლად მარტო მანდილოსანზეა დამყარებულიდა. ის ოჯახის საშინაო საქმეს მარტოკა უმამაკაცოდ განაგებს. ყველა ამას მამაკაცი თავისებურად აფასებს, დედაკაცს პატივსა სცემს, „სახლის გვირგვინად“ და თავის თანაშემწედ მიაჩნია. იმის აზრით, უდედაკაცო სახლი უანგელოზოა. მისი აზრით, ღვთისგან სახლის მფარველად მოვლენილი ანგელოზიც კი უდედაკაცო სახლს თავს ანებებს და სახლი ამ შემთხვევაში ყოვლად უბადრუკი და დამცირებული რჩება.

სადაც კი კარგი ოჯახი იხსენება ფშავლებში, იქვე იხსენება ოჯახის საუკეთესო დედაკაციც, რომლის ნებასა და რჩევასაც ხშირად მამაკაციც ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ „კაცს კაცობა უნდა შაჰგალობდეს“ და დედაკაცი მისი ხელქვეითი და მისის ნების აღმსრულებელი უნდა იყოს. დედაკაცი, ფშავლის აზრით, წყნარის ხასიათისა უნდა იყოს, ყველას პატივსა სცემდეს, შინაურსა და გარეულსა, სტუმრის მოყვარე იყოს და ამითი მასახელებელი თავის თავისა და ოჯახისა. დედაკაცი თემში ხელშეუხებელი უნდა იყოს, არავის ნება არა აქვს სცემოს ან სიტყვიერად შეურაცხჰყოს მანდილოსანი, გარდა თავის ქმრისა, რომელიც ამ შემთხვევაში არავისგან არ ისჯება. გარეშე კაცისაგან მანდილოსნის ცემა დიდი

შეურაცხებაა და თვით მცემლისათვისაც დამცირება. ვაჟკაცმა დიაცს ხელი არ უნდა შეახოს. მანდილოსნის ცემისთვის ხალხის ჩვეულებრივი სამართალი დამნაშავესა სჯიდა, ახდევინებდა ამისთვის დაწესებულ ჯარიმას. ქალი წინათ უფრო დამცირებული და დაჩაგრული ყოფილა. გათხოვების დროს გათხოვებაში არავითარი ხმა არა ჰქონდა თურმე, მშობლები მის სურვილს არასდროს არ ეკითხებოდნენ.

- დიდი სირცხვილი იყოვო, - ამბობენ ფშავლის მოხუცებული დედაკაცები,- „თუ ქალი ისე „ყურმოყრუებული“ და მორიდებული არ იქნებოდა მისის გათხოვების თათბირისა და საბედოს ამორჩევის დროს. თითქო საქმე იმას და იმის მომავალ ბედს არ შეეხებაო. ეხლა დროც გამოიცვალა და ქალის გათხოვებაც სულ სხვანაირადა ხდება, ხალხი წახდა, ზნეობა დაეცა, ქალი თავის გათხოვებას ხშირად დედ–მამას არც კი ეკითხება და ქმარს ისე ირჩევს თავის ნებაზეო“, ემდურებიან „ახალუხლებს“ ფშავლის „ბებრები“. მართლაც, ჩვენს დროში ფშაველი „ქალის პატრონი“ იშვიათად იკისრებს ქალის გათხოვებას და ვაჟის „დაქორწინებას“, თუ ქალ–ვაჟმა სადმე ხატში სალოცავად ყოფნის დროს ერთმანეთი არ გაიცნეს და ქორწინებაზედ თანხმობა არ გამოუცხადეს მშობლებს.

ფშავლის ქალი 11–12 წლიდანვე „გვერდში უდგა“ დედასა და შეძლების კვალობაზედ შველის სადედაკაცო და საუმცროსო საქმის კეთებას. მაგალითებრ, მატყლის ჩეჩვას, რთვას, წინდის ქსოვას, კერვასა და შალების ქსოვას. ყველა ეს უნდა შეისწავლოს, ვიდრე გათხოვების ასაკში მოვა, 17–23 წლამდე. ამ ხნისთვის ყოველივე ხელ–საქმე და დედაკაცური ყოფა–ქცევა, რაც ქმარშვილიანი მანდილოსანისთვის არის საჭირო, კარგად უნდა იცოდეს. საცოლეს ფშაველი, ჯანსაღობას გარდა, ყოფაქცევასა და ხელსაქმის „ცოდნა–უცოდნელობაზედ“ „იწონ–იწუნებს“. როგორც საცოლე ფასობს ხელითა და ყოფა–ქცევით, ისე საქმრო. ახალგაზრდა ფშაველი „ვაჟიც“ ამ ხნისთვის „საგლეხო“ საქმის მცოდნე უნდა იყოს, უნარი ჰქონდეს ცხოვრების მძიმე უღლის ტარებისა, მაშასადამე, „ცოლ–

შვილის მოვლა–შენახვისა“ და „სახლის სახლებისა“. ფშავლის ქალი და იმისი დედ–მამა ისეთ ვაჟს ეძებენ, ვისაც შეუძლიან „ასახლოს სახლი“ და მოუაროს ცოლ–შვილს. თუ ვაჟი ამისთვის საჭირო უნარს მოკლებულია, ყველასგან დაიწუნების და ცოლის შერთვაც გაუძნელდება. ორივე მხარე კარგის არჩევასა სცდილობს, მაგრამ, ფშავლის აზრით, ცდა კარგის ქალისა და ვაჟის არჩევისა თავის ბედისწერას ვერ ააცდენს ვერცერთს მათგანს. ვერ ააცდენს იმ მიზეზით, რომ ამ საგანზედ „ხორციელნი ქვეყნად ბევრსა ყბედობენ“ და თვით საქმე კი ზეცაში დიდის ხნის გარიგებულია. როდესაც დაიბადება ბავშვი, ზეცაში ღმერთი მაშინვე წიგნში ჩასწერავს და იქვე მოიხსენიებს იმასაც, ვისთან უნდა შეუღლდეს, „რა ბედისა“ უნდა იყოს და როგორ გაატაროს სიცოცხლე წუთისოფელში. ფშაველის აზრით, ამ ერთხელ დადგენილსა ზეციურ ბედის წიგნში ჩაწერილს განაჩენს ვერ ასცდება კაცი, იგი დაურღვეველია და შეურყეველი.

როცა ქალი 17–20 წლისა გახდება, დედ–მამაც შეუდგება ზრუნვას მისი გათხოვებისას. ამ ხნის შემდეგ დედ–მამა ქალს უფრო მომეტებულს თავისუფლებას აძლევს, საოჯახო საქმით ძალას არ ატანს, რომ ქალმა ამ დროთი ისარგებლოს და გათხოვებისთვის საჭირო „ბარგი“ მოიმზადოს. ქალმა გათხოვებამდე მზად უნდა იქონიოს 5 შალის ჯუბა, ამდენივე კაბა, პერანგები და სხვ. ერთი ან ორი ფარდაგი და ქმრის ნათესავებისთვის საჩუქრად წინდები. ყოველისავე ამისთვის საჭირო მასალას ქალს დედ–მამა აძლევს და ზოგიერთი კიდევ ლოგინსაც უმზადებს: საბნებს, ბალიშებს, ლეიბებს. საბანი და ლეიბი ფშავში ახალი მოდაა და ჯერჯერობით ყველა არც კი ასრულებს. ქალის „მთხოვარმა“ უნდა მიჰმართოს დედ–მამას და „სთხოვოს“ ქალი. თვით ქალის მშობლებს კი არ შეუძლიანთ და ძალიან თავის დამცირებაც არის მათთვის, რომ ვისმე თავისი ქალი „დააძალადონ“, ისინი უნდა ელოდნენ, ვიდრე ქალის ბედი კარზედ მიადგებათ. როცა ქალისა და ვაჟის პატრონები ერთმანეთში მოილაპარაკებენ და დაბრკოლებას არაფერსა

ჰპოვებენ, მაშინ საქმე ქალ–ვაჟის თანხმობაზედ მიდგება. თუ ქალ–ვაჟიც დასთანხმდა, საქმე გაჩალხულია და ნიშნობასაც აღარ დააგვიანებენ. ნიშნად ვაჟის მხრით ქალს ეძლევა 10–15 მანეთამდე. ეს ფული ქალის საკუთრებაა, „სათავნო“, იმას ვერც ქალის მშობლები დაისაკუთრებენ და ვერც ვაჟისა. როდესაც ფშაველი შვილის დანიშვნას მოისურვებს და შვილის საცოლეს ამოარჩევს, ან თვითონ შვილს ვინმე ეყოლება ამორჩეული, ის „მარჯეკლად“ უგზავნის ქალის პატრონს ერთ–ერთ თავის ნათესავთაგანსავე და საქმე „იმის პირითა“ რიგდება. შრომის ფასად მარჯეკალს მიეცემა „სამარჯეკლო“ 5–10 მანეთამდე. ეს ჯილდო ყველასათვის სავალდებულო არ არის და ხშირად მარჯეკალი არ მიიღებს ხოლმე.

როგორც ზემოთაც არის ნათქვამი, წინათ ქალს გათხოვების საქმეში არავითარი ხმა არ ჰქონდა და მისის ბედის გამგებლები მშობლები იყვნენ. როგორც მოხუცებულები ამბობენ, ცოლქმრობის საქმე თურმე ისე გარიგდებოდა ხოლმე, რომ ვიდრე ახალგაზრდები ჯვარს არ დაიწერდნენ და ცხოვრების უღელის ერთად წევას არ შუდგებოდნენ, ერთმანეთს არც კი იცნობდნენ. მოეწონებოდათ ახლად შუღლებულებს ერთმანეთი, კარგად შესთვისდებოდნენ, თუ არა, ამას ძველად არავინ აქცევდა ყურადღებას. ბოლოს, თუ ვაჟს ცოლი არ მოეწონებოდა, ნება ჰქონდა ცოლისთვის „სამწუნობრო“ მიეცა, დაეწუნა, დაეთხოვა და თვითონ სხვა ცოლის ძებნას შესდგომოდა. ქალს კი ქმრის დაწუნების ნება არა ჰქონდა, იმას კი არ ეკითხებოდა, მოგწონს ქმარი თუ არაო. თვითდაწუნებული მანდილოსანი ხალხის თვალში დამცირებული იყო და მას კარგი ქმარი იშვიათადღა შეირთავდა, ძალიანაც კარგი და ყველაფრივ „წუნდაუდებელიც“ რომ ყოფილიყო. დაწუნების შემდეგ ქალის ბედს ისევ სხვა განაგებდა და არა თვითონ ქალი. ქმრის ამორჩევისა და თავის თანხმობით გათხოვების ნება არც ქმრისგან დაწუნებულსა ჰქონდა.

ახლა ამ სასტიკსა და მანდილოსანის სულთამხუთავს ჩვეულებას ფშავლებისას თითქმის სრულიად ბოლო მოეღო და ქალების

სასარგებლოდ შეიცვალა. მაგრამ, როგორც ფშაველი ამბობს, ცოლ-ქმრებს შორის ბედნიერება ამ ცვლილებამ ვერ გააძლიერა და ცოლქმრულის კავშირის დარღვევა არ შეამცირა. აქამდის მარტო მამაკაცის ჯიუტობა იყო ამისი მიზეზი, ახლა დედაკაცის ჯიუტობაც მიემატა და ამის გამო ცოლქმრულის კავშირის დარღვევა უფრო გახშირდაო, ასე ამბობს ფშაველი. თუმცა ფშავლის ქალმა ამ ბოლოს დროს თვით ქმრის ამორჩევის უფლება მოიპოვა და თვით ეს ამორჩევა მდგომარეობს ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის „ცნობაში“, მაგრამ თვით ეს „ცნობა“ და ახალგაზდათა თავდაპირველი თანხმობაც შეუღლებასა და ცოლქმრობის კავშირის სიმტკიცეს მაგრე რიგად ხელს ვერ უწყობს. ვერ უწყობს ხელს უფრო იმ მიზეზით, რომ ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის „ცნობა“ გარეგნულია. იმათი ერთმანეთთან ლაპარაკი და ახლო გაცნობა თაკილია. ამისთვის იძულებულნი არიან მხოლოდ შორიდგან, გარეგნულის შეხედულებით, „ხე-კაცად“ გასინჯვით დაკმაყოფილდნენ და ერთმანეთის სიავკარგეც ამგვარს გასინჯვაზედ დაამყარონ. ვაჟის მხრიდგან მიგზავნილი მარჯეკალი უქებს სასიძოს ქალის ნათესავებსა და ყოველს ღონისძიებასა ჰხმარობს საქმის მალე გარიგებისათვის, მაგრამ ამაოდ. ისეთი საქმე, როგორიც ქალის გათხოვება და „დაბინავებაა“, ფშავლებში ადვილად გასაგებელი საქმე არ არის. ფშაველი მარჯეკალს ქალის გათხოვებაზედ ადვილად არ „დაჰყვება“, თუნდაც რომ გათხოვებას ძალიან მოწადინებული იყოს და ამის საბუთიცა აქვს. თუ ქალი შუაკაცის ერთხელ ან ორჯელ მისვლისთანავე გაათხოვა, მაშინ შესაძლოა სხვებმა დააყვედრონ ქალის პატრონსა ქალი ამა და ამ კაცს ძალად მიათხოვეო. ასეთი საყვედური ქალის პატრონისათვის სათაკილო და დამამცირებელია და ფშაველი არც ადვილად იკისრებს. ამის გამო ქალის გათხოვებაზედ ლაპარაკი ერთ ან ორ წლამდე გასტანს ხოლმე.

თუ გასათხოვარი ქალი და იმისი პატრონი საქმროს ამორჩევის დროს ერთმანეთს ვერ შესთანხმდნენ, ვერ მოურიგდნენ, ან ქალი არა ჰყაბულობს პატრონისაგან ამორჩეულის ქმრობას, ანუ ქალის

პატრონი ქალის ნებას არ ასრულებს, მაშინ ქალის გათხოვება ვერ მოხერხდება, მეტადრე თუ ორი მთხოვარი ჰყავს ქალსა, ერთმანეთთან გაჯიბრებულები. ეს გარემოება ხშირად ჰყოფს იძულებულს ვაჟს ქალი ძალად მოიტაცოს და ან ქალს კიდევ, პატრონის სურვილის წინააღმდეგ, იმის ნებადაურთველად საქმრო ამოირჩიოს და გაჰყვეს. თუ ქალმა შეიტყო, რომ იმის პატრონს გადაწყვეტილი აქვს, იმ მთხოვარს მიათხოვოს, რომელსაც ის უარს ეუბნება, მაშინ ქალი მეორეს თავის ნებით გაჰყვება. თუ ქალის სურვილს აღარა ჰკითხულობენ და ერთ-ერთი მათგანი მოიტაცებს ქალს და მშობელიც დარწმუნებულია, რომ ჩემი ქალი ძალდატანებით მოიტაცესო, ის თავს გამოიდებს იმის განთავისუფლებისა და შინ დაბრუნებისათვის, ხოლო, თუ თავის ნებით „გაუდგა“, მაშინ იმას, როგორც მშობელს, შეუძლიან დასაჯოს განდგომილი ქალი. მშობლების სასჯელი ერთობ მსუბუქია და ამის გამო ქალი ხშირად მშობლის სასჯელს მხნედ დაუხვდება, თუკი მას შემდეგ მაინც ადვილად ეღირსება თავის სატრფოს. „თავისწვერა“, „გავარდნილი“ ქალი თავისუფლად ქმარის ამორჩევისათვის მხოლოდ იმითი ისჯება, რომ დედ-მამა მზითევს აღარ მისცემს და რამდენისამე ხნით „მოიკვეთავს“, თავის სახლში მისვლას აღუკრძალავს ხოლმე „ჭირსა“ და „ლხინში“ ერთ ან ორ წლამდე. მოკვეთა ამდენ ხანს არ გასტანს, თუ ქალის წამყვანებმა იმის პატრონებს ჯეროვანი „პატივი“ დასდეს და ამის ნიშნად „ხარ-ცხვარი“ (ერთი ხარი და ერთი ცხვარი) გაუგზავნეს და შუაკაცების პირით შერიგება სთხოვეს. მშობლების სურვილის წინააღმდეგ გათხოვებული ქალის ქმრისგან ქალის პატრონისთვის ხარ-ცხვარის მიცემა მორიგებისათვის წინა დროში აუცილებელი სავალდებულო ყოფილა, ეხლა კი ეს ჩვეულება შემცირებულია და ბევრი აღარ ასრულებს.

„ივერია“, 1891, № 22

II

ხარ–ცხვარი მარტო ქალის პატრონის საკუთარი „პატივი“ არ იყო, ორივე „სოფლისთვის“, მეზობლებისათვის უნდა დაეკლა. მარტო ოდენ ქალის პატრონის მიერ მისი მოხმარება დასაძრახისი იყო და არის დღესაც იმათთვის, ვინც ამ ჩვეულებას მისდევს. როგორც ქალის მოტაცებისათვის, ისე მოტაცებულის წასართმევად და უკან დასაბრუნებლად 6–10 კაცი შეიყრებოდა “ჯარად“ და შეიარაღებულები წავიდოდნენ. თუ გზაში შეხვდებოდნენ ერთმანეთს, მაშინ შეტაკება მოუვიდოდათ, მეტადრე ძველს დროში და ხშირად „სისხლითაც“ გათავდებოდა ხოლმე საქმე. თუ ქალის მომტაცებლები მოტაცებული ქალითურთ სოფელში შეასწრობდნენ, მაშინ „მდევარი“ სოფელში მივიდოდა და რადგან აურზაური და პირდაპირ მომტაცებლის სახლში მიხტომაც არ შეიძლებოდა, ამისთვის რომელსამე ნაცნობის სახლში დადგებოდა და იქიდგან გაიმართებოდა ქალის დაბრუნების შესახებ მოლაპარაკება, თუ საქმრო მდევარს გზაშივე „ხარ-ცხვარსა“ და შერიგების შუაკაცებს არ მიაგებებდა. ქალის პატრონს შეუძლიან ხარ-ცხვარი ან სრულიად არ მიიღოს, თუ მორიგება არა სურს, ან მიიღოს „საუპატიურო“ ჯარიმად, ქალის დაბრუნებაც მოითხოვოს და, ძალით იქნება თუ ნებით, დაიბრუნოს.

ჩვენს დროში მოტაცებული ქალის განთავისუფლება და მშობლების სახლში დაბრუნება თითქმის მხოლოდ ქალის სურვილზეა დამოკიდებული. ქალი უეჭველად პატრონს უნდა აჩვენონ და თუ თანხმობას გამოაცხადებს მომტაცებელთან შეუღლებისას, მაშინ პატრონი იმის სურვილს იშვიათად თუ გაუწევს წინააღმდეგობას, ქალს თავს დაანებებს. თუ შეურიგდა და არ მოიკვეთა, მხოლოდ „ცოდვას მოიხდის“ მის წინაშე: „თუ რამ გაგიჭირდეს შენგან აღმორჩეულ ქმრის სახლში, მე უბრალო და უცოდველი ვიყო, ნურაფერი მეცოდებოდეს“ და სხვ. თუ ქალის

მომტაცებელი გაჯიუტდა და არ აჩვენა ქალი დედ-მამას, ესენი მხოლოდ მაშინ მიჰმართავენ ეხლანდელს სამართალს.

ქალის „თხოვა-გათხოვება“ ჩვეულებისამებრ შეიცავს სამს გარემოებას. ეს სამივე ერთმანეთს მოსდევს და სხვადასხვა სახელწოდება აქვს. პირველია ქალის თხოვის „დაიმედება“, როცა პირველად მოსულს შუაკაცს ქალის მთხოვარისას ქალის პატრონი თუმცა პირდაპირ კი არ უცხადებს თანხმობას ქალის მითხოვებისას, მაგრამ ლაპარაკში გარკვევით ეტყვის და აგრძნობინებს, რომ თავის დროზედ იქნება დავთანხმდეო. დაიმედებას მოჰყვება „აგრეობის“ თქმა, როცა დაიმედების შემდეგ კიდევ მივა შუაკაცი. „აგრეობა“ პირდაპირ გამოცხადებული თანხმობაა ქალის მითხოვებისა, პირობის მიცემისა და ნიშნობის დროის დანიშვნისა. მესამე და უკანასკნელია დანიშვნა - „ლიშნის დაჭერა“. „ლიშნის დაჭერით“ საქმე საბოლოოდ რიგდება და არც სინდისიანს მთხოვარს და არც გამთხოვებელს ნება არა აქვთ ლიშნის დაჭერას რაშიმე ეცრუვნენ. პირველიდგან დაწყებული სამივე გარემოება ახალ სამძახლედ ერთმანეთთან მოვალეობით აკავშირებს ამნაირად: დაიმედების გაუქმება და „გადათქმა“ უფრო ადვილია „აგრეობის“ გადათქმაზედ და „აგრეობის“ გადათქმაზე უფრო ძნელია ნიშნობის გადათქმა-დარღვევა.

არამც თუ ძნელია, ეს უკანასკნელი თითქმის შუძლებელი ყოფილა ძველს დროში. ამ შემთხვევაში ქალის მთხოვარ ვაჟისთვის ერთადერთი სახსარი ქალის მოტაცებაღა ყოფილა საცოლის წართმევით გასირცხვილიანების თავიდან ასაცილებლად, მეტადრე თუ სხვა მოცილე მთხოვარიც ვინმე აღმოუჩნდებოდა და ან ფშავლის სამართალი ქალს არ აკუთვნებდა. „აგრეობის“ თქმასვე უდრიდა ის გარემოებაც, თუ ქალის პატრონი მარჯეკალს სახლში მიიპატიჟებდა და მისგან მოტანილს პურსა სჭამდა და ღვინოს დალევდა. აგრეობის თქმის შემდეგ, თუ ქალის პატრონი „სიტყვას გადასთქვამდა“ და უარს ეტყოდა, ეს მთხოვარისთვის შეურაცხებად ითვლებოდა, ამის გამო მიჰმართავდა ლაშარში თემის „ბჭეებს“,

„სამართალს“, რომელიც შესდგებოდა ხევისბერებისა და სხვა უფროსი კაცებისაგან და სთხოვდა, საქმე გაესამართლათ, გაეხადათ ვალდებულად ქალის პატრონი, რომ ქალი მისთვის მიეთხოვებინა. ბჭეები არ მოჰხედავდნენ არც ქალის სურვილს და არც იმის მშობლებისას; ისინი მხოლოდ იმას გამოიკვლვდნენ, ქალის პატრონმა მისცა თუ არა მარჯეკალს ქალის გათხოვების იმედი, ესე იგი ან „აგრეობა“ ხომ არ უთქვამს, ან ნიშანი ხომ არ გამოურთმევიაო. თუ ქალის პატრონს მთხოვარი დაუმტკიცებდა „აგრეობის თქმას“, მაშინ ბჭეები ქალს მთხოვარს „აკუთვნებდნენ“. თუ მომჩივანი ქალის პატრონს ვერ დაუმტკიცებდა, რომ „აგრეობა“ როდისმე ეთქვა, მაშინ ბჭეები იმას ეტყოდნენ უარს და ქალის პატრონს ნება ეძლეოდა ქალი სხვისთვის მიეთხოვებინა. აგრეთვე თუ ორი მთხოვარი შეეცილებოდნენ ერთმანეთს და სამართალს მიჰმართავდნენ, ეს უკანასკნელი ქალს იმას „აკუთვნებდა“, ვისთვისაც წინ და წინ ქალის პატრონს „აგრეობა“ ეთქვა. საქმროს „სიავკარგესა“ და ქალის სურვილს ბჭეები არც ამ შემთხვევაში მიჰხედავდნენ.

ამნაირად ძველს დროში ფშავლის ქალი სადაო საგნად ხშირად გახდებოდა ხოლმე და თვით ამ დავის გადაწყვეტაში კი არავითარი ხმა არა ჰქონდა; იგი მამის სახლში თავისი ბედის საქმეშიაც მამის მორჩილი და მისის სურვილის აღმასრულებელი იყო. რაკი ქალის პატრონი ნიშანს დაიჭერს, მთხოვარის საქმე საბოლოოდ გარიგებულად ითვლება და მას შემდეგ დანიშნული ქალი და ვაჟი „ცოლ-ქმრად“ ითვლებიან. ქორწინებამდის ქალი ითვლება „შინ მისაყვან ცოლად“, ხოლო ქორწინების შემდეგ - „შინ მიყვანილად“. შინ მიყვანილის ცოლის დამწუნებელს მამაკაცს შეეძლო „დაეწუნა“ დიაცი, დაეთხოვა თავის სახლიდგან და თვითონ სხვა „მოენახა“, „თავისი გუნებისა“. დაწუნებულისთვის მას ხუთი ძროხა ან ამის ნაფასური უნდა მიეცა „სამწუნობროდ“, ხოლო შინ მისაყვანი დედაკაცის დაწუნების ნება ჰქონდა სამწუნობროს გადაუხდელად.

როგორც ზევითაც ნათქვამია, დედაკაცს არა შემთხვევაში არა ჰქონდა ნება ქმრის დაწუნებისა. თუ დიაცი მაინცდამაინც თავს გავიდოდა და ქმარს დაიწუნებდა, „გაუვარდებოდა“, მაშინ ქმარს ნება ეძლეოდა გავარდნით შეურაცხმყოფელი დიაცი დაესაჯა ცხვირის მოჭრით, ან ხელ-ფეხის მოჭრით „გაეხეიბრა“. ცოლის მიერ დაწუნებული მამაკაცი შეურაცხყოფილად და შერცხვენილად ითვლებოდა თემში. არამც თუ პირადად თვითონ, მთელ მის საგვარეულოსაც კი ეცხობოდა ეს ჩირქი. ამისთვის ის მოვალე იყო დიაცისა და მისის წამყვანისთვის მაგიერი გადაეხადა და ამითი აღედგინა თემ-სოფლის წინაშე თავისი ავტორიტეტი, „მოეხადა სირცხვილი“. სირცხვილს მხოლოდ ის გარემოება მოჰხდიდა ქმარს, თუ იგი გაახაიბრებდა თავგასულ დიაცს, თავისის უნამუსობისა და თავგასულობის ბეჭედს ცხვირის მოჭრით და ან ხელ-ფეხის გახაიბრებით სამუდამოდ აღუბეჭდავდა სხეულზედ.

ქმრიანი ქალის, ანუ საქმროს ცოლის წაგვრით მიყენებული შეურაცხება არ გამოისყიდებოდა ისეთის პატივის დაურვებით, როგორიც, მაგალითად, ქალწაგვრილის დედ-მამის შეურაცხება გამოისყიდებოდა ხარ-ცხვარით. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. დედ-მამა ქალის ასე თუ ისე გათხოვებაში მაგდენს განსხვავებას არაფერსა ჰხედავდა და არცა ჰხედავს. ქალს, იმათის აზრით, ერთი ქმარი ეკუთვნის, თვითონ გაჰყვება ქალი იმას, თუ ის მოიტაცებს ძალით, ან მშობლები ნებაყოფლობით მიათხოვებენ, ისინი ყველა ამას ადვილად შურიგდებიან. მოტაცებულის ქალის დედ-მამა „პატივს“ აიღებდა და მორჩებოდა საქმე. პატივის აღებაც ხშირად „ქვეყნის სათვალფროდ“ მოხდებოდა ხოლმე, რომ ქალის მშობლებს, მეტადრე მამას, „სოფელმა არ დასძრახოს“, - უთაური კაცია, ცოლ-შვილის პატრონობა არ შეუძლიან, ქალი მოსტაცეს და პატივიც არ დასდეს, სასაცილოდ აიგდესო.

სულ სხვა მოვალეობა აქვს ქმარს, ანუ საქმროს, თუ იმას დიაცი დაიწუნებს და ან სხვა შეეცილება და წაართმევს. როგორც დიაცისაგან დაწუნებული ვაჟკაცი, ისე ცოლწაგვრილი თავისის

საგვარეულოთურთ შერცხვენილად და შეურაცხებულად ითვლებოდა თემის თვალში და ამისთვის მთელს საგვარეულოსაც ერთად ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა, რომ „გაემარჯვა“ ქალის დანარჩუნებით. ამნაირად შეტაკებული საგვარეულოები ერთმანეთის მოსისხლე მტრები ხდებოდნენ და „გამარჯვებაც“ ხშირად იაფად არ უჯდებოდა გამარჯვებულს მხარეს, მაგრამ რას იზამდა, როცა „სირცხვილი კარებზედ მოადგებოდა“, ბრძოლის მეტი წამალიც აღარ ეშოვებოდა სირცხვილის თავიდან ასაცილებლად.

ძველს დროში ფშაველს ცოლის წაგვრისა და ყველა მის მომდევნო სირცხვილისა და მოცილესთან მტრობის თავიდან ასაცილებლად ერთი ღონისძიება ჰქონია, რომლითაც მოცილეებს იშორებდა. როდესაც ვაჟი რომლისამე ქალის ცოლად შერთვას მოისურვებდა და ქალის პატრონს მიუგზავნიდა შუაკაცს, თუ გაიგებდა, რომ შუაკაცის მიგზავნას იმავე განზრახვით სხვაც აპირებსო, ის მაშინ ქალს „კვეთილში ჩასვამდა“ და ამით ააცილებდა ქალს სხვა „მთხოვარსა“ და თავის თავს მოცილეს. თვით კვეთილში ჩასმა იმაში მდგომარეობდა, რომ ქალის საქმრო გამოაცხადებდა საჯაროდ, რომ ესა და ეს ქალი ჩემი საცოლეა, მისი მთხოვარი მე ვარ და თუ ვინმე შემეცილა, ის იქნება ჩემი მოსისხლე მტერი და ეხლავე მტრობას ვუცხადებო. ამის შემდეგ იშვიათადღა გაჰბედავდა ვინმე ქალის თხოვნასა და შეცილებას, და თუ გაჰბედავდა, ისიც თავზეხელაღებული, რომელსაც არც მოსისხლე მტრის შიში ექნებოდა და არც ხალხის ბჭეთა სამართლის რიდი, რომლებიც ქალს კვეთილში ჩამსმელს აკუთვნებდნენ. კვეთილში ჩასმაც დასწრებაზედ იყო და რაკი ერთი ვინმე „კვეთილს გამოაცხადებდა“, სხვას ამისი ნება აღარა ჰქონდა, ხოლო თუ კვეთილს ორივენი ერთ დროს გამოაცხადებდნენ, საქმე მაშინ უფრო გამწვავდებოდა, კვეთილში ჩასმული ქალის შერთვის ნება მარტო კვეთილში ჩამსმელსა ჰქონდა და სხვას არავის. კვეთილში ჩასმული ქალი, თუ

კვეთილში ჩამსმელს არ მისთხოვდებოდა, სამუდამოდ რჩებოდა გაუთხოვარი.

თუ ქალი ორ მხარეს შორის საცილობელ საგნად გახდებოდა და იმის გამო მოცილენი ერთმანეთს გამოეკიდებოდნენ და ან ერთი მთხოვარი გამოეკიდებოდა ისეთი, რომლის ქმრად შერთვაც ქალის სურვილი არ იქნებოდა, ამ შემთხვევაში ქალს, თუ იგი თავისს ხვედრს არ დაემორჩილებოდა, ერთადერთი ღონისძიება ჰქონდა თავიდგან მოეშორებინა ორივე ერთმანეთთან მოცილე მთხოვარიც და კვეთილში ჩამსმელი საქმროც. ეს ღონისძიება ქალის მიერ თავისივე თავის კვეთილში ჩასმა იყო. ქალი რომელსამე სალოცავში მივიდოდა და აღთქმას იტყოდა, სამუდამოდ ხელს ვიღებ გათხოვებაზე, ქალწულად უნდა დავრჩეო. „შესწირავდა თავს“ სალოცავს და გახდებოდა „მოწმინდარი“. მაშინ მოცილეთა ცილობასა და ვაჟისაგან ქალის კვეთილში ჩასმას თავის თავად ბოლო ეღებოდა უსისხლოდ და ქალი თავისუფალი რჩებოდა. ქალი იმ ღონისძიებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიჰმართავდა, რადგანაც ეს აღთქმა იმისთვისაც საძნელო იყო იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში უნდა „გამორჩეულიყო“ ქვეყნიდგან უქმარშვილოდ, უბედურად „დაბერებულიყო“ და ბოლოს მოხუცების ჟამს სხვის „შესანახავ-დასამარხავად გამხდარიყო“, როგორც უქმარშვილო.

„უქმარშვილოდ“ დაბერებასა და „მოწმინდარად“ ხატის ქალად გახდომას უსიამოვნო მთხოვარის ასაცილებლად ქალი თუმცა იშვიათადა კისრულობდა, მაგრამ, თავის დასახსნელად და მოდავეთა გასაშველებლად, ის ამ უფლებით ხშირადა სარგებლობდა და ძალიან ხერხიანადაც. თუ ორისავე მთხოვარის ან ერთ-ერთის მათგანის თავიდგან მოშორებას მოისურვებდა, ხმას ავრცელებდა, რომ თუ ესა და ეს მთხოვარი ჩემზე ხელს არ აიღებს, თავს არ დამანებებს, მაშინ წავალ და ამა და ამ ხატს შევწირავ თავსა,- მერე, თუ კაცია, მოვიდეს, იქიდგან გამომიყვანოს და ცოლად წამიყვანოსო. ქალმა კარგად იცოდა, რომ მისი მთხოვარი ხატისთვის თავშეწირულ ქალს ხელს ვეღარ შეახებდა და ამითი ხატის

„მუხანათი“ და წინააღმდეგი არ გახდებოდა, განათავისუფლებდა თუ ძალით მოტაცებასაც ვერ მოახერხებდა ხატისთვის „თავშეწირვამდე“ და გათხოვებამდე. „ხატში შესულისა“ და თავშეწირულის ქალის გათხოვება აღარავის შეეძლო და ვერც თემის ბჭეები და ხევისბერებიღა დაარღვევდნენ და გააუქმებდნენ „თავშეწირვას“.[20]

როგორც ქალის მთხოვრებისაგან თხოვნის გამო ერთმანეთთან გადამტერება და საქმროსგან ქალის „კვეთილში ჩასმა“, ისე ქალის მიერ არასასიამოვნო მთხოვრების თავიდგან ასაცილებლად „ხატში შესვლა-შეხიზნება“ და „თავშეწირვა“ უფრო ძველის დროის ჩვეულებაა და ამ ჩვეულებას ჩვენს დროში აღარავინ მისდევს. ცოლქმრობის საქმე „ქალ-ვაჟის“ სურვილზეა დამოკიდებული, არც ქალისა და არც ვაჟის „პატრონი“ ახალგაზრდის დაუკითხავად და ნებადაურთველად ქორწინების საქმეს არ დაიწყებს. წინათ კი იმათი სურვილი როგორც „დედ-მამისგან“, ისე „თემის სამართლისგან“ უარყოფილი იყო, მეტადრე ქალისა და თვით ვაჟიც „თავის ცოლიანობის“ საქმის გარიგებაში არ ერეოდა, თუ „ნათხოვ“ საცოლეს წაგვრის სირცხვილი არ მიადგებოდა და არ აიძულებდა, რომ ჩარეულიყო ამ საქმეში, თავის მოწინააღმდეგისთვის წინააღმდეგობა გაეწია და ამითი დაეხსნა თავი სირცხვილისაგან.

„ივერია“, 1891, № 24

---

[20] ზოგიერთი „ხატში შესული“ ქალი უსიამოვნო საქმროს ასაცილებლად დედაკაცობას უარჰყოფდა, მამაკაცურად იცვამდა, მამაკაცურ ყოფაქცევას იწყობდა და მათთან „თემ-სოფელში“ და ჯამაათში იყო მათებურადვე შეიარაღებული. ამგვარად გამამაკაცებულ დედაკაცთაგანი, უკანასკნელი, ამ ათის წლის წინათ გარდაიცვალა სოფელ ხუშხევში და სახელად ცუკია ერქვა (ავტორი).

III

ჩვენს დროში ქალ-ვაჟს თუმცა მეტი თავისუფლება მიეცა, რომ განთავისუფლებულიყო „პატრონის“ ზრუნვისაგან, თავის მომავალ ბედისათვის თვითონ ეზრუნა და ამოერჩია „თავის გუნების“ მეუღლე, მაგრამ ფშაველი ხშირად არც ამითია კმაყოფილი, რადგანაც, მისის აზრით, ამნაირმა თავისუფლებამ არამცთუ განამტკიცა ფშავლის ოჯახში მეუღლური კავშირი, პირიქით, შეარყია და ძირს უთხრის საოჯახო ბედნიერებას.

ფშაველი იმდურება: -ეხლა ქალის დროა, რაკი გათხოვების საქმე იმის ნებაზედ დამოკიდებულიც გახდა, აღვირი წამოიყარა და ვინც არა მგონია, ყველა ქმარს სწუნობს და გაურბის. ქმარს კი ამაზედ არამც თუ ხელი ვერ გაუნძრევია დედაკაცის თავგასულობის ასალაგმავად და იმის შინ დასაბრუნებლად, ხმაც ვერ ამოუღიაო; წახდა დრო და დაეცა ზნეობაო, თორემ წინათ სად გაგონილა, რომ ფშაველს ნათხოვი ან შინ მიყვანილი ცოლი გაჰქცეოდეს, ქმარი დაეწუნოს და სხვასთან დაუსჯელად ეცხოვროსო. ეხლა კი ამნაირი მაგალითი მრავალია და ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, ასე რომ ცოლისაგან დაწუნებული მამაკაცი თავისის დამცირების ფიქრით თავს არცკი იტკიებს, მაშინვე სხვა ცოლის ძებნას შეუდგებაო.

ახალგაზდათა ქორწინების ასაკად ფშაველს 19-დგან 25 წლამდე მიაჩნია, თუმცა მაგალითები ამ ხანზე ადრე და გვიან ქორწინებისაც ფშავში იშვიათი არ არის. როდესაც ქალის პატრონი „ლიშანს დაიჭერს“, მას შემდეგ იწყება ქალისა და ვაჟის საგვარეულოთა შორის ნათესავური კავშირი, „მძახლობა“. დანიშნული ქალი მამის სახლში რჩება 1-2 წლამდე ჯვარდაწერილი. ამ ხნის განმავლობაში ვაჟის ნათესავები მოვალენი არიან სარძლო დრო-გამოშვებითა ნახონ და მიუტანონ ხოლმე საჩუქრად ფული, აბრეშუმის სარტყელი, საჩიქილე და სხვ. რაკი ქალს დანიშნავენ, „გაათხოვებენ“, მისი დედ-მამა შეუდგება მზითევის მზადების თავდარიგს, თუ გათხოვებამდე მომზადებული არა აქვს. ქალმა მამის სახლში უნდა

მოიმზადოს „მზითვად“ 6-12 ხელი ტანისამოსი: პერანგები, ახალუხები, კაბები, ჩიქილები, ფაფანაგები და სხვ. ფარდაგი 1-2, ნაბდები 2-3, ამდენივე ხურჯინი და ბალიში, თუ მდიდარის კაცის ქალია, საბანი და ლეიბი. ფარდაგები, ფაფანაგები, ხურჯინები და ნაბდები ქალს თავის ხელით გაკეთებული უნდა ჰქონდეს, იმათი სყიდვა სირცხვილია და, ფშავლის აზრით, იმას მოასწავებს, რომ ქალი ზარმაცი და „უხელთური“ ყოფილა, ხელ-საქმე არა სცოდნია და თვითონ გაკეთება რომ არ შესძლებია, სხვისგან ყიდვას გამხდარა იძულებულიო. დანიშნულმა ქალმა ყველა მნახველსა და საჩუქრის მიმტანს თითო წყვილი ჭრელი წინდა უნდა აჩუქოს თავისივე მოქსოვილი. ხურჯინები, ფარდაგები და წინდები კარგის ღირსებისა და კარგად შეღებილის ფერადისა უნდა იყოს, რადგანაც ამ საგნებს ქალის ქმრეულთ „მტერ-მოკეთენი“ სჩხრეკავენ და თვითონ ქალის „სიავ-კარგესაც“ მისის ხელით ნაკეთებ საქმის ღირსებაზედ აფუძნებენ, მეტადრე სოფლის „ოსტატი“ დედაკაცები.

სასიძოს ოჯახი დანიშვნის შემდეგ კრებულად ინახულებს სარძლოს და მიუტანს „სახლის სანახავს“. ამ შემთხვევისათვის ოჯახი მიიწვევს ხოლმე ყველა თავის ნათესავს, მეზობელსა და ოჯახის მეგობარს, ვისაც კი წასვლა შეუძლიან, სქესისა და წლოვანების განურჩევლად. მიწვეულები თავდაპირველად სასიძოს სახლში მოიყრიან თავს, „ახსენებენ ღმერთსა“ და იქიდგან „ჯარად“ წავლენ სარძლოს მამის სახლში. ოჯახი თან წაიღებს ექვს ჩაფ ღვინოს, გამომცხვარს პურსა და შვიდ-რვა თუნგს არაყს, აგრეთვე წაიყვანენ ორ ცხვარს. ამას გარდა ყველა მათგანს მიაქვს დანიშნული ქალისთვის საჩუქრად ფული, არანაკლებ თითო მანეთისა მამაკაცებს, ხოლო დედაკაცებს საკაბე ჩითი ან ფარჩა, სამკაული, ან ფულადვე, „ვისაც რა ემეტება“. პურსა, სასმელსა და ცხვრებს მნახველები მისვლისთანავე მასპინძელს ჩააბარებენ, ის კი ყველა ამითი და აგრეთვე, თუ შინაც რამ მოეპოვება, „თავის ბეჩაობითაც“ უმასპინძლდება სტუმრებს. მნახველები მივლენ საღამოთი.

მეორე დღეს ქალის მამა მოიწვევს თავის მხრითაც „ახლო მეზობლებს“, ნათესავებსა და ხევისბერს. ხევისბერი სასიძოსაგან მიყვანილ ცხვრებს დაჰხოცავს, სანთელს მოანთებს და ახლად დანიშნულთ თავიანთ ნათესავებითა და სტუმრებითურთ ღმერთს შეავედრებს, რომ ახლად დანიშნულები გააბედნიეროს ღმერთმა, მათს ნათესავებსა და სხვა წვეულებს მუდამ სალხინო-სამშვიდობო საქმეზედ სიარული არ მოუშალოს და სხვ. ამ დროს ყველა იქ მყოფი სახლის ეზოში მოიყრის თავს, დანიშნულ ქალსაც იქ გამოიყვანენ, დასვამენ და მიართმევენ საჩუქარს. საჩუქრის მისართმევად ამოირჩევენ ერთ კაცს, „მყეფარს“. საჩუქარს გადასცემენ ყველანი სათითაოდ მყეფარსა და ის ყველას მაგიერ ეუბნება სარძლოს შესაფერ სიტყვას. ამის გამო მყეფარად ამოარჩევენ მჭევრმეტყველ კაცს, რომ კარგად „შეაქოს“ და „ბოდიში მოხადოს“ საჩუქარის მიმრთმევს, მყეფარს შრომის ფასად ერგება ერთი აბაზი ფულად, ან ერთი წყვილი წინდა. დანიშნულმა ქალმა ყველას, ვინც საჩუქარს მიართმევს, თავის მხრითაც ისევ უნდა აჩუქოს თითო წყვილი წინდა. სასიძო „სახლის სანახავში“ არავითარ მონაწილეობას არ იღებს, იმას ნება არა აქვს, იქონიოს მსვლელობა სარძლოს სახლში, ვიდრე ქორწილს არ გადაიხდის და ცოლს შინ არ მიიყვანს.

ქორწილი ფშაველს სამღვთო წესად მიაჩნია. როგორც ყველა სხვა საღმრთო წესის ასრულება, ისე ქორწილის გადახდაც უხევისბეროდ შეუძლებელია. ხევისბერი თუმცა ეკლესიაში არ მისდევს ნეფე-დედოფალს, არც ჯვარისწერის წესს ან სხვას რასმე მის მსგავს წესს ასრულებს, მაგრამ თუ იმანაც ქორწილში მონაწილეობა არ მიიღო, „მექორწილეთ“ საკლავები არ დაუკლა, სანთელი არ „მოუნთო“ და ახლად შეუღლებულები არ დაამწყალობნა, ღმერთს არ შეავედრა, მაშინ, ფშაველთ აზრით, ხატი გაუწყრება და ახლად შეუღლებულებიც „ვერაფერს ბედს ეწევიან“. ქორწილის დროდ უფრო კვირა საღამოს ირჩევენ, თუმცა ზოგიერთი სამშაბათსაც და ხუთშაბათსაც იხდის ქორწილს, მაგრამ ამ სამს დღეში კვირა დღე უმრავლესობისგან ამოირჩევა ქორწილის დროდ. ფშავლის

მექორწილე ოჯახმა საქორწილოდ ბევრი ხორაგი და სასმელი უნდა დაამზადოს, რომ ქორწილში მიწვეულ ხალხს უხვად გაუმასპინძლდეს და ამითი „ასახელოს“ თავისი ოჯახი „მტერ-მოყვარისა“ და ყველა წვეულის წინაშე. ამისთვის აცხობს ბლომად წმინდა პურს, ჰკლავს ერთს ძროხასა და 3-5-მდე სულს ცხვარს, ღვინოც უკანასკნელი 40 ჩაფი მაინც უნდა იყიდოს და ყველა ამით გაუმასპინძლდეს ქორწილში მიწვეულებს, რომელთა რიცხვიც ხშირად ას სულსაც გადააჭარბებს ხოლმე.

ერთის დღის წინათ ქორწილამდე ვაჟის ოჯახი ჰგზავნის ქალის ოჯახში ორს ან სამს კაცს „ვაჟის მაყრებად“, ამით თან გაატანს იმდენსავე სასმელსა, პურსა და ცხვარს, რამდენიც მიაქვს „სახლის სანახავად“ წასვლის დროს. ვაჟის მაყრების მისვლის შემდეგ ქალის მშობლები მიიწვევენ თავიანთ ნათესავებსა და მეზობლებს და გადაიხდიან ვაჟის მაყრების მიერ მიტანილის „ხარჯით“ ქალის ქორწილს. ქალს შუადღისას მოამზადებენ ეკლესიაში წასასვლელად, ჩააცვამენ ფარჩის კაბას წითელი ფერისას, ქათიბას და გარედან თეთრ ჩადრს, „ყადიბას“. მორთული პატარძალი ვაჟის მაყრებსა და თავის ტოლ ქალებს მიჰყავთ ეკლესიაში, სადაც ელის ნეფე თავისის ტოლებით, ეჯიბით და მეჯვარეთი. ჯვარის წერის შემდეგ ნეფე-დედოფალსა და ყველას, ვინც ჯვარის წერის დროს დაესწრო, პატარძლის ოჯახი მიიწვევს და მცირე საუზმის მირთმევის შემდეგ გაისტუმრებს ნეფიონს ნეფის ოჯახში, სადაც მათის მისვლისთვის ქორწილი გაჩაღებულია და ნეფიონს მოუთმენლად მოელიან.

ნეფიონში ვაჟის მხრით არიან „ეჯიბი“, მეჯვარე და „ვაჟის მაყრები“, ხოლო ქალის მხრით ქალის ძმა, „მდადი“ და 5-10-მდე სხვა ნათესავები, ქალის მაყრები. ნეფიონმა, როგორც ეკლესიიდგან გამოსვლის დროს ჯვრისწერის შემდეგ, აგრეთვე პატარძლის ოჯახიდგან გამოსვლის დროსაც რამდენჯერმე თოფი უნდა გაისროლოს. ნეფიონი რაკი მიუახლოვდება ნეფის სახლს, კიდევ რამდენჯერმე დასცლის თოფსა და ამით ატყობინებს ქორწილს

თავის მიახლოვებას. ქორწილში მასპინძელს ყურის მგდებლები ჰყავს დაყენებულები, რომლებმაც თოფის ხმას ყური უნდა უგდონ. რაკი გაიგონებენ, თვითონაც თოფის სროლითვე უნდა უპასუხონ. როცა ნეფიონი თავის მიახლოვებას თოფის სროლით შეატყობინებს, მასპინძელი მაშინვე შეუდგება ნეფიონის მიღების მზადებას, იმათ დასასხდომ ტახტსა და იმის უკან კედელს მოჰფარდაგავენ.

ნეფიონი კარზე მოსვლის დროს კიდევ რამდენჯერმე გაატყვრენს თოფს, შემდეგ ყველანი ცხენებიდგან ჩამოსხდებიან და სახლის კარებთან დადგებიან, სადაც ნათესავები მიულოცავენ ნეფე-დედოფალს. აქ ნეფიონს კი თან ემატება ერთი დედაკაცი, „ნეფის დედა“. ნეფის დედად ირჩევენ ერთ-ერთ დედაკაცს ნეფის ნათესავებიდგან. ნეფის დედა ხანში შესული დედაკაცი უნდა იყოს და ამასთან არც ქვრივი და უშვილო, რომ შემდეგ პატარძალსაც ესევე არ დაემართოს. ნეფის დედა ახლად შეუღლებულებს მიაგებებს სახლის კარებთან თაფლიანსა და საფუარიანს (ხაშიანს) ჯამებს, პირველად ამოაღებინებს დედოფალს თითით ხაშსა და წაასმევინებს კარის ბჭეზედ, რომ „პურადი“ და „ღალიან-ბარაქიანი“ ხელი მიიყოლოს ოჯახში. შემდეგ ორივეს, ნეფესა და დედოფალს, შეალოკებს თითო ჯერ ცოტ-ცოტა თაფლს, რომ თაფლივით ტკბილად იცხოვრონ და დაბერდნენ. ამ წესის ასრულების დროს ნეფის დედას დიდი ქუდი ჰხურავს ტყავისა ჩიქილის გარედან. რაკი ნეფის დედობის წესს შეასრულებს, მერე მოიხდის ქუდს და ჩამოეცლება ნეფიონს. ახლა ჯერი მიერგებათ ნეფე-დედოფლის სხვა მახლობლებს. შემდეგ მეჯვარე იღებს მრგვალ ხონჩას, რომელზედაც ქორწილისთვის მომზადებული ხის ჯვარია ხმიადში ჩარჭობილი; ჯვარს სამსავე წვერზედ ვაშლები აქვს გაკეთებული და გვერდზედ მიდგმული აქვს თაფლიანი ჯამი, საიდგანაც ნეფის დედა თაფლს შეალოკებს ნეფე-დედოფალს. ეჯიბი ნეფესა და მდადი დედოფალს სამჯერ შემოატრიალებენ და შედიან სახლში. წინ მიუძღვის მეჯვარე თავისის ჯვრით, შემდეგ ნეფე-დედოფალი, მდადი, ეჯიბი, ქალის ძმა და ქალის მაყრები. ამ რიგად დამწკრიებული სახლის საცეცხლურს სამჯერ მოუვლიან გარს ნელის სიარულით და სხდებიან საკაცო მხარეზედ გამრთულ ტახტზედ: ზევით მეჯვარე, შემდეგ ნეფე-დედოფალი, მდადი, ქალის ძმა და მაყრები. ჯვარს მეჯვარე ამ დროს ნეფე-დედოფალს დაუდგამს წინ ხონჩით.

საზოგადოდ მეჯვარის მოვალეობა ქორწილში ისაა, რომ ჯვარს უგდოს ყური, ის ეჭიროს ხელში და ჯვრით ხელში დაუძღოდეს წინ ნეფე-დედოფალს ორის დღის განმავლობაში. მდადის მოვალეობაა ქორწილის დროს დედოფალს გვერდით ახლდეს, ტანისამოსსა და ჩადრს უსწორებდეს. აგრეთვე ეჯიბი ნეფეს ახლავს და ამასთან თავდაპირველი გამგებელი და რიგის მიმცემია ქორწილისა. ფშავლის აზრით, ყოველის კეთილის საქმის მტერი და, მაშასადამე, ქორწილისაც ეშმაკია, რომელიც შორი ახლო ჰყვება უხილავად და სცდილობს „დანავსოს“ ნეფე-დედოფალი. ამ დანავსვის ასაცილებლად ნეფე, ეჯიბი და „მეჯვარე“ შეიარაღებულები არიან ხმლებით. ხმალივე უჭერია ხელში მდადესაც. ხმალი, ფშავლის აზრით, სამღვთო საგანია, ეშმაკს ხმლისა ძალიან ეშინიან, უფრთხის და რაკი ნეფიონი ხმლებით შეიარაღებულია, ვეღარც შეიძლებს ახლად შეუღლებულების დანავსვას. ხმლითვეა შეიარაღებული ქალის ძმაც. როცა ნეფიონი სახლის კერას გარს უვლის, ქალის ძმა ხმალამოღებული მისდევს. ხმალს სამჯერ მსუბუქად დაარტყამს საკიდელს, შემდეგ ქალის სხვა მაყრები ხანჯლებით დაუწყებენ საკიდელს ცემას, ჩამოჰგლეჯენ და მასპინძელს აღარ დაანებებენ, ვიდრე ის „სახსარს“ არ მისცემს საკიდელის დასახსნელად, ან ერთ ხელადა ღვინოს და ან ერთს ქათამს.

„ივერია“, 1891, № 25

IV

ცოლქმრობის თავდაპირველი დანიშნულება ფშავლისთვის „ნაშენობა“ და გვარის გამრავლებაა. ამისთვის ფშაველი ყოველს ღონისძიებასა ჰხმარობს, რომ არც ერთი წესი ქორწილისა აუსრულებელი არ დასტოვოს და ამით ახლად შეუღლებულებს „იღბალი არ გაუბრუნოს“ და „უბედურები“ (უშვილოები) არ დარჩნენ. ამნაირ წესთაგანია სხვათა შორის ისიც, რომ მეფესა და პატარძალს, როცა ნეფიონნი კერას გარს შემოუვლიან და თავის ადგილას დასხდებიან, ეჯიბი კალთაში სამ-სამჯერ ჩაუსვამს ბავშვს

მამათა სქესისას და თან დალოცავს: „ღმერთმა გაგაბედნიეროთ, აღირსოს თქვენს კალთას ვაჟიშვილიო“.

რას ჰნიშნავს და რის შედეგია კერას გარს შემოვლა, საკიდელის ჩამოჭრა, თოფის სროლა და ან შეიარაღება მაყრებისა და ეჯიბ-მეჯვარესი? ხალხს ამაზედ არავითარი თქმულება არა აქვს. იარაღში, როგორც მოხსენებულია, მარტო ხმალსა აქვს განსაკუთრებული დანიშნულება, ე.ი. ეშმაკის აშორება. სხვაფრივ შეიარაღება, თოფის სროლა და საკიდელის ჩამოჭრა იქნება ნაშთი იყოს ძველის დროის ჩვეულებისა, როცა ფშავლებში ცოლ-ქმრობა ქალის ძალად მოტაცებაზედ იყო დაფუძნებული და ჯერ კიდევ არ იცოდნენ ქალის ნებაყოფლობით გათხოვება. ძალად მოტაცება ეხლაც ხალხისაგან უარყოფილი არ არის, და ეს გარემოება ხომ პირდაპირ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თვით ის ჩვეულება, როცა ფშავლებში ცოლის შერთვა ქალის ძალით მოტაცებაზედ იყო სრულად დაფუძნებული, ჩვენის დროიდგან ძალიან შორს არ უნდა იყოს.

ამასვე ამტკიცებს, ჩემის ფიქრით, ის გარემოებაც, რომ ქალის მაყრები ქორწილის დროს ნეფის ოჯახის, ან იმის ახლო ნათესავის ქალს, 6-8 წლისას, ქორწილში მყოფს, მოიტაცებენ „საღილედ“, ანუ, უკეთ ვსთქვათ, აასრულებენ მოტაცების წესს, ვითომდა პატარძლის სამაგიეროდ. საღილე მაყრებს სახლიდგან რამდენსამე საჟენის მანძილზედ მიჰყავთ ძალად თავიანთის სოფლის მხრისკენ, მასპინძელი უკან გამოუდგება და წაართმევს მოტაცებულს ქალს, რომელსაც მაყრები მაშინვე აჩუქებენ 2–3 აბაზს. ამ მოტაცებას უფრო ხუმრობის ხასიათი აქვს, თუმცა ისიც ქორწილის წესს შეადგენს.

კალთაში ჩასმულს ბავშვსა და ნეფის დედას თითო წყვილი წინდა მიეცემა პატარძლის „ბარგიდან“. საბავშვო წინდები მდადს თან უნდა ჰქონდეს და როცა ეჯიბი ბალღის კალთაში ჩასმას მორჩება, წინდები მაშინვე უნდა გადასცეს ეჯიბს ბავშვისათვის. ამის შემდეგ მასპინძელი ნეფიონსა და სხვა სტუმრებს მიართმევს ხონჩებით სხვა ვახშამს, მიიტანს ნეფიონთან ღვინით სავსე ტიკსა და

ხელადებს, ჩამოასხმევინებს ამ შემთხვევისთვის ამორჩეულს „მეღვინეს“ ყანწებში ღვინოსა, ამათში უფრო დიდს ყანწს მისცემენ ხევისბერს, რომელიც დადგება ნეფიონის ზემო მხარეზედ; დანარჩენს, უფრო მომცრო ყანწებს დაურიგებენ – ეჯიბს, მეჯვარესა და ქალის ძმას. ყველანი ფეხზედ ადგებიან, გარდა დედოფლისა და მდადისა, ქუდებს მოიხდიან და ხევისბერი დაამწყალობებს „ახალ ყოვილთა“ შემდეგის სიტყვებით:

„ღმერთო დიდებულო, ყველა შენი გაჩენილ-გარიგებულია, თორემ ჩვენ ხმელზეით ხორციელნი ვერას შემოგკადრებთ. ღმერთო, შენის დაწესებით გეღაღადებით ხორციელნი, მადლიანო კვირაცხოველო, დიდო ქრისტიანთ სალოცავო წმინდა გიორგი (შემდეგ ჩამოთვლის ფშავლის სალოცავების სახელებს), თქვენ გევედრებიანთ (სახელები ნეფე-დედოფლის მამებისა; თუ მამა არა ჰყავთ, უფროსის ძმისა, და თუ არც ძმა ჰყავთ, სახლის უფროსისა) იქით (სახელი ქალის მამისა) გამაუსტუმრებავ ქალი, აქ (სახელი ნეფის მამისა) აქორწილებს შვილსა, თქვენა ხართ იმათ მფარველნი, თქვენ გევედრებიანთ და გავედრებენ თავის ახალ ყოვილთა, მაუხდინენით ეტლიან-ბედიან-დავლათიანნი, ერთმანეთს შეაბერენით. ერთსა სასთაულზედ შეაბერენით! ღმერთო, შენ მიანიჭე წულმრავლობა, ღალიან-ბარაქიანობა. ქალის პატრონი ხვალ ვაჟის ქორწილს დაასწარ, ვაჟის პატრონს მუდამ ვაჟის ქორწილს ნუ მოუშლი, აჰხადე მტრის ხელი, მააშორე სიკვდილის ხმა, მიეც შემოდგომა ღალიან-ბარაქიანი, ზამთარი წულიან-პურიანი, ზაფხული მშვიდობა-სიხარულისა; ღმერთო, გაუმარჯვე წყალობა მიეც სტუმარს, მასპინძელსა, ყველა აქა ბძანებულსა; ღმერთო, რაც მე ჩემის უმეცრებით დავაკლო, შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ. ეჯიბო, შენს მეფეს გაუმარჯოს...“ შემდეგ ეჯიბი და სხვები ერთხმად გაიმეორებენ: „გაუმარჯოს!“

ხევისბერის ნათქვამს ლოცვას ეჯიბი, მეჯვარე და ქალის ძმა მოკლედ გაიმეორებენ. ამ დროს ისინიც ერთმანეთს გაეჯიბრებიან. რომელი მათგანიც ლოცვას „მოჭრით“ (მოკლედ) და მკაფიოდ

იტყვის, გამარჯვებულადაც ის ჩაითვლება. ამისთვის მათის ამორჩევის დროს ამომრჩევს ნეფეს და იმის ოჯახს სახეში უნდა ჰქონდეს, აქვს თუ არა ხეირიანად დალოცვის უნარი ამოსარჩევსაო. შემდეგ შეუდგებიან საერთო ვახშამს, რომელსაც მოჰყვება სიმღერა და ცეკვა ფანდურსა, სტვირსა ან სალამურზედ. საკუთრივ „მოთამაშეების“ რიგის მიმცემი, მასპინძელი „ნეფის დაა“, ქალი, რომელსაც ირჩევენ ნეფის შორი-ახლო ნათესავებში. ქორწილის „ღრეობა“ შუაღამეზედ დიდხანს გასტანს. შემდეგ ახლოელები თავიანთ სახლში მიდიან და შორეულები მასპინძლისას რჩებიან.

შემდეგი დრო, პირველის ღამისა და დილისაც, „ქალის მაყრების დროა“. ისინი მოედებიან სოფელს და სადაც კი ქათამს შეაგულებენ, მოიპარავენ და ქორწილში მიიყვანენ. ეს ჩვეულება მამაპაპურია და ამისთვის ამ მოქმედებაზე მაყარს არავინ დასძრახავს, პირიქით, თუ მაყარი ემტყუვნა ამ ჩვეულებას, „ქალაჩუნას“ დაუძახებენ. ქორწილი ორ დღემდე გასტანს. პირველ დღეს ნეფე-დედოფალს ნათესავები და მეზობლები ძღვნით დაასაჩუქრებენ და ამის გამო მას ეწოდება „ზღვნობა დღე“. „ზღვნად“ მიართმევენ ხონჩაზედ დალაგებულს ხილს, წინდებს, ტანისამოსს, ძაფსა და სხვა წვრილმანს, აგრეთვე ფულად, „პირსანახავად“ რამდენსამე აბაზს, ან ერთ მანეთს. ზოგი ძღვნის ხონჩაზედ გააკეთებს ხეს („მაშხალა“), რომელსაც რამდენსამე რიგზედ ჩხირები აქვს დარჭობილი. ჩხირებზედ გაკეთებული აქვს სანთლები, ფერადი ძაფი, ვაშლი და ფული. „ხონჩას“ მიართმევენ მარტო დედაკაცები, მამაკაცები კი ფულად აძლევენ. პირველ დღეს მირთმეული ფული და ძღვენი პატარძლის საკუთრებაა, „სათავნო“, იმას ვერც ქმარი შეეცილება და ვერც ოჯახი. საზოგადოდ ქორწილში მიცემული საჩუქარი ორად განიყოფება: პირველ დღეს მირთმეული პატარძლისაა, მეორე დღეს მირთმეული - ნეფესი, „სანაწეო“, რომელიც შეადგენს ოჯახის საკუთრებას. „სანაწეო“ ცოტაა და დედოფლის საჩუქარი ბევრად აღემატება, რადგანაც იმას ქორწილში მყოფი ყველა აძლევს საჩუქარს,ხოლო ნეფეს კი - არა.

ძღვენისა და პირსანახავის მირთმევის დროსაც ხალხი „მყეფარს“ ირჩევს. ყველა მიმრთმევი ძღვენს, ან პირისსანახავს რიგ-რიგად გადასცემს მყეფარს, რომელიც შესაფერს სიტყვას ამბობს მიმრთმევის შესახებ და სიტყვის დასრულებისას საჩუქარს მეჯვარე და ეჯიბი გამოართმევენ. მყეფარის სიტყვა მეტად კვიმატია, სახუმარო და ხშირად სიცილსაც გამოიწვევს და გააცინებს არამც თუ იქ დამსწრე გარეშე სტუმრებს, დედოფალსაც კი, რომელიც ქორწილის დროს არც უნდა იცინოდეს და ლაპარაკითაც ნაკლებ უნდა ლაპარაკობდეს. მომყავს ამ მყეფრის ზოგიერთი სიტყვები, შემთხვევით გაგონილი ივრის ხეობაზედ.

გასათხოვარი ქალის მაგიერ: „ჩემი თავი გაახლათ NN-ის ქალმა. მოგართოთ (აქ დაასახელებს საჩუქარსა) და მოგახსენათ: ნუ დამძრახავთ და ნურც დამემდურებით სიცოტავეზედაო. ხომ იცი, ბატარძალო (პატარძალო), გასათხოვარი ქალის ყოფნა, ჩიტი რო ნარზე, ისრე გაფრენ–გაფრენაზე ვარ. მე დღეს თუ ხვალ შენი დღე მამერგება, თავისი სირცხვილის მოშორება მამინდება მტერ-მოკეთესთანო, თუ ყველას სამზადისს ეხლავე არ შაუდგე, ბოლოს გვიანღა იქნებაო. ვმუშაობ, ღმერთმა ხომ იცის, ჩემს ხელ-მხართა და ჯანს მამის სახლსა და საქმეს ვალევ, რადა, აბა, რა მრჩება, დღეს თუ ხვალ მეც ჩიტივით გამაფრენენ, როგორც შენ გაგაფრინეს და თან კი მაგდენსაც არას გამაყოლებენ. მაგრამ ჩვენში კი დარჩეს და ამ დროს მაინც ძლიერ მოველიო. რაც სახლის საქმეს თავი მოვარიდე, ამ წინდის ამოჩხკლართვა ძლივს მოვასწარ ქორწილამდე, დანარჩენებით, ღმერთმა დაუმადლოს, დედამ გამხადა ღონესა, თორემ მამაჩემის ამბავი ხომ ყველამ იცით. თუ ერთი გროში ჩაიგდო ხელში, თავის ყელ-მუცელს ვერ აჭარბებს, იმასაც არ იტყვის, ცოლ-შვილსაც თითო-ოროლა შაური მადლის გულისად მაინც მივაწვადოვო. წასულს კვირას ტანისამოსის გარეცხვის დროს მამის ახალოხის ჯიბეები გავჩხრიკე და ეს ხურდა ფული იქ ამამიჩნდა, თორემ ან ამას ვინ გახდიდა საჩემოდაო. მამირთმევია ალალი გულითა. ღმერთმა ააშენოს!“ ამ სიტყვების თქმასთან ერთად

მყეფარი ხონჩას გადააწვდის ეჯიბსა და მეჯვარეს, ესენიც და სხვებიც ერთხმად დაიძახებსნ: „ააშენოს!“

მოხუცის მაგიერ: „კიდევ გაახლათ ჩემი თავი (სახელი და გვარი საჩუქარის მიმრთმევისა). მართალია, მოვხუცდი, ჩემი წილი კალო გავლეწე, ცალი ფეხი ჩადგმული მაქვს სამარეშია, ცალიც ჩაღირებული, მაგრამ, მადლობა ღმერთს, რაკი ამ ჩემთვის სანატრელ დღესაც მოვესწარ და თქვენ თავგვირგვინიანთა გხედავთ, ათის წლით მაინც გავახალგაზდავდი. ჩვენი, ბებრების ნუგეში და სიხარული, თქვენი, ახლების ბედნიერება არის. მინდოდა ამ ბედნიერ დღეს ასეთი მცირედი შესაწევარით არ დაგვხვედრიყავით, მაგრამ რა ვქნაო, ღმერთმა დიდი დღე მოგცესთ და თქვენც დაგასწროსთ, ძნელი ყოფილა სიბერეო. ტყუილა კი არ უთქვამთ ჭკვიან კაცებსა, „სიბერე ძნელი ყოფილა, ცივი ქვა აეწონებაო, დამჯდარი ვეღარ ადგება, არგანსა დაეღონებაო“. დავუძლურდი მეცა, ცივი ქვა ამეწონა, ჩემის ჯანითა და მარჯვენით სახლს ვეღარასა ვამატებ, მეც სახლის ბარგად გავხდი: რაკი ვეღარას ვაკეთებ, აღარც რა მეკითხება სახლისა, არცა რა ჩემს ხელთ არი, შვილებს სულ ყველას თავ-თავის ჭკვაზედ მიაქვს ცხვირები და მე კი, დარჩომილ ბერიკაცს, ყურს აღარ მიგდებენო. ეს (უჩვენებს ფულს) აღარცკი მახსოვს, როდინდელი რა მგდებიყო ჯიბეში, ძოღან (წინათ) ამამიჩნდა ჯიბეში და კარგადაც გამამადგა. ღმერთმა გაგაბედნიეროთო. მაურთმევია ხუთი ოქრო, ააშენოს!“

ახალგაზრდის მაგიერ: „ხო ყველამ იცით, რომ ჯერ კიდევ ბალღივარ, აქანამდე ხბოებსაც (ხბოებს) ძლიავს უვლიდი, აქანამდი ჩემი საჭირბოროტო მარტო მეველე იყო, ის წყეული ხან უნაბდოს გამამიშვებდა შინა, ხან უსარტყლოსა, თუნდა ჩემს ხბოებს ორი-სამი ბეწვის მეტი არცკი მოეძოვა ყანა-სათიბეშიაო. ახლაკი, ღვთის მადლით, იმოდენა წამოვიზარდე, რომ მეველე ბევრადაც ვეღარას მაშინებს, ქვეყანაში გავერიე, მტერ-მოყვარის ჭირსა და ლხინში ყოფნის ვალი მეცა მხვდა და თავის წილი გაჭირვება არც აქ მაკლიაო. ცარიელა ჯიბით კაცს არ გაესვლება გარეთა, ჩემს ბედზედ კი ერთი

შაურიც არ მაიძებნებოდა. ხო შენც იცი, ნეფეო, სახლის უმცროსი ველის არგანია, ბევრს ტანჯვა-წვალებაშია, მაგრამ თავისი ნაწოვ-ნადაგისა ხელში კი არა რჩება იმას. აღარცა-რა პირი მამამ შაირცხვინა, ან კი რას მამცემდა ბეჩავი, რა ჰქონდა, ხალხს ისი ჰგონავის, ბევრს აკეთებს, ბევრი სარჩო აქვ. იმისი სახლი სდუღს და გადმოდისო, მაგრამ ტყუილად: სათიბს წავა მამა, ცირცლის[21] ქვეშ წამოწვება, იქა მღერის. ხალხს კი ჰგონია, ის კაცი მუშაობს, სახლს სარჩოთი ავსებსო, მაგრამ აბა სად და რაში მატყვია მამის სარჩოს ქონა. ღმერთმა უშველოს დედასა, ამ ხუთის ოქროთი მან წამიყვანა იოლასა ამ ბედნიერ დღეშიაო, ღმერთსა ვთხოვ თქვენს ბედნიერებასაო“.

მედუქნის მაგიერ: „კიდევ გაახლათ ჩემი თავი თქვენმა ნათლიამ ხარაზ აბრაცუნამ (ამბარცუმა) და მოგახსენათ: ოღონდაცაო, სასიამოვნოა ჩემთვის ამ ოჯახის ვაჟისაც და ქალის ბედნიერებაცაო. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ დიდის ხნიდამ ერთმანერთთან ნაპურმარილევები და ნათელ-მირნები ვართო. იმის გამო მოვალე ვიყავ ახალყოილთ ათის ოქროთი მაინც შავწეოდი, მაგრამ ღმერთმა დასწყევლოს ჯერ სული მედუქნესი და იმათში უფრო ჩემი ხელობის კაცის, ხარაზის ბარაქაო. მართალია, ვშრომობ, ვიტანჯები, დღე-ღამეს ვასწორებ, ბევრს ვატყუებ მუშტარსაც, ჩემი მუშტართან ტყუილი ფიცისგან ცაში ღმერთს არა აქვს მოსვენება და მიწაში ჩემის მამის ძვლებსა. დილით საღამომდე სულ ვმუშაობ, ჯღანებსა და ტყავებს კბილით ვეჭიდები, ვაგძელებ, ვათხელებ, ვაგანიერებ, რომ ერთს წყვილს საჩუსტე ტყავს წყვილ-ნახევარი ჩუსტი მაინც გამომივიდეს. განა არა, ფულს ვიგებ, ბლომად ვზოგავ, ვყაირათობ კიდეცა, მაგრამ საღირველო კი მაინც არაფერი მრჩება ხელში, რომ თქვენისთანა, პატიოსან ხალხთან პატიოსნური პატივისცემის ღონისძიება მქონდესო. ისევ ღმერთმა ააშენოს თქვენი ოჯახი: თუ მოგება რაიმე მაქვს, თქვენგანვე; მაშ, ნათელ-მირონიც იმისთვის მინდა, რომ ფული მომაგებინოსო. თქვენ რომ საქორწილოდ

[21] ცირცელი: ხის ჯიში.

ჩუსტები დამაკერინეთ, წყვილში სამ–სამი აბაზი მოვიგე, იმ ფულიდგან ერთი მანეთის ყაირათი მიქნიაო და მომირთმევიაო. ააშენოს!“

„ივერია“, 1891, № 29

V

ქორწილში მოწვეული ხალხი მესამე დღეს მიდის შინა და ამ დროიდგან პატარძალიც შეუდგება ოჯახის სხვა წევრებთან ერთად უღლის წევას. ამან, როგორც „უმცროსმა“, უმცროსობა და მორჩილება უნდა გაუწიოს ოჯახის ყველა წევრთ, საერთოდ, დედამთილ-მამათილსა და ოჯახის უფროსებს განსაკუთრებით. პატარძლის ღირსებაა, რომ რაც შეიძლება ცოტასა ლაპარაკობდეს, ზანტი არ იყოს, შეეძლოს მარდად ადგომ-დაჯდომა და გავლა-გამოვლა. ნება აქვს ქმართან მეუღლური კავშირი იქონიოს, მაგრამ უნდა ერიდოს - კი ქმრის წრეგადასულ დაფეთიანებას, რადგანაც ეს დიდი სირცხვილია, მოასწავებს პატარძლის ხასიათის სიმსუბუქეს, თუმცა ამაზედ პატარძალს ჩხუბს არავინ უზამს, რადგანაც „ცოლს ქმრის სიყვარული არ დაეყვედრება“. მაგრამ ყურს უკან კი დასძრახავენ და არ შეიძლება, რომ ამ დაძრახვამ პატარძლის ყურამდეც არ მიაღწიოს. პატარძალს, რაკი ის თავის ოჯახში თავის წილს სადედაკაცო საქმეს იტვირთებს, მიეცემა ყველაფრის წილი, რაც კი ოჯახის რძლებში გასანაწილებელი რამ იქნება ოჯახის ქონებიდგან, მაგალითად, მატყლი, ფარჩა და სხვა ნავაჭრი.

უშვილობა, უმემკვიდრეობა, რომლის შედეგიც არის გვარის მოსპობა, სახლ-კარისა და დედულ-მამულის გატიალება, თემში გამოწყვეტა - ფშაველს უდიდეს უბედურებად მიაჩნია. ამისთვის „ახალ ყოვილთ“ ყველა კეთილის მსურველისთვის ქორწილის დროსა და შემდეგ ღვთის სავედრებელი საგანი ისაა, რომ ღმერთმა ისინი „გააბედნიეროს“ შვილის ყოლით, „გარიოს“ „თემ-სოფელში“

წულით. რამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევს ფშაველი ვაჟიშვილის ყოლასა, ეს იქიდამაცა სჩანს, რომ ფშავლის ჩვეულება „უშვილო“ კაცს ნებას აძლევს მეორე ცოლი შეირთოს „ბედის გულისად“. ამ შემთხვევაში ფშაველი ორივე ცოლს თავის სახლში ინახავს. თუ ვაჟიშვილი ჰყავს ფშაველს, მაშინ ჩვეულება „ორცოლიანობის“ ნებას არ აძლევს და ამნაირი მაგალითი ძალიან იშვიათია. ჯერ უნდა პირველი ცოლი მოიშოროს, მისცეს სამწუნობრო და შემდეგ შეირთოს მეორე ცოლი. თუ „უბედურმა“ (უშვილომ) „ბედის გამოცდისთვის“ მეორე ცოლის შერთვა მოისურვა, იმას ნება არა აქვს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ პირველ ცოლთან ვაჟიშვილი არა ჰყავს, თავი დაანებოს მას, დაიწუნოს, მეტადრე თუ პირველი ცოლი მეორე ცოლის შერთვაზე წინააღმდეგობას არ გაუწევს. დედაკაცს ნება არა აქვს ქმარს მეორე ცოლის შერთვა დაუშალოს. თუ თვითონ აღარ ისურვებს ორცოლიანი ქმარის ცოლობას, მისსავე სახლში დარჩენას, შეუძლიან თავი დაანებოს, მამის სახლში წავიდეს; ვერც ქმარი დაუშლის თავის დანებებას და მამის სახლში წასვლას.

თუ ფშაველი მეორე ცოლთან მაინც „გაბედნიერდა“, ვაჟიშვილები ეყოლა, ესენი მოვალენი არიან, თავის უშვილო „მამის ცოლი“ ისევე შეინახონ და დამარხონ, როგორც თავისი „ალალი დედა“. ამ მოვალეობისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში არიან თავისუფალნი, თუ „მამის ცოლს“ ადრევე აუღია ხელი ქმარზე. ცოლ-ქმართ შორის უთანხმოება და ერთმანეთის თავის დანებება ფშავლებში იშვიათი არ არის, მაგრამ მრავალცოლიანობა კი მათ ჩვეულებად არა აქვთ, ზემოთ ნათქვამი შემთხვევის გარდა. ძველ დროშიაც თუ ფშაველს ცოლი არ მოეწონებოდა, ნება ჰქონდა, თავი დაენებებინა, „დაეწუნა“, თუნდაც ცოლის სურვილის წინააღმდეგ. ამისთვის საკმარისი იყო დაწუნებული დიაცისთვის მიეცა „სამწუნობროდ“ ხუთი ძროხა, ან ხუთი თუმანი ფულად, მამის სახლში გაეგზავნა და თვითონ სხვა ცოლი შეერთო. მაგრამ თუ ვაჟიშვილები ეყოლებოდა, მას შემდეგ დაწუნება კი შეუძლებელი

იყო, რადგანაც „სამართალი“ დაწუნების ნებას აღარ მისცემდა და დამწუნებელსაც შვილების ფიქრი ექნებოდა, რომ „წამოზრდილმა“ შვილებმა ბოლოს მამის დაუკითხავად დედა თვითონვე არ მოიყვანონ თავიანთ სახლში და ამნაირად სიბერის დროს „ორმა ერთად შეყრილმა ცოლმა სიცოცხლე არ გამიმწაროსო“.

ღარიბი და მკაცრი ბუნება ფშავლის სამშობლოსი ნებას არ აძლევს ფშავლის ოჯახის არც ერთ წევრს, რომ თავისი ძალღონის დაგვარად თავისი ხელით ნაშრომი არ შეიტანოს ოჯახში და თავისი თავი თავისსავე ოფლით არ დაირჩინოს. ფშავლის დედაკაცი შრომის მხრივ არამც თუ ბარგია ოჯახისა და მამაკაცისა, პირიქით, ის მშრომელი ძალაა ოჯახში, თავისი შრომითა და უნარიანობით არ ჩამოუვარდება შრომისავე მოყვარე მამაკაცსა. სწორედ ამ გარემოების შედეგი არის ის უფლება და მნიშვნელობა, რაც ფშავლის დედაკაცს ოჯახში მოუპოვებია. გარდა იმისა, რომ ფშავლის დედაკაცს მომეტებულ ნაწილად მამაკაცთან ერთად შეაქვს ოჯახში „ნაშრომ-ნაამაგევი“, ის თავისის ხელსაქმობით აცმევს ქმარ-შვილსა. რაღა თქმა უნდა, რომ ყველა ეს დედაკაცის პიროვნებას ოჯახში უფრო ფასსა სდებს. ფშაველი დარწმუნებულია, რომ უდედაკაცოდ ოჯახი ნამდვილს ოჯახობას ვერ გასწევს და კერძოდ მამაკაციც ძნელად გასწევს სხვათა სწორად მეოჯახობას, თუ „ცოლითაც ზურგი მაგარი არა აქვს“.

ცოლის გავლენის ქვეშ ყოფნა ფშავლისთვის სირცხვილია. ის ყოვლის ღონისძიებითა სცდილობს თავი ისე დაიჭიროს ცოლთან გარეშეების წინაშე, რომ ცოლის გავლენის ქვეშ ყოფნა არ შესწამონ. ფშავლის აზრით, ქმარი იმისთვისაა ქმარი ცოლისა, რომ ისა უფროსობდეს იმასა, თავისი სურვილი აასრულებინოს და „ძირს არ დააშვებინოს“. წინააღმდეგ შემთხვევაში ისა ხდება „ცოლის ცოლი“ და თემ-სოფლის სასაცილო. მართებულობა ფშავლებისა თუმცა ამასა თხოულობს, მაგრამ „კაც-დედაკაცთ“ (მეუღლეთ) ურთიერთობაში წინააღმდეგსაც იშვიათად არა ვხედავთ...

სამუშაო ოჯახის წევრთ განაწილებული აქვთ, მაგალითად, ერთი ძმა რომ მეცხვარე იყოს, მეორე მხვნელ-მთესველია და სხვ. ხოლო მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის კი საქმე სრულიად განაწილებული და განსაზღვრული არ არის, თუმცა კი ისეთი საქმეებიც არის, რომელსაც დედაკაცი არ აკეთებს, მაგალითად არა სთიბავს დედაკაცი, არა ხნავს და ცულს არა ხმარობს, თუ უკაცური და „ობოლქვრივი“ არ არის. დედაკაცი გვერდს უდგას მამაკაცსა და შველის მკის დროს, თივის ხვეტისა და კალოობის დროს, აგრეთვე მწყემსობს კიდეც. ობოლქვრივი, უკაცური დედაკაცი კი ყველა საქმეს აკეთებს, „საკაცოსაც“ და „სადედაკაცოსაც“, რაზედაც ცოდნა და „ჯან-ღონე“ მიუწვდება. თუ ოჯახში რამდენიმე მონაწილეა და ბევრი რძალია, მაშინ სადედაკაცო საქმეები ერთმანეთში განაწილებული აქვთ. ერთს მათგანს აბარია „სადიასახლისო“ საქმე, აცხობს პურსა და ამზადებს საჭმელებს, იმას აბარია ფქვილი, ერბო, ყველი და სხვა ხორაგეულობა; ის უნდა დაუხვდეს და იმან უნდა პატივი სცეს სტუმარსა და ყველას, ვინც სახლში „მტერ-მოკეთე“ მიუვა. დიასახლისობის ვადა ერთი წელიწადია და ამ ხნის განმავლობაში სხვა რძლებთაგანი დიასახლისობას არავინ არ გაუწევს, თუ არ განსაკუთრებულს შემთხვევაში, მაგალითად მშობიარობისა და ავადმყოფობის დროს. დიასახლისი მანამდის დიასახლისობის ვადას არ გაათავებს და სხვა რძალს არ გადასცემს ამ თანამდებობას, „საგარეო“ საქმეში არ გავა სამუშაოდ. დიასახლისობას რძლები რიგ-რიგობით მოაყოლებენ.

დიასახლისობასავით რიგით, „საწილოდ“ მოჰყვება რძლებში, აგრეთვე, მთაში წასვლა ზაფხულობით წველა-დღვებისა და ყველის კეთებისთვის. დიასახლისობა იწყება შემოდგომის პირიდგან, როდესაც მთიდგან ჩამოვა მემთე რძალი და ჩამოიტანს ბარში თავის „ნაწველ-ნადღვებავს“. დიასახლისობასაც ის მაშინ ჩაიბარებს, რადგანაც მოვალეა, რომ თავისი ნაწველ-ნადღვები თვითონვე მოახმაროს ოჯახსა და პასუხი მისცეს თავისი ნაკეთების (ნაწველ-ნადღვების) ღირსებასა და დაზოგვაზედ. ოჯახის რძლები

ერთმანეთის მიმართ იწოდებიან „მესწორებად ანუ მონაწილებად“, ხოლო ცალკე მათი საქმეები იწოდება, მაგალითად, „დიასახლისობა“, „მემთეობა“, „მესაქონლობა“ (საქონელისა და მწყემსის ყურისმგედებელი ზამთრობით). საერთო იწოდება „საწილოდ“. როგორც ნათქვამია, „საწილო“ რძლებში რიგით მოჰყვება. საწილოს არ „მიარგენენ“ რძლები დედამთილსა და საზოგადოდ ისეთის კაცის ცოლსა, რომელიც ოჯახში სრულიად წილის მქონე არ არის. დედამთილს, თუ დაუძლურებული არ არის და შეუძლიან „საწილოს გაძღოლა“, ნება აქვს დაუძლურებამდე რძლებს „მესწორეობა“ გაუწიოს და მანდილოსნებს შორის გასანაწილებელ ქონებიდგანაც სრული წილი აიღოს ყოველ წელიწადს, მანამდის საწილოზედ ხელს არ აიღებს. ყოველ შემთხვევაში ეს დამოკიდებულია დედამთილის სურვილზედ. იმას, როგორც სახლის უფროს მანდილოსანს, შვილ-რძლისგან საწილოს გაძღოლა ვალად არ დაედების, თავისის სურვილის წინააღმდეგ. „საწილოსგან“ განთავისუფლებულები არიან ოჯახში გასათხოვარი ქალები და „უწილკერძო“ (უმემკვიდრო) ქვრივები. საწილოდგან გათავისუფლებულ დედამთილს, თუ გასათხოვარი ქალი არა ჰყავს შინ და ან დასაქორწილებელი ვაჟიშვილი, ოჯახის წლიურის შემოსავლიდგან რძლებზედ ნაკლები წილი მიეცემა, სახელდობრ იმდენი, რამდენიც მარტო თავის „ჩაცმა-დახურვისთვის“ დასჭირდება. რადგანაც გასათხოვარი ქალიცა და დასაქორწილებელი ვაჟიც „დედის წილზე“ არიან, იმათაც დედის ნაწილით უნდა „ჩაიცვ-დაიხურონ“. ამისთვის მეტი წილი, ესე იგი „მოამაგე“ (მომუშავე) რძლების სწორი ეძლევა ქალის გასტუმრებამდე და ვაჟის დაქორწილებამდე. „უწილკერძო“ ქვრივს ოჯახის შემოსავლიდგან, რაც კი რძლებს შორის გასანაწილებელია, სრული წილი ეძლევა, ვიდრე იქამდე დაუძლურდება სიბერისაგან, რომ ხელსაქმობა აღარ შეეძლოს. „უწილკერძო“ ქვრივი თუმცა სხვებთან „გათვლილი“ არ არის საწილოში, მაგრამ უსაქმოდ არც ის არის, და ამასთან ფშაველი ცდილობს, რომ უიმისოდაც ბედისგან

ნუგეშმოკლებულს იმან მაინც აღარ მოაკლოს ნუგეში და ოჯახის ქონებიდგან წილი არ „დაჰყაროს“.

„ივერია“, 1891, № 30

VI

თუ სახეში მივიღებთ ჯერ იმ გარემოებას, რომ „საწილოს გამძღოლი“ რძლები მეტსა ჰმუშაობენ ოჯახში, ქმარშვილიანები არიან, ქმარ-შვილის ჩაცმა-დახურვაც მათივე მოვალეობაა, მოხუცებულებს კი მოშორებული აქვთ ქმარშვილობა და მათი ჩაცმა-დახურვა და, მაშასადამე, ქმარშვილიან დედაკაცებთან შედარებით მცირედი მოთხოვნილება აქვთ, ამის გამო მცირედ წილსაც იღებენ, მაშინ ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამნაირი განაწილება ქონებისა სამართლიანად შეთანხმებულია შრომასთანაცა და საჭიროებასთანაც. ყველა, რაც რძლების „მესწორობის“ შესახებ ითქვა, ცოტად თუ ბევრად დიდ ოჯახებს შეეხება, იმ დიდ ოჯახებს, რომლებიც ფშავში შესდგებიან 2-6-8 მოწილე ძმა-ბიძაშვილისაგან. ესევე არ ითქმის ხელმარტო ოჯახის კაცზე და დედაკაცზე.

ქვრივ დედაკაცს, ვიდრე გარდაცვალებული ქმრის „სახელზეა“, იმის „კერაში ცეცხლი არ გაუქრია“ და იმის ჭერს არ მოშორებია, არ ჩამოერთმევა ქმრის ქონება, არც მოძრავი და არც უძრავი. იმას შეუძლიან გაეყაროს ოჯახსა და ქმრის წილი გაირგინოს. მაშინ სხვა მონაწილეები, თუ ქვრივის ქმარი საერთო ქონებით დამარხულა, თვითონაც „სამარხს“ აიღებენ ხუთ-ხუთ ძროხას, ან იმის ნაფასურსა და დანარჩენ ქონებიდგან ქმრის სრული წილი მიეცემა ქვრივს. თუ ქვრივი ხელახლად გათხოვდა, მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ ჩამოართვან პირველის ქმრის ქონება გაყრილებმა და დაიბრუნონ თავად, მანამდე კი ქვრივი ცალკე კომლად ითვლება და თემისაგანაც

სათემო სახნავ-სათიბის წილი არ „დაეხუთება“ იმის მიუხედავად, ჰყავს ქვრივს მემკვიდრე თუ არა.

დედაკაცს თავისი საკუთარი ქონება აქვს, „სათავნო“, რომელსაც შეადგენს ფული, ცხვარი, ძროხა და ნივთები; სათავნოს სრული თავისუფალი პატრონია დედაკაცი და სხვას, არც მამაკაცს, არც დედაკაცს, გარეშე იქნება, მონათესავე თუ შინაური „სახლის ჯალაბი“, ნება არა აქვს სათავნოს შეეცილოს. თვით ქმარიც კი, რომელიც უმახლობელესი „პატრონია“ ცოლისა, დედაკაცის სათავნოს ვერ შეეხება იმის ნებადაურთველად; ქმარს მხოლოდ ცოლის სიკვდილის შემდეგ შეუძლიან ცოლის სათავნოს დამკვიდრება, ამ შემთხვევაში შვილების ყოლა-უყოლობა არაფერ სახეშია მისაღები. ცოლის სანათესავო, მამის სახლი, ქალის სათავნოს ვეღარ დაიბრუნებს მისი სიკვდილის შემდეგ.

ფშავლის დედაკაცი საზოგადოდ ჯანმრთელია, მაგარის აგებულებისა, ადვილად იტანს არამც თუ იმ მძიმე მუშაობას, რასაც იმას ვალად ადებს ოჯახი, მშობიარობასაც კი. ამისთვის არა სჭირდება არც ბებია და არც სხვისი ვისიმე გარეშეს შველა. ფშავლის დედაკაცის ჯანმრთელობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ მათ შორის მშობიარობის გამო უბედურება იშვიათია, მიუხედავად იმისა, რომ მელოგინე დედაკაცს არავითარი მოვლა არა აქვს და თითქმის ღვთის ანაბრობაზეა მიგდებული. ასეთი მაგალითებიც კია ფშავლებში, რომ სადმე ველზედ, მწყემსობაში, ეშობნოს შვილი და საღამოზედ სახლობას, ერთის დედის მაგიერ, ორნი, დედა-შვილნი დაჰბრუნებიან შინ. საზოგადოდ კი ამნაირი მაგალითი იშვიათია, რადგან „თვეში ჩამდგარს“ (მეცხრე თვეში) ორსულ დედაკაცს ფშაველი შინ ამყოფებს ხოლმე და სახლიდგან საქმეზედ შორს სადმე იშვიათად გაჰგზავნის. მშობიარე დედაკაცი უფრო უწმინდურად მიაჩნია ფშაველს, ვიდრე „მებოსლე“, ანუ „რიგში მყოფი“. მებოსლე დედაკაცს ნება აქვს ბოსელში (გომურში) ან ცალკე „საბოსლოდ“ გაკეთებულ ქოხში ყოფნისა, სადაც ყველას შეუძლიან მისვლა, „მოწმინდარი“, ხატის მსახურის გარდა. მშობიარე დედაკაცი კი

აქედგანაც განდევნილია. ამის გამო ფშაველი ორსულ დედაკაცს, რაკი „თვეში ჩადგება“, ქოხს უკეთებს სახლის მოშორებით. დედაკაცმა იმ ქოხში უნდა მოილოგინოს და ახლად დაბადებულთან ერთად იქვე დაჰყოს ორი კვირა. მხოლოდ ორის კვირის შემდეგ ეძლევა ნება ბოსელში შესვლისა, სადაც უნდა დაჰყოს არანაკლებ ექვსის კვირისა და მარტო ამას შემდეგ ეღირსება სახლში შესვლა და ბავშვსაც მაშინ მოანათვლინებს.

ქოხში მყოფი მშობიარე კარებდაგულვილში ჰზის და გარეთ იშვიათად გამოვა, სასმელ-საჭმელს ჯალაბობა უზიდავს და აწვდის ამისთვის განგებ ქოხში დატანებული ჯუჯრუტანიდგან. ყველანი საზოგადოდ იმასა სცდილობენ, რომ არ მიეკარნენ უწმინდურს მშობიარესა და თავი ამითი არ გაიუწმინდურონ. მშობიარობის დროს მხოლოდ დედაკაცები დაესწრებიან, რომ ავადმყოფი მშობიარე მოაბრუნონ და თუ ვინიცობაა გული შეუწუხდა. მამაკაცი კი, მეტადრე მშობიარეს ქმარი, მშობიარობის დროს არ ესწრება. ფშაველსა სჯერა, რომ მშობიარეს „მაცილი“ (ეშმაკი, ალი) უდარაჯებს და სცდილობს გამოუცვალოს ბავშვიო. ამის ასაცილებლად საჭიროა რაიმე იარაღი იქონიოს, ან რკინისა და ღორის კბილი შეაბას ბავშვის აკვანს. ესენი „მაცილს“ აშორებენ მშობიარესაო. ფშავლის აზრითვე, ღორის კბილისა და რკინის იარაღისა ეშმაკს ძალიან ეშინიან და თუ მშობიარეს ესენი თანა აქვს, ეშმაკი სრულიად ვეღარ მიეკარება და ვერც ბავშვს გამოუცვლის. ახლად დაბადებული ბავშვის შესახებ დედა ასე არწმუნებს პატარა ბავშვებს, ღმერთმა ციდგან ჩამოგვიგდოვო ან ქოხში მიწიდგან გამოვთხარეო. თუ ოჯახში ვინმეა ხატის მსახური მოწმინდარი, მაშინ მშობიარე სახლში არ შევა ორის თვის განმავლობაში.

ამ ხანებშივე შეუდგებიან ბავშვის სახელის ამორჩევის ზრუნვასაც. სახელის ამორჩევისა და დარქმევისთვის სხვადასხვა ღონისძიება აქვს ფშაველსა და ყველა ახლადდაბადებულის მახლობლებიც ერთ-ერთ მათგანს მიჰმართავდნენ. სახელს დაარქმევენ მიცვალებულისას, ახლო ან შორეული ნათესავისას, ანუ

ახლადდაბადებულის დედ-მამის მიცვალებული მეგობრისას. თუ ბავშვი „უჭირვეულოა“ (ჯანმრთელი) და ხასიათით კი ანჩხლია, მტირალი, ეს იმის ნიშანია, რომ ბავშვს „შეჰბრუნავს“ რომელისამე მიცვალებულის სული და სცდილობს, რომ იმისი სახელი დაარქვან. ახლად დაბადებულის მახლობლები რაკი ამ ნიშნებს შეიტყობენ, მაშინვე იმის გამოცნობას შეუდგებიან, ვისი სული „შეჰბრუნავს“ და „ენუკავსო“, რომ ბავშვს იმისი სახელი დაარქვან. რაღა თქმა უნდა, რომ ფშავლისათვის ამ შემთხვევაშიაც ნასკვის გამომხსნელი მკითხავია. გაემგზავრება მკითხავთან, თან წაიღებს რამდენსამე წმინდა სანთელს, ერთს კვერს, პურის ლავაშსა და ერთ აბაზ ფულს მკითხავისთვის. მკითხავი ყველა ამაებს და აგრეთვე სუფთა წყლით სავსე ჯამს ხონჩაზედ დაალაგებს. გვერდზედ თვითონ მოუჯდება, შეევედრება იმ სულს, რომელსაც მოუნდომებია დაარქვან მისი სახელი ახლად დაბადებულს და ამით აღადგინონ იმისი სახელი „სამზეოში“, რომ ის მოვიდეს და მისის (მკითხავის) პირით გამოუცხადოს თავისი ვინაობა. რაღა თქმა უნდა, რომ მატყუარა მკითხავი მალე მოიყვანს მიცვალებულის სულსაცა და გაუჩალხავს საქმეს თავის ხელში ჩავარდნილს უმეცარს.

ფშავლებს ბევრი სახელი აქვთ არაქრისტიანული, მაგალითად, მამაკაცისა: ჟულაკი, მამუკა, ბეწინა, შალიკა, თეთრაული, ნადირა, ლომი, მაღალა, ბუჩა, მწარია, ხვთისავარი, ბუთულა, ჯაბანა, მგელა, გამახარე, ბერიძე, ჭრელა, ბერო, ბუთლა და სხვ. დედაკაცისა: ქალთამზე, ხოშია, მანია, შუქია, მზევინარი, მზექალა, ქალიკა, ნათელა, დედუკა, სანდუა, ბებოქალი და სხვ. ბევრია აგრეთვე ქრისტიანული სახელი, ქართული. თუ ქრისტიანული სახელი დაარქვეს, მღვდელიც იმ სახელზეც მონათლავს და ბავშვს სახელი სამუდამოდ შერჩება, ხოლო თუ ქრისტიანული არ არის სახელი, მაშინ მღვდელი მონათვლის დროს ქრისტიანულ სახელს დაარქმევს და ამნაირად ორი სახელი ერქმევა ბავშვს, ერთი ხალხური და ერთიც ქრისტიანული. ქრისტიანული სახელი ხშირად ავიწყდებათ,

თუ ხალხური სახელი ჰქვიან ფშაველსა და ხალხიც ამ სახელით იცნობს.

ამ ბოლოს დროს უფრო ყურადღება მიაქციეს და იხსომებენ ქრისტიანულ სახელებს. ამისი მიზეზი უფრო ის არის, რომ ფშაველი დარწმუნებულია, მღვდელმოქმედების დროს კაცის მოხსენება ცოცხლისა ანუ მკვდრისა უნდა ქრისტიანულის სახელით იყოსო, უამისოდ, მისის აზრით, მღვდელმოქმედება მოკლებულია ჯეროვან მნიშვნელობას მლოცველისთვის, ლოცვას ღმერთი არ მიიღებს, არ „შაიწირავსო“. სახელის ამორჩევა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, „მოსახელესი“, (მიცვალებული, რომლის სახელიც ახლად დაბადებულს ერქმევა) შესაძლოა უმკითხავოდაც. თუ ბავშვმა ანჩხლობა დაიწყო და ამის გამო დარწმუნდა ბავშვის პატრონი, რომ მის ბავშვს რომელსამე მიცვალებულის სული „შემოჰბრუნავს“, სთხოვს ბავშვს მისი სახელი დაარქვან და ამის გამო ატირებს ბავშვს, მაშინ ბავშვის პატრონი, თუ მკითხავს არ მიჰმართა, მიცვალებულებს კენჭს უყრის და რომლის წილიც პირველად ამოვა, იმის სახელს უწოდებს ბავშვს. ბავშვის პატრონი დარწმუნებულია, რომ ის მიცვალებული, რომელიც ენუკავს მათ სახელის დარქმევას, თავის კენჭს (წილს) ამოიყვანს წინადა და ისე ირგუნებსო. კენჭი ეყრება სახლის მიცვალებულებს, მეზობლისა და ნათესავებისას, ყველას ერთად, რა თქმა უნდა, იმ სქესისას, რა სქესისაც ახლად დაბადებულია.

ბავშვი, ფშავლის აზრით, ცოტად თუ ბევრად დაემსგავსება თავის „მოსახელეს“, როგორც გარეგანის შეხედულებით, ისე ხასიათითაც. მას დაბადებისთანავე თან დაჰყვება თავისი „იღბალი“. დაბადების წამსვე ბედის წიგნში იწერება, თუ როგორი უნდა იყოს, რამდენ ხანს იცოცხლოს და როგორ უნდა გაატაროს წუთისოფელში სიცოცხლე, როგორ და რანაირის სიკვდილით უნდა მოკვდეს, მაგალითად, კაცის ხელითა, სისნეულითა, წყლისა თუ სხვა რამ მიზეზისაგან. ბავშვების თანდაყოლილი იღბალი, მფარველი ანგელოზები, თუ ვინიცობაა ბავშვები სხვადასხვა ოჯახისა ერთ

თვეში დაბადებულან, ერთადა ჰყავთ მშობლებს, ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომლის იღბალიც გაიმარჯვებს, იმისი ბედია, ის აჯობებს მეორესა და ბედით დასჩაგრავსო. ამას ფშაველი „მეთვეურს“ უწოდებს. მეთვეურობა მხოლოდ წლამდე გასტანს, მას შემდეგ აღარ ეშინიან ბავშვის ბედს სხვისი ბედისგან დაჩაგვრისა. მეთვეურობის ზიანს აშორებს და ახლად დაბადებულთ ბედსაც არიგებს ისეთი სამღვთო საგანი ფშავლისა, როგორიც დედის ძუძუა. საკმაოა მეთვეურებმა ერთმანეთის შვილებს მოაწოვონ, რომ მათი ბედ-იღბალიც ერთმანეთში მორიგდეს, საერთო გახდეს და მათგან არცერთი არ დაიჩაგროს. ამისთვის მეთვეურმა დედებმა ბავშვები არ უნდა ამყოფონ ერთად და, თუ ამყოფებენ, ერთმანეთის ბავშვებს უნდა მოაწოვონ.

ბავშვისთვის საწოლადა აქვთ ქართული აკვნის მსგავსი აკვანი, აწვენენ ისევე აკვანში ჩაკვრით, როგორც სხვა ქართველები. ბავშვს ძუძუს 3-5 წლამდე აწოვებენ, თუმცა პურის ჭამას ხშირად პირველ თვეშივე შეაჩვევენ ხოლმე, მეტადრე თუ ბავშვის დედას ნაკლები აქვს რძე და ბავშვს ვერ ასაზრდოვებს. ფშაველსა სწამს, რომ ბავშვი რამდენ ხანსაც მომეტებულ ხანსა სწოვს ძუძუს, იმდენად მომეტებულად ჯანსაღი და ღონიერი გამოვა. ასე, რომ თუ შვიდ წლამდე სწოვა ძუძუ, დიდხანსაც იცოცხლებს და აუცილებლად ფალავანი გამოვაო (ღონიერი მოჭიდავე). მანამ ბავშვს კბილები არ ამოუვა და საჭმლის დაღეჭვას თვითონ არ შეძლებს, საჭმელს დედა უღეჭავს და ისე აჭმევს. ბავშვის დედ-მამა მოვლეა, ეცადოს ბავშვმა პატარაობიდანვე კარგი ხასიათი იქონიოს, უფროსის პატივისცემა და მან თავაზა და მორიდება იცოდეს და სხვა, რაც კი ,,გონში ჩავარდნილ“ ბავშვს მოეთხოვება.

„ივერია“, 1891, № 31

ეთერიანი

(გაგონილი ფშავის სოფელ არტანში გეჯურა პაპუაშვილისაგან და დაწერილი[22] 1888 წელს დავით ხიზანაშვილისგან)[23]

იყო ერთი ხელმწიფიშვილი და იმას ერქო ელურსამელი, და იმასა ჰყვანდა ერთი ყმა გვერდით, ეშმაკებთან გაფიცული. სახელი იმისა იყო შერელომა. ის ბატონი ელურსამელი იყო, დიდი ხანი უცოლო და დადიოდა, რომ უნდა ცოლად შაირთოს ის გლეხის ქალი, რომელიც იმას თვალში მოუვა. მისდიოდა ხმა, რომ ერთ ალაგას ერთი ქალი გლეხისა მეწისქვილეებთან მესაფქვეთ იდგა, სახელად ეთერი. მივიდა ეს ელურსამელი და დაინახა ქალი, ერთის სიტყვით, მზეს უდრის და ჰკითხა ერთ კაცს, ქმრიანი ხომ არ არისო და იმანაც უთხრა, არაო. წავიდა და დედას უთხრა ელურსამელმა:

ბაღდადს რომ უფლის ყანა დგას,
ბრინჯაოს ადგა ნათელი.
ქარის წისქვილებ უბრუნავს,

---

[22] დაწერილი: იგივე ჩაწერილი (ხ. მ.)

[23] ტექსტის ამ ვარიანტს, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ (1888 წ. №274) თან ახლავს გაზეთის რედაქციის უაღრესად საყურადღებო შენიშვნა: „აბესალომ და ეთერის ამბავი ქართველი ხალხის მრავალ თემობაშია გავრცელებული და 1875 წ. პირველად ცალკე დაიბეჭდა ეს ამბავი სახელად „ეთერიანი“, რომელიც შედგენილია პ. უმიკაშვილისაგან. როგორც გამოცემის შენიშვნიდამა სჩანს, სახალხო ლექსებისა და პირად ნათქვამობისაგან. „ესენი, რიცხვით ცამეტი ვარიანტი, ეკუთვნის: ქართლს, კახეთს, იმერეთს, სამცხეს (ახალციხის მაზრას), ხევსურეთს, ხევს (თერგის ხეობას). ეთერის ამბავი გალექსილი არ იყო 1869 წლამდე და იმ წელს დაიბეჭდა შეთხზული იოსებ ელიოზიშვილისაგან ამავე სახელით (ეთერიანი). ამ უკანასკნელს თხზულებაში თუმცა სახალხო ნათქვამობის შინაარსია აღებული, მაგრამ სრულებით შეცვლილია და ხელოვნებითი ნაწარმოებია. დღევანდლამდე საკუთრად რომლისამე თემის განსაკუთრებითი გამოხატვითა და უხელოვნოდ, ხელშუხებლად ჩაწერილი არ დაბეჭდილა. ეხლა ეს ფშაური ეთერის ამბავი პირველი ნიმუშია შეძლებისამებრ ხელშუხებლად ჩაწერილი.“

შენიშვნა: მოგვიანებით ეს ვარიანტი დაიბეჭდა აგრეთვე წიგნში: „ხალხური სიტყვიერება“, IV, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბ., 1954, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. 157-163 და იქვე იხ. შენიშვნა: გვ. 271.

მესაფქვეთა ჰყავ ეთერი;
ის მომეწონა, დედავო,
ის არის ჩემი საფერი.

რა იმისმა დედამ ეთერის ქება გაიგო შვილისაგანა, გაგზავნა შვილი და უთხრა: წადი, შვილო, და მოიყვანეო. წამოვიდა ელურსამელი და უთხრა ეთერსა:

გადამაყოლე, ეთერო,
ეგ შენი კაბის სახელი.

ქალი

დამეხსენ, ელურსამელო,
არა ვარ შენი საფერი.
შენ დიდი ხარ დიდებული,
დედა–მამითაც ქებული;
მე გლეხი ვარ, გლეხის ქალი,
გლეხურად თავდადებული.
შენ რომ შენი ჰქნა, წახვიდე,
გამწირო წყალს წაღებული.

ელურსამელი

ეთერ, შენს მოღალატესა
ზეცით ღმერთიმც გაუწყრება,
მტრისად მოქნეული ხმალი
ვადაშიამც გაუტყდება;
იალბუზის მინდორზედა
ქარიშხალიმც აუტყდება,
ძალიან მოწყურებულსა
წყაროს წყალიმც დაუშრება!

ეთერი

ამ პურმა და ამ მარილმა,
ამ ღვინომა ვაზისამა,
სახნისმა და საკვეთელმა,
გაწეულმა ხარისამა,
შენის მეტ ბიჭი არმინდა...
ფიცმა რა ქნას ქალისამა.

ადგა და გაჰყვა ეთერი ელურსამელსა. რა ნახა შერელომამა, რომ იმის ბატონს იმისთანა ქალი მოეყვანა, შეშურდა და დაიბარა თავისთან ეშმაკები. მოუვიდნენ შერელომას ეშმაკები და უთხრეს: ძმობილო, რაგინდაო? აბა, ჩემმა ბატონმა ეთერი მოიყვანა და ამისთანა სიკეთე მიყავიო, რომ მაგას ააშოროთ და მე დამრჩესო. აიღეს ერთი მუჭა ფეტვი, შეულოცეს და მისცეს შერელომას და უთხრეს, რომ როცა ჯარზედ დასხდებიანო, მაშინ ეს მიაყარე და სულ მკბენრად აჩნდება და დაიწუნებსო. შერელომამაც ისე მოიხმარა ის ფეტვი და გადააჩნდა სულ ის ფეტვი ტილადა. ბევრი ეცადნენ, მაგარამ ვერაფერი უშველეს. ადგა და ამოთქვა ტირილითა ელურსამელმა:

ქალი ვის გინდათ ეთერი,
მე ხელს ავიღებ, წავალო.

შერელომა

მე მინდა შერელომასა,
შენი ერთგული ყმა ვარო.

მისცა ხელშია და წაიყვანა შერელომამა თავის სახლშია. გავიდა რამდენიმე ხანი, შეიყარნეს ერთადა სანადირო ტყეში, ჩამოუარდა რაიმე ლაპარაკი და უთხრა ელურსამელმა შერელომასა:

შერელომა შენსა მზესა,
შენი ცოლი რათ ფერია?

შერელომა

რას იკითხავ, ცათა სწორო,
ცოლის ქება აუგია.
ხო შენც იცი ბროლის ციხე,
როგორ ცამდინ მაღალია;
შიგა ზის ქალი ეთერი,
ყელი მოუღერებია;
ცხვირი - სტვირი, კბილი - მძივი,
ბაგე ხახვის ფურცელია;
კარზედ უდგან ცხრანი მაზლნი,
ფხა ასხმულნი აფთარნია;
თავით უზის მამამთილი,
გველვეშაპის მყლაპავია;
ფეხთით უზის დედამთილი,
აბრეშუმის საცერია;
გვერდით უზის თავის მული,
ცით ჩამოსულ მასკვლავია,
ყელ-ყური მძივით სავსე აქვს,
შიგ ურევნია გიშერი.
არ შესცდე და არ წახვიდე,
თორემ ვეღარას გიშველი!

წამოვიდა გამწარებული შინა და სურვილისაგან ძალიან წუხათ შეიქმნა. დედამ ბევრი უარა, ბევრი აწამლა და ვერ გაუგო სატკივრის თავი და თვითონ კი მალავდა, რითაც ავად იყო. უნდოდა რომ მომკვდარიყო, რაკი იმისი სასურველი სხვისა ცოლი იქნებოდა შეცდომითა და თანაც იმოდენა ფიცს გადავიდა. წავიდა ბოლოს იმისი დედა ერთ ნაქებ მკითხავთან და აკითხვინა. იმ მკითხავმა

უთხრა, რომ როცა მიხვალო, ერთი ხორცის ქადა გამოუცხვეო და მიუტან თუ არაო, მაშინვე კარებს უკან დაიმალეო და ყური დაუგდეო. მივიდა ბებერი, გამოუცხო ქადა და მიუტანა. თვითონ კარებს უკან დაიმალა. როცა შემოსჭრა ქადასა, სთქვა:

რა ლამაზი ხარ, ქადაო,
წვენ გიდგა წურვილივითა,[24]
შაგხვრიტო, გულზედ მეწები
ეთერის სურვილივითა!

დედა

შვილო, ვისი გკლავს სურვილი,
ძილს არ გაძინებს მძინარსა,
წავალ და იმას გიპოვნი,
წყალს ჩაუდგები მდინარსა.

ელურსამელი

ადეგ, უშტარო დედაო,
ეთერსა კარად უარე,
ჯერ-კი ატირდი ბრალადა,
მერმე თავ შეამპუარე.

წავიდა ბებერი, მივიდა და მიიჭრა ეთერთანა, ატირდა და უთხრა:

გამამყე, ქალო ეთერო,
მზესა იმ შენის ძმისასა!

[24] წურვილი: გამდნარი ერბო (ავტორი).

კარზედ აგიგებ ჩარდახსა,
სულ ბროლ-მარილის ქვისასა.
გაგივლებ ყაჭ-აბრეშუმსა,
საჩრდილობელსა მზისასა,
გაგიფენ ხალიჩეებსა
სულ ფერად-ფერადისებსა;
ზედ შენ გაგავლევ, ეთერო,
ფეხი არ დაჰკრა ქვიშასა.

მაინცა და მაინც ეთერმა ვერ გაბედა წასვლა და ახლა ბოლოს ეთერის მული (ელურსამელის და) მოუვიდა და უთხრა:

ეთერ, არ გებრალებია,
რძალს გეუბნები დობასა.
ერთი ძმა მყვანდა, მიკვდება
შენი სურვილის ნდობასა.
ყელში გავიგდებ დანასა,
შენ შემოგაყრი ცოდვასა.

ეთერი

რას ამბობ, შუქურ–ვარსკვლავო,
რას ფილოფოზობ ენითა?
განა შენ თვითონ არ იცი,
რადღა გინდარის ჩემი თქმა:
ღვთისაგან დადგმულ გვირგვინი
გადიგდო თავის ხელითა.

გაისტუმრა ის მულიცა, მაგრამ თვითონაც ძალიან ეწადა წასვლა, რომ ცოცხალი ენახა. მაგრამ შერელომა აშინებდა. ამდროს დაიძახეს ინდუეთისაკენ ლაშქარი. ის შერელომა ასისთავი იყო და იქ წასვლა უნდოდა. მოვიდა ეთერთანა და უთხრა:

შემიხვიე, ქალო ეთერ,
ძუძუ–მკერდსა ბროლისასა;
ხვალე ლაშქარს უნდა გავყვე
დიდის ინდუეთისასა.
გადადიან გალავანსა,
ორღობეთა ფიჩხისათა,
გადადიან, გადაჰყრიან
ნამტვრევებსა ლოდისებსა;
ვინც იქ წავა, ვეღარც მოვა,
ვაი დედას ბიჭისასა!
ჩაგვიხოცენ ყმაწვილებსა,
უჩვევევლებსა ომისებსა.

ეთერი

სამი წელია, შერელომ,
არ ვიცი თავის დადება,
მოხვალ და მაშინ შეგიხვევ,
მინდა ავ-კარგის გაგება.

შერელომა

შენი ბრალია, ეთერო,
მზის ქონით გრილში ბერება.
შენ ამიკრძალე ის წესი,
რაც ცოლ-ქმართ შეეფერება.

ეთერი

მაპატივე, შერელომო,
ჯერ სხვას მივეც დიდი აღთქმა.
გვიღალატე წამლებითა,
ღმერთმა გთხოვოს ჩემი წართმა.
წუთისოფელ დამიმწარე,

საბნელოში ვზივარ რათა?!

შერელომა ლაშქარში წავიდა თუ არა, ადგა ეთერი და წავიდა ბატონიშვილთან, ესე იგი ელურსამელთანა და ბანზედ შეხტა, ჩაუგზავნა კაცი წინანდელს ნაქმარევს და გამოითხოვა კარზედ. მაგრამ საიდამ უნდა გამოვიდეს? მთავარი სული იმ დროს დალია. მაიხედა კიდევ ელურსამელმა და სთქვა:

ვინ თქვა, თუ ეთერ მოვიდა,
მზე გორთა დილა მავალი,
ეთერსა აქ მოსვლისადა
ცხენი უბოძეთ საღარი,[25]
თან კვიცი გამოუყვანეთ
ძუა-ნაღები, მაღალი.

ეთერი

ეთერსა ცხენი არ უნდა,
დანა მიეცით ჯავარი.
შენ ადექ, კარზედ გამოდი,
რო ხარ სულ ამომავალი.

ბატონიშვილი

თუ მოხველ, შინაც შემოდი,
მოკლე გაქვს შემოსავალი;
მე კარზედ ვეღარ გამოვალ,
სული წავიდა მთავარი.
გიღალატე, ქალო, ეთერ,
ჭირ ჩემ თავს მივეც მრავალი.
რო მკლავდა შენი სურვილი,
ვინ იყო ჩემი წამალი.
ეთერო, დანა დაიეც,

[25] საღარი: შუბლზე გრძელ თეთრნიშნიანი ცხენი (ავტორი).

ჩემთან შენც დასთმე თავია,
ცოცხალსა შერელომასა
მე აქ გერჩივნო მკვდარია.
ცალ-ცალკემც დაგვაღირებენ,
ერთადაც დაგვმარხვიანო,
ფოთოლთამც მოგვაღირებენ,
მიწათამც მოგვაყრიანო.
საფლავზედ ჩვენზედ იანი
ფოთოლსამც გადაშლიანო.
შერელომაის საფლავზედ
ეკალნიმც იქნებიანო,
ნარიმც ამოვა, ეკალი,
ვირებიმც მასძოვდიანო.
ჩვენ თავით ცივი წყარუა,
შიგ ვერცხლის თასნი დგიანო,
შამავალ-გამავალ მგზავრნი
შენდობას გვეტყოდიანო.

დაუთავებია თუ არა ეს ლექსი, მაშინვე სული დაულევია ბატონიშვილს და ეთერსაც დანა დაუცია გულზედა და თავი მოუკვლია. დაუმარხიან ერთათა. ამ დროს ორ ეშმაკსა უთქომს:

რა მშვენივრები სვენიან,
ისევამც ადგებიანო!
აღდგომა წესიმც ნუ არის,
სულითამც ცხონდებიანო.

„ივერია“, 1888, №274

საძიებლები

ადგილის სახელები

აკუშო 78.
ალაზანი 6, 7.
ალაჭანი 67.
არაგვი 6 - 11, 17, 42, 51, 69, 76, 78.
არანისი 7.
არტანი 11, 18, 151, 164.
არღუნი 51, 63, 65, 67.
არხოტი 69 – 71.
ახადი 11, 13.
ბაზდეთი 51.
ბარისახო 9.
ბოდახევა 11.
ბორბალი 7
ბოჭორმა 6, 10.
გიორგწმინდა 64, 67.
გორი 7, 44.
დუშეთი 7, 163, 164.
ერწო 7, 8, 10, 77.
თვალივი 78.
თიანეთი 6, 7, 8, 10, 28, 67, 163.
თრიალეთი 106.
თუშეთი 6, 7, 60, 72.
იალბუზი 152.
ილტო 6, 7, 8.
იორი 8.
კართანა 78.
კაწალხევი 6.
ლიშო 11.
ლიჩანური 11.
მათურა 11.
მარტყოფი 8.
მაღაროსკარი 10, 15, 24.
მგელათციხე 11.
მითხო 50, 64.
მტკვარი 6.
მუხრანი 81.
ნაქალაქარი 160.
ნოჯიკეთი 7.
ორწყალი 6, 26, 77, 78.
საფურცლე 79, 80.
საყარაულო 7.
სწროფავი 6.
უკანაფშავი 18.
ფშავეთი 6, 8, 10, 24, 32, 40
ყვარა 39.
ყვარელი 38.
შატილი 63, 67.
შირაქი 84, 106.
შუაფხო 9, 10, 15, 17, 24, 51, 67.
ცირცლოვანი 71.
ცხვარიჭამია 7
წიკვლიაანთკარი 67
ჭიჩო 11, 13, 14, 73, 107, 111.
ჭორმეშავი 76.
ხევსურეთი 3, 6, 9, 38, 60, 62, 64, 65, 67, 76, 81.
ხევსურეთულა 6.
ხოშარა 11, 38, 62, 70 - 75, 107.
ხუშხევა 57.
ჯიგრაულთა 66, 67.

საკულტო და მითოლოგიური სახელები

ადგილის დედა 12, 34, 35, 46, 106.
ათენგენა 106.
აიაზმა 41.
ამირანი 105.
ანგელოზი 31, 34.
აქიმ-დედოფალი 39.
ბედისკვერი 88, 95.
ბერიკა 97, 137.
ბუჭყაის უქმე 97.
განათვლა 33, 47.
განცხადება 86, 96.
გარეგვნობა 97.
გველვეშაპი 154.
დავლათი 94.
დავლათიანი 59,65, 66, 134.
დასტური 56, 59.
დარბაზი 8.
დედისძმათ ხატი 56.
დევ-კერპი 40, 41.
დროშა 37, 51, 60, 70, 84.
დღეობა 57, 58, 60, 70, 74, 84, 85, 105, 106, 109.
ეკლესია 61, 84 – 87, 96, 105, 129.
ეჯიბი 130 – 136.
ეშმაკი 100, 104, 105, 108, 132, 133, 146, 147.
ზედაშე 28, 35.
თაგვ-ჩიტთ უქმე 97, 98.
თავხევისბერი 37, 38, 53, 56, 58.
თამარ მეფე 37, 39, 41, 57, 62, 67, 68, 82, 107.
თას-განძი 59.
თასი 28, 29.
თეთრი გიორგი 84.
იახსარი 32, 108.
იღბალი 59, 133, 149.
იღბლიანი 59, 60.
კერა 15, 16, 133, 145.
კვეთილში ჩასმა 124, 125, 126.
კვირაცხოველი 34, 134.
კოპალა 32, 37, 40, 41, 51, 52, 61, 106, 107.
კუდიანი 100 – 105.
კურატი 52.
ლაშარის ჯვარი 37 – 39, 44, 45, 50, 60, 64, 69, 71, 75 – 77, 79 – 83, 103.
ლიტანია 87 – 90.
ლიშნის დაჭერა 121.
ლომისა 39, 108.
ლოცვა 29, 38, 52, 61, 84, 97, 101, 107, 135, 148.
მაცილი 108, 146, 147.
მგელთკვერა 99.
მგელთ უქმე 98, 99.
მებოსლე 16, 40, 53 – 55, 146.
მეკვლე 94 – 97.
მერიგე 28.
მექარობა 97.
მექორწილე 28, 129, 130.
მეღვარობა 97.
მეჯვარე 130, 132 – 137.
მკადრე 60.
მკითხავი 35 – 37, 41, 46, 48 – 50, 52 – 54, 56 – 60, 68, 85, 147, 148, 154, 155
მორიგე 31, 69.
მოწმინდარი 48, 53 – 55, 57, 58, 125, 146, 147.
მჭედელი 68, 69.
ნათლის ბურთი 41.
ნეფიონი 131, 132, 134.
ნიში 41.
ოქროს ღილი 47, 52.
ოქროს შიბი 76.
პირქუში 32.
საბერო 42, 44, 45.
სადასტურო 42
საერთო სალოცავები 13, 36, 37, 54, 106
სათავნო 117, 136, 145.
სათემო ხატი 12, 35, 46.
საზარე 42, 43, 44.
საკადრისი 33.
სამღვთო 29, 32, 34 – 37, 60, 76, 85, 87, 88, 129, 132, 149.
სიზმარი 48, 49, 104.
საიქიო 31, 86 – 88, 93, 94, 96.
სალუდე 42, 74, 75.

სამრისხველო 46.
სამწუნობრო 117, 122, 140, 141.
სამწყალობნო 46, 47.
სასაკლავე 44, 45.
სანათლავი 41, 55 – 57.
სანაწეო 136.
სასანთლე 42, 45, 107.
სახელის შადება 93.
სახლის ანგელოზი 27.
საჯარე 43 – 45, 74, 75.
სერობა 106.
სულიწმინდა 31.
ფუძის ანგელოზი 39.
ქადაგი 37, 50, 52, 53.
ქვის სამანი 69
ქორწილი 28, 30, 129 – 136, 140.
ღვთისშვილი 48, 82.
ყმა 12, 32 – 34, 36, 37, 44, 46, 47, 50 – 52, 64, 83, 97, 109, 112, 151, 153.
ცეცხლის ალი 51.
ცეცხლის ნაპერწკალი 51.
წმინდა გიორგი 45, 82, 85, 104, 107, 108, 134.
წყალკურთხევა 96.
ხატის კალო 35.
ხატის საბრძანისი 54.
ხატის ქალები 57.
ხატის ყმა 13, 69, 109.
ხატობა 7, 12, 28, 74, 84, 106.
ხახმატის ჯვარი 37.
ხევისბერი 29, 33, 37, 38, 41 – 45, 47, 51 – 61, 76, 107, 109, 110.
ხელმწიფე 69, 107.
ხელ-მხარის განათვლა 56.
ჯვარობა 28, 34, 70, 84, 85, 106, 107, 109 – 112.

გვარები, სახელები

აფციაური 77.
გაბიდაური 14, 33.
გეჯურა 151.
ეთერი 151 – 159.
ელურსამელი 151, 152, 155, 156.
ერისთავი 3, 44, 69, 76 – 81.
ზურაბი 44, 77, 79 – 82.
თილისძე 38, 72 – 75.
თეიმურაზი 79.
თოთაიშვილი 70, 71.
მახინცაური 70.
მისრია 68.
მისრიაანი 62, 68.
მისრიაშვილი 69.
პაპუაშვილი 151
საგინა 64 – 67.
სანათა 62, 73.
სანათაური 73.
სუმელჯი 73.
უძილაური 14.
უშტარი 155.
ფოცხვერა 70, 71.
ქისტაური 14.
ყამარისძე 63.
შერელომა 151, 153, 154, 156 – 159.
შუქურ-ვარსკვლავი 156.
ჩორხაული 51, 52.
ცუკია 126.
წოწკურაული 73.
ჯალაბაური 63, 65.

დავით ხიზანაშვილი ხალხური სიტყვიერების შემკრები

დავით ხიზანაშვილი იყო მეტად ნაყოფიერი შემკრები ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისა. მის მიერ მოპოვებული და გაზეთ „ივერიაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ფშაური ლექსები 1887 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ამავე გაზეთის რედაქციამ. ფშაური ლექსების კრებული ქართველმა საზოგადოებამ დიდი მოწონებით და კმაყოფილებით მიიღო. ვაჟა-ფშაველა კი ასეთი მაღალი შეფასებით შეხვდა: „მადლობის ღირსია ბატონი ხიზანაშვლი ფშაური ლექსების შეკრებისათვის, უფრო პატივსაცემია ავტორი იმ მიზნისათვის, რომელსაც ყველა ამგვარი შრომა ემორჩილება“.

დავით ხიზანაშვილი სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობდა. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ჰქონდა ღვაწლი როინიშვილის სამკითხველოს დაარსებაში; ბევრ მცდელობას ეწეოდა ფშავში სკოლების გასახსნელად; მუშაობდა თიანეთის და დუშეთის მაზრის სასამართლოში, ბოლოს კი თბილისის საოლქო სასამართლოში. სხვადასხვა სამსახურში ყოფნისას იგი ეცნობოდა და უმეგობრდებოდა ბევრ ცნობილ ადამიანს: ნიკო ხიზანიშვილის („ურბნელი“) დახმარებით გაიცნო ილია ჭავჭავაძე, რომელიც მისთვის ჩვეული გულისხმიერებით დახმარებია დავით ხიზანაშვილს; მას ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ვაჟა-ფშაველასთან და მის ძმებთან; მეგობრობდა თიანეთში გელოვანების ოჯახთან, რომელიც ლიტერატურის და პოეზიის მოყვარული ყოფილა. იგი ცნობილი პოეტის მირზა გელოვანის წინაპრების ოჯახი იყო. დავით ხიზანაშვილს ახლო მეგობრობა აკავშირებდა გრ. აფშინაშვილთან, ექიმ ნიკო ხუდადოვთან, პროფ. გ. ნამურაძესთან და მრავალ სხვა ცნობილ ადამიანთან. დავით

ხიზანაშვილი ყოფილა მეტად თავმდაბალი, წრფელი გულის ადამიანი, რისთვისაც იგი ძალიან დაფასებული ყოფილა საზოგადოებაში.

მისი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები კი ასეთია:

დავით ხიზანაშვილი დაიბადა 1860 წელს, ივრის ფშავის სოფელ არტანში, გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო არტნის ორკლასიან სასწავლებელში. შემდეგ კი ცხოვრებასა და საზოგადოებაში წინსვლის უზრუნველსაყოფად გადაწყვიტა რუსული ენის კარგად შესწავლა. ამ მიზნით მამამ იგი ერთი წლით კავკავს (ორჯონიკიძე) ჩაიყვანა, სადაც დავით ხიზანაშვილმა კარგად შეისწავლა რუსული ენა. კავკავიდან დაბრუნებული,რამდენიმე წელს ის კვლავ არტანში ეწეოდა საოჯახო მეურნეობას. იქ ძირფესვიანად გაეცნო ფშაველთა ყოფა-ცხოვრებას და დაინტერესდა ხალხური სიტყვიერებით.

1882 წელს დავით ხიზანაშვილი დაქორწინდა თიანეთელ მართა ფიცხელაურზე და საბოლოოდ თიანეთში დამკვიდრდა, სადაც მუშობდა მაზრის სასამართლოს მდივნის თანაშემწედ 1894 წლამდე.

1894-1905 წწ. იგი დაინიშნა დუშეთის მაზრის სასამართლოს მდივნად, ამავე დროს კორესპონდენციებს აქვეყნებდა „ივერიაში“.

1905-1912 წწ. დავით ხიზანაშვილი კვლავ თიანეთის მაზრის სასამართლოში ბრუნდება ბოქაულის თანამდებობაზე. იმ წლებში დავით ხიზანაშვილს მძიმე მდგომარეობა ჰქონდა ოჯახში: მეუღლე გარდაეცვალა, შვილები ორივე თბილისში სწავლობდა, გიგლო - თბილისის მესამე გიმნაზიაში, ლევანი-სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1912 წელს დავით ხიზანაშვილი სამუშოდ გადადის თბილისს და ინიშნება მეოთხე სამომრიგებლო სასამართლოს ბოქაულად. იგი ხელს უწყობს თავის ორივე ვაჟს უმაღლესი განათლების მისაღებად საზღვარგარეთ გამგზავრებაში.

1916 წლის 8 ნოემბერს გაზეთმა „სახალხო ფურცელმა“ გამოაქვეყნა ცნობა „უცნაური მკვლელობის შესახებ“. კვირას, 6 ნოემბერს, გათენებისას, ხოჯივანქის სასაფლაოს იქით, რკინიგზის

ლიანდაგის გადაღმა, მოკლული იპოვეს ტფილისის მეოთხე სამომრიგებლო სასამართლოს ბოქაული ხიზანაშვილი“. მომდევნო დღეებშიც ამავე ამბავს იუწყებოდა სხვადასხვა ქართული გაზეთი და გამოთქვამდა მთელი ქართველი საზოგადოების მწუხარებას ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწის დავით ხიზანაშვილის გარდაცვალების გამო.

დავით ხიზანაშვილი დაკრძალეს თბილისის წმინდა ნინოს სახელობის სასაფლაოზე. ამ დროისათვის მისი საფლავი დაკარგულია.

მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ გრ. აფშინაშვილი წერდა: „ჯეროვნად ვერ იქნა დაფასებული დავით ხიზანაშვილის ღვაწლი თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე და მისმა მკვლელებმაც მფარველი და თავშესაფარი ჰპოვესო“.

დავით ხიზანაშვილის ღვაწლს და განსაკუთრებით მის მიერ შეკრებილ ზეპირსიტყვიერ მასალას დაწვრილებით სწავლობდა ფოლკლორისტი ტრისტან მახაური. მან ამოკრიფა გაზეთ „ივერიიდან“ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილების სერია „ფშავეთი და ფშავლები“, წიგნად გამოცემა კი ვერ მოასწრო. მის პირად არქივში მოპოვებული მასალების მიხედვით შევადგინე ეს მცირე წინასიტყვა.

ლელა მახაური

ფოტო I. დავით ხიზანაშვილი მეგობართან ერთად. XX ს-ის დასაწყისი (http://pshavi.ge/greats/photohystory.html)

ფოტო II. დავით ხიზანაშვილი ოჯახთან ერთად. მეუღლე - მართა ფიცხელაური. XI X-XX ს-ის მიჯნა (http://pshavi.ge/greats/photohystory.html).

ფოტო III. სხედან: დავით ხიზანაშვილი (მარჯვნიდან მეორე). გადაღებულია XIX საუკუნის მეორე ნახევარში
(http://pshavi.ge/greats/photohystory.html).

სარჩევი

რედაქტორისგან, ხვთისო მამისიმედიშვილი.....3
დავით ხიზანაშვილი, ფშავეთი და ფშავლები.....5
გეოგრაფიული მდებარეობა ფშავეთისა.....6
თემობა და თემების ერთმანეთთან დამოკიდებულება.....11
სახლი და იმისი მოწყობილობა.....15
ანთროპოლოგიური ცნობები.....17
ტანთსაცმელი.....19
სამკაული.....22
საჭმელი და სასმელი.....24
რელიგიური რწმენანი ფშავლებისა და იმათი ხატები.....31
საერო და საეკლესიო დღესასწაულები.....84
ცოლქმრობა და კაც-დედაკაცის ურთიერთობა ოჯახში.....113
ეთერიანი.....150
საძიებლები.....159
ლელა მახაური, დავით ხიზანაშვილი - ხალხური სიტყვიერების შემკრები.....162
ფოტო I.....165
ფოტო II.....166
ფოტო III.....167

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com